749
1975

1975

6



გამომცემლობა „მერანი“ ● თბილისი

შინაარსი

პროზა

აკუტაგავა რიუნოსკე. ნანკინელი ქრისტე. მოთხრობა.
თარგმნა იზოლდა ლეჟავამ 7

ლეონიდ ანდრეევი. გულივერის სიკვდილი. მოთხრობა.
რუსულიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ 15

ჯონ სტაინბეკი. დათვი ჯონი. მოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა ზურლან გემაზაშვილმა 31

ვასილ შუკშინი. ნიშნოგა. მოთხრობა—ზღაპარი.
რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 46

რამდენიმე ამბავი დიდოსტატის ცხოვრებიდან.
მოგონებანი. სომხურიდან თარგმნა
არჩილ დავითიანმა 104

ზოია ვოსკრესენსკაია. გოგონა გოგოჭარ ზღვაში.
მოთხრობა. დასასრული. რუსულიდან თარგმნა
ნინო თოფჩიშვილმა 120

მაჯმუდ თეიმური. რატომ ვერ მოვხვდი ოქსფორდში.
მოთხრობა. არაბულიდან თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ 203

პოეზია

გელა ახმადულინა. ლექსები. რუსულიდან
თარგმნა ანა კალანდაძემ 4

F4030

6

(9)

ნოემბერი
დეკემბერი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

1975

შინაარსი

დედაო ღვთისავ... ლექსები. თარგმნა მორის ფოცხიშვილმა — 23

პოლ კლოდელი. ვერლენი. ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა — 115

უოლტ უიტმენი. ლექსები. თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ — 199

ლიტერატურული მემკვიდრეობა

დემოსთენე. ფილიპიკები. ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა — 83

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

დალი კოკაია-ფანჯიკიძე. თარგმანი და მკითხველი — 212

მორის ედგარ კუანდრო. სამი მოგონება. თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ — 226

სხვადასხვა ამბები — 234

ერთხელ... — 238

ხელა ახმაძელიანი

ლექსები

რუსულიდან თარგმნა ანა კალანდაძემ

X X

თავს ნუ მევლები, ნუ მანებივრებ,
ნუ მაძლევ კითხვებს, გთხოვ, ნურას მკითხავ...
შენი კეთილი, ლურჯი თვალებით
ჩემი ხელების სითბოს ნუ ითხოვ...

ნუ გამოჰყვები ჩემს კვალს წვიმაში,
ო, გაზაფხულზე — ჩატყდა ბოგირი...
ამ შეხვედრებით, ხომ ვიცი, ისევ
ჩვენ არაფერი არ გამოგვივა...

თუ არ გმეგობრობ ... იქნებ გგონია,
ზვაობით მომდის? ო, ჩემო თავო!
მე თუ... ამაყად მიჭირავს თავი —
მწუხარებისა ჩემისა გამო!

X X

ო, ზუსტი სიტყვა — ნაძირალები!
ავკაცობაში შეფიცულები...
ადამიანის ნიშან-თვისება
რომ დაუკარგავთ იმათ სრულებით...

და მე... მათ შორის! ღმერთო მაღალო,
ნუთუ ამ ბინძურ ბრბოში მგზავნიდი?
ეზა არ ჩანს, — იმათ შურიან თვალებს
არსება ჩემი რომ განვარიდო...

მომხვეჭელთა და გაუმაძღართა
მეც ვგრძნობ შეხებას ბინძური თათის...
დიახ, დღეს მათ სურთ ჩემთვის სიკეთე
და... მპირდებიან უეჭველ პატივს...

მაგრამ... თუ მართლა მერგო პატივი,
მაშინ... უფრთხილდით:
— ჩვენს წინ? რას ჰქვია? —
გულს გამიპობენ ბოროტი სიტყვით
და მზად არიან... მახალონ ტყვიაც!

— ო, დაიღუპა ხალასი ნიჭი! —
უსახურები იტყვიან მერე,
(ერთი პირი აქვთ ჩემს წინაალმდეგ!)
უხვად დაღვრიან ნიანგის ცრემლებს...

მათ... ელოდება პირუკუ ხვედრი —
ეს მათ იციან შეგნებით სრულით...
მაგრამ... მანამდე... რამდენი მოსპეს,
რამდენი გახრწნეს მერყევი სული!

გულში ციმციმებს იმედის სხივი —
ეს კაცუნები, სხვათა მტანჯველნი,
თვისივე თავით იგვემებიან:
უნიჭობაა მათი სასჯელი!

პოეზიის დღე

რომელმა გიჟმა ისურვა ლხინი,
პოეზიის დღეც შეერქვა მისთვის?
იმ გზას, სად ჩემი იკარგვის კვალი,
მიჰყვება ხალხი და ნდობით მისდევს...

შეთამამებულ მოქეიფეთა
მე ნუ მომაწერ წვასა და ხილვებს,
დღევ დიდებულო; არ მოველ ნადიმს:
ყოველდღიური ჩემთვის ხარ ლხინი!

ხალხში ნდობა ჩანს და შეცბუნება —
რა ალალია ხალხის ბუნება:
უნიჭობის და ნიჭის წყვილობას
არ არჩევს მისი გულკეთილობა...

ვიდრე მის სმენას აჩლუნგებს ზრიყვი,
ამ ბოროტებას ვიდრე ხვდებიან,
ვფიქრობ, საერთოდ, დღესასწაულნი
ტყვილად, უმიზნოდ არ იქმნებიან...

ტყვილად არ სტუმრობს მუზა პოეტებს,
ტყვილად არ ქუხან იმათი ხმები...
გაბრწყინებია შუქით თვალები
გოგო-ბიჭების უთვალავ კრებულს.

თოვლია

რა იზიდავდა თოვლიას ცეცხლთან,
რად არ უფრთხოდა მის წითელ ენებს?
ერჩია, წყალში ჩავარდნილიყო,
ან გაეთქერათ ფლოქვებით ცხენებს...

თვისი ცისფერი წამოსასხამით
დაუყოვნებლად ცეცხლს მიაშურა
და დარჩა მისგან, ო, დარჩა მისგან...
ცეცხლით დამდნარი ყინვის ნაჟური...

გაქრა, გაიზნა, ცას შეერია,
დასრულდა ჟამი მისი ამაში...
ცეცხლთან თამაში — ჩვენი ხუმრობა,
აი, ოდითგან ჩვენი თამაში!

ისე გვიზიდავს ნარინჯისფერი,
ისე დიდია იმისი გზნება,
ისე გვიკარგავს სულის სიმშვიდეს,
მას მინდობილი სხეული... ქრება...

დე, კვლავ ძლიერად შევიგრძნოთ ცეცხლი,
მასთან თამაში ისევ ჩავებათ —
დაგვაჯილდოებს გამბედაობა
ჩვენი — სიკვდილით ან უკვდავებით...

ჰა, ჩვენი ხვედრი, კვამლში უჩინო,
შეუპოვარი სულისკვეთებით —
ან უვნებელნი ცეცხლიდან გავალთ,
ან მას მარადის შევუერთდებით.

□

აკუტაგავა რიუნოსკე — იაპონია —

ნანკინელი ქრისტე

მოთხრობა

თარგმნა იზოლდა ლეჟავამ

შემოდგომის ღამე იდგა. ნანკინში, თავის სახლში, ცივანძის ქუჩაზე, ფერმკრთალი ჩინელი ყმაწვილი ქალი მოწყენილი დაყრდნობოდა ძველ მაგიდას, წინ ერთი პატარა გალაქული სინი დაედგა. სინიდან საზამთროს მარცვლებს იღებდა და უხალისოდ აკნატუნებდა.

მაგიდაზე ლამპა ბჟუტავდა. ლამპის შუქი იმის ნაცვლად, რომ გაენათებინა იქაურობა, ისედაც სევდიან ოთახს კიდევ უფრო ასევდიანებდა. კუთხეში, შპალერჩამოხეულ კედელთან მიდგმულ ლერწმის საწოლთან, დაუდევრად რომ გადაეფინათ ზედ შალის საბანი, მტვრიანი მიჩიგდანი ეკიდა. მაგიდის მეორე მხარეს მივიწყებულივით იდგა ძველი დამტვრეული სკამი. ოთახში ამ ნივთების გარდა სხვა რამ მორთულობას ძალზე დაკვირვებული თვალიც კი ვერ შეამჩნევდა.

დროდადრო გოგონა მარცვლების კნატუნს თავს ანებებდა და მოპირდაპირე კედელს არ აშორებდა ნათელ მზერას: იქ, კაუჭზე, გოგონას თვალწინ ეკიდა სადა, პატარა ბრინჯაოს ჯვარცმა. ზედ მკრთალად ჩანდა თითქმის წაშლილი უბრალო ბარელიეფი — ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულება. ყოველთვის, როცა ჯვარცმას შეხედავდა, გოგონას გრძელი წამწამებით შემორკალულ თვალებში ნაღვლიანი გამომეტყველება გაუქრებოდა და იმედის სხივი გაუელვებდა. მაგრამ სწრაფად მოაშორებდა თვალს, ოდნავ შეარხევდა მხრებს, ზედ შავი აბრეშუმის კოფთა რომ წამოესხა და ისევ საზამთროს მარცვლებს მიუბრუნდებოდა.

გოგონას სუნ ძინ-ხუა ერქვა, იგი მეძავი იყო. თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა და თავი რომ ერჩინა, ღამღამობით ამ ოთახში სტუმრებს ღებულობდა. ცინვაის მეძავთა შორის ამგვარი გარეგნობის გოგო, რასაკვირველია, ბევრი შეგხვდებოდათ, მისებრ სათნო ხასიათისა კი, — ალბათ, არც ერთი. სხვა ქალებისაგან განსხვავებით, იგი გულწრფელი და მშვიდი იყო. მხიარული ღიმილით ართობდა ყო-

ველ საღამოს მის უბადრუკ ოთახში მოსულ სტუმრებს. თუ ზოგჯერ დათქმულზე მეტ გასამრჯელოს მიიღებდა, უხაროდა, მამამისს — ამ ერთადერთ ახლობელ ადამიანს — ერთი ჭიქით მეტს დაალევინებდა თავის საყვარელ საკეს.

ძინ-ხუას ასეთი საქციელი, ცხადია, მისი ხასიათის წყალობა იყო. თუმცა არსებობდა მეორე მიზეზიც — გოგონა ბავშვობიდანვე კათოლიკურ სარწმუნოებას აზიარეს. ამ რწმენით აღზარდა იგი განსვენებულმა დედამისმა. სწორედ ამის დასტური გახლდათ კედელზე ჩამოკიდებული ჯვარცმაც.

ერთხელ, ცნობისმოყვარეობის გამო, ძინ-ხუასთან ერთმა ახალგაზრდა ტურისტმა გაათია ღამე. იგი შანხაიში დოღის სანახავად ჩამოსულიყო, თან სამხრეთ ჩინეთის ბუნებით სურდა დატკბობა. ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი, კბილებში სიგარეტგაჩრილი ტურისტი, გულგრილად ეხვეოდა მის მუხლებზე წამოსკუპებულ ძინ-ხუას. უცაბედად კედელზე ჯვარი შეამჩნია და დამტვრეული ჩინურით უნდობლად ჰკითხა:

— შენ, რაო, ქრისტიანი ხარ?

— ჰო, ხუთი წლისა მომნათლეს.

— მერედა ამ გზაზე რამ დაგაყენა?

მის ხმაში დაცინვა გამოკრთა, მაგრამ ძინ-ხუამ ხელზე დაადო შავთმიანი თავი, მშვიდად გაუღიმა და სწორი, წვრილი კბილები გამოაჩინა.

— ამ გზაზე რომ არ დავმდგარიყავ, შიმშილით დავიხოცებოდით მე და მამაჩემი.

— მამა მოხუცია?

— ჰო... ძლივსღა დადის.

— კი მაგრამ... იმაზე არ ფიქრობ, ზეცის კარი რომ დახშული აღმოჩნდება შენთვის?

— არა, — ძინ-ხუამ ჯვარცმას გახედა და ფიქრიანად მიუგო: — მე მგონი, იქ, ცაში, უფალმა ქრისტემ იცის ჩემი გულისნადები. ასე რომ არ იყოს, რა განსხვავება იქნებოდა უფალ ქრისტესა და იაძიაკაოს უბნის პოლიციელს შორის?

ახალგაზრდა იაპონელმა გაიღიმა, პიჯაკის ჯიბიდან ნეფრიტის საყურე ამოიღო და გოგონას ყურის ბიბილოზე დაუბნია.

— ეს საყურე აქ ვიყიდე, მინდოდა საჩუქრად წამეღო იაპონიაში, მაგრამ შენი იყოს, ამ ღამის სახსოვრად.

იმ ღამიდან, როდესაც პირველი სტუმარი მიიღო, ძინ-ხუას ამშვიდებდა რწმენა, რომ უფალმა ყველაფერი იცოდა.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ ეს ღვთისმოსავი მეძავი, სამწუხაროდ, ავად გახდა: ათაშანგის ავთვისებიანი წყლულები გამოაყარა. როცა მისმა მეგობარმა ჩენ შან-ჩამ შეიტყო ეს ამბავი, ურჩია, ოპიუმის არაყი დალიე, ტკივილს დაგიამებსო. მერე მეორე ამხანაგმა — მაო ინ-ჩუანმა — „გუნლანვანის“ აბები და „ძიალუმის“[1] მალამოს ნარჩენები მოუტანა. იგი ამ წამლებს თვითონ ხმარობდა. თუმცა ძინ-ხუა ოთახში იყო გამოკეტილი და სტუმრებს აღარ ღებულობდა, ავადმყოფობას პირი მაინც არ უქცევია.

და აი, ერთხელ ჩენ შან-ჩა ძინ-ხუას სანახავად მივიდა და აშკარა ცრურწმენაზე დამყარებული განკურნების ახალი ხერხი ასწავლა.

---

[1] „გუნლანვანის“ აბები და „ძიალუმის“ მალამო ათაშანგის სამკურნალო წამლებია.

— რადგან ეს სნეულება სხვამ გადაგდო, უკანვე დაუბრუნე ვინმეს და ორსამ დღეში განიკურნები.

ძინ-ხუა იჯდა დაღონებული, ნიკაპი ხელზე ჩამოეყრდნო, ტანჯულ პირისახეზე ერთი ნაკვთიც არ შეთრთოლებია, მაგრამ ეტყობოდა, შინ-ჩას სიტყვებმა მაინც გულისხმაში ჩააგდო და ჰკითხა:

— მართლა?

— მართლა, აბა, რა? ჩემს დას, აი, შენსავით ვერაფერმა უშველა; მაგრამ, როგორც კი ავადმყოფობა სტუმარს გადასდო, მაშინვე განიკურნა.

— მერე სტუმარს რა მოუვიდა?

— სტუმარი კი, მართლაც ცოდოა! ამბობენ, კიდეც დაბრმავდაო.

როცა შან-ჩა წავიდა, მარტოდ დარჩენილმა ძინ-ხუამ ჯვარცმის წინ მუხლი მოიდრიკა, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს თვალი მიაპყრო და გულმხურვალედ შეევედრა:

— უფალო იესო, მამა რომ ვარჩინო, სამარცხვინო საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ამით ხომ მე ვირცხვენ თავს და სხვას არაფერს ვუშავებ! ჰოდა, ვფიქრობ, ასეც რომ მოვკვდე, უეჭველად სამოთხეში მოვხვდები. ახლა უწინდებურად რომ ვიცხოვრო — სენი სხვას უნდა გადავდო, სხვა უნდა დავღუპო. ამიტომ გადავწყვიტე, შიმშილითაც რომ მოვკვდე, ახლოს არავის გავეკარო, ჩემს ბედნიერებას ხომ არ ვუმსხვერპლებ უდანაშაულო ადამიანს! მაგრამ ქალი ვარ და, იცნებ, დადგეს ისეთი წუთი, რომ ცდუნებას ვერ გავუძლო. დამიფარე, მამაზეციერო! შენს მეტი არავინ მყავს მფარველი!

ამ ფიცის შემდეგ რამდენს არ არწმუნებდნენ შან-ჩა და ინ-ჩუნი, მაგრამ ქალი არც ერთ სტუმარს აღარ გაჰკარებია. თუ მასთან ზოგჯერ რომელიმე მუდმივი სტუმართაგანი შეივლიდა, იგი მხოლოდ დაჯდებოდა მასთან და სიგარეტს გააბოლებდა.

— საშინელი სენი მჭირს. ჩემთან რომ დაწვეთ, გადაგედებათ, — ეუბნებოდა ძინ-ხუა მთვრალ სტუმარს, ძალით რომ ცდილობდა მის დამორჩილებას, ქალი ავადმყოფობის დამადასტურებელი წყლულების ჩვენებასაც არ თაკილობდა. სტუმრებმაც თანდათან ფეხი ამოიკვეთეს და ძინ-ხუას ცხოვრება ერთობ გაუჭირდა.

იმ საღამოს დიდხანს იჯდა გოგონა მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი. საქმე არაფერი ჰქონდა. იჯდა და დაფიქრებული სივრცეს მიშტერებოდა. სტუმრები აღარ მოდიოდნენ. ამასობაში დაღამდა, ყველაფერი მიჩუმდა, ძინ-ხუას ჭრიჭინობელას ჭრიჭინიღა ესმოდა. ქვის იატაკიდან წამოსულმა ნესტიანმა სიცივემ ჯერ მის ნაცრისფერ აბრეშუმის ფეხსაცმელში გაჟონა, შემდეგ კი ძვალ-რბილში გაუჯდა.

ძინ-ხუა ერთხანს ჩაფიქრებული შესცქეროდა ლამპის მბჟუტავ შუქს, მერე გააჟრჟოლა და მთქნარება შეიკავა. სწორედ ამ დროს კარს ვიღაცამ უბიძგა და ზღურბლზე უცნობი უცხოელი გამოჩნდა. ოთახში უცბად შემოჭრილ ნიავზე ლამპა აბოლდა და ჩაბნელებულ ოთახს უცნაური წითელი, ჰვარტლიანი შუქი მოჰფინა. ამ შუქით თავით ფეხებამდე განათებულმა სტუმარმა უკან დაიხია და კარს მიეყრდნო. კარი მიჯახუნდა.

ძინ-ხუა წყნარად წამოდგა და გაოცებული მიაჩერდა უცხოელს. სტუმარი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, მზით გარუჯული, დიდთვალება, წიეროსანი მამაკაცი იყო. ყავისფერზოლებიანი პიჯაკი ეცვა და ისეთივე ქუდი ეხურა. მარ-

თალია, სტუმარი რომ უცხოელი იყო ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ გარეგნობით ვერ ძიხვდებოდით, აზიელი იყო თუ ევროპელი. ქუდიდან შავი თმა ჩამოშლოდა, კბილებში კი ჩამქრალი ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი. როცა შემოსასვლელში დადგა, აქეთონებოდა, ვიღაც ღვინით გალეშილი გამვლელი შემთხვევით შემოეხეტაო.

— რა გნებავთ? — თითქმის საყვედურით ჰკითხა ცოტა არ იყოს შეშინებულმა ძინ-ხუამ ისე, რომ მაგიდას არ მოშორებია. სტუმარმა თავი გააქნია, ჩინური არ ვიციო; მერე პირიდან ჩიბუხი გამოიღო და რაღაც გაუგებარი უცხო სიტყვა წარმოთქვა. ახლა კი ძინ-ხუამ გააქნია თავი და ლამპის შუქზე ნეფრიტის საყურემ გაიბრწყინა.

სტუმარმა შეშფოთებული და კოპებშეკრული გოგო რომ დაინახა, ხმამაღლა გადაიხარხარა, ქუდი დაუდევრად მოიხადა, ბანცალ-ბანცალით მისკენ გაემართა და მაგიდის მეორე მხარეს სკამზე უღონოდ დაეშვა. ძინ-ხუას ეს კაცი როგორღაც ახლობლად მოეჩვენა, თითქოს უწინ სადღაც უნახავსო, მაგრამ ვერ მოეგონებინა, სად და როდის. სტუმარმა მოურიდებლად მოხვეტა სინიდან საშამთროს მარცვლები, კნატუნს არ მოჰყოლია, მხოლოდ ძინ-ხუას მიაშტერდა და ისევ უცხო ენაზე ალაპარაკდა. თან ხელებს უცნაურად იქნევდა. ძინ-ხუამ ვერაფერი გაიგო, მაგრამ ბუნდოვნად მიხვდა, რომ სტუმარმა იცოდა, რა ხელობისაც იყო გოგონა.

ჩინურის უცოდინარ უცხოელთან გრძელი ღამეების გატარება ძინ-ხუახვის უჩვეულო როდი იყო. ამიტომ იქვე ჩამოჯდა და თითქმის ჩვეულებრივქცეული ალერსიანი ღიმილით ატიკტიკდა. დროდადრო სტუმრისათვის სრულიად გაუგებარ ხუმრობას ჩაურთავდა ხოლმე. სტუმარი კი ყოველ მეორე, მესამე სიტყვაზე ისე ხარხარებდა, თითქოს ყველაფერს მიუხვდაო ძინ-ხუას, და ხელებსაც უფრო მალიმალ იქნევდა.

სტუმარს არაყის სუნი ასდიოდა. სიმთვრალისაგან აწითლებულმა მისმა გაჟკაცურმა სახემ თითქოს გაანათა ეს უბადრუკი ოთახი. ყოველ შემთხვევაში, ეს სტუმარი ძინ-ხუას აქამდე ნანახ ყველა უცხოელზე ლამაზი ეჩვენებოდა, ქალის ნანკინელ თანამემამულეებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაინც ვერაფრით მოიგონა, სად ენახა იგი. როცა ქუდიდან შუბლზე გადმოყრილ მის შავ ხუჭუჭა თმას უყურებდა, სულ იმის გახსენებას ცდილობდა, წინათ სად შევხვედრივარო.

„იქნებ ის არის, ნავში რომ ნახა ჩასუქებულ ცოლთან ერთად? არა, არა, ის უფრო წითური იყო. ის ხომ არ არის, ცინვაეში კუნ-ძის მავზოლეუმის ფოტოსურათი რომ გადაიღო? მაგრამ არა, ის ამაზე უფროსი იქნებოდა. ჰო, ჰო, გაახსენდა; ერთხელ რესტორნის წინ, ლიდაციაოს ხიდთან შეგროვილი ხალხის თვალწინ, ვიღაც მამაკაცი, სწორედ ამ სტუმარს რომ ჰგავდა, რიქშას კეტით სცემდა. მაგრამ არა... მგონი, ის უფრო ცისფერთვალა იყო“.

ვიდრე ძინ-ხუა ამას ფიქრობდა, მხიარულმა უცხოელმა ჩიბუხი გატენა, გააბოლა და ოთახში სასიამოვნო სუნი დატრიალდა; შემდეგ რაღაც თქვა, ჩუმად ჩაიცინა და ძინ-ხუას თვალებთან ორი თითი მიუტანა. ის რომ, ორი თითი ორ დოლარს ნიშნავს, ყველამ იცის, მაგრამ ძინ-ხუამ, რადგანაც უკვე აღარ ღებულობდა სტუმრებს, უარის ნიშნად ორჯერ გააქნია თავი. მაშინ სტუმარი თავხედურად გადაწვა მაგიდაზე, გამოთაყვანებული პირისახე ძინ-ხუას პირდაპირ ტუჩ-პირთან მიუტანა და დააშტერდა. მერე კი სამი თითი ასწია. ძინ-ხუა ისევ საზამთროს მარცვლებს აკნატუნებდა, იგი შეკრთა და უკან დაიწია: ეტყობა, სტუმარს ჰგონია, ორი დოლარი მეცოტავაო. მან ჩინური არ იცოდა, ჰოდა ვერც

აუხსნიდა თავის გასაჭირს. ძინ-ხუა მწარედ ნანობდა თავის ქარაფშუტობას. მან გვერდზე გაიხედა და ერთხელ კიდევ გადაჭრით გააქნია თავი. უცხოელმა გაიღიმა, ცოტა შეყოყმანდა, მერე ოთხი თითი ასწია და ისევ რაღაც წარმოთქვა უცხო ენაზე. დაბნეულმა ძინ-ხუამ ლოყაზე მიიდო ხელი, გაღიმების თავიც არ ჰქონდა, გულში კი გაიფიქრა, რადგან საქმე ასე წავიდა, ისღა დამრჩენია, თავი ვაქნიო მანამ, ვიდრე სტუმარს არ მობეზრდებაო. მაგრამ ამ დროს სტუმარმა ხუთივე თითი გაშალა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა წაეტანაო.

კარგა ხანს მუნჯურად და ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ: სტუმარი ჯიუტობდა და ბოლოს ანიშნა, ათი დოლარიც არ მენანებაო. მაგრამ მეძავისათვის ესოდენ დიდმა თანხამ — ათმა დოლარმაც ვერ შეაცვლევინა ძინ-ხუას ჩანაფიქრი. გოგონა წამოდგა. როცა სტუმარმა ათივე თითი აჩვენა, გაბრაზებულმა ძინ-ხუამ ფეხები დააბაკუნა და თავი გაიქნია. უცებ კედელზე ჩამოკიდებული ჯვარცმა კაუჭს მოსწყდა და მის ფეხებთან, ქვის იატაკზე ხმაურით დაეცა. ძინ-ხუა სწრაფად დასწვდა ჯვარცმას, ფრთხილად აიღო, დახედა ჯვარცმულ ქრისტეს... და ჰოი, საოცრებავ, — ქრისტეს ამ უცხოელის პირისახე ჰქონდა!

„მე კი ვფიქრობდი, სადღაც მინახავს-მეთქი! უფალი ქრისტე გამომეცხადა და ეს არის!“

ძინ-ხუამ ბრინჯაოს ჯვარცმა მკერდზე მიიკრა და სასმელისაგან წამოწითლებულ სტუმრის პირისახეს მიაშტერდა შეშფოთებული. მამაკაცი ჩიბუხს აბოლებდა და მრავალისმეტყველად იღიმებოდა. იგი ხარბი თვალებით ელაციცებოდა გოგონას სახეს, თეთრ კისერსა და ყურებს, ზედ ნეფრიტის საყურეები რომ კიაფობდა. ძინ-ხუას კი იგი მაინც სათნო დიდებულებით აღსავსე ეჩვენებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, თავი დახარა და გოგონას სიცილით რაღაც უთხრა. ამ სიტყვებმა გრძნეულის ჩურჩულივით იმოქმედა ძინ-ხუაზე. იქნებ დაავიწყდა კიდეც თავისი დიდსულოვანი ჩანაფიქრი? თვალები დახარა და დარცხვენილი მიუახლოვდა იდუმალებით მოცულ უცხოელს — ხელში ბრინჯაოს ჯვარცმა ეჭირა.

სტუმარმა ჯიბეები მოიჩხრიკა, ვერცხლის ფული ააჩხრიალა, ძინ-ხუას ღიმილით შეაცქერდა — მისი ცქერით ტკბებოდა. მაგრამ უცბად მის თვალებში ღიმილი ფიცხელმა ვნებამ შეცვალა. სკამიდან წამოხტა, გოგონას მაგრად მოეხვია და არყის სუნით გაჟღენთილ პიჯაკზე მიიკრა. ძინ-ხუა მოხიბლული შეჰყურებდა სტუმარს და თითქოს გრძნობას კარგავსო, თავი უკან გადაეგდო, ყურებზე ნეფრიტის საყურე უბრწყინავდა, ლოყები შეფაკლოდა... ახლა იმის ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, არ ვაკოცო და უკურნებელი სენი არ შევყარო ამ უცნაურ უცხოელსო. ძინ-ხუამ ბაგე სტუმრის შებანჯგლულ ტუჩებს შეაგება და გული პირველი სიყვარულის ნეტარებამ აღუვსო.

* * *

რამდენიმე საათის შემდეგ, ჭრიჭინობელების ოდნავ გასაგონი ჭრიჭინი შემოდგომის სევდით ავსებდა ჩაბნელებულ ოთახს, სადაც ორი ადამიანის სუნთქვა ისმოდა. სიზმარი კი, ახლა ძინ-ხუა რომ ხედავდა, საწოლის მტვრიანი მიჩიგდანიდან მაღლა, მაღლა, ზეცისკენ მიიწევდა და მთვარიან და ვარსკვლავებიან ღამეს ერთვოდა.

...ძინ-ხუა სანდალის ხის წითელ სკამზე იჯდა და მაგიდაზე დაწყობილ ნაირ-ნაირ კერძს ჩხირებით მიირთმევდა. აქ იყო მერცხლის ბუდეები, ზვიგენის ფარფლები, დაბუღული კვერცხები, კობრის შაშხი, შემწვარი ღორის ხორცი და ვინ მოთვლის, კიდევ რა. ჭურჭლეული — ცისფერი ლოტოსებითა და ოქროს ფასკუნჭებით მოხატული ლარნაკები და თასები იყო მხოლოდ.

მის ზურგს უკან, ფანჯარაზე მარმაშის ფარდა ფრიალებდა. ფანჯრის მიღმა, ალბათ, მდინარე მიედინებოდა — ისმოდა წყლის ჩხრიალი და ნიჩბის ტლაშუნი. ძინ-ხუას ეჩვენებოდა, თითქოს მშობლიურ ცინვაეში იყო, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა, ეტყობა, ციურ ქალაქში, ქრისტეს საუფლოში ვიმყოფებიო.

დროდადრო ძინ-ხუა ჩხირებს დადებდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მაგრამ კერძების ოხშივარში გახვეულ ფართო ოთახში დრაკონებამოჭრილი სვეტებისა და დიდი ქრიზანთემებით სავსე ქოთნების გარდა არაფერი ჩანდა, არც ვინმე სულიერი ჭაჭანებდა. და მაინც, როგორც კი ლარნაკი დაიცლებოდა, მაშინვე მის წინ გაჩნდებოდა მეორე, მასაც თბილი ოხშივარი ასდიოდა. შემწვარმა ხოხობმა, — მისთვის ჯერ ხელიც არ ეხლო, — უცბად ფრთა ფრთას შემოჰკრა, ღვინის თასი გადააპირქვავა და ჭერისკენ გაფრინდა.

ამ დროს ძინ-ხუამ იგრძნო მის სკამს ზურგიდან ვიღაც შეუმჩნევლად მიუახლოვდა. ჩხირები მაგიდაზე არც დაუწყვია, ისე სწრაფად მიიხედა; იქ, სადაც ფანჯარა ეგულებოდა, რატომღაც ასე ფიქრობდა ქალი, ფარჩაგადაფარებულ სანდალის ხის სკამზე უცნობი უცხოელი იჯდა. კბილებში ბრინჯაოს ყალიონი ჰქონდა გაჩრილი.

ძინ-ხუამ შეხედა თუ არა, მაშინვე იცნო ამღამინდელი სტუმარი. მხოლოდ ამ უცხოელს თავზე ერთი სიაკის დაშორებით, სამი დღის მთვარის მსგავსი ნაზი, შუქმფინარი შარავანდი ადგა.

უცებ, თითქოს მაგიდიდან ამოხტაო, ძინ-ხუამ დაინახა დიდი ლარნაკი, სურნელოვანი კერძით სავსე. მან უმალ წაიღო ხელი, უნდოდა აეღო გემრიელი ლუკმა, მაგრამ უცებ გაახსენდა ზურგს უკან მდგარი უცხოელი, მისკენ მიიხედა და მორცხვად ჰკითხა:

— აქ ხომ არ დაბრძანდებით?

— არა, მარტო შენ ჭამე. თუ ამას შეჭამ, განიკურნები.

შარავანდედიან უცნობს ყალიონი ისევ პირში ჰქონდა გაჩრილი და უსაზღვრო სიყვარულით იღიმებოდა.

— ესე იგი, თქვენ არ მიირთმევთ?

— მე? არ მიყვარს ჩინური კერძი. კიდევ ვერ მიცანი? იესო ქრისტეს არასოდეს უჭამია ჩინური კერძი.

ეს რომ უთხრა, ნანკინელი ქრისტე ნელა წამოდგა, ზურგიდან მიუახლოვდა გაოგნებულ ძინ-ხუას და ლოყაზე ნაზად აკოცა.

* * *

ვიწრო ოთახში უკვე შემოდგომის ცივი აისი შემოჭრილიყო, როცა ძინ-ხუა სამოთხის ზმანებიდან გამოერკვა. დამტვერილ მიჩიგდანის მიღმა, ნავისებურ საწოლში, ჯერ ისევ თბილი ბინდბუნდი სუფევდა. ბუნდოვნად მოჩანდა თვალებდახუჭული ძინ-ხუას პირისახე. ქალს ძველი, გახუნებული შალის საბანი ნიკა-

პამდე დაეფარებინა. საცხწასმული თმა ფერმკრთალ ლოყებზე მისწებებოდა, ალბათ ოფლისგან, ოდნავ ღია ბაგედან კი ბრინჯის მარცვლებივით მოუჩანდა თეთრი კბილები.

ძინ-ხუას გაელვიძა, მაგრამ მისი სული ისევ სიზმარში იყო — საუცხოო ქრიზანთემები, წყლის დგაფუნი, შემწვარი ხოხბები, იესო ქრისტე... მაგრამ მიჩიგდანის ქვეშ სულ უფრო და უფრო იღვრებოდა ნათელი და მის ნეტარ ოცნებებში მკაცრი სინამდვილის ცხადი შეგრძნება იჭრებოდა. შეგრძნება, რომ წუხელ ამ ლერწმის სარეცელზე იდუმალებით მოცულ უცხოელთან ერთად დაწვა.

„ხომ შეიძლება ჩემი სენი გადაედოს...“

ამ აზრმა გული დაუმძიმა და მოეჩვენა, რომ დღეს დილით ვერ გაბედავდა მისთვის თვალებში შეეხედა. მაგრამ უფრო ძნელი იყო, ერთხელ კიდევ არ დაენახა მზით გარუჯული, საყვარელი პირისახე, ამიტომ, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, თვალი მორცხვად გაახილა და მიჩიგდანს მიღმა, სადაც უკვე ინათა, თავის საწოლს გადახედა. მაგრამ ჰოი, საოცრებავ, არა თუ ჯვარცმული ქრისტეს მსგავსი უცხოელი, საერთოდ მის გვერდით არავინ იწვა.

„ეტყობა, ესეც სიზმარი იყო...“

ძინ-ხუამ ჭუჭყიანი საბანი გადაიხადა და წამოდგა. მერე ორივე ხელით თვალები ამოისრისა, მძიმე მიჩიგდანი გადასწია და ნამძინარევმა მიმოიხედა.

ოთახში, ამ სუსხიანი დილის შუქზე, ყველა საგანი ულმობელი სიცხადით ჩანდა: ძველი მაგიდა, ჩამქრალი ლამპა, სკამები — ერთი იატაკზე ეგდო, მეორე კედლისკენ იყო მიბრუნებული, — ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც წუხელ. ის კი არა და, მაგიდაზე, საზამთროს მიმოყრილ მარცვლებს შორის მქრქალად ბრწყინავდა პატარა ბრინჯაოს ჯვარცმა. ცოტახანს იჯდა ძინ-ხუა დაჭმუჭნილ ლოგინზე, თვალების ფახულით ოთახს ათვალიერებდა და აბუზული ადგილიდან არ იძროდა.

— არა, ეს არ იყო სიზმარი... — წაიჩურჩულა მან. ყმაწვილი ქალი უცხოელზე ფიქრობდა. ალბათ, ვიდრე ეძინა, ჩუმად გავიდა ოთახიდან. მაგრამ არ სჯეროდა: ადამიანი, ასეთი გზნებით რომ ეალერსებოდა წუხელ, ასე სიტყვის უთქმელად წავიდოდა, უფრო სწორად, ძალზე უმძიმდა ამის დაჯერება. თან დაპირებული ათი დოლარის გამორთმევაც დაავიწყდა.

„ნუთუ მართლა წავიდა?“

გულდამძიმებულმა იქვე საბანზე მიგდებული შავი აბრეშუმის კოფთის წამოსხმა დააპირა, მაგრამ უცბად გაწვდილი ხელი გაუშეშდა და ლოყები წამოუჭარხლდა. კარს უკან იდუმალებით მოცული უცხოელის ფეხის ხმა ხომ არ მოესმა? ან იქნებ არაყის სუნმა, — მისი ბალიში და საბანი ამ სუნით იყო გაჟღენთილი, — გუშინდელი ღამის მღელვარე მოგონება გაუღვიძა? არა, იმ წუთში ძინ-ხუამ იგრძნო, რომ მის სხეულში რაღაც სასწაული მოხდა, ათაშანგის წყლულები ერთ ღამეში უკვალოდ გამქრალიყო.

„მაშასადამე, ქრისტე იყო!“

სიხარულისაგან თავდავიწყებული ღამის გადმოვარდა საწოლიდან, ქვის ცივ იატაკზე მუხლი მოიყარა, როგორც მარიამ მაგდალინელმა მკვდრეთით აღმსდგარი ქრისტეს წინარე და მხურვალე ლოცვა აღავლინა.

* * *

მეორე წელს, გაზაფხულის ერთ საღამოს, ძინ-ხუას ოთახში ლამპის მბუჟტავ შუქზე მაგიდას მისჯდომოდა ახალგაზრდა იაპონელი ტურისტი, მისი შარშანდელი ნაცნობი.

— ჯვარცმა ისევ გიკიდია? — ჰკითხა მან საუბრისას ოდნავ დამცინავი კილოთი. და ძინ-ხუამ დინჯად უამბო საოცრება, თუ როგორ ჩამოვიდა ერთ ღამეს ქრისტე ნანკინში და როგორ განკურნა იგი საშინელი სენისაგან.

აი, რას ფიქრობდა ახალგაზრდა იაპონელი ტურისტი მაშინ, როცა ამ ამბავს ისმენდა: „მე ვიცნობ ამ უცხოელს. იაპონურ-ამერიკული წარმომავლობის მეტისია. მგონი, ჯორჯ მერი ჰქვია. იგი რეიტერის სააგენტოს ერთ ჩემ ნაცნობ კორესპონდენტთან ტრაბახობდა, ნანკინში ღვთისმოსავ როსკიპთან ღამე გავატარე და როცა ტკბილად ჩაეძინა, გამოვეპარეო. ამას წინათ ნანკინში რომ ვიყავი, ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით და კარგად დამამახსოვრდა მისი პირისახე. თავს ინგლისური გაზეთის კორესპონდენტად ასაღებდა, მაგრამ ულირსი ადამიანი იყო. შემდეგ ათაშანგი შეეყარა და ჭკუიდან შეიშალა... ეტყობა, სენი ამ ქალმა გადასდო, ამას კი ის გაიძვერა მეტისი იესო ქრისტე ჰგონია! აცუხსნა? თუ გავჩუმდე და ძველთაძველი დასავლური ლეგენდების სიმზრისეულ სამყაროში დავტოვო საუკუნოდ?..“

როცა ძინ-ხუამ ამბავი დაამთავრა, სტუმარმა, თითქოს გამოფხიზლდაო, ასანთს გაჰკრა და სურნელოვანი სიგარა გააბოლა. მერე აქაოდა, რა საოცარი ამბავიაო, ნაძალადევად ჰკითხა:

— ჰოო?.. საოცარია... მას შემდეგ აღარ ყოფილხარ ავად?

— არა, — უყოყმანოდ მიუგო ძინ-ხუამ, უშფოთველი, მშვიდი თვალები მიაპყრო და საზამთროს მარცვლების კნატუნი განაგრძო.

□

ლეონიდ ანდრეევი

გულივერის სიკვდილი

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა **ედიშერ გიორგაძემ**

დაბოლოს, არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ მძიმე ტანჯვის შემდგომ მთაკაცს (თავად გულივერი ასე განმარტავდა ლილიპუტების სიტყვას, „კუინბუს ფლესტრინ“) ერთის შხუილითა და გრიალით აღმოხდა სული. მიცვალებულის მეგობრებს, სწავლულებს, კარისკაცთ, აქიმთა და მდაბიოთ კი დიდხანს ვერ გაებედათ მიახლოვებოდნენ გვამს. ეგონათ — ჯერ კიდევ ცოცხალიაო. ხელ-ფეხის სხმარტალს, სულთმობრძაობას რომ თანა სდევს, შეეძლო დაეშავებინა, ანდა ადგილზევე მოეკლა ვინმე გათამამებული. მარტოოდენ ცნობისმოყვარეობით შეძრული უგნური ბრბო დაჟინებით მიიწევდა მიცვალებულისაკენ და გაძლიერებულ ყარაულს დიდი ჯაფა ადგა. ორი საათის განმავლობაში გვამის უმოძრაობამ დამსწრენი დაარწმუნა, რომ მათთვის საშიში არაფერი იყო. უმალ მიადგეს კიბე და სწავლული ექიმები მკერდზე აცოცდნენ გულივერს, რათა გარდაცვალების ფორმალური ქაღალდი შეედგინათ. ეს ცნობა შემდგომ გამოქვეყნდა. აი, რა უტყუარი ნიშნები დაადგინეს სწავლულებმა სიკვდილისა: ადრე გულივერის მკერდი ისე ძალუმად ადი-ჩადიოდა, რომ ბევრ ლილიპუტს ზღვის ავადმყოფობა დამართა. ახლა კი იგი ცივი იყო და უძრავი, ვითა დედაქალაქის მთავარი ტაძრის მარმარილოს ფილაქანი. ამასთან ერთად შეწყდა ის ყურისწამღები ბაგი-ბუგი და ქშუილი, თან რომ ახლდა მთაკაცის ვეება გულისცემას. სწავლულები გულისფიცარზე იმ ალაგს განლაგდნენ, სადაც მათი გვარაუდით უნდა ყოფილიყო გული მთაკაცისა, (თუ კი მას ლილიპუტთა მაგვარ არსებად მიიჩნევდნენ). და აქ, მათ არც ნიადაგის რყევა უგრძვნიათ და არც ხმაური სმენიათ რაიმე.

მთაკაცის სიკვდილის ამბავმა მთელი ლილიპუტეთი ძაძით შემოსა. მისი აურაცხავი მტრები და მოშურნენი, ქვეყნისათვის ურგებ ვირგლას რომ უწო-

დებდნენ გულივერს, მისი სიკვდილით გულმოსულნი, ახლა სხვა ჰანგზე ამღერდნენ. ახლა ყველა სიამით იხსენებდა მის ძალოვნებასა და დათმენას, და მარტოოდენ გულივერის ღირსებას მიაწერდა მტრული კუნძულის — ბლეფუსკუს ფლოტზე გამარჯვებას. ერთი მუჭა მეგობრების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ვიდრე საბოლოოდ მთელი ლილიპუტეთი არ გადაიქცა მაღალი ხმით და ალალი ცრემლით მოტირალ ახლობლად გულივერისა. გამონაკლისს წარმოადგენდა მარტოდენ მთაკაცის მოძულე გენერალ-ადმირალი სკაირიშ ბოლგალომი, ვისაც მისი სიკვდილის შემდგომაც არ განელებოდა შხამი და ითხოვდა, კი არ დაემარხათ იგი, არამედ დაეგდოთ მტაცებელ ფრინველთა საკორტნად და საბილწად. გენერალ-ადმირალის წინადადება სახელმწიფო საბჭომ აღშფოთებით უარყო, მაგრამ ეს მაინც ვერ შველოდა გაჭირვებას. ვერავის მოესაზრებინა, როგორ დაემარხათ მთაკაცი.

გენერალ-ადმირალის მოწინააღმდეგენი ირწმუნებოდნენ, თუკი გვამს დაუმარხავს დავტოვებთ, გაიხრწნება და დედაქალაქს და მთელს სამეფოს შავ ჭირს მოსდებსო. ამასთან ყველა მოკამათე შეუძლებლად თვლიდა გულივერის დაფლვას იმ მიზეზით, რომ ვერც ერთი სასაფლაო ვერ დაიტევსო. თანაც გვამის გადასატანად საჭირო გახდებოდა დაენგრიათ ლილიპუტების დიდებული დედაქალაქის ქუჩები და უბნებიც კი.

იგონებდნენ, ნებადართული გასეირნებისას როგორ თავისუფლად ალაჯებდა გულივერი ქალაქის კარიბჭეს, რომლის ღიობშიაც ძლივს ატევდა ხელს. გამოსავალი არა და არ სჩანდა. სწორედ ამ დროს გულივერის მფარველმა, საიდუმლო საქმეთა მთავარმა მდივანმა, რელდრესელმა ურჩიათ, — ორმო გაეთხარათ გვამის გვერდით და აზარმაცებით გადაეგორებინათ შიგ გულივერი. ეს აზრი ჭკუაში დაუჯდათ და ნიჩბებითა და წერაქვებით შეიარაღებული სამი ათასი ლილიპუტი იმავე ღამით შეუდგა ამ მძიმე სამუშაოს. მათემატიკოსებმა გამოთვალეს — ამდენი მუშახელი ერთ დღე-ღამეში ამოთხრიდა ამ ვეება გვამის სამყოფ საფლავს — 1724 ლილიპუტს რომ დაიტევდა.

იმავე რელდრესელის წინადადებით გადაწყდა, დამარხვის წინადღე მთაკაცის ხსოვნისათვის მიეძღვნათ. საიდუმლო საქმეთა მდივანს, ყველასაგან პატივცემულ რელდრესელს, ცილი დასწამეს ამის გამო, თითქოს მას ფარული კავშირი ჰქონოდეს მთავრობისადმი მტრულად განწყობილ ტრექსმენების (მაღალქუსლიანთა) პარტიასთან. ჩვენდა სასიხარულოდ ძალგვიძს ამ ბრალდების არიდება, რადგან თავად განვეკუთვნებით დაბალქუსლიანთა პარტიას და სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, ბატონი რელდრესელი გასახედნ ცხენებსაც კი უკბილო ნალებს აკრავდა და არას დაგიდევდათ, რომ ასე ჭენება მრუდე მოსახვევში მის ოქროფას სიცოცხლეს საფრთხეს უქადდა. რელდრესელი ამით, უბრალოდ, მიზნად ისახავდა უმეტეს განედიდებინა სახელი სამეფოისა, რომლის ერთ-ერთი ქვეშევრდომიც მთაკაცი გახლდათ. მას სურდა აგრეთვე ქვეყნისათვის აერიდებინა შფოთი და არეულება, რადგან დაუდეგარი ბრბო, გულივერს რომ აღმერთებდა უსაშველო სიმაღლის გამო, მოუთმენლობისაგან უკვე ღრიანცელობდა და ბილწ შაირებსაც გამოსთქვამდა.

ქუჩაზე დილიდანვე გამოფინეს შავი დროშები, შუადღისას კი ზარზეიმის დაწყების დათქმულ დროს, ლილიპუტთა უშქარი ბრბო დაიძრა ქალაქის კარიბჭისაკენ. ამ გზას მივყავდით გულივერის ბინაში. (როგორც ცნობილია, გულივერი ამ კარიბჭედან ნახევარი მილის მანძილზე მდებარე მიტოვებულ საყდარ-

ში ბინადრობდა). მათემატიკოსთა ანგარიშით გვამთან თავი შეიყარა 121223 კაცმა, იმ ბავშვების ჩაუთვლელად, ხელში რომ ჰყავდათ აყვანილი მდაბიო დედაკაცებს. სახოტბო სიტყვების წარმოთქმის მსურველ ორატორთა სიამ, იმავ მათემატიკოსთა გამოთვლით, 15381 სულს მიაღწია. ამან ახალი დაბრკოლება წარმოქმნა. ორატორები რომ არ გაენაწყენებინათ, თავდაპირველად არჩიეს კენჭი ეყარათ და ბედისათვის მიენდოთ არჩევანი, მაგრამ გამოჩნდნენ ურწმუნონი. ესენი ამბობდნენ, კენჭის ყრა კარგს არაფერს მოგვიტანს, ასე ხომ შესაძლოა ყრუ-მუნჯ ორატორებსაც გაუღიმოსო ბედმა (უნდა ითქვას, მსურველთა შორის ასეთებიც ერია). უმრავლესობას სამართლიანად ეჩვენებოდა ორატორთა შერჩევა სიმაღლისა და ხმის რიხის მიხედვით. გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ იმ სწავლულთა მიმართ, წელში მოხრილნი რომ იარებოდნენ დღენიადაგ. მათ სიმაღლეს ხომ იოლად ვერ დაადგენდით. თანაც ჩურჩულით ლაპარაკი სჩვეოდათ და ხმაც მიხრინწული ჰქონდათ. ასე გადაწყდა: ორატორთა ჯგროდან ამოარჩიეს ყველაზე ხმამაღლა მომყივანი 500 კაცი. დაჰყვეს ჯგუფებად და სიმაღლის მიხედვით ყველაზე აწოწილები, ასე 60 კაცი, ტრიბუნაზე მიიწვიეს. ორი უკანვე გამოაბრუნეს ვაგლახად, რადგანაც ერთს სრულებით არ გაეგებოდა საქმის ვითარება, მეორე კი მისი ამხანაგი გახლდათ. დასანანია ისიც, რომ დღის ბოლოს დაირღვა ეს ბრძნული წესრიგი. თავი წამოყვეს მთლად უცნობმა ორატორებმა, მხურვალე ქება-დიდებას რომ აღუვლენდნენ მიცვალებულს და ამბოხისაკენ მოუწოდებდნენ ისედაც ჩხუბისთავ და უსაქმურ მდაბიოთ. მაგრამ ესენი, აბა, რა სახსენებელია?!

ვინ შეაქოს ამ ზარზეიმის სიდიადე და ბრწყინვალება... ხამი, მაგრამ კაშკაშა სამოსით მორთული მდაბიონი უკან მიდევნეს. ხალხის თავებს ზემოთ უძრავ, ყინულოვან მთასავით აზიდულ გვამის ირგვლივ კი განლაგდნენ ძვირფას დარბაისლურ კოსტიუმებში გამოწყობილი ლილიპუტები. მათრახს რომ არ დაირტყამს, ისეთ მერნებს აჯირითებდნენ მხედრები, საზეიმო მარშით წინ და უკან მიმოდიოდნენ მორთულ-მოკაზმული ლილიპუტი ჯარისკაცები და გვარდია, სივრცეს ახალვათებდნენ. იქვე, გულივერის ახლობელთა შორის, ჩამდგარიყო ის ცნობილი ლილიპუტი, თავისი დიდი ტანის გამო (იგი მთელი ფრჩხილის ზომით აღემატებოდა დანარჩენ ლილიპუტებს) გულივერის მონაცვლე რომ უნდა შექმნილიყო. შურიანთა და ცნობისმოყვარეთა თვალებით დაისრული, მაღალ ქუსლებზე მოყელყელავე, ამაყად სცემდა ბოლთას გვამის ახლო-მახლო და შინაურივით მოიკალათებდა ხოლმე გულივერის ცვილისფერსა და გათოშილ ნეკზე. ეს კი იყო, იქითა მხრიდან მას ვერა ხედავდნენ. მაშინ ამ ლილიპუტმა ისარგებლა საქვეყნოდ აღიარებული ღონისა და სიმაღლის გამო მინიჭებული უფლებით, ზედ გვამზე აძვრა და უცხო მოყმესავით ჩამოჯდა მუხლზე. აქედან იგი უკვე ცხადლივ ჩნდა ყველასათვის, თვალი ვისაც უჭრიდა. ბოლო რიგებიდანაც კი ამჩნევდნენ მას. ორატორთა ტრიბუნა ზედ მთა-კაცის მკერდზე მოაწყეს, შტო-ფოთლებითა და დროშებით რთავდნენ, მიცვალებულის სახელდახელოდ გამოძერწილი ძეგლი წამოჭიმეს. ხელმარჯვე მოქანდაკემ გულივერის სახის ნაკვთებს იმგვარი ძალა და კეთილშობილება მიანიჭა, რომ ვინც ძეგლი ახლოდან იხილა, ირწმუნებოდა, გულივერი სიცოცხლეშიც ვერ იყო ასეთიო. საქმე იქამდე მივიდა, ერთმანეთს უჩურჩულებდნენ, პირმოთნეობას აქვს ადგილიო. ტრიბუნიდან მარჯვნივ, გულივერის მუცელზე განლაგებული იყო ადგილები საპატიო სტუმრებისათვის, რჩეულთათვის დამახასიათებელი ზიზღით რომ დასჩერებოდნენ მოლაყბე მდა-

ბიორთ. ეს ბრბო კი თავის მხრივ ხარბად და აღფრთოვანებით შესცქეროდა მათ ძვირფას, ყველასათვის ნაცნობ სახეებს. გულივერს მესაფლავეების ბრბოსგან მიჯნავდა სახელდახელოდ შეჭედილი მესერი. ქვაზე დაკრული რკინის ჟღარუნი და მიწის ფშხვრიალი სიჩუმის იშვიათ წუთებში თუ შეგვახსენებდა მათი იდუმალი და სამძიმო საქმის ამბავს. ტრიბუნების სიმაღლიდან კი კარგად მოჩანდა ღრმა ორმო და დღესასწაულის დაწყების მოლოდინში საპატიო სტუმრები გულისყურით აკვირდებოდნენ მუშაობას, ღრმააზროვან შენიშვნებს უზიარებდნენ ერთურთს, აქებდნენ და ადიდებდნენ ლორდ რელდრესელის სახელმწიფოებრივ გენიას.

და ბოლოს ცერემონმეისტერმა ნიშანი მისცა და დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა.

ტრიბუნა თავდაპირველად სწავლულებს დაუთმეს. ისინი ყველანი ერთად აჯგორდნენ ზედ და ერთდროულად ალაპარაკდნენ, ყველა მათგანი ერთსა და იმავეს ამბობდა, თანაც ჩურჩულით, და ამის გამო არავის ესმოდა მათი ნაუბარი. თუმცაღა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ეს სიტყვები მათ შინ რომ დაემუშავებინათ, უნდა გამოქვეყნებულიყო ლილიპუტების მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ ცნობარში.

იქ მათ გაეცნობოდა სამეცნიერო კორპორაციის ყველა დანარჩენი წევრი. ვიდრე სწავლულები სიტყვებს წარმოთქვამდნენ, დიდგვაროვანთა და მდაბიოთაც დრო იშოვეს და წაიხემსეს. ძალზე გვიანი იყო და ყველა გადაღალა ხანგრძლივმა მოლოდინმა. ცერემონმეისტერის მითითებით საუზმის დროს დიდბატონებისათვის უკრავდა ორკესტრი. მეტად სევდიან ჰანგებს ასრულებდნენ ამ გლოვის დღეს.

სწავლულთა სიტყვების შინაარსი, როგორც ყოველწლიურიდან ჩანს, ძირითადად ასეთი იყო. მთაკაცი გამორჩეული ყოფილა თავისი ზორბა ტანითა და მესაფერისი ღონითაც. აქ მეცნიერები წარმოადგენდნენ გულივერის სიმაღლის, მისი სხეულის მოცულობისა და ნავარაუდევი წონის უზუსტეს ცხრილებსა და გამოთვლებს. მიზეზი ასეთი დიდი სიმაღლისა შეუცნობი იყო და ასეთად დარჩებოდა კიდეც. ამგვარადვე შეუცნობი რჩებოდა, თუ რაისათვის წარმოექმნა ბუნებას ესოდენ სასწაულებრივი ფენომენი. რაც შეეხება ძალას, ამ საკითხში რამდენადმე განსხვავდებოდა მეცნიერთა მოსაზრებანი. ერთნი ასე თვლიდნენ, ძალა რაღა გამართლებას საჭიროებსო, სხვანი კი ამბობდნენ: ძალა იმიტომ მოუცია ღმერთს, რომ აშენო, ქვა და ლოდი გადაზიდო; ერთი სიტყვით, აკეთო ის, რაც გულივერს ჰქონდა დაკისრებული. საბოლოოდ ყველანი იმ აზრისა გახლდათ, რომ ძალაც შეუცნობი იყო და როგორც ასეთი, მტრული და მავნეც კაცობრიობისათვის. მეცნიერებას, მისი საუკეთესო წარმომადგენელთა სახით უბრალოდ არა სწამდა გულივერი და ფრიად აეჭვებდა თვით მისი არსებობაც, მეცნიერთა საერთო დასკვნით გულივერი სხვა არაფერი იყო, თუ არა მითი, ლეგენდა, შექმნილი მდაბიოთა მიერ, უჩვეულოსა და დიდებულისადმი მათი მიდრეკილების გამო. გულივერი არსებულია, ვინც პირუკუს ამტკიცებს, ერთმევა წოდება მეცნიერისა, სამუდამოდ გაირიცხება აკადემიიდან და მას გამოაჭენებს „ყოველწლიური“.

სიტყვების დამთავრების შემდგომ მეცნიერნი ერთ ჯოგად ჩამოხვავდნენ გულივერის გვამიდან. ძირს კი, ზედ მიწაზე კორპორაციის ორი მხცოვანი წარმომადგენელი შებმოდა უკვე ერთურთს. როგორც შემდგომში გამოირკვა, უთან-

ხმოება მოსვლოდათ იმ საკითხში, მითმა შობა გულივერი, თუ ლეგენდამო. სხვა დანარჩენი მეცნიერნი ამ დროს ჩიოდნენ, მართალია ჩათბილული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გვმოსავს, მაგრამ გაციებისა გვეშინია, გვამი ისეთ აუტანელ ყინვას განავრცობს, რასაც ძალუძს არამცთუ შეამცივნოს, არამედ გათოშოსო კიდეც თუნდაც ყველაზე ფიცხელი ორატორი. ტრიბუნის გვამზე მოწყობას ისინი სთვლიდნენ მკრეხელობად მეცნიერების წინაშე. ბრიყვი და გონებაჩლუნგი ბრბო ვითარ ირწმუნებდა აბა მათ მტკიცებას გულივერის მითიურობაზე, როცა ყველას თვალწინ ასე წინდაუხედავად გაეშოტათ ამხელა გვამი. ასე იყო თუ ისე, მეცნიერები მყის მიყუჩდნენ, როცა ცერემონმეისტერმა ნიშანი მოსცა. ის ორნი, ჯერ კიდევ რომ განაგრძობდნენ ჩხუბს, ერთად შესვეს ბნელ, უფანჯრო კარეტაში და აკადემიისაკენ უქნეს პირი.

ახლა ჯერი გულივერის მრავალრიცხოვან მეგობრებზე მიდგა, რომლებმაც ერთი ვაი-ვიშით წართქვეს მოგონებები აწ განსვენებულ გოლიათზე. პირველი ორატორი, ვისი სახელი სამწუხაროდ ვერ შევიტყვეთ, აღმოჩნდა უგულითადესი მეგობარი მთაკაცისა. მას თავადაც ვაჟკაცური ხმა ჰქონდა და ღირსეული გარეგნობაც. გრძნობისაგან ათრთოლებული ხმით დაწვრილებით ყვებოდა, როგორ ჩარჩა იგი ერთხელ გულივერს ჯიბეში, სადაც ორი დღე-ღამე გაატარა. გასაოცარი მჭევრმეტყველებით უხატავდა სუნთქვაშეკრულ მსმენელებს, რარიგ იტანჯვოდა მშიერ-მწყურვალი ბნელში. დაბოლოს ისიცა სთქვა, რარიგ გაიხარა გულივერმა, როდესაც მესამე დღეს სათუთუნესათვის ჩაიყო ჯიბეში ხელი და თავისი საუკეთესო მეგობარი კი ამოაძვრინა. ორატორი მორიდებით აღიარებდა, ჩემს რჩევებსა და ფხიზელ თვალს უნდა უმადლოდესო გულივერი თავის სულის ყოველგვარ სიკეთესა და ძალოვანების ზრდა-მატებას.

გულივერის უახლოესი მეგობარი აღმოჩნდა აგრეთვე მეორე ორატორი, ვისაც არაჩვეულებრივად დათაფლული ხმა ჰქონდა. როგორც მიცვალებულის პატივისმცემელსა და მოყვარულს, მას ხომ მიკერძოება არ შვენოდა და ამიტომაც მოვალედ მიიჩნია თავი, არ მიეჩქმალა მისი ხასიათის ზოგიერთი ნაკლოვანება. ორატორმა აღიარა, რომ გულივერი ხარბი იყო, ანგარებიანი, ღჯუ და მიდრეკილი პატივისა და დიდებისაკენ. ამიტომაც მეგობრად მხოლოდ სახელოვანთ ირჩევდა, ვისი ნათლის შუქი თავად მასაც მისწვდებოდა. ერთი ბეწვა გულივერი ხელოვნურად ადიდებდა თავის ზომას, ფეხსაცმელებს სქელ ლანჩებს აკრავდაო. სწორედ სიკვდილის წინ განუზრახავს მას უდიდესი ღალატი თვისი შემფარველი ლილიპუტების ქვეყნისადმი. თვალცრემლიანს გაუნდვია თურმე ეს განზრახვა გულის მესაიდუმლესათვის. მხოლოდ თქვენი მონა-მორჩილის სასიკეთო გავლენას უნდა უმადლოდეს ხალხი, რომ გულივერმა თავისი ბრახუნა ჩექმებით იგი არ გადათელა, გულისტკივილით აღნიშნავდა ორატორი. ენა ვერ აღწერსო იმ შესაბრალის შურიანობასა და მძულვარე მტრობას, რაიც გააჩნდა ნალდი მეგობრების მიმართ გულივერს, ვინაც მარტოდენ ლიქვნას იტანდაო.

აქ ორატორს სამწუხაროდ მღელვარებისაგან რაღაც უცნაური გულყრა დაემართა, ტუჩები მოედუჟა, ხოლო წყობილსიტყვაობა შესცვალა გაურკვეველმა ხავილმა.

მაშინ ცერემონმეისტერმა მოსცა ნიშანი და ორატორმაც შვება იგრძნო. იგი ტაშის გრიალში საზეიმოდ ჩამოხდა ძირს. ყველაზე დიდი ოვაციები დაიმსახურა მესამე ორატორმა (ესეც უპირველესი მეგობარი გახლდათ გულივერის), თავისი თილისმური სიტყვებით რომ შესძლო მხურვალე პატრიოტიზმი აღენთო

ლილიპუტებში. რა იქნებოდა გულივერი, ის ათასობით ცხვარი რომ არა, რასაც ყოველწლიურად ნთქავდა მთაკაცი?! ცხვრები, დიახაც ჩვენი, ლილიპუტთა ცხვრები შეირგო გულივერმა სისხლხორცად, ტვინად, ეს მათ განადიდეს და სახელოვანი გახადესო იგი, გაიძახოდა ორატორი. ვინ დაჯაბნა მტრული კუნძული ბლეფუსკუ? განა მთაკაცმა? არა და არა. კუნძული ბლეფუსკუ სწორედაც ჩვენმა ცხვრებმა გაასწორეს მიწასთან. გულივერიც სხვა არაფერია, თუ არა გუნდი და გუნდი ჩვენი ცხვრებისაო.

აქ ორატორმა გულისამაჩუყებლად და ცოცხლად დახატა ლილიპუტთა ცხვრის თვისებანი, თვინიერის, მორჩილის, მთელი თავისი სიცოცხლე რომ მზად იყო ზვარაკად დასდებოდა სახელმწიფოს უზენაეს უფლებას. ორატორმა ისეთი მგზნებარებით დაამღერა ლილიპუტური ცხვრისადმი სახელდახელოდ შეთხზული ოდა, რომ კინაღამ ყელი ჩაიწყვიტა.

მსმენელთა აღტყინება უკვე საზღვარს სცდებოდა, მაგრამ ცერემონმეისტერმა ნიშანი მოსცა და სიმღერა მყის შეწყდა. საქმე იმაში იყო, ყოველგვარი სიმღერა, თუნდაც პატრიოტული, ზოგ შემთხვევაში საფრთხილოდ ითვლებოდა, რადგან ბრბო, რაკი ძნელად გაეგებოდა მაღალშობილთა ენა, წამსვე აიტაცებდა ხოლმე ჰანგს, ოღონდაც შიგ უსათუოდ ურთავდა სრულიად სხვაგვარ, არაკეთილსასურველ სიტყვებს. ამასთან უნდა ითქვას, რომ მომდევნო ორატორთა საყურადღებოდ ცერემონმეისტერმა მიუთითა იმ პუნქტებზე, რასაც სიტყვით გამოსულნი არ უნდა შეხებოდნენ. იკრძალებოდა ლაპარაკი სამონეტო სისტემაზე, საჭირო არ იყო განსჯა ლილიპუტეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე არხის საკითხისა. არ უნდა გეხსენებინათ გენერალ-ადმირალის ფერიმჭამელებით სავსე ცხვირი (ქუჩის ლაზღანდარების სამასხროდ ქცეული), დავიწყებას უნდა მისცემოდა ის უწესო ხერხი, რითაც გულივერმა ხანძარი ჩააქრო და ა. შ. აკრძალული პუნქტების ჩამოთვლამ ასე ერთ საათს გასტანა. მყის დრო იხელთა ლილიპუტების მხედრიონმა და საზეიმო მარშით სამგზის გაინავარდა გვამის წინ.

ახალი ორატორი, სამწუხაროდ, ღვარძლიანი კაცი აღმოჩნდა და უხამსიც, რაც იშვიათობაა ლილიპუტთა შორის. გამხიარულებულ მდაბიოთა სასეიროდ მან ამხილა პირველი სამი გამომსვლელი. რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი, როცა ეგენი არც კი იცნობდნენო გულივერს. ის, ვინაც მთაკაცის ჯიბეში ორი დღეღამე იყურყუტა, იქ ჩარჩენილა გულივერის გაჩხრეკის დროს და გულივერმა კი არ გაიხარა, როცა ის ჯიბეში აღმოაჩინა, არამედ ყოფა უტირა და თავს ლაფი დაასხა თურმე. თავად ორატორს სრულიადაც არ სურს ითვლებოდეს მთაკაცის მეგობრად. უმალ ყალბ ფულს მოჭრის, ვიდრე...

ამ გამომსვლელს ალბათ მაგრად მიბეგვავდნენ სამართლიანად აღშფოთებული დამსწრენი, ერთ სასაცილო და თანაც სავალალო შემთხვევას რომ არ შეეწყვიტა მისი სიტყვა. მოხდა ისე, გულივერის მონაცვლედ მონათლული ზორბა ლილიპუტი, კვლავინდებურად რომ განაგრძობდა გულივერის მუხლისთავზე ჯდომას და გარდანქეშანივით რომ იჭიმებოდა, რაღაცას წამოედო მაღალი ქუსლით და თავდაყირა გადმოეშვა ძირს. საზარი სიკვდილისაგან მხოლოდ იმ ამბავმა იხსნა, რომ ზედ დაეცა ერთ აზვინულსა და უკიდეგანოდ ფაშფაშა ქალბატონს. მდაბიოთა ველურმა ხორხოცმა და სტვენამ და ამ ქალბატონის კივილმა ერთი წამით დაარღვია ზეიმის დარბაისლური იერი. მაგრამ ცერემონმეისტერმა ნიშანი

მოსცა, ხმაური მყის შეწყდა და მოცარიელებულ ტრიბუნას ახალმა ორატორებმა მიაშურეს.

გვიჭირს გადმოვცეთ ყველა სიტყვების შინაარსი, რადგან ხმა ძლივს აღწევდა ქვემოთ გვამის სიმაღლის გამო. ეს კია, ზარზეიმის დამსწრენი ერთსულოვნად აღიარებენ, ჯერ არ გვიხილავს ასეთი აღზევება გრძნობებისა, არ მოვსწრებივართო სიტყვის ასეთ სილამაზეს, ბრწყინვალებას და გამოთქმის ძალს. მსმენელთაგან ბევრს ცრემლები სდიოდა მღელვარებისაგან. ჯიბგირები, ცხვირსახოცებს რომ აცოცებდნენ, ერთმანეთს შესჩიოდნენ, ისე გალუმპულია და დაბინძურებული ეს ცხვირსახოცები, ცხვირის მოხოცვას ვიღა ჩივის, ჭირი არ გავრცელდესო.

ყველაზე საზეიმო და გულისამაჩუყებელი წუთი მაინც ის იყო, როცა გვამზე ორკესტრი აღვიდა და მრავალხმიანმა გუნდმა, ბრბო რომ არ გაელიზიანებინა, მოგუდულად შეასრულა დიდებული კანტატა, ცნობილმა ლაურეატმა კომპოზიტორმა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის რომ დაწერა. შემსრულებელთა მიერ შელბილებულმა ზარიანმა ბგერებმა მეხსიერებაში განაცოცხლეს მთაკაცის ზვიადი სახე.

გრძნობები უფრო და უფრო ანაღვერდალდა, და უეცრივ ახალმა სამწუხარო შემთხვევამ კვლავ შესწყვიტა მუსიკობა და სიმღერა. ყველამ ძალაუნებურად ბრბოს უკანა რიგებს გახედა. ხალხის შუაგულიდან რაღაც უჩვეულო და ჯერარსმენილი ხმა ისმოდა. როგორც ჩანდა, იქ მყოფნი ბაიბურშიც არ იყვნენ, ამ მხარეს მუსიკა რომ გრიალებდა. შიკრიკებმა ამბავი მოუტანეს ცერემონმეისტერს, ვიღაც მდაბიოს ბავშვი ატირებულა, მთაკაცი თურმე ძალზე შესცოდებიაო. ვიდრე ცერემონმეისტერი რამეს გაახერხებდა, ერთი ბავშვის ტირილს, როგორც ეს პატარებს სჩვევიათ, სხვებიც აჰყვნენ გულისწამღები ქვითინით. რა არ იღონეს გამრიგეთ და ბავშვების დედებმა და მამებმა, ტყეპავდნენ და თავში უჩაჩქუნებდნენ პირმშოთ, მაგრამ ვერას გახდნენ. ბავშვები სულ უფრო და უფრო მაღალ ხმაზე გაჰკიოდნენ. ეს უკვე პატივსა ჰყრიდა მაღალ, ცივსა და ქუროსხ გვამს. შედარებით მხოლოდ მაშინ მიწყნარდა იქაურობა, როცა ყველა ბავშვი გარეკეს. მათი დედ-მამა და შორეული ნათესავებიც ზედ მიაყოლეს. მაგრამ ერთხელ დარღვეული სანაქებო წესრიგი ვერ იქნა და ვერ აღსდგა და ტრიბუნაზე თავხედურად ააბოტეს ყველასთვის უცნობმა, აბრანძულმა ორატორებმა. ამათ მთაკაცი აღარც ახსოვდათ, თავიანთ ჭიას ახარებდნენ. ვიღაცეები ჩხუბობდნენ. ზოგი დამსწრე მოწმობს, დაგვიანებულ მეცნიერებსა ჟვეპავდნენო. სხვანი იფიცებიან, გულივერის მეგობრებს უსწორებდნენო ანგარიშს. მესამენი გვაჯერებენ, თვითონ ორატორებსა სცემდნენო.

არავინ უწყის რით დამთავრდა ზეიმი, ამის თაობაზე დუმს ეს მხარედუმს მიწა-წყალი, ვერც ქრონიკებში მოიძიებთ რაიმეს. უნდა ვივარაუდოთ ოღონდაც, რომ ცერემონმეისტერის ნიშნის გამო კვალად აღდგენილ იქნა წესრიგი, რადგან არცერთ იმდროინდელ ისტორიულ თხზულებაში მინიშნებაც კი არაა რაიმე შფოთსა და არეულობაზე. პირიქით, ზეიმის სახსოვრად ჩამოსხმულ ბრინჯაოს მედლებზე გამოსახული იყო ლილიპუტები, დაფნის გვირგვინს რომ ადგამდნენ თავზე მორიდალად მომღიმარ მთაკაცს. ეს კი ცხადლივ მეტყველებს მოქმედ პირთა სვეკეთილობასა და შესანიშნავ გუნებაგანწყობაზე.

მაგრამ მოვიდა ღამე და ღამესთან ერთად გაუკაცურებულ ველზე, სად სამარხის მოლოდინში ესვენა უზარმაზარი, ქურუხი და ზვიადი გვამი, ჩამოწვა

ფიქრი და მჭმუნავი სიჩუმე. ქალაქის თავზე ჯერ კიდევ ენთო ჩირაღდნების დაფიონი. იქ კვლავ გრძელდებოდა მთავრობის საბატივსაცემო თავყრილობები. ქარს მოჰქონდა გაურკვეველი და თანაბარი ბუბუნი ხმებისა. აქ კი ბნელოდა, სიჩუმე იდგა და როცა ღრუბლებიდან დალეული მთვარე გამოცურდა, უზარმაზარი გვამი მკრთალი სინათლით შეიფერა, თოვლიან მწვერვალთა ჯაჭვს ემგვანა. ერთ მხარეს გართხმულ უშველებელ შავ ჩრდილში რაღაც სუსტი ნაპერწკლები კრთოდა. ეს 3000 ლილიპუტი ამთავრებდა გოლიათის საფლავს. ძლივსგასაგონად ჟღარუნობდა სილასა და მიწაზე ნიჩბების პირი. ცისფრად კვესავდა ქვაზე ასხლეტილი წერაქვი. კვარების შუქით ალაგ-ალაგ შუქფენილი ჯუჯა არსებათა მღვრიე მასა ფუთფუთებდა შავი ნაპრალის პირას. ფსკერიდან ძლივს მოისმოდაო სისინით წარმოთქმული მოკლე ბრძანებები და უხილავი შიში დასტრიალებდა თავს მოჩქარე მესაფლავეებს.

გვამის გადალმა მხრით, მთვარით განათებულ სივრცეზე ბუნდოვნად დალაციცობდნენ ამ ნეშტივით თითქმისდა უძრავი, ოღონდაც ცოცხალი ლანდები. ესენი იყვნენ ღრმა მდუმარებაში მლოცველი, მუხლმოყრილი ლილიპუტები, ვინც ზიზღისა და სევდის გამო გაეხიზნა იმ ღამით ხმაურიანსა და ღრიანცელა ქალაქს. ეს მიმქრალი ლანდები ხან დაგრძელდებოდნენ, ხან დამოკლდებოდნენ, მაგრამ ერთი იოტის ოდენადაც კი არ არღვევდნენ ამ დიადი ღამის ფაქიზ სიმყუდროვეს, უკანასკნელი ღამისა, გულივერს დედამიწაზე რომ უნდა დაეყო. ზე ადიოდა და უფრო და უფრო ნათობდა მთვარე.

გადაწმენდილი ციდან ჰორიზონტისაკენ ეშვებოდნენ ბურუსიანი ღრუბლები და შეუცნობელი იდუმალების რისხვიანი სიმშვიდე მოიკმეოდა გვამიდან. ყავლი გასდიოდა ღამეს.

მაგრამ მოიძებნა ქალაქში რიდიანი და სათნო ლილიპუტები, ვინც არ გამოეფინენ არც ქუჩაში, არც ხმაურიან მოედნებზე, არცა გაბრდღვიალებულ დარბაზებში. ისინი ისხდნენ თავიანთ სათამაშო სახლების მსგავს ბინებში და შიშით აყურადებდნენ ირგვლივ დავანებულ სიჩუმეს. სამარადისოდ წარვიდა უზარმაზარი გული ადამიანისა, ვინაც მაღლა იდგა მთელს დუნიაზე და თავისი ხმიანობით აღავსებდა ლილიპუტთა ქვეყნის მთელ დღეებსა და ბნელსა ღამეთ.

ასეც ხდებოდა, გაიღვიძებდა ღამით ავბედითი სიზმრით დაშფრული ლილიპუტი, მაგრამ მოესმოდა ჩვეული, მტკიცე, მწყობრი, ძალუმი ცემა, მოეფონებოდა გულსა და კვლავ ძილს მისცემდა თავს. ერთგული მცველივით დარაჯობდა მას ეს კეთილშობილი გული და თავისი ძგერით სიკეთეს განავრცობდა მიწის პირზე და განფანტვიდა საზარ სიზმრებს, ასე უხვად რომ ჰსევია ლილიპუტთა ქვეყნის კუნაპეტ ღამეებს.

და წარვიდა ამა ქვეყნიდან დიდი ადამიანური გული. ჩამოდგა სიჩუმე და დაშაფრული აყურადებდა მას და მწარედ ტიროდა დაობლებული, უპატრონოდ მთენილი ლილიპუტი.

□

დედა დედისპე...

ლექსები

თარგმნა მორის ფიცხიშვილმა

როდესაც წავალ...

ნიკოლოზ ტიხონოვი
რუსეთი

როდესაც წავალ... მთლად მოიხრება...
და ჩემზე უბრად ნათქვამ იგავებს
ვერას გაუგებს...
სხვათა სიმღერით
დედა დარდს ალბათ ვერ გაიქარვებს.

ხელი უთრთის და... ალბათ ბუნებაც
ჩვეულ სიხარულს აღარ ანიჭებს...
ის, ვინც მიდის და შინ არ ბრუნდება,
მის წინ ადგამდა პირველ ნაბიჯებს.

დედა

იულიან ტუვიმი
პოლონეთი

1

ლოძის ებრაულ სასაფლაოზე
ჩემი ებრაელი დედის
პოლონური სამარეა.
არყის ხეს გუშაგივით
ტოტები გაუშლია, —
პვირფასი ნეშტი აბარია.

ჩემი ებრაელი პოლონელის,
ჩემი საყვარელი დედის
თბილ ფერფლს
თავი ერთად მოვუყარე,
ოტვოცკიდან პეშვით მოვზიდე
და ლოძის ებრაულ მიწაზე
მოვაბნიე...

როცა შემოდგომის ქარი
დაუბერავს
და როცა სითბოს სუსხი
ერკინება,
დედაჩემს გულზე არყის ფოთლები
ოქროსფერ მედლებად ეფინება.

იგი არიული რიხით დახვრიტეს,
ჩემზე ფიქრობდა.
დედისეული სევდა დახვრიტეს,
ჩემზე ფიქრობდა.
შუბლი გაუპეს, ჩემზე ფიქრობდა,
ტკივილს შუქივით
გულში იქრობდა...
იგი არიული რიხით დახვრიტეს.

ბაგეთა ჩემთა
ორად ორი სათქმელი ბგერა,
ო, საალერსოდ სათქმელი ბგერა
დახვრიტეს იმ დღეს
და ჩაიარეს...
ასე უბრალოდ, სულ უმიზეზოდ
თელავდა ჟამი ჩვენს იდეალებს.

დაიმახსოვრე, გოგონავ ჩემო,
სხვებსაც გადაეც,
რასაც გაბარებ,
დიდების ველზე დაცემულ დედას
მაინც მიწაში,
მშობელ მიწაში
უნდა გაეჭრას ქვეყნად სამარე!

მე დედას ლოცვა ვუძღვენი ბოლოს

„დიდი ანდერძიდან“

ფრანსუა ვიიონი
საფრანგეთი

მე დედას ლოცვა ვუძღვენი ბოლოს,
ღმერთი შემინდობს,
უკეთ თუ ვერ ვთქვი,
ო, უწყის, უწყის უფალმა მხოლოდ,
რაც აიტანა ამ ქალმა ჩემთვის...

ვიდრე ის ცოცხლობს, არა მაქვს შიში,
როგორც კი ვუხმობ,
ჩემს გვერდით ჩნდება,
მჯერა, დამიცავს ჭირსა და ლხინში
დედა საბრალო, მოხუცი დედა!

. . .

ტარას შევჩენკო
უკრაინა

ვერ შეედრება ვერავინ ქვეყნად
გზნებით, სინაზით, ეშხით,
დედას, რომელიც შენს თვალწინ ჩნდება
პატარა ბავშვით ხელში.

ბედნიერი ვარ, როდესაც ვხედავ,
მისი სილაღით ვტკბები,
მაგრამ ხანდახან შემიპყრობს სევდა,
მომელრუბლება გზები...

იკივლებს შიში წუთის თუ წამის
და შიში ქრება ისევ,
რადგან ამქვეყნად სიცოცხლის ყვავილს
დედა თავს ადგას მზისებრ.

„ჩემი შვილია!“ — ამაყობს ერთობ,
ნებივრად დადის ხალხში...
ო, ისე დადის, თითქოს და, ღმერთო,
სხვას არ ჰყოლია ბავშვი.

დადის ღიმილით, ოცნებით, თრთოლვით,
როგორც ღვთიური მადლი,
დედოფალია დედოფლებს შორის,
ისე ლამაზად დადის.

ბედნიერია! ივლის, ო, ივლის,
აქვს სუყველაფრის ნება,
ჰგონია, მისი ყმაწვილის ხილვით
მთელი სოფელი ტკბება.

ჰგონია, მთელი საწუთრო ახლა
მხოლოდ მის პირმშოს ხედავს...
ყველაფერზე და ყველაზე მაღლა
დგას ბედნიერი დედა!

* * *

ასიდა ტაკაკო
იაპონია

ვგრძნობ, ჩემს სახეზე
თითქმის ყველა ნაოჭი ქრება,
როდესაც ვისმენ
დედა-შვილის
იდუმალ ჩურჩულს.

შეხვედრა

ლაიოშ აარილი
უნგრეთი

როცა ძალიან გაგიჭირდება,
ინატრე დედა...
უთუოდ მოვა, ნურაფერი გაგიკვირდება,
ხელს შეგახებს და დამშვიდდები...
ასეც იქნება.
ინატრე დედა,
როცა მართლაც გაგიჭირდება!

დედა აღვიძებს დილას

იურას სვირკა
ბელორუსია

ცისკრის მკლავებზე
მძინარე დილა
დედასთან ერთად
იღვიძებს ტკბილად.
კარის ჭრიალზე
თვალს ახელს უცებ
და ციდან სახლში
შემოდის თბილად, —
დედის ფეხის ხმით
იღვიძებს დილა.

ჭაში ჩაუშვებს
დაბორკილ ვედროს,
მძინარე ვედროს
ჩაუშვებს ჭაში,
ჭაში პირს იბანს
მძინარე ვედრო,
ვედრო კი არა,
ცოცხალი ბავშვი.

დაპობილ ჯირკებს,
პირღია მორებს,
ცივი ღუმელი
დილიდან ითხოვს, —
დედა ოთახში შემოდის მზისებრ
და ღიმილივით შემოაქვს სითბო...
მკლავებზე შეშა
უწყვია ისე,
მძინარე ბავშვი მოჰყავდეს თითქოს.

თითის წვერებზე
შეხტება ცეცხლი
და რაღაც უცხო იდუმალებით
იღვიძებს შეშა
და თვალებს იფშვნეტს,
თითქოს და კვამლით
ეწვის თვალები.

ნაპერწკლებს ისვრის
ღუმელი რისხვით,
ვის ესალმება მზე ასე თბილად?

ვიღვიძებ მე და
მიცინის დედა,
დედასთან ერთად
იღვიძებს დილა!

უშვილო ქალი

გვენდოლინ გრუკსი
ამერიკა

სათამაშოებს ყიდულობდა უშვილო ქალი,
იყო საოცრად ხელმომჭირნე,
ო, მაგრამ მაინც
ძვირფას თოჯინებს ყიდულობდა
უშვილო ქალი,
დიშვილებისთვის ყიდულობდა ძვირფას თოჯინებს.

ქუდს იხურავდა,
იცინოდა ამვლელ-ჩამვლელი,
თმის ეარცხნილობით აოცებდა ყველას ერთიან
თმაში სავარცხელს გაიყრიდა,
კაცი იტყოდა, —
სარკეში ჯერ არ ჩაუხედია.

კალტებს უვლიდა, აპურებდა ბელურებს ბაღში,
ღვეზელს აცხობდა,
ფუსფუსებდა მთელი დღე სახლში,
დიშვილებისთვის ფუსფუსებდა უშვილო ქალი.

დები კი, თუმცა არ იხვევდნენ თმას არასოდეს
და არც სარკის წინ კოხტაობდნენ
ჭრელი ქოლგებით,
ბავშვებს უვლიდნენ, როგორც მშობლები.

წამლებს ასმევდნენ, ჭუჭყს აცლიდნენ,
წინდებს უქსოვდნენ,
უუთოვებდნენ, უმზადებდნენ საუზმეს, სადილს,
აჭმევდნენ ხვეწნით,
აძინებდნენ დაღლილებს ძალით...
ის კი ყოველდღე ყიდულობდა სათამაშოებს,
ძვირფას თოჯინებს ყიდულობდა უშვილო ქალი.

ჩვილი

ადრიან როლანდ ხოლსტი
ჰოლანდია

ბავშვს საქანელას ამაყად ურწევს...
თუ რამ შესცოდა, დავიწყებას
ეძლევა უკვე...
ღამდება... ალბათ ეძინება
პატარა იმედს...
არ ეძინება ტიკტიკა საათს,
საათი ისევ ტიკტიკებს მძიმედ.

მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, —
დედაა უკვე.
დედას კი...
დედას ყველაფერი
ეპატიება...

მთვარე სარკმელზე ჩამოჯდება
ანგელოსივით,
არ მოსცილდება დედა-შვილს დიდხანს,
იქნება ზეცა თეთრად მოსილი...
თეთრი აკვანი თეთრი მთვარით
დაიფიფქება...
და ყველაფერი კარგად იქნება!

თეთრი მწვერვალი

ნაბი ჰაზრი
აზერბაიჯანი

გვირგვინდადგმული
თეთრი მწვერვალი —
დედაჩემი.
წელთა მრავალთა
თანატოლი,
თანამზრახველი —
დედაჩემი.
დალლილი მზე და
დაქანცული
თბილი მდინარე,
სიბერის ტბას რომ
უერთდება —
დედაჩემი!

ლექსი განშორებისა

როგერტო ოგრეგორ
მორალესი
გვატემალა

წვიმა წყდება და გუბეში ჩნდება
მთვარის თითები თოვლივით თეთრი,
ვიწრო თხრილებში ნაწვიმარს ერთვის
ხეთა ჩრდილების სოველი სევდა.
ქარს გაჰყოლია ღრუბელი შავი,
თეთრი სიგრილე იღვრება ციდან,
ვარსკვლავთა ზღვაზე მისცურავს მშვიდად
ვულკანი, როგორც ზღაპრული ნავი.
მისცურავს, როგორც ოცნება ტკბილი,
ჩრდილებად ტოვებს, ტრამალებს, ხრამებს,
ქუჩებს, მოედნებს, წუთებს და წამებს...
ტახტზე გვირგვინქვეშ ნებივრობს ძილი.
მაგრამ ამ სახლში, ამ სახლში ღამის
მწუხრი გამეფდეს დარდივით ცხადი,
ძველ ონკანს ისევ ცრემლებად დასდის
წვეთები წყლის და წვეთები ღამის....
და ისევ წვიმა... და ისევ იჭვი...
დედა... ლოდინი... შარაგზა... ბიჭი...

ალჟირის მწუხრიდან

ბაშირ ჰაჯ ალი
ალჟირი

... ღამე.
... ღამურას ფრთებივით ჭერი.
ციხის კედლების ხორხოცი ცივი.
დუმილი. თრთოლა. დუმილთან ბრძოლა.
ჩამქრალი ჭრაქი. დამდნარი ცვილი.
... ღამე — სიკვდილის განაჩენი.
... შავი კრუალა.
შავი ლოდინი შავ წუთებს ერთვის...
მესიზმრე მაინც, დედაჩემო,
იცი თუ არა,
უკანასკნელად თენდება ჩემთვის.

□

ჯონ სტაინბეკი

დათვი ჯონი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა შურლან გემაზაშვილმა

სოფელი ლომა[1] (ამაზე მისი სახელიც მეტყველებს), შუაგულ კალიფორნიაში, სალინას ველზე, ერთ კუნძულივით ამოზიდულ ბორცვზეა გაშენებული. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, ასე — რამდენიმე მილის მანძილზე, ამ სოფელს გაუვალი ჭაობი ეკრა. სამხრეთით კი ეს ჭაობი უკვე ამოეშროთ და ამ კუთხის მოსახლეობას ნაჭაობარ მიწაზე მშვენიერი ბოსტნები ეთესა. აქაური შავ-მიწა ნიადაგი ისეთი ნოყიერი გამოდგა, რომ საუცხოო კალნაბი და სალათა მოჰყავდათ.

ჰოდა, სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ჭაობის მფლობელებსაც მოუვიდათ თვალში შავნიადაგიანი სახნავ-სათესი. გაერთიანდნენ და სამელიორაციო უბანი ჩამოაყალიბეს. ხელშეკრულება ჭაობში არხის გაყვანის თაობაზე იმ ამხანაგობასთან დასდეს, სადაც მე ვმსახურობდი იმხანად. ლომაში ბულდოზერი ჩამოიტანეს, ააწყვეს და პირდაპირ ჭაობშივე, მუხლამდე წყალში შეუდგნენ არხის გაყვანას.

თავდაპირველად ბრიგადასთან ერთად წყალში მოტივტივე ბორანზე დადგმულ სახლში ვცადე ცხოვრება. მაგრამ ბორნის კედლებზე ჯგროდ შესეულმა მოსკიტებმა და მყრალმა ნისლმა, ყოველ ღამეს ქურდულად რომ გამოცოცდებოდა ხოლმე ჭაობიდან და მიწას გაერთხმოდა, ისე შემაწუხა, რომ ავიკარი გუდა-ნაბადი და სოფელში გადავბარგდი. ერთი, ავეჯით გაწყობილი ოთახი ვიქირავე. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ასეთი პირქუში, სევდის მომგვრელი საცხოვრებელი. სახლი ქალბატონ რაცს ეკუთვნოდა. კარგად რომ მომეძებნა, ალბათ უკეთეს ოთახსაც ვიშოვნიდი. მაგრამ ქალბატონი რაცი დამპირდა,

---

[1] ლომა — ესპანური სიტყვაა, ნიშნავს გორაკს, ბორცვს.

მთელს თქვენს ფოსტას მე მოვუვლიო, და ამიტომ ისევ მის სახლში გადავწყვიტე გავჩერებულიყავი. ბოლოს და ბოლოს, იმ გაყინულ ოთახში მხოლოდ ღამე უნდა გამეთია. საჭმელ-სასმელით კი ისევ ჩვენი ბორანის სასადილოთი გავიდოდი იოლად.

ლომაში ორასამდე კაცი ცხოვრობდა. ყველაზე შემაღლებულ ადგილას მეთოდისტების ეკლესია იდგა, მისი გუმბათის წვერი შორიდანაც მოჩანდა. ორი საბაყლო, რკინა-კავეულის მაღაზია, ძველისძველი მასონური დარბაზი და ბარი „ბუფალო“, ეს იყო და ეს — ამის მეტი საჯარო დაწესებულება სოფელს არ ჰქონდა. ფერდობებზე სოფლის მცხოვრებთა ქოხმახები შეფენილიყო, სამხრეთის მოსავლიან ნაკვეთებზე კი მიწის მეპატრონეთა სახლები წამოჭიმულიყო. ამათ მომცრო ეზოებს შეკრეჭილი კვიპაროსის ცოცხალი ღობე იფარავდა შუადღისას ამოვარდნილი ძლიერი ქარისაგან.

საღამოობით ლომაში თავს ვერაფრით შეიქცევდი კაცი. ისევ ძველ ფიცრულ ბარში თუ წახვიდოდი, მორყეული კარი ორივე მხარეს რომ ელებოდა. ბართან მისასვლელ ხის ტროტუარს საჩრდილობელი ჰქონდა გადახურული. ბარმენის ბიზნესისთვის, მისი ვისკის ხარისხისა თუ მუშტრებისათვის, ვერც „მშრალ კანონს“ დაეკლო რამე და ვერც ამ კანონის გაუქმებას. საღამო ისე არ ჩაივლიდა, რომ თხუთმეტ წელს გადაცილებული ყოველი მამაკაცი ერთხელ მაინც არ შეყიალებულიყო ამ ბარში. შევიდოდნენ, თითო ვისკის გადაჰკრავდნენ, ცოტას წაიმუსაიფებდნენ და მერე შინისაკენ გასწევდნენ ხოლმე.

ბარის პატრონი და დახლიდარი, სქელი კარლი, ყველას ერთნაირად და ყველას უხალისოდ ხვდებოდა; ეს ერთგვარი გულითადობის ნიშანი იყო და შინაურულად განაწყობდა კაცს; სულ კუშტად იმზირებოდა და არ ვიცი, ამას როგორღა ახერხებდა. ერთი რამ შემიძლია მოგახსენოთ მხოლოდ — მე პირადად დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა სქელმა კარლმა იმდენად გამიცნო, რომ ღირსად ჩამთვალა ჩემსკენ მოებრუნებინა თავისი მოჟამული ცხვირპირი და თითქოს მოუთმენლად ეკითხა: „აბა, რას დალევ?“. ამას ყველას ეკითხებოდა, თუმცა ერთადერთი ხარისხის ვისკის მეტი სხვა სასმელი არ გააჩნდა. ისიც მინახავს, რა ცივი უარი უტკეცია შემთხვევით შემოსული, უცნობი მუშტრისათვის, ვისკიში ლიმონი გამირიეო, რომ უთხოვია. სქელ კარლს სიახლე არ უყვარდა. წელზე დიდი ტილოს წინსაფარი ჰქონდა შემოკრული, იმითი ჭიქებს და ძველ, თითქმის დამპალ დახლს წმენდდა ხოლმე. გაურანდავ ხის იატაკზე ნახერხი ეყარა. სწორზურგიან მაგარ სკამებზე მოხერხებულად ვერ დაჯდებოდა კაცი. კედლები ნაირნაირი აფიშებით, საგაზეთო განცხადებებით, საგრაფოთა არჩევნების კანდიდატების, ვაჭრობის აგენტებისა და აუქციონერების სურათებით იყო აჭრელებული. ეს გახლდათ ბარის მთელი მორთულობა. შერიფ რიტალის საკანდიდატო რეკლამა ახლაც მოუწოდებდა მნახველს, ეს კაცი აირჩიეთო, თუმცა აგერ უკვე შვიდი წელიწადი იყო, იგი ცოცხალთა სიაში აღარ ეწერა.

ერთი შეხედვით „ბუფალო“ საძაგელ ადგილად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ უკუნეთ ღამეში ჭაობის ნისლის გრძელი ზოლები ჭუჭყიანი ძონძებივით რომ შემოგეხვეოდათ სახეზე, მერე ხის ტროტუარზე ბორძიკითა და ვაივაგლახით ძლივს რომ მიაღწევდით ბარის მორყეულ კარს, ხელის კვრით შეაღებდით, დაინახავდით ვისკით შეჭიკჭიკებულ, ბაასში გართულ ხალხს და სქელი კარლიც თავისებურად გადმოგხედავდათ, ეს ბარი ერთობ სასიამოვნო გუნებაზე დაგაყენებდათ და მეორედ გვერდს ველარ აუვლიდით.

„წმინდა დედანი მაცხოვრის საფლავთან“

(ატენის ფრესკის ფრაგმენტი)

ანდრეი რუბლიოვი „სამება“

„თანამედროვე თვითმფრინავები“

ცვლილება ცხოვრებაში

„ობოლ ობოლიო“

ᲝᲑᲝᲚᲘᲝ ᲒᲝᲚᲣᲑᲐᲫᲔ



აქა-იქ პოკერი იყო ხოლმე გაჩაღებული. ტიმოთი რაცი, ჩემი დიასახლისის ქმარი, პასიანსს შლიდა და ყოველთვის თაღლითობდა, რადგან მხოლოდ მაშინ უნდა გადაეკრა ვისკი, თუ პასიანსი აიკრიფებოდა. ყოფილა შემთხვევა პასიანსი ხუთჯერ ზედიზედ გამოსვლია. „გაუმართლებდა“ თუ არა, გულდასმით დააწყობდა ქაღალდს, ადგებოდა და დარბაისლური ნაბიჯით გაემართებოდა დახლისაკენ. სანამ დახლს მიუახლოვდებოდა, სქელი კარლი ჭიქას უკვე სანახევროდ შეუვსებდა და ჰკითხავდა:

— აბა, რა დაგისხა?

— ვისკი, — უპასუხებდა ტიმოთი მედიდურად.

ბარი ახლო-მახლო ფერმებიდან და ქალაქიდან ჩამოსული ხალხით იყო სავსე. ზოგნი სკამებზე ისხდნენ, ზოგნი კი ძველ დახლს დაყრდნობილიყვნენ. აქ წყნარი, ხმადაბალი საუბრის გამო ყოველთვის გაბმული ზუზუნი იდგა. არჩევნებისა და კრივში შეჯიბრების დროს კი ყაყანი და აზრთა ხმამაღალი გაცვლა-გამოცვლა ატყდებოდა ხოლმე.

ჭირივით მეჯავრებოდა ამ ბარიდან ნესტიან ღამეში გამოსვლა, ჭაობიდან მოღწეული მოტორის ხმაურის, ბულდოზერის ხაპის ჟღრიალის გაგონება და შემდეგ მისის რაცის უღიმღამო ოთახში დასაძინებლად წასვლა.

ლომაში ახალი ჩასული ვიყავი, როცა ერთი კოპწია, ნახევრად მექსიკელი ქალიშვილი გავიცანი. სახელად მეი რომერო ერქვა. მე და ის საღამოობით ზოგჯერ გავისეირნებდით ხოლმე ფერდობის სამხრეთით, სანამ საზიზღარი ნისლი ისევ სოფელში არ დაგვაბრუნებდა. მივაცილებდი თუ არა მას შინ, მაშინვე ბარისკენ გავწევდი ხოლმე.

ერთ საღამოს ბარში ვიჯექი და ალექს ჰარტნელს ვესაუბრებოდი. ჰარტნელს პატარა, კოხტა ფერმა ჰქონდა ლომაში. სწორედ ქორჭილაზე თევზაობის ხერხებზე ვბაასობდით, რომ ბარის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა. ყველა უცებ გაჩუმდა. ალექსმა ნიდაყვი გამკრა და მითხრა:

— ეგ დათვი ჯონია.

უკან მივიხედე.

ეს მეტსახელი პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო ამ კაცისთვის. უკეთესს ვერც იპოვიდით. იგი ნამდვილად წააგავდა ვეებერთელა, ბრიყვ, გაღიმებულ დათვს. შავთმიან, აბურძგნულ თავს ისე აკანტურებდა, გრძელი ხელები ისე უსიცოცხლოდ ეკიდა მხრებზე, რომ იფიქრებდით, გაწვრთნილი ოთხფეხი უკანა თათებზე დგასო. მოკლე, მოგრეხილი ფეხები ჰქონდა და უცნაური, ოთხკუთხა ტერფები. ტანთ მუქლურჯი ბამბის ქსოვილი ემოსა, ფეხსაცმელი არ ეცვა, შიშველი ტერფები დამახინჯებულს არ უგავდა — უბრალოდ ოთხკუთხედი, ზუსტად ერთნაირი სიგრძე-სიგანისა ჰქონდა. იგი კარებში იდგა, პირისახეზე იდიოტის ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა. ასეთი ვეება, ტლანქი სხეულის პატრონი, ბარში ისე მსუბუქად, ფეხაკრეფით შემოვიდა, თითქოს ვინმეს ეპარებაო. ეს არ იყო ადამიანის სიარული, იგი უფრო ღამით სანადიროდ გამოსული რომელიღაც ტყიურის ნაბიჯებს წააგავდა. დახლთან შეჩერდა, ბარში მხსდომთ მოლოდინით მოავლო თავისი წვრილი, ციმციმა თვალები და იკითხა:

— ვისკი?

ლომა მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა ხელგაშლილობით. აქაური კაცი ისე არავის დაპატიჟებდა ვისკიზე, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ მაშინვე სამაგიეროს მიიღებდა. ამიტომ გამიკვირდა, როდესაც ერთი სტუმართაგანი წა-

მოდგა და წყნარად დასდო ფული დახლზე. სქელმა კარლმა ჭიქა აავსო. ურჩხულმა მოკიდა სასმისს თათი და მთანთქა ვისკი.

— რა ჯანდაბაა... — წამოვიწყე მე, მაგრამ ალექსმა ისევ გამკრა ნიდაყვი და წამჩურჩულა:

— სუუ...

შემდეგ დაიწყო უცნაური პანტომიმა. დათვი ჯონი კართან მივიდა, მერე შემპარავი ნაბიჯით უკანვე დაბრუნდა. სულელური ღიმილი არ სცილდებოდა მის პირისახეს. შუა ოთახში უცებ მოიხარა, მუცელი შეიწია და ჩემთვის ძლიერ ნაცნობი ხმით ალაპარაკდა.

— „თქვენისთანა მომხიბლავი არსებისათვის ასეთი ბინძური სოფელი შეუფერებელია“.

მერე ხმა შეიცვალა და უფრო განაზდა.

— „ამას მხოლოდ თქვენ მეუბნებით“.

კინაღამ გული შემიწუხდა. სისხლი თავში ამივარდა. დათვი ჯონი ჩემი ხმით და ჩემი სიტყვებით ლაპარაკობდა, კილოც ჩემი ჰქონდა, მეორე ხმა კი ზუსტად მეი რომეროს ხმა იყო. ეს წელში მოხრილი არსება თვალწინ რომ არა მყოლოდა, ალბათ მართლა მეი მეგონებოდა და გამოვველაპარაკებოდი. დიალოგი გაგრძელდა. ასეთი ამბები სულელური და დაუჯერებელია, როდესაც ვინმე გიამბობთ... დათვმა ჯონიმ ისევ ჩემი ხმით განაგრძო ლაპარაკი. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, ლაპარაკი მე განვაგრძე-მეთქი. ბოლოს ყველამ ჩემსკენ მოაბრუნა თავი, იღიმებოდნენ. რა უნდა მექნა? — ვიცოდი, თუ მის გაჩერებას შევეცდებოდი, ჩხუბი არ ამცდებოდა. ასე რომ, სპექტაკლი ბოლომდე გაგრძელდა. გამოგიტყდებით, ყველაფერი რომ დამთავრდა, რაღაც სულმდაბლური სიხარული ვიგრძენი, რომ მეი რომეროს ძმები არა ჰყავდა. რა უცნაური, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული სიტყვები სწყდებოდა დათვი ჯონის ბაგეებს!

ბოლოს იგი წელში გაიმართა და ისევ სულელური ღიმილით იკითხა:

— ვისკი?

მე მგონი, იქ მყოფთ მითანაგრძნეს, არავის გაუცინია, პირიქით, თვალი ამარიდეს და ვითომც არაფერიო, ერთმანეთთან გააბეს საუბარი. დათვი ჯონი ოთახის კუთხისაკენ გაემართა, ბანქოს სათამაშო მრგვალი მაგიდის ქვეშ შეძვრა, ძალლივით მოიკუნტა და დაიძინა.

ალექს ჰარტნელი თანაგრძნობით შემომცქეროდა.

— პირველად მოუსმინეთ? — მკითხა მან.

— კი. ეს რა ღვთის რისხვაა?

ალექსი წუთით შეყოყმანდა:

— მეი რომეროს სახელი გაუტყდებაო, ამას ნუ იდარდებთ. დათვი ჯონი ადრეც დატანტალებდა მის კვალზე.

— კი მაგრამ, საიდან გაიგონა ჩვენი საუბარი, მე მისთვის თვალიც არ მომიკრავს.

— დათვი ჯონის ვერავინ დაინახავს და ვერც გაუგებს რამეს, როდესაც იგი თავის ბიზნესს აკეთებს. იცით რა ხერხს მიმართავენ ჩვენი ახალგაზრდები, გოგონებთან ერთად რომ მიდიან სასეირნოდ? ძაღლებს გაიყოლიებენ ხოლმე. ძაღლებს ეშინიათ დათვი ჯონისა და სუნით გრძნობენ მის მოახლოვებას.

— ღმერთო ჩემო! ეს ხმები...

ალექსმა თავი დააქნია.

— ვიცი. ვიღაც-ვიღაცებმა უნივერსიტეტს მისწერეს ჯონის ამბავი. ერთი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა, გასინჯა ჯონი და შემდეგ გვიამბო ბრმა ტომზე... გაგიგიათ ბრმა ტომის სახელი?

— ზანგი პიანისტი? კი გამიგია.

— ჰოდა, ის ბრმა ტომი ჭკუასუსტი ყოფილა, ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ რაც უნდ გრძელი პიესა დაეკრათ პიანინოზე, თურმე მაშინვე ზუსტად გაიმეორებდა. საუკეთესო მუსიკოსებს დააკვრევინეს და მან არამარტო მელოდია, არამედ მათი ყველა ინდივიდუალური ემფატური ნიუანსიც კი გაიმეორა. მის შესაცდენად პიანისტები უმნიშვნელო შეცდომებს უშვებდნენ. ტომი ამ შეცდომებსაც იმეორებდა. იმ ახალგაზრდა კაცმა თქვა, დათვ ჯონისაც იგივე თვისება აქვს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი სიტყვებს იმეორებსო. მან გამოსცადა ჯონი, გაამეორებინა გრძელი ბერძნული ფრაზები. ზუსტად გაიმეორა. ჯონიმ არ იცის იმ სიტყვების მნიშვნელობა. უბრალოდ დაუფიქრებლად წარმოთქვამს მათ. ჭკუა არ ჰყოფნის, რომ თვითონ მოიგონოს რამე; თუ სიტყვას ამბობს, უეჭველად სადმე გაუგონია.

— მერე? რატომ სჩადის ამას? რა ჯანდაბად უნდა იმის მოსმენა, რაც არ ესმის?

ალექსმა სიგარეტი მოფშვნიტა და მოუკიდა.

— არც აინტერესებს, მაგრამ იცის, რომ თუ სადმე რამეს ყურს მოჰკრავს და აქ ჩამოკენჭავს, ვიღაცა ვისკის დაალევინებს. ზოგჯერ ღობე-ყორეს ედება, ცდილობს გაასაღოს მისის რაცის საუბარი საბაყლოში, ან ჯერი როლანდის კამათი დედამისთან, მაგრამ ახლა ამისათვის აღარაფერს აძლევენ.

— მიკვირს, არავინ ესროლა, როცა მათ ფანჯარაში იჭყიტებოდა.

ალექსმა სიგარეტი მოქაჩა.

— ბევრმა სცადა, მაგრამ ვერ მოიხელთეს. დათვი ჯონის ვერც ნახავს და ვერც ხელში ჩაიგდებს ვინმე. მოკლედ, თუ არ გინდათ, რომ საქვეყნოდ გამოგაჭენოთ, სახლში ფანჯრები მაგრად უნდა ჩაკეტოთ და ჩურჩულით ილაპარაკოთ. თქვენი ბედი, რომ ბნელი ღამე იყო, თორემ რომ დაენახეთ, მაშინ მიხვრა-მოხვრაშიც მოგბაძავდათ. ერთი განახათ, რასა ჰგავს, როცა სახეს მოიქცევს ხოლმე, რომ ქალიშვილს დაემსგავსოს. საზიზღრობაა...

მაგიდის ქვეშ მოკუნტულ სხეულს გავხედე. დათვი ჯონის ზურგი ოთახისაკენ მოექცია. მის აბურძგნულ, შავ თმას სინათლე ეცემოდა. უცებ შევამჩნიე, რომ დიდი ბუზი დააჯდა თავზე და, პატიოსნებას ვფიცავ, დავინახე, მან კანი ცხენივით მხოლოდ იმ ადგილას შეათრთოლა, სადაც ბუზი ეჯდა. ამის დანახვაზე ჟრუანტელმა დამიარა.

ბარში ისევ ერთფეროვანი და მოსაწყენი საუბარი გაიბა. სქელი კარლი თავისი წინსაფრით მთელი ათი წუთი წმენდდა ჭიქას. ჩვენს გვერდით მსხდომნი ჯერ მოჩხუბარ ძაღლებსა და მამლებზე მსჯელობდნენ, მერე ბუღების ბრძოლაზე დაიწყეს კამათი.

— წავიდეთ, დავლიოთ, — მითხრა ალექსმა.

დახლს მივუახლოვდით. სქელმა კარლმა ორი ჭიქა დაგვიდგა.

— აბა, რას დალევთ?

არც ერთმა არ ვუპასუხეთ. კარლმა ვისკი დაასხა. შუბლშეკრულმა შემომხედა და ეშმაკურად ჩამიკრა სქელ ქუთუთოებში ჩამძვრალი თვალი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ესეც კი მეამა.

— ჩაგავლო?

მეც დარდიმანდულად ჩავუკარი თვალი.

— მეორედ ძაღლი გაიყოლიე.

— უეჭველად ძაღლს გავიყოლიებ, — ავყევი ლაპარაკში.

ვისკი დავლიეთ და მაგიდასთან დავბრუნდით. ტიმოთი რაცმა აკრიფა პასიანსი, ბანქო მაგიდაზე დააწყო და დახლისაკენ გაემართა.

თვალი ისევ იქითკენ გამექცა, სადაც დათვი ჯონი იწვა. იგი შეინძრა და ოთახში გამოგორდა. თავი ასწია და ისე მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს ბუნაგიდან გამოძრომას აპირებსო. როგორც იქნა გამოცოცდა და წამოდგა. რაღაც უცნაური იყო მის მიმოხვრაში. დაგრეხილი, უფორმო სხეული სრულიად ძალდაუტანებლად მოძრაობდა.

დათვი ჯონი მსუბუქი, შემპარავი ნაბიჯით გაემართა დახლისაკენ. ყველას უღიმოდა. დახლთან ისევ გაისმა მისი დაჟინებული კითხვა:

— ვისკი? ვისკი?

მისი ხმა რომელიღაც ფრინველის ყივილს მიაგავდა. არ ვიცი ვისი, მაგრამ ნამდვილად ნაცნობი ძახილი გავიგონე. იგი თანდათან ხმას უმაღლებდა და დაჟინებით გაიძახოდა:

— ვისკი? ვისკი?

ოთახში საუბარი შეწყდა, მაგრამ არავინ მისულა დახლთან ფულის დასადებად. ჯონიმ საწყლად გაიღიმა.

— ვისკი?

მერე დაიწყო ოინბაზობა. ოთახში გაანჩხლებული ქალის ხმა გაისმა: — „მე გეუბნებით, რომ ხორცი კი არა, სულ ძვალი იყო. ცარიელა ძვალი და გირვანქაში ოც ცენტს კი იღებთ!“ მას კაცის ხმა მიჰყვა: „დიახ, მემ, მაგრამ არ ვიცოდი. ამიტომ ახლა ძეხვს მოგართმევთ, რომ ზარალი აგინაზღაუროთ“.

დათვმა ჯონიმ მავედრებელი თვალი მიმოატარა ირგვლივ.

— ვისკი?

ისევ არავინ დაძრულა ადგილიდან. ჯონი კართან მივიდა და ზედ აეკრა.

— რას ჩადის? — ჩურჩულით ვკითხე ალექსს.

— შშ... ფანჯარაში იჭვრიტება. უსმინეთ!

გაისმა ქალის მტკიცე, ცივი ხმა. სიტყვებს მოკლე-მოკლედ ისროდა: — „მე არ შემიძლია ამის გაგება. ეს შემაძრწუნებელი ამბავია. არ დავიჯერებდი, რომ ჩემი თვალით არ მენახე. შენ რაღაც საშინელი არსება ხარ!“

მეორე ქალმა ხმადაბლა, მღელვარებისაგან მილეული ხმით უპასუხა:

— „იქნებ ვარ კიდეც, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, არ შემიძლია!“

— „უნდა შესძლო“. — გააწყვეტინა ცივმა ხმამ, — „თუ არა და სჯობია მოკვდე“.

დათვი ჯონის სქელ მომღიმარე ტუჩებს ტირილის მსგავსი ხმა აღმოხდა — ილაჯგაწყვეტილი, დატანჯული ქალის ქვითინი. ალექსს შევხედე. იგი თვალგაფართოებული, გაქვავებული იჯდა. ის-ის იყო დავაპირე ჩურჩულით მეკითხა, რა ამბავია-მეთქი, მაგრამ მან ხელით მანიშნა — გაჩუმდიო. ოთახში მიმოვიხედე. ყველა გაშტერებული უსმენდა. ქვითინი შეწყდა.

— „შენ არასდროს გიგრძვნია მსგავსი რამ, ემალინ?“

ამ სახელის გაგონებაზე ალექსს სუნთქვა შეეკრა.

— „რასაკვირველია, არასდროს“, — უპასუხა ცივმა ხმამ.

— „არც ოდესმე ღამით? არც... საერთოდ შენს ცხოვრებაში?“

— ასეთი რამ რომ მეგრძნო, სხეულის იმ ნაწილს მოვიკვეთავდი!“ — უპასუხა ცივმა ხმამ, — „მორჩი წუწუნს, ემი, ვერ ვიტანო. თუ ველარ დაგიმორჩილებია ნერვები, მაშინ მე მოვახერხებ, რომ გიმკურნალონ. ახლა წადი, ილოცე“.

დათვმა ჯონიმ გაიღიმა.

— ვისკი?

ორნი წამოდგნენ და უსიტყვოდ დადეს ფული დახლზე. სქელმა კარლმა ორი ჭიქა შეავსო, და როდესაც ჯონიმ ზედიზედ გადაჰკრა ვისკი, თავის ხარჯზე ერთიც დაუსხა. ყველამ შეატყო, რომ კარლიც აღელვებულიყო. — „ბუფალოში“ მუქთად არავის უმასპინძლდებოდნენ.

დათვმა ჯონიმ ყველას გაუღიმა, თავისი შემპარავი ნაბიჯებით გასასვლელისაკენ გაემართა, გარეთ გავიდა და კარი უხმაუროდ გაიხურა.

ოთახში საუბარი ალარ განახლებულა. ყველა თავის საფიქრალს მიეცა. შემდეგ ნელ-ნელა გაიკრიფნენ. გაღებული კარიდან აშმორებული ნისლის ნაფლეთები შემოდიოდა ოთახში. ალექსი ადგა და გარეთ გავიდა. მეც გავყევი.

საზიზღარი, მყრალი და ბურუსიანი ღამე იდგა. ნისლი თითქოს ყველაფერს სწვდებოდა თავისი საცეცებით. ნაბიჯს მოვუჩქარე და ალექსს წამოვეწიე.

— ეს რა იყო? — ვკითხე მე, — რას ნიშნავდა?

ჯერ მეგონა, ხმას არ გამცემდა, მაგრამ იგი უცებ შედგა და ჩემსკენ მოტრიალდა.

— ეშმაკსაც წაუღია! მისმინეთ: ყოველ ქალაქს ჰყავს თავისი არისტოკრატია, თავისი უმწიკვლო ოჯახები. ემალინ და ემი ჰოუკინსები, შინაბერა კეთილი დები არიან ჩვენი არისტოკრატები. მათი მამა კონგრესმენი იყო. მე ეს არ მომწონს, დათვ ჯონს ეს არ უნდა ჩაედინა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი აჭმევენ და აცმევენ მას. ახლა სულ მათ სახლთან იბორიალებს... იცის, რომ ამისათვის ვისკის დაალევინებენ.

— თქვენი ნათესავები არიან? — ვკითხე მე.

— არა, მაგრამ ისინი... როგორ გითხრათ... სხვებს არ გვანან. ჩემს მეზობლად ცხოვრობენ. ვიღაც ჩინელები საზიაროდ ამუშავებენ მათ ფერმას. მე ვერ აგიხსნით, რა ხდება. ჰოუკინსები სამაგალითო ხალხია... მათ უნდა მიბაძონ სხვებმა. ისინი არიან... აი, ბავშვებს რომ ვეუბნებით ხოლმე, როცა გვინდა... ასე ვთქვათ, ავუხსნათ, ვაჩვენოთ, თუ როგორები არიან კარგი ადამიანები.

— კი მაგრამ დათვი ჯონის ისეთი არაფერი უთქვამს, რაც ჩრდილს მიაყენებდა მათ, — შევესიტყვე მე.

— არ ვიცი. არ ვიცი, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს. უფრო სწორად, რაღაცას ვხვდები. ეჰ, წავიდეთ და დავიძინოთ. ჩემი „ფორდი“ შინ დავტოვე. ფეხით წავალ.

ჰარტნელი შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაუჩინარდა ნისლში.

მეც ფეხით გავემართე მისის რაცის „პანსიონატისაკენ“. ჭაობიდან მოისმოდა მოტორის ხმაური. ვეებერთელა რკინის ბულდოზერი ჟღრიალით ხაპავდა ტალახს. შაბათი საღამო იყო. ყოველ კვირას დილის შვიდ საათზე ბულდოზერი ჩერდებოდა. ხმაზე ვატყობდი, რომ ახლა იქ ყველაფერი რიგზე იყო. ჩემი ოთახის ვიწრო კიბეს ავუყევი. სინათლე ანთებული დავტოვე, საწოლზე გულაღმა

გავიშოტე და გაცრეცილი შპალერის ყოვლად ულაზათო ყვავილებს დავუწყე თვალიერება. დათვი ჯონის ის ორი ხმა ამეკვიატა. ეს ბიბაძვა კი არა — ორიგინალური, საკუთარი ხმები იყო: მათი მეშვეობით შემეძლო წარმომედგნა ის ქალები, ციცხმიანი ემალინი და საცოდავი, უბედურებისაგან მოტეხილი ემი. ვერ გამეგო, რა იყო უბედურების მიზეზი. იქნებ მხოლოდ სიმარტოვე, ასე რომ სტანჯავთ შუახნის ქალებს? მაგრამ ეს რაღაც არ მჯეროდა, რადგან ხმაში წუხილის გარდა დიდი შიშიც იგრძნობოდა. ისე ჩამეძინა, რომ სინათლე ანთებული დამრჩა. დამე ავდექი და ჩავაქრე.

დილის რვა საათი იქნებოდა, ჭაობისაკენ რომ გავემართე. ბრიგადას მოძველებული ტროსები უნდა შეეცვალა. სამუშაო დავამთავრე და სალამოს შვიდი საათისათვის ლომაში დავბრუნდი.

მისის რაცის სახლის წინ გაჩერებულ ფორდში ალექს ჰარტნელი იჯდა.

— ეს არის ახლა თქვენს წამოსაყვანად მოვდიოდი, — დამიძახა მან, — შემწვარ წიწილებზე რას იტყოდით?

სიამოვნებით მივიღე მიპატიჟება. ჩვენი მაღალი, ფერმკრთალი მზარეული კარგი ოსტატი იყო, მაგრამ ბოლო დროს მისი კერძები ყელში ამომივიდა. იგი ერთთავად კუბურ სიგარეტებს აბოლებდა ლერწმის მუნდშტუკით. არც მისი თეთრი, თითქოს გაფქვილული ხელები მომდიოდა თვალში, დილაობით რომ უკანკალებდა ხოლმე.

ფორდში ჩავჯექით და გზას გავუდექით. ნოყიერ, შავ მიწას მზე უხვად აფრქვევდა კაშკაშა სხივებს. პატარაობისას ერთმა კათოლიკე ბიჭმა მითხრა: კვირაობით რაც არ უნდა მოხდეს, მზე ერთი წუთით მაინც გამობრწყინდება ღრუბლებიდან, იმიტომ, რომ კვირა ღმერთის დღეაო. ყოველთვის მინდოდა შემემოწმებინა — მართალი იყო თუ არა ეს. მანქანა ხმაურით მიჰქროდა.

— გახსოვთ ჰოუკინსები? — ყვირილით მკითხა ალექსმა, რათა მოტორის ხმა დაეფარა.

— მახსოვს.

მან წინ გაიშვირა ხელი.

— აგერ მათი სახლი.

მჭიდროდ ჩამწკრივებული კვიპაროსების მაღალი კედლის მიღმა მხოლოდ სახლის სახურავი და ფანჯრების ზედა ნაწილი მოჩანდა. სახურავი წითლად იყო შეღებილი, შენობა — მუქ ყავისფრად; ფერების ამგვარი შეხამება მოსწონთ კალიფორნიაში, ასე ღებავენ ხოლმე სადგურებსა და სკოლის შენობებს. ძალიან სქელ, მაგარ მესერში ორკარიანი პატარა ჭიშკარი დაეტანებინათ.

— ეს მწვანე კედელი ქარსაცავია, — ისევ ყვირილით მითხრა ალექსმა.

— დათვი ჯონისაგან კი ვერ იცავს, — ვუპასუხე მე.

ალექსს სახე მოეღრუბლა. შუა მინდორში აღმართულ თეთრ, ქათქათა სახლზე მიმითითა.

— იქ ჩინელი მოიჯარადრეები და დღიური მუშები ცხოვრობენ. ძალიან მშრომელი ხალხია, მეც არ დავიწუნებდი მათ.

ამ დროს ეზოდან ორადგილიანი ეტლი გამოვიდა. შიგ შებმული ნაცრისფერი ბებერი ცხენი კარგად მოვლილი ჩანდა. ეტლი ერთიანად ბრწყინავდა. ცხენის აკაზმულობა კრიალებდა, თვალსაფარზე ვერცხლისფერი დიდი ასო „ჰ“ ლაპლაპებდა.

— აგერ ისინიც, — გადმომძახა ალექსმა, — ეკლესიაში მიდიან.

გვერდით ჩავლისას ქუდი მოვუხადეთ და მივესალმეთ. მათაც მოზეიმე იერით დაგვიკრეს თავი. კარგად შევათვალიერე და სახტად დავრჩი. ზუსტად ისე გამოიყურებოდნენ, როგორც წარმომედგინა. მაშ დათვი ჯონი ჯადოქარზე უარესი უნდა ყოფილიყო, თუ ხმით ასე შეეძლო ადამიანთა აღნაგობის გადმოცემა, მე სულ არ დამჭირებია მეკითხა, რომელი იყო ემალინი და რომელი ემი. ნათელი, პირდაპირი გამოხედვა, მკვეთრი, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი, თითქოს გამოძერწილი, მტკიცე ტუჩები, წელში გამართული, ხმელ-ხმელი ტანი — ეს გახლდათ ემალინი; ემი ძალიან ჰგავდა დას, მაგრამ ამავე დროს სულ სხვანაირად გამოიყურებოდა: მას უფრო მომრგვალებული ნაკვთები ჰქონდა, თვალებში თბილი შუქი უკრთოდა, ტუჩები უფრო ლბილი, დაბურცული, მკერდი მაღალი და სავსე, მაგრამ მაინც ძალიან ჰგავდა ემალინს. პირველს ბუნებით უძრავი, ცივი გამომეტყველება ჰქონდა, მეორე კი მას უბრალოდ ბაძავდა. ემალინი ორმოცდაათი — ორმოცდათხუთმეტი წლის ქალი იქნებოდა, ემი — ათიოდე წლით უმცროსი გეგონებოდა. სულ ერთი წუთით შევავლე მათ თვალი, მას შემდეგ არც ერთი აღარ მინახავს, მაგრამ მთელ ჩემს სიცოცხლეში იმ ორ ქალზე უკეთ არავინ დამმახსოვრებია.

— ახლა ხომ მიხვდით, რატომ ვუწოდე არისტოკრატები? — ჩამძახა ალექსმა.

თავი დავუქნიე. რა უნდოდა ამის გაგებას. სოფლის მცხოვრებნი, ასე გთქვათ... უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს ამ ქალების მეზობლად. ასეთ ადგილს, როგორიც ლომაა, თავისი ნისლით, ჭაობითა და პატარა-პატარა ცოდვებით, ნამდვილად სჭირდებოდა ეს ორი ქალი. იმ რამდენიმე წელიწადში, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო სოფელში, ვინმეს რიდი და პატივისცემა რომ არ ჰქონოდათ.

სადილი ჩინებული გამოდგა. ალექსის დას წიწილები კარაქში შეებრაწა. სხვა კერძებიც გემრიელად დაემზადებინა. ამიტომ კიდევ უფრო მომივიდა გული ჩვენს მზარეულზე. სადილის შემდეგ შევსანიშნავ ბრენდის შევექეცით.

— არ მესმის, რატომ დადიხართ „ბუფალოში“. იქაური ვისკი ხომ...

— ვიცი, — გამაწყვეტინა ალექსმა, — მაგრამ საქმე ისაა, რომ „ბუფალო“ ლომას გონებაა, ის არის ჩვენი გაზეთი, თეატრი და კლუბი.

ეს ისეთი ჭეშმარიტება იყო, რომ როცა ალექსმა ჩემს წასაყვანად „ფორდი“ დაქოქა, ორივემ დაბეჯითებით ვიცოდით, ერთი-ორი საათით მაინც შევივლიდით ბარში.

უკვე სოფელში შევდიოდით, როდესაც წინ მანქანის მკრთალი მოციმციმე შუქი გამოჩნდა. ალექსმა თავისი ფორდი გზაზე გახიდა და მოტორი გამორთო.

— ეს ექიმ ჰოლმსის ავტომობილია, — ამიხსნა მან. შემხვედრი მანქანაც გაჩერდა, რადგან გვერდს ვერ აგვიცდებოდა.

— სალამი, ექიმო, სწორედ დღეს ვაპირებდი მეთხოვა თქვენთვის, ჩემი და გაგესინჯათ: ყელი სტკივა, — გაეხმიანა ალექსი.

— კეთილი, — დაუძახა ექიმმა, — ვნახავ. ახლა კი გასწიეთ მანქანა, მეჩქარება.

ალექსი არ ჩქარობდა.

— ვინ არის ავად?

— მის ემი გამხდარა ცოტა შეუბლოდ. მის ემალინმა დამირეკა და მთხოვა, სასწრაფოდ მოლითო. ახლა გასწევთ თუ არა მანქანას?

ალექსმა ფორდი უკან დასწია და ექიმი გაატარა. გზა განვაგრძეთ. ის-ის იყო დავაპირე მეთქვა, რა ნათელი ღამეა-მეთქი, რომ წინ, ფერდობზე ჭაობიდან წამოსული ნისლი შევამჩნიე: მისი გრძელი ზოლები გველებივით ზანტად მიცურავდნენ ლომასაკენ.

მანქანა ერთხელ კიდევ შეძაგძაგდა და „ბუფალოს“ წინ გაჩერდა. ბარში შევედით. სქელი კარლი შემოგვეგება, თან ჭიქას წმენდდა. დახლქვეშ ბოთლისათვის ხელი მოაფათურა და ჩვეულებრივ გვკითხა:

— აბა, რა დავასხა?

— ვისკი.

სქელ კარლს ერთის წამით ღიმილმა გადაურბინა მოღუშულ პირისახეზე. ბარი ხალხით სავსე იყო. ჩემი ბრიგადის წევრებს ყველას აქ მოეყარა თავი მზარეულის გარდა. იგი ალბათ ნავზე დარჩა და ახლა კუბურ სიგარეტებს აბოლებდა ლერწმის მუნდშტუკით. სასმელს არ სწყალობდა და ეს საკმარისი იყო, რომ მისთვის ეჭვის თვალით შემეხედა. ბრიგადის ორი მუშა, მექანიკოსი და მოტორისტი ერთად ისხდნენ. მექანიკოსი რაღაცას უჩიჩინებდა, ჭაობი ასე და ასე უნდა გაიჭრასო.

არსად არ შემხვედრია ასეთი წყნარი ბარი: არავინ არ ჩხუბობდა, არ მღეროდა, არ ხმაურობდა. სქელი კარლის პირქუში შემოხედვა სმასა და დროსტარებას ფრიად საქმიან იერს აძლევდა. ერთ-ერთ მაგიდაზე ტიმოთი რაცი პასიანსს შლიდა. მე და ალექსმა ვისკი დავლიეთ. თავისუფალი სკამი არსად ჩანდა. დახლს დავეყრდენით და ვსაუბრობდით სპორტზე, ვაჭრობაზე, ჩვენს ნამდვილსა თუ გამოგონილ თავგადასავალზე... მოკლედ, ბარის შესაფერის ამბებზე გავაბით საუბარი. ერთი-ორი საათის შემდეგ ალექსმა თქვა, შინ წავალო. მეც გადავწყვიტე სახლში დაბრუნება.

ამ დროს ბარის კარი უხმაუროდ გაიღო. გაბურძგნული თავის კანტურითა და ხელების ქნევით ოთახში დათვი ჯონი შემოიპარა. სახეზე ისევ ის ბრიყვული ღიმილი დასთამაშებდა. ოთხკუთხა ტერფები კატის თათებს მიუგავდა.

— ვისკი? — თითქოს დაიჭიკჭიკა მან. პასუხი არავინ გასცა. მაშინ თავისი ოინები წამოიწყო: რალაც ცხვირისმიერი მელოდიური ბგერები გამოსცა, მგონი ჩინური; შემდეგ მეორე ხმამ გაიმეორა იგივე სიტყვები, ოღონდ უფრო დინჯი კილოთი. დათვმა ჯონიმ აბურძგნული თავი ასწია და იკითხა:

— ვისკი?

ამან მე დამაინტერესა. რატომღაც მომინდა გაეგრძელებინა თავისი წარმოდგენა. დახლზე ოცდახუთცენტიანი დავაგდე. ჯონიმ ვისკი დალია, მე კი ერთი წუთის შემდეგ ვინანე ჩემი საქციელი და ალექსს თვალებში ველარ შევხედე. დათვი ჯონი კართან მივიდა და ისე აიტუზა, თითქოს ფანჯარაში ვინმეს უსმენსო.

— „ის იქ არის, ექიმო“, — გაისმა ემალინის ცივი ხმა.

თვალი დავხუჭე, რომ ჯონისათვის არ მეცქირა.

ექიმის ხმა მახსოვდა. ახლა ზუსტად იმ ხმამ იკითხა:

— „მაშ თქვენ ამბობთ, გული ცუდად გაუხდაო?“

— „დიახ, ექიმო“.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ექიმმა ძალიან წყნარად იკითხა:

— „რატომ ჩაიდინა ეს, ემალინ?“

— „რა ჩაიდინა?“ — მუქარა გაისმა ქალის ხმაში.

— „მე თქვენი ექიმი ვარ, ემალინ, მამათქვენის ექიმიც ვიყავი. თქვენ უნდა მითხრათ ყველაფერი. როგორ გგონიათ, ვერ ვამჩნევ ყელზე თოკის ნაკვალევს? რამდენ ხანს ეკიდა, სანამ მიუსწრებდით და ჩამოხსნიდით?“

დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— „ორი — სამი წუთი. ეშველება რამე, ექიმო?“ — თითქმის აჩურჩულდა ქალი, მის ხმაში აღარ იგრძნობოდა სიცივე.

— „კი, საცაა გონს მოვა. ძლიერ დაშავებული არ არის. რატომ ჩაიდინა ეს?“

ქალის ხმას ისევ დაუბრუნდა სიცივე.

— „არ ვიცი, სერ“.

— „მაშ, როგორც ჩანს, არ მეტყვით“.

— „მე სხვა არაფერი ვიცი იმაზე მეტი, რასაც ვამბობ“.

შემდეგ ექიმმა დაარიგა, თუ როგორ მოევლო ავადმყოფისათვის, ურჩია ჩაეწვინა ლოგინში და ვისკიანი რძე დაელევინებინა.

— „... გარდა ამისა, ცოტა ალერსიანადაც მოექეცით, ემალინ“.

ქალს ოდნავ შეუთრთოლდა ხმა.

— „თქვენ არავის... არავის არაფერს ეტყვით?“

— „მე ექიმი ვარ“, — რბილად წარმოსთქვა კაცის ხმამ, — რასაკვირველია, არაფერს ვიტყვი. ამაღამ ტკივილის გამაყუჩებელ წამალს გამოგიგზავნით“.

— ვისკი?

თვალები უცებ დავაჭყიტე. თავზარდამცემი დათვი ჯონი ყველას გვიღიმოდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. სქელი კარლი იატაკს დაშტერებოდა. ალექსს მივუბრუნდი ბოდიშის მოსახდელად, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო.

— არ ვიცოდი თუ ამას იტყოდა, — ამოვილუღლუღე, — ძალიან ვწუხვარ.

ბარიდან გამოვედი და ჩემს მოჟამულ ოთახში დავბრუნდი. ფანჯარა გავაღე და მოფუთფუთე ნისლს დავუწყე ცქერა. შორს ჭაობში დიზელი ამუშავდა, შემდეგ მოისმა ბულდოზერის ჟღრიალა ხმა, — მიწის თხრა დაიწყო.

მეორე დღეს სამუშაოზე ერთი ჩვეულებრივი ავარია მოხდა: ტროსი გაწყდა, ხაპი ჩამოვარდა, პონტონს დაეცა და ჩაძირა. პონტონის ამოწევისას კიდევ ერთი ტროსი გაწყდა და სამართებელივით გადაუსხიპა ფეხები იქვე მდგომ მუშას. დასახიჩრებულს მოკვეთილ ფეხებზე მარყუჟები გადავუჭირეთ და სალინასში გავაქანეთ. შემდეგ ამ უბედურებას კიდევ რამდენიმე მცირე უსიამოვნება დაემატა. მემანქანეს ჟანგიან მავთულზე ხელი გაეკაწრა და სისხლი მოეწამლა. ბოლოს ჩემი ეჭვიც გამართლდა: მზარეულმა თურმე სცადა მექანიკოსისათვის ერთი პატარა ყუთი მარიხუანა[1] მიეყიდა. მოკლედ კაცი ვერ იტყოდა, სამუშაოზე ყველაფერი რიგზე არისო. ორი კვირა გავიდა, სანამ სხვა პონტონს მივიღებდით და ახალ მუშასა და მზარეულს გამოგვიგზავნიდნენ. ეს მზარეული ერთი შავგვრემანი, ოდნავ გრძელცხვირა, ფრიად ეშმაკი და უზადო ფოლორცის ნიჭით დაჯილდოებული კაცი გამოდგა.

ლომას ცხოვრებას მთლიანად ჩამოვშორდი, მაგრამ როდესაც ხაპმა ისევ დაიწყო ტალახის ამოღება და ძველი დიზელიც ჩვეულებრივ ათუხთუხდა, ერთ საღამოს ალექს ჰარტნელის ფერმისაკენ გავწიე. ჰოუკინსების სახლთან ჩავლისას კვიპაროსებს გადაღმა, ეზოში გადავიხედე. სახლი ჩაბნელებული იყო. ერთ

---

[1] ნარკოტიკული ნივთიერება.

ფანჯარაში ლამპა ბჟუტავდა. გზაზე წყნარი სიო ქროდა და ბამბის ქულებივით პენტავდა ნისლის ნაგლეჯებს. მე ხან განათებულ გზაზე მივდიოდი, ხან სქელ ბურუსში ვეხვეოდი. ჰოუკინსების სახლიდან თითქოს წყნარი კვნესის მსგავსი ხმა მომესმა და როდესაც ნისლიდან გამოვედი მინდორში, შავ სილუეტს მოვკარი თვალი. იგი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და ისე მიაფლატუნებდა სანდლებს, რომ მივხვდი ჩინელი იჯარადარი უნდა ყოფილიყო.

კაკუნზე ალექსმა გამიღო კარი. ეტყობოდა, გაუხარდა ჩემი სტუმრობა. მისი და შინ არ ჩანდა. ალექსმა ერთი ბოთლი კარგი ბრენდი მოიტანა და ღუმელთან დავსხედით.

— გავიგე, რაღაც ცუდი ამბები შეგმთხვეოდათ, — დაიწყო მან.

მეც ვუამბე ჩვენი გასაჭირი.

— მე მგონი ხალხში ტყუილად არ ამბობენ, რომ უბედურება უნდა გასამდესო.

— მეც ასე მგონია, — დამეთანხმა ალექსი.

— ჰოუკინსები როგორ არიან? — ვკითხე ბოლოს, — მათ სახლთან ჩამოვლისას თითქოს ტირილის ხმა მომესმა.

ალექსს უნდოდა კიდეც და არც უნდოდა ამაზე ლაპარაკი.

— ამ ერთი კვირის წინ შევუარე. მის ემი თავს ცუდად გრძნობსო, მითხრეს. თვითონ არ მინახავს, მხოლოდ ემალინი ვნახე.

უცებ ალექსმა ველარ მოითმინა:

— რაღაც ამბავია მათ თავს, რაღაც ამბავი...

— ასე მგონია, რომ თქვენი ნათესავები არიან, — ვთქვი მე.

— როგორ გითხრათ... ჩვენი მამები მეგობრობდნენ. მაშინ მათ დეიდა ემის და დეიდა ემალინს ვეძახდი. ისინი, რომ მოინდომონ კიდეც, სიავეს ვერ მოახერხებენ. არავისთვის იქნება კარგი, რომ დები ჰოუკინსები — დები ჰოუკინსები აღარ იყვნენ.

— საზოგადოებრივი სინდისის განსახიერება? — ვკითხე მე.

— სწორედ რომ ასეა, — წამოიძახა მან, — ეს არის ხალხი, პატარა ბიჭებს რომ ტკბილ ნამცხვრებს აძლევენ, ხოლო გოგონებს — რჩევა-დარიგებას. ამაყნი არიან, მაგრამ ისეთი რამ სწამთ, რაც ჩვენც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია; ცხოვრობენ, როგორც... მოკლედ რომ ვთქვათ, იმათთვის პატიოსნებაა საუკეთესო პოლიტიკა და სიკეთისთვის არავითარ ჯილდოს არ მოითხოვენ. ჩვენ ისინი გვჭირდება.

— მესმის.

— მაგრამ მის ემალინი ახლა გამწარებით ებრძვის რაღაც საშინელებას და... არა მგონია, რომ გაიმარჯვოს.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, დათვი ჯონის მოვკლავ და ჭაობში გადავაგდებ. ნამდვილად გეუბნებით ამას.

— რა მისი ბრალია, — შევესიტყვე მე, — ის მხოლოდ ჩამწერი აპარატია და სხვა არაფერი. როცა მოსმენა სურთ, ამ აპარატში ფულის ნაცვლად ჭიქა გისკის ასხამენ.

დიდხანს ვისაუბრეთ, მოვედით ამ მთას, იმ მთას... შემდეგ ლომაში წავედით. ნისლის ბოლქვები თითქოს ზედ დაჰკიდებოდნენ ჰოუკინსების კვიპაროსებს, ზოგი ბურთებივით ცვიოდა ეზოში. ადამიანი რასაც უნდა იმას მიამსგავ-

სებს ბუნებას, ოღონდ იგი თავის ოცნებას შეუფარდოს. სახლში სინათლე არ ენთო.

ჭაობში მუშაობა შეუფერხებლად გრძელდებოდა. ბრიგადა გრძნობდა, რომ საფრთხე აღარ ელოდა და გულმოდგინედ მუშაობდა. ახალმა მზარეულმა ისეთი საერთო ენა გამონახა ბიჭებთან, რომ მისი ხელით შემწვარ ბეტონსაც კი შეახრამუნებდნენ. მზარეულის ხასიათი უფრო კარგ გუნებაზე აყენებდა მათ, ვიდრე მისი დამზადებული კერძები.

მეორე საღამოს „ბუფალო“ ბარისაკენ გავეშურე. ნელი ნაბიჯით მიქცევბოდი ფიცრის ტროტუარს. უკან კუდივით მომდევდა ნისლის გრძელი ზოლი. სქელი კარლი მომეგება.

— ვისკი! — თითქმის ყვირილით დავასწარი სანამ შემეკითხებოდა, რას დალევო. ჭიქა ავიღე და სკამისაკენ გავემართე. ტიმოთი რაცი პასიანსს შლიდა. ამჯერად მეტისმეტად წყალობდა ბედი. ოთხჯერ ზედიზედ აკრიფა ქაღალდი და ოთხჯერ გადაჰკრა „მოგებული“ ვისკი. ბარში ნელ-ნელა იკრიბებოდა ხალხი. არ ვიცი რას ვიზამდი, „ბუფალო“ რომ არ ყოფილიყო.

ათი საათი იქნებოდა, როცა ახალი ამბავი მოიტანეს. ასეთ რამეზე შემდეგ რომ დაფიქრდება კაცი, ზუსტად ვერასოდეს გაიხსნებს, როგორ მოხდა ყველაფერი. ვიღაც შემოდის, იწყება ჩურჩული, მალე ყველამ იცის, რაც მოხდა. იცის ყველა წვრილმანი. მის ემიმ თავი მოიკლა. ვინ მოიტანა ეს ამბავი? არ ვიცი. თავი ჩამოიხრჩო. ბარში ამაზე თითქმის არავინ ლაპარაკობდა. ყველა ცდილობდა თავი შეეკავებინა. არავის უნდოდა ამის დაჯერება. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

მოფამფალებული კარი უხმოდ გაიღო და ოთახში დათვი ჯონი შემოიპარა. დიდ, გაბურძგნულ თავს აკანტურებდა, იდიოტური ღიმილი ისევ დასთამაშებდა სახეზე, ოთხკუთხა ტერფებს მსუბუქად, უხმაუროდ ადგამდა იატაკზე. მან ირგვლივ მოატარა თვალი და რომელიღაც ფრინველის მსგავსად დაიჭიკჭიკა:

— ვისკი, ვისკი ჯონის?

ახლა ნამდვილად ყველას უნდოდა მისი მოსმენა, რცხვენოდათ, მაგრამ მათი ადამიანური ბუნება მოითხოვდა ამას. სქელმა კარლმა ვისკი დაასხა. ტიმოთი რაცმა ბანქო დაყარა და წამოდგა. დათვმა გადაყლაპა ვისკი. მე თვალები დავხუჭე.

ექიმს მკვეთრი, უხეში ხმა ჰქონდა.

— „სად არის იგი, ემალინ?“

ქალის ასეთი ხმა არასოდეს მომისმენია — ცივი, დაოკებული ხმა, თავშეკავების მარწუხებით შებოჭილი, მაგრამ ამ მოჩვენებით თავშეკავებაში უსაზღვრო სასოწარკვეთილება იგრძნობოდა.

— „იმ ოთახშია, ექიმო!.

— „ჰმ... ჰმ...“ — სიჩუმე ჩამოვარდა, — „დიდხანს ეკიდა?“

— „არ ვიცი, ექიმო“.

— „რატომ ჩაიდინა ეს, ემალინ?“

— „არ... არ ვიცი, ექიმო“. — იმავე ხმით უპასუხა ქალმა. უფრო დიდი ხნით ჩამოვარდა სიჩუმე.

— „ჰმა... ჰმე... თქვენ იცოდით, რომ ის ბავშვს ელოდა, ემალინ?“

გაისმა ემალინის შემკრთალი, ძლივს გასაგონი ხმა:

— „ვიცოდი, ექიმო“.

— „ამიტომ არ იცით, რამდენ ხანს ეკიდა თოკზე... არ შედიოდით ოთახში! არა... არა, ემალინ, ჩემო ძვირფასო, საცოდავო... ამის თქმა არ მინდოდა“.

კვლავ გაისმა ქალის თავშეკავებული ხმა:

— „თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ მოწმობა, სადაც არ იქნება მოხსენებული...“

— „შემიძლია, რასაკვირველია, შემიძლია. მეკუბოვესაც მე მოველაპარაკები. ამაზე ნუ შეწუხდებით“.

— „გმადლობთ, ექიმო“.

— „ახლა წავალ და დავრეკავ. მაგრამ აქ მარტო ვერ დაგტოვებთ. გავიდეთ მეორე ოთახში, ემალინ. დასამშვიდებელ წამალს მოგცემთ...“

— ვისკი ჯონის, ვისკი?

იგი ისევ იღიმებოდა და გაბურძგნულ თავს აკანტურებდა. სქელმა კარლმა კიდევ დაუსხა. დათვმა ჯონიმ დალია, შემდეგ ოთახის კუთხისაკენ წავიდა, მაგიდის ქვეშ შეძვრა და დაიძინა.

დანა პირს არ უსწონიდა არავის. ჩუმად მიდიოდნენ დახლთან და ფულს დებდნენ. ყველა თავზარდაცემული იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ბარში ალექსი შემოვიდა. იგი სწრაფად მომიახლოვდა.

— გაიგეთ? — ჩუმი ხმით მკითხა მან.

— კი.

— ამის მეშინოდა! — წამოიძახა მან, — მე რა გითხარით ამ ორი დღის წინ? აი, ამის შიში მქონდა!

— თქვენ იცოდით, რომ ფეხმძიმედ იყო? — ვკითხე მე.

ალექსს ელდა ეცა. მან ოთახს მოავლო თვალი და ისევ მე შემომხედა.

— დათვი ჯონი? — გამოსცრა კბილებში.

თავი დავუქნიე.

მან თვალებზე მოისვა ხელი.

— არ მჯერა.

მე რაღაცის თქმა დავაპირე, ამ დროს ფრუტუნის მსგავსი ხმა მომესმა. უკან მივიხედე. დათვი ჯონი მაჩვივით გამოძვრა მაგიდის ქვეშიდან. ადგა და დახლისაკენ გაემართა.

— ვისკი?

იგი მათხოვარის თვალებით შესციცინებდა სქელ კარლს.

ალექსი შუა ოთახში გავიდა და ხალხს მიმართა:

— მისმინეთ, ამან ძალიან შორს შეტოპა, მე აღარ მსურს, რომ ასე გაგრძელდეს!

ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ თავი დაუქნიეს.

— ვისკი ჯონის?

ალექსი იდიოტს მიუბრუნდა.

— მის ემი გაჭმევდა, იმან მოგცა აი, ეგ ტანისამოსი.

ჯონიმ გაულიმა.

— ვისკი?

მან ისევ დაიწყო მაიმუნობა. გაისმა მელოდიური, ჩინურის მსგავსი ბგერები. ალექსს თითქოს გულს მოეფონა.

უცებ იგივე სიტყვები გაიმეორა მეორე ხმამ ბორძიკით, მხოლოდ ეს ცხვირისმიერი ხმა აღარ იყო.

ალექსმა ახლა კი ისე სწრაფად ისკუპა, რომ თვალი ვერ შევასწარი. მისი მუშტი დათვ ჯონს შიგ გაღიმებულ ტუჩებში მოხვდა.

— გითხარი, გეყოფა-მეთქი! — დაუყვირა მან.

დათვი ჯონი შექანდა, თუმცა არ დაცემულა. დახეთქილი ტუჩებიდან სისხლი წასკდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა. აუჩქარებლად, მსუბუქად მიუახლოვდა ალექსს და რვაფეხას საცეცებივით შემოაჭდო თავისი გრძელი ხელები. ალექსი წელში გაიღუნა. მე მივვარდი, ვსტაცე ხელი ჯონის ერთ მკლავს და ვცადე ამეგლიჯა ალექსის სხეულიდან, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. სქელი კარლი დახლზე გადმოგორდა ლუდის ტუმბოთი ხელში და იქამდე ურტყა აბურგძნულ თავს რკინის ტუმბო, სანამ დათვ ჯონს მუხლი არ მოეკვეთა და იატაკზე არ დახვავდა. ალექსს ხელი შევაშველე, მხარში ამოვუდექი და სკამზე დავსვი.

— რამე ხომ არ გატკინათ?

მან ძლივს მოითქვა სული.

— კინაღამ წელში გამწყვიტა, — თქვა ბოლოს, — არა უშავს, ტკივილი ჩქარა გამივლის.

— თქვენი „ფორდი“ აქ არის? შინ წაგიყვანთ.

ჰოუკინსების სახლს ისე ჩავუარეთ, რომ არც ერთს იქით არ გაგვიხედია. გზას თვალს არ ვაცილებდი. ალექსი რის ვაივაგლახით შევიყვანე თავის ჩაბნელებულ სახლში და ლოგინში ჩავაწვინე. ბრენდი შევათბე და ძალით დავალევინე. სახლამდე კრინტი არ დაუძრავს. ახლა კი ლოგინში, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— როგორ გგონიათ, მიხვდა ვინმე რამეს? დროზე გავაჩერე?

— არ მესმის, რას ამბობთ. მე ისიც ვერ გამიგია, რატომ გაარტყით დათვ ჯონს...

— ყური დამიგდეთ, — თქვა მან, — მე ალბათ რამდენიმე დღე ვერ ავდგები ლოგინიდან წელის ტკივილის გამო. თუ ყური მოკრათ, რომ ვინმე ზედმეტს ლაქლაქებს, ჩააკმენდინეთ ხმა!

— არ ვიცი, რას მეუბნებით...

მან თვალი თვალში გამიყარა.

— მე თქვენ გენდობით, — თქვა ბოლოს, — ის მეორე ჩინური ხმა მის ემის ეკუთვნოდა.

□

ვასილ შუკშინი

ნიშნოგა

მოთხრობა-ზღაპარი

რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

Იყო და არა იყო რა, სხვაგან იყო თუ აქ იყო, რა ბედენაა, ხომ იყო და! ჰოდა, იყო ორი ყმაწვილი — პესიმისტი და ოპტიმისტი, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და გაუთავებლად დაობდნენ ხოლმე. პესიმისტი ამბობდა: „ცხოვრება გახვრეტილ გროშად არა ღირს, გინდ ყოფილა და გინდ არა“. ოპტიმისტს, პირიქით სუყველაფერი მეტისმეტად მოსწონდა. „ცხოვრება სულ წინ და წინ ქროლვაა, შეუფერხებელი ქროლვა, ცხოვრება, ჩემო ბატონო, ას მეტრზე სირბილსა ჰგავს, აბა! — იტყოდა და დააყოლებდა: — იქნება საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს მოგახსენებდეთ, მაგრამ საქმე დიახაც ისაა, რომ მე არცა ვფიქრობ, თუ რა ვთქვა ცხოვრებაზე — ეს ცხოვრება მთელ ჩემს არსებას ავსებს და ისღა დამრჩენია, ვიმღეროო“. ჰოდა, ხშირადაც მღეროდა. პესიმისტი კი რაღაც ავისმანიშნებლად, „მეფისტოფელურად“ იცინოდა: ხა-ხა-ხაო.

— თქვენა და თქვენისთანებმა არ იცით, რაა ცხოვრება! — აყვირდებოდა ოპტიმისტი, — ჰოდა, იცოდეთ, ჭკუით იყავით!

— უკაცრავად გახლავართ, ჩვენ კი არა, თქვენ არ იცით, რაა ცხოვრება! — პასუხობდა პესიმისტი. — აი, ჩვენ ვიცით ბატონო, ჩვენ! ჩვენს სევდასა და კაეშანს აქვს გასამართლებელი მიზეზი.

— შენ ცდები, ალიკ!

— ხა-ხა-ხა! — მწარედ იცინოდა პესიმისტი ალიკი.

ერთხელაც ბევრი იკამათეს, იკამათეს, მუშტი-კრივამდე არ მისულან, თორემ არაფერი დააკლდათ, მაგრამ მაინც ვერაფერში შეთანხმდნენ. მაშინ ოპტიმისტმა ასე უთხრა პესიმისტს:

— მე ერთი ჯადოკაცი ვიცი, ვეახლოთ, ბატონო, და ვინ მართალია და ვინ არა, იმან განსაჯოს.

— ვიცი, კარგად ვიცი, რისთვისაც მოსულხართ, — უთხრა მათ ჯადოკაცმა, — გიშველით, დაგეხმარებით, აბა არა! მაგრამ ორივემ, ჯერ ერთმა და მერე მეორემ, მიჩვენეთ ცხოვრება ისე, როგორც თქვენ ხედავთ, და მხოლოდ მაშინ გეტყვით, რომელი ხართ მართალი.

— ყაბულსა ვარ! — ხალისიანად წამოიძახა ოპტიმისტმა.

— აგრე იყოს, სიამოვნებით გიჩვენებთ, — დათანხმდა პესიმისტი.

— აი, იმ სახლს თუ ხედავთ? — ჰკითხა მათ ჯადოკაცმა.

— ვხედავთ, როგორ არა ვხედავთ!

— იმ სახლში ერთი გასათხოვარი გოგო ცხოვრობს; ხვალ მის დასანიშნად ხალხი მოვა. მე მინდა, რომ ორივემ, ერთმაც და მეორემაც, ეს დიდი ამბავი ამ გოგოს ცხოვრებისა ისე მიჩვენოს, როგორც თვითონ დაინახავს.

როგორც თქვეს, ისეც ჰქმნეს. საღამოზე სამივენი მიადგნენ იმ გოგოს სახლს და მის პირდაპირ სკამზე ჩამოსხდნენ. ჯადოკაცმა საათზე დაიხედა.

— აბა ჰე, დროა. პირველი ვინ იქნება?

— მე ვიქნები, — თქვა პესიმისტმა. მოთმინება აღარ ჰქონდა.

ჯადოკაცმა პესიმისტს ჯადორტო მიაჩეჩა ხელში და უბრძანა:

— აიქნიე და ასე თქვი: „გამოიხე, გაიხეო, მიდი, მიდი, გაიღეო. ჯადორტოო, ჯადორტოო, გვიჩვენე ადამიანები, ოღონდ ყველა რომ ხედავს, ისე ნუ. აი, მე, მავანი კაცი, რომ ვხედავ, ისე გვიჩვენე“.

პესიმისტმა სწორედ ასე თქვა:

— გამოიხე, გაიხეო, მიდი, მიდი, გაიღეო. ჯადორტოო, ჯადორტოო, გვიჩვენე ადამიანები, ოღონდ ყველა რომ ხედავს, ისე ნუ. აი, მე ალიკი, რომ ვხედავ, ისე გვიჩვენე.

ასე თქვა თუ არა, საპატარძლოს სახლის კარი უმალ გაიხსნა და გამოჩნდა ტურტლიანი ოთახი. საპატარძლოს მთელი ოჯახი — თვითონ საპატარძლო, დედამისი, მამამისი და პაპამისი სხედან და ვახშმობენ.

საპატარძლოს დედა დაიხარა და მამამთილს ყურში ჩასძახა:

— ისე მაგრად კი თოხლაობ, მამილო!

— რაო?

— ჭამაც ესაა, შენ რომ ჭამ, მაგრად ჭამ-მეთქი.

ბერიკაცმა იწყინა, თეფში გვერდზე გააჩოჩა.

მას შვილი გამოესარჩლა, საპატარძლოს მამა.

— რა იყო, შენ წაგართვა ლუკმა? — შეუყვირა მან ცოლს.

— რა ვთქვი ახლა მე ისეთი, — აიფხორა საპატარძლოს დედაც. — თუ ჭამს, ჭამოს რა! ოღონდ ზომა კი უნდა იცოდეს ადამიანმა.

საპატარძლომ პაპას ყურში ჩასძახა:

— თანთქლე, პაპა, მიდი...

ბერიკაცმა თეფში მიიჩოჩა და ჩქარ-ჩქარა ილუკმებოდა.

ამ დროს ქუჩაში ხალხი გამოჩნდა. სასიძოს ოჯახის წევრები — თვითონ სასიძო, დედამისი და მამამისი — საპატარძლოს სახლს მოადგნენ. მათთან ერთად იყო ეშმაკმა არ იცის ვინაა.

— იმ ოთახს მე მაინც გადავტიხრავ და ჩვენ იქ ვიცხოვრებთ! — ყვიროდა სასიძო.

— ბუს კვერცხები არ გინდა? — ჰკითხა სასიძოს მამამ.

— მე მაინც ჩემსას ვიზამ!

— ვერ იზამ-მეთქი!

— ვიზამ-მეთქი.

— ვერა-მეთქი!

— აბა, სად უნდა იცხოვროს? — ჰკითხა ქმარს სასიძოს დედამ. — შენც კაი ვინმე ხარ.

— საცა უნდა, იქ იცხოვროს, ეგეც მე მადარდე, — მიუგო ქმარმა. — მე რომ ქალი შევირთე, მამაჩემმაც ასე მითხრა: „როგორც გინდა, ისე იცხოვრეო“.

— კანონი გაარკვევს ყველაფერს, — გულდაიმედებულად თქვა შვილმა.

— ასეა, სასამართლო გაარკვევს, — კვერი დაუკრა მამამ.

სიძე და მისი მშობლები სადარბაზოში შევიდნენ.

ამასობაში ოთახში საპატარძლოს დედა ჰყვებოდა:

— ეგ ჭირიანი დღეს სამზარეულოში მეუბნება „მეო ვიღაცამ დღეს კერძში ნავთი ჩამისხაო“, თან მე მიყურებს, კაცო! მე კიდევ ვეუბნები: „შენ თუ გგონია, რომ მე ჩაგისხი, ძალიანაც შემცდარხარ, ეგეთები სხვაგან მოიკითხე-მეთქი. ჩვენ-მეთქი ოჯახში ცხრანი გავიზარდეთ და ყველა ხალხი დადგა, შენ კი-მეთქი ერთიც ვერ...“

— დედა, მე ჩემი თვალით ვნახე, — თქვა საპატარძლომ.

პაპამ ჩაიცინა.

— რა ნახე შენი თვალით? — მკაცრად ჰკითხა დედამ.

— რა და ნავთი რომ ჩაუსხი.

პაპამ კვლავ ჩაიცინა, სხვებმაც ჩუმ-ჩუმად გაიცინეს. საპატარძლოს დედამ ჩაიქირქილა.

— მე მინდოდა მისთვის ნეჭა ჩამეგდო, მაგრამ გულმა არ მიქნა... ვერ შეველიე... — გამოტყდა იგი.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს,

— ვინ ოხერია, რომ აკაკუნებს, — წაიღრინა საპატარძლოს მამამ და კარის გასაღებად წამოდგა.

ოჯახში სიძე და მისი ამალა შემოვიდა.

— გამარჯობათ!

— კაი გამარჯობა, მობრძანდით!

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, უხერხულ დროს შეგესწარით...

— რას ბრძანებთ!.. აქა მშვიდობა...

ერთმანეთს ჩაუსალამქალამეს. ორნიღა დუმდნენ: პაპა და ეშმაკმა არ იცის ვინაა. ეშმაკმა არ იცის ვინაამ ოთახის მოთვალიერება დაიწყო.

— იქნებ ჩვენთან ივახშმოთ, ბატონებო! — სთხოვა სტუმრებს საპატარძლოს დედამ.

— ცათამდის გმადლობთ, — მიუგო სასიძოს მამამ, — საქმეზე გეახელით და...

— რა საქმეზე მობრძანებულხართ? — იკითხა საპატარძლოს მამამ, თითქოს ვერ მიხვდა, რაზე მოსულიყო ეს ხალხი.

— ვიტყვით, რაღა: გვითხრეს, თურმე საქონელი ჩაგიწვათ და ვერ გაგისაღებიათ, ჩვენა კიდევა, მუშტარი გვყავს და ეს მუშტარი უსაქონლობით მოგვიშივდა... რაღა ბევრი გავაბრტყელო, საქონელი და მუშტარი ერთმანეთს შევყაროთ და ამით მორჩება საქმე.. ისე ბინის საქმე როგორა გაქვთ?

— გესმით, ბინაო, გესმით! მისამართი შეგეშალათ! — ავარდა საპატარძლოს დედა.

— რაო, რაო? — სასიძოს მამამ შვილს შეხედა. შვილმა მამას ხელით ანიშნა: „არხეინად იყავი, უნდა გაიპრანჭოს ,აბა რა ქნას“. — ჩვენ მისამართი არ შეგვშლია, ჩვენ მისამართი არასოდეს გვეშლება, — ბრძანა სასიძოს მამამ.

— კარგი, ჰო, იქნებ მისამართი არ შეგშლიათ, მაგრამ ჩვენ კი საქონელი არ ჩაგვწოლია, — ნაწყენი კილოთი განუმარტა საპატარძლოს დედამ. — ჩვენს გვარში ეს არც როდის დაგვმართნია...

საპატარძლომ ამდენი უკვე ველარ მოითმინა და გაცეცხლდა:

— რა ამბავში ხარ, დედი? თითქო არ იცოდე, რაცა ხდება და როგორც ხდება... წესია ასეთი...

— ხმა-კრინტი არ გავიგო შენი! — დაუყვირა დედამ. — ენას კბილი დააჭირე. როგორმე უშენოდ დავადგამთ საქმეს თავს.

— თქვენ ქალის დასანიშნად ხომ არ მოსულხართ? — ითმინა და ვერ მოითმინა საპატარძლოს მამამ.

— დასანიშნად მოვედით, აბა!

— მერე თქვით და გაათავეთ, რა მიეთ-მოეთი აგიტყდათ.

— ვითომ შენ კი ვერ მიხვდი, რისთვისაც მოვედით! — უკბინა სასიძოს მამამ.

ეშმაკმა არ იცის ვინაა ამათ საუბარს ყურს არ უგდებდა, სახლის კუთხე-კუნჭულებს ათვალიერებდა. მერე ბერიკაცთან მივიდა და ჰკითხა:

— ეს განჯინა თქვენი გაკეთებული ხომ არაა?

— რაო, რა თქვი?

— განჯინა თქვენ ხომ არ გაგიკეთებიათ-მეთქი.

— არა, მე არ გამიკეთებია. ხელი კი არ მექავებოდა... მე რად უნდა გამეკეთებინა.

— შენ მაგ განჯინას რას მიშტერებიხარ? — იჭვნეულად ჰკითხა საპატარძლოს მამამ უცნობს. ეშმაკმა არ იცის ვინაა ამ დროს უკვე კარადას ათვალიერებდა. იმას საპატარძლოს მამისათვის პასუხი არც გაუცია.

სასიძო მთელი ეს ხანი კართან იდგა. საპატარძლოს რომ დედამისმა უთხრა, ენას კბილი დააჭირეო, სასიძო მკაცრი, გაშტერებული თვალებით მიაცივდა სასიდედროს. მერე თავი ველარ შეიკავა და თქვა:

— ჩვენ ბოდიში, ბატონო, დიდი ბოდიში, მაგრამ გამოთქმები არ გივარგათ, დედილოს ჭირიმე. თქვენა, ასე ბრძანეთ, ჩემო ბატონო, ენას კბილი დააჭირეო. მე ვერ დაგეთანხმებით.

ეს სიტყვები საპატარძლოს დედას თითქოს გაუკვირდა და თითქოს კიდეც ეამა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რა ქომაგი გამოუჩნდა ჩემს შვილსა! ვკერკერობით ეგ ჩემი შვილი გახლავთ და, როგორც მინდა, ისე ველაპარაკები. აი, შენი ცოლი რომ გახდება, მაშინ შეგიძლია პირი მომიმუწო, დიახ, ბატონო!

სასიძომ სასიდედროს ნათქვამში კარგი ვერაფერი იგუმანა და გაკერპდა:

— მე კიდევ არ გეთანხმებით-მეთქი სიტყვას შერჩევა უნდა. ასე მეც შემიძლია გითხრათ, ნუ ლაქლაქებთ-მეთქი. რომ გითხრათ, არც თქვენ დამეთანხმებით, ხომ მართალია?

სასიძოს დედ-მამამ გაიცინა. სამაგიეროდ, საპატარძლოს დედ-მამა მოიქუფრა.

— დაგეთანხმება, არ დაგეთანხმება რა შუაშია, — თქვა საპატარძლოს მამამ, — ასეთ რამეს მეტყვი და ერთს ისეთს წამოგითაქებ, კარგად მეყოლე...

სასიძომ მოწყალედ გაიღიმა, საპატარძლომ კი ჩაიკისკისა.

— მამიკო, მამიკო, — საპატარძლოს სახე გაბადროდა, — ეგ ხომ პირველთანრიგოსანი მოკრივეა. ორასორმოცდაათკილოიანი მუშტი აქვს.

საპატარძლოს მამა გაიტრუნა.

— არც კარადაა თქვენი გაკეთებული? — ჰკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ პაპას.

— რაო?

— კარადა თქვენ გააკეთეთ, თუ...

პაპამ შეხედა კარადას და, მე არ გამიკეთებიაო, მიუგო.

— კაი, ჰო, გეყოფა, — თქვა სასიძოს მამამ, — ეგ სულ ცარიელი ლაქლაქია. ბინა როგორი გაქვთ, ერთი ეს მითხარით, ოღონდ ტყუილებს მოუკვდა პატრონი.

აქ უცაბედად იფეთქა პაპამ:

— ეს რა უმსგავსოებაა, რა ბინაო, რისი ბინაო, ბინა რა შუაშია, თუკი ერთმანეთი უყვართ.

ყველა გაოცდა.

— შენ რა, ააფრინე? — ჰკითხა საპატარძლოს მამამ. — სადგისი ხომ არ შეგირჭვეს, შენ რო იცი, იქა...

— გაიღვიძა კაცმა, რას ერჩი, — დაგესლა საპატარძლოს დედამ, — სხვის საქმეში რას ეჩრები? შენი ადგილი სადაა, იცი? გითხრა, გითხრა, სადაა?

— რასაც ვამბობ, სწორს ვამბობ. ჯერ საპატარძლოს უნდა ჰკითხოთ, თანახმაა თუ არა. რას იტყვი, თანახმა ხარ, ჩემო შვილიშვილო, რომ ამ ბრიყვსა და ყეყეჩს მისთხოვდე?

სასიძომ კვლავ მოწყალედ გაიღიმა. ახლა ყველა საპატარძლოს შეაჩერდა.

სწორედ ამ დროს, თითქოს დაბარებულივით, მეზობელმა შინაბერამ შემოიხედა. მიათვალიერ-მოათვალიერა თუ არა იქაურობა, მაშინვე იაზრა, რაც ხდებოდა.

— ჰო, სტუმრები გყავთ? — გაიღიმა შინაბერამ, — მაპატიეთ, გეთაყვა, უთო მინდოდა მეთხოვა. კატია, — საპატარძლოს უთხრა, — მათხოვე უთო, შემოგევლე.

კატიამ ერთი პირობა გაიფიქრა, ახლა ამას სეირი უნდა დავმართო: გავიყვან სამზარეულოში და იმისთანა საქმეს ვიზამ, ძეგლი დამიდგან, — მოვკლავ ამ სულკატიანსო.

— არ ვიცი, რა ვთქვა, — ამოშაქრა გაოგნებულმა საპატარძლომ, — მაცალეთ, მოვიფიქრებ. ისე კი ჯერ ჩემი გათხოვება ადრეა.

ყველა შეცბა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, ასეა საქმე? — ჰკითხა სასიძომ, — იქნებ სულაც დავცილდეთ ერთმანეთს, აი, ზღვაში რომ გემები სცილდებიან, ისე... ამდენი ჰაიჰუი რად გვინდა?..

ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— კატია, — გაისმა ამ სიჩუმეში მეზობელი შინაბერას ხმა, — მე... მე უთოზე მოვედი... მაპატიე, გეთაყვა.

ხმა არავინ გასცა. კატიას უთოსთვის არ სცხელოდა. პაპა წამოდგა, უთო მოძებნა და შინაბერას მიაწოდა. იგი გავიდა. ეშმაკმა არ იცის ვინაამ პაპა შეაჩერა და ჩაეკითხა:

— ნეტავ ეს თაროები...

— დაიკარგე აქედან! — გაბრაზდა მოხუცი. — მე დურგალი არა ვარ! მემანქანე ვიყავი, შოფერი, — პი-პი-პი!.. გაიგე?

— რას მიყვირიხართ ნეტა! ყრუ კი არა ვარ ზოგ-ზოგებივით, აქ რომ...

— არა, მე მინდა გითხრათ, როგორ გავიგო, „ჯერ ჩემი გათხოვება ადრეაო“? — იკითხა სასიძომ.

— როგორა და ისე... — საპატარძლოს სულელური ნათქვამი გამოუვიდა და მთლად დაიბნა.

— როგორ ისე?...

— როგორ და ისე... არ მომეშვები ახლა? — სასოწარკვეთილ საპატარძლოს ტირილს არაფერი უკლდა.

— ყველაფერი გავიგე, — თქვა სასიძომ, — წავედით, მშობლებო.

— სამასხარაოდ ხომ არ მოსულხართ, რომ მიდიხართ? ასე მასხარები იქცევიან, — თქვა საპატარძლოს დედამ.

— იქნება გავიხუმრე, რა იცი, — სცადა საქმის გამოსწორება საპატარძლომ, — რა იცი, იქნება ისე ვთქვი, უბრალოდ...

— კაი ხუმრობაა, შენი ჭირიმე! — წამოიძახა სასიძომ, — მეც ვიტყვი, თუ ასეა: „ჯერ ჩემთვის ცოლის შერთვა ადრეა, ჯერ ჩემს გემოზე არ გამივლ-გამომივლია-მეთქი“. ნეტა თუ მოგეწონება ასეთი ნათქვამი, ჰა? არ მოგეწონება, რად უნდა ლაპარაკი.

— ისე არ უნდოდა ეთქვა, — ჩაილაპარაკა საპატარძლოს დედამ.

— მაშ როგორ უნდოდა ეთქვა? აქ კი გადმომკრეს, სულელი ხარო, მაგრამ მართლა სულელი კი არა ვარ! მე ხომ მესმის, როგორაც თქვა.

— გოგომ რიდი უნდა გამოიჩინოს, აბა, როგორ გინდა, — ჩაერია უსიამო საუბარში საპატარძლოს მამა, — მერე რა, რომ თანახმაა, მაინც უნდა თქვას, თანახმა არა ვარო, დიახ!

— დავფიქრდები-მეთქი, სხვა რა ვთქვი განა...

— დავფიქრდებიო!.. — იყვირა სასიძომ, — ხედავთ, დავფიქრდებიო, უთქვამს... ვიცით, ვიცით, გაგვიგია ეგეთი ოინები! დღეს იტყვის, დავფიქრდებიო, ხვალ კიდევ მეზობელს მოუჩოჩდება. ვიცით, ვიცით, გაგვიგია! ერთი ჩემი ძმაკაციც დაქორწინდა და იმ ცოლმა მეორე დღესვე რქები დაადგა.

— ჩვენც ვიცით ზოგი რამ, მაშა! — ალაპარაკდა საპატარძლოც, — ჩემს მეგობარ გოგოსაც ქმარმა უთხრა, მივლინებაში მივდივარო, და თურმე ჩვენს საერთო ნაცნობთან არ მიცუნცულდა! ჩემმა მეგობარმა ზედ წაასწრო ქმარს. ის კი, თავხედი რომ იქნება, ეუბნება: „ჩვენაო, ჩემო ბატონო, არაფერს არ ვშვრებოდით, თურქეთის სულთანს წერილს ვწერდითო!“

— ვითომ მეც კომიკი ვარო, არა? — გული მოუვიდა საპატარძლოს დედას.

— მე კიდევ ამხანაგი მყავდა, — გაიხსენა საპატარძლოს მამამ, — ნახე, რა ქნა: ცოლს კუროსთან წაასწრო და მეთოთხმეტე სართულიდან ისროლა.

— მოკვდა? — დაინტერესდა ეშმაკმა არ იცის ვინაა.

— კურო? რაღა თქმა უნდა. თუ ბიჭი ხარ, გადახტი მეთოთხმეტე სართულიდან და ნახავ...

— აი, მე რას ვიტყვი. მივდივარ გუშინ ქუჩაში და, — დაიწყო სასიძოს მამამ, — ვხედავ, ქმარი ცოლს, რაც ძალი და ღონე აქვს, ურტყამს და ურტყამს. მერე იმოდენა მუშტი ჰქონდა — ბავშვის თავის ხელა მაინც იქნებოდა. ვეუბნები:

რასა შვრები, ასე ხომ შემოგაკვდა-მეთქი. ჰე-ჰეო, მეუბნება, ქალი რაც უფრო ნაკლებ გიყვარს, იმას მით უფრო მოსწონხარო. მაგარი ტვინი იყო, ეტყობა, ვინმე დოცენტი თუა...

— თქვენთან ტუალეტი საერთოა? — ჰკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ საპატარძლოს მამას.

— საერთოა.

— ცუდი საქმეა, — თქვა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— ვისთვის ცუდია, ვისთვის არა, — საპატარძლოს მამამ კვლავ იჭვნეულად შეხედა ეშმაკმა არ იცის ვინაას, — კარგი გულითო, ხომ გაგიგიათ...

— მეზობლები როგორი გყავთ? არა უშავთ? — ჰკითხა ისევ ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— არა უშავთ: ეგაა, ტიმოშკა სოკოლოვი გრევს ხშირად. აგერ, ამ კედელს იქით ცხოვრობს. ნავახით დარბის ხოლმე, ზოჯერ მინებს ლეწავს.. გუშინ, მაგალითად, სახლში ნასვამი მოვიდა. ოჯახი კი — ესე იგი, შინაურები და ნაცნობები — ტელევიზორს უყურებენ. დაჯდა და იმანაც დაუწყო ყურება. ერთხანს უყურა და მერე ავარდა და დავარდა: „ამისთანა კალატოზი არ ვიცი მეო!“ დაშოშმინდიო, სთხოვეს, მაგრამ იმან თავისი აიჩემა: ასეთი არ მინახავს მეო, თვითონაც კალატოზი ვარ და ვიცი, სუ ტყუილია ეგაო. მარცხენა ფეხიდან ჩექმა წაიძრო და ტელევიზორს ესროლა.

— რამდენი მისცეს? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— თხუთმეტი დღე მისცეს. მე თვითონ ჩავიყვანე მილიციის განყოფილებაში . ვეუბნები, შენ კალატოზი კი არა, კრიტიკოსი ხარ-მეთქი.

— რომელი ტელევიზორი იყო? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— ჩვეულებრივი ტელევიზორი.

— რანაირი ჩვეულებრივი? ტელევიზორი ბევრნაირია.

— იმათ „რეკორდი“ ჰქონდათ, — თქვა საპატარძლომ.

— ყველაზე უარესი ჰქონიათ. თქვენ კიდევ, ვხედავ, სულაც არა გაქვთ ტელევიზორი.

— ტელევიზორი დაეიდარაბაა მხოლოდ, მეტი არაფერი, — გაკერპებით თქვა სასიძომ, — ერთ ჩემს მეგობარს ტელევიზორი ჰქონდა. ერთხელაც მეზობელთან ერთად დაღვმას უყურებდნენ, სიყვარულზე იყო. შუქი, ცხადია, ჩამქრალი ჰქონდათ. ჰოდა, ერთმა მეზობელმა იმ ჩემი მეგობრის ცოლს ხელის ფათური არ დაუწყო! ქალი წინ იჯდა, ქმარი და მეზობლები უკან. დაუწყო ამ მეზობელმა ჩემი მეგობრის ცოლს ხელის ფათური და ქალი კიდევ კითხულობს: ვასია, შენა ხარ? ვასია ქმარს ერქვა, ჩემს მეგობარს. ვასია კი ტყემალზე ზის რაო, რა გინდაო, ეკითხება. არაფერიო, ცოლმა, შენ მეგონეო, აბა!

— უყურე შენ! — შეიცხადა საპატარძლოს დედამ.

— ხახვივით შერჩენია! — ალტაცებით წამოაძახა სასიძოს მამამ.

— მე რომ მკითხოთ, ჩემთვის ტელევიზორი გინდ ყოფილა და გინდ არა, — თქვა საპატარძლომ, — მე ფანჯარაში ყურება მირჩევნია.

— მაგ ტელევიზორში არაფერი ყრია ნამდვილად, — კვერი დაუკრა დედამისმა.

— რატომ ამბობთ, ზოგჯერ კი შეიძლება უყუროს კაცმა, — უთხრა სასიძომ, — ტელევიზორის სულ უნახავბაც ჩამორჩენილობაა. მაგრამ შუქის ჩაქრობა რა საჭიროა?

— მაშ, მაშ, ასეა!.. — მიატანა საპატარძლოს დედამ, — შუქს რომ ჩააქრობენ, მერე, რასაკვირველია...

— ეგრეა, ეგრე, წყალი არ გაუვა, — საპატარძლოს მამამაც დაუდასტურა.

— შუქი თუ ანთია, ტელევიზორს, რალა თქმა უნდა, შეიძლება უყურო ადამიანმა, — გამოასწორა თავისი ნათქვამი საპატარძლომ, — მეც ამის თქმა მინდოდა. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ერთ ჩემს მეგობარ ქალსაც აქვს ტელევიზორი... როგორც კი დამინახავს, ყოველთვის ამას მეკითხება: „ტელევიზორის საყურებლად რატომ არასოდეს შემოივლიო?“ ეგ არაფერი, თქვენ უყურეთ-მეთქი. რატომო, ვიცინებთ მაინცაო. არაფერია. უჩემოდ უყურეთ-მეთქი. რატომ ვეუბნები? იმიტომ, რომ ვიცი, ტელევიზორს მიუჯდებიან თუ არა, შუქს მაშინვე ჩააქრობენ.

— აბა უყურე! — აღშფოთდა საპატარძლოს დედა. — „ვიცინებთ მაინცაო!“ მორთავენ ოხოხოიას და ვერც შეატყობ, როდის დაგიწყებენ ხელების ფათურს. მე ჩემს ქალიშვილს სულ იმას ვეუბნები, არასოდეს გაიცინო-მეთქი. ზოგჯერ მეტყვის ხოლმე, კინოში გამიშვიო. მე კიდევ ვეუბნები: სიცილი გინდა, თორემ რად მიდიხარ, ისეთი რა უნდა ნახო-მეთქი?

— რატომ, ზოგჯერ კი შეიძლება სიცილი, რატომ არ შეიძლება. თუ კომედია გადის რამე. მიდი, იცინე, რამდენიც გინდა, ამიტომაც აწერენ აფიშაზე „კომედიაო“, — სასიძო სულ უფრო და უფრო თამამდებოდა, — მე თვითონაც მიყვარს კომედიები...

— ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, — დაეთანხმა საპატარძლოს მამა. რაც უფრო თავდაიმედებულად იქცეოდა სასიძო, მით უფრო მეტად შესციცინებდნენ მას თვალებში საპატარძლო და მისი დედ-მამა.

— სხეული რა შუაშია აქ? — პირქუშად იკითხა სასიძომ.

— მე იმ აზრით ვთქვი, რომ კინოს მეც პატივს ვცემ-მეთქი.

— მერე გამოთქმები ხომ უნდა შეარჩიოთ.

— ცამდე მართალი ბრძანდებით.

— ისე კი, კაცმა რომ თქვას, კინო გახრწნილებაა, — თქვა სასიძომ, — აიღებ ბილეთს და არც იცი, ვინ მოგიჯდება გვერდში. ისეც ხდება, რომ ვიღაც ჭკუამხიარული ჩიტუნია მოგისკუპდება და რა გინდა მერე ქნა!.. ათასნაირი სუნამოს სურნელს გინიავებს და გინიავებს!.. რაღა დროს ეკრანია, ეკრანი ვის ახსოვს?! ათასი ფიქრი გიტრიალებს თავში, ხი-ხი-ხი!..

ყველამ ხმამაღლა გაიცინა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა საპატარძლოს მამამ.

მოკრძალებით შემოვიდა ხნიერი მოქალაქე. ხელში გაზეთი ეჭირა.

— რა ამბავია, ჩემო კარგო მეზობელო? — გულითადი ხმით ჰკითხა საპატარძლოს მამამ.

— ცოტა ჩუმად ვერ ვიქნებით, ამხანაგებო?!

— დღეს იცით, ჩვენ საგანგებო შემთხვევა გვაქვს, კატიას ვათხოვებთ.

— გასაგებია, მესმის, მაგრამ მაინც... ხომ გამიგეთ, გეთაყვათ?

— ჰო, კარგი.

მოკრძალებული მამაკაცი გავიდა.

— ეგ ვინაა? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— ერთი წვრილფეხა ბულალტერია... საძაგელი ვინმეა, დალახვროს ეშმაკ-

მა! ამას წინათ ბაღლინჯოს ვხოცავდით ნავთით და კარი გამოვაღეთ, რაღა თქმა უნდა, — ოთახი ხომ უნდა განიავებულიყო. ჰოდა, სუნი დერეფანში გავიდა. ამ მამაძაღლმა კი თავი განგებ წაიკრა პირსახოცით და ასე თავწაკრული დადიოდა: „თქვენმა ნავთმა თავი ამატკივაო“...

— „თქვენმა ნავთმა ამატკივაო“... მისმა მზემ! ალბათ წინა ღამეს გაილეშა და იმან აატკივა თავი, — გულმოსულად თქვა საპატარძლოს დედამ.

— ყლაპავს? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— კუჭი ამოჭრილი მაქვსო, გაიძახის, მაგრამ რა შვილია, ალბათ ჩუმ-ჩუმად ხუხავს. ახლა ვიღა არა სვამს!

— აი, მეც ამას წინათ ჩემს ძმაკაცებთან ერთად მაგრად შევუბერე კაფეში. შინ ძლივს მოვიტანე თავი, — მხიარულ გუნებაზე დადგა საპატარძლოს მამა, — რაზმელები რომ არა, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

— თუ ჭინჭყლი და ჩხუბი არ გიყვართ, რატომ არ უნდა დალიოთ? — ჩაურთო სასიძოს დედამ, — ზოგი ისეთია, წრეს გადადის.

— არა, ეგა დამჯერე გვყავს, — ალერსიანად თქვა საპატარძლოს დედამ.

საპატარძლოს მამას აშკარად ეამა ცოლის სიტყვები და თავის ქებას მოჰყვა:

— მე შინ მოვალ თუ არა, მაშინვე ვწვები, ჰო, ზოგიერთი კი ხან სად დაბოდიალობს, ხან სად, ადგილზე ვერ დააბამ. მე კიდევ მაშინათვე შინ მოვდივარ ხოლმე და საბანში გავეხვევი.

— მამიკო როგორც კი დაგვითვრება, გრამაფონივით დაიქოქება და მღერის და მღერის! — საპატარძლო თვალებით მიესიყვარულა მამას.

ნასიამოვნებმა მამამ გაიცინა.

— იტყვი, მაგრამ რას იტყვი, შვილო.

— რაო, ტყუილი ვთქვი? დედა მამას ლანძღავს და თათხავს, მკვდარსა და ცოცხალს უგინებს, მამა კიდევ მღერის და მღერის თავისას.

— ხი-ხი-ხი... არა, მე მართლა ვერაფერი გამიგია ამისთანა ხალხისა: დათვრებიან და რას არ წარმოიდგენენ ხოლმე, ესა ვარო, ისა ვარო! კარგია, რომ ამისთანა ხალხს ბრძოლა გამოუცხადეს. დათვერი, ძმაო? ადექი და წადი შინ! სიტყვას უბატონოდ ვინ გაგცემს. პირიქით, სამაგალითო, თითით საჩვენებელი კაცი იქნები.

— თუ აყალმაყალი არ გიყვართ, რატომ არ უნდა დალიოთ, — ისევ თქვა სასიძოს დედამ.

— ცხონებული მამაჩემი, იმისი სული გაანათლოს მამაზეციერმა, კატიას პაპა, — გაიხსენა საპატარძლოს დედამ, — ასეთი კაცი იყო სწორედ. ოქრო, იყო ოქრო! ღმერთო დიდებულო, სვამდა, მაგრამ რას სვამდა! ნახევარლიტრიანს ერთად გადაუშვებდა მუცელში. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთვის უხეირო სიტყვა ეთქვას ან შეეგინებინოს ქუჩაში, — არასოდეს! მოვიდოდა, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ იღიმებოდა, „ადამიანო, აი, მეც მოვედიო“. იტყოდა და მორჩა. ყველას უყვარდა. სვამდა და სმამ გადაიყოლა ის უბედური.

— მე კიდევ არაფერი მამახსოვრდება, ეს ოხერი, — თქვა სასიძოს მამამ, — გამელვიძება დილით და ვფიქრობ, ნეტა სად ვიყავი გუშინ ან ვისთან ვიყავიმეთქი...

— ეს ვერაა კარგი ამბავი, — რიხიანად განაცხადა საპატარძლოს მამამ, — ასე შეიძლება კაცმა თავი დაიღუპო. ამას წინათ ჩვენთან ერთი გაასამართლეს...

— ჩემს მეგობარსაც ვერ დაემართა ამას წინათ კარგი საქმე, — ჩაერია საუბარში სასიძო, — ცოლთან ერთად წავიდა ერთ ჩვენს საერთო ნაცნობთან, დალიეს, რადიოლა ჩართეს და ცეკვა დაიწყეს. უცბად ეს ჩემი მეგობარი ხედავს, რომ მის ცოლს რაღაც თვალები უბრწყინავს. ჰოდა, თავი მოიმთვრალუნა, მერე უცბად შევარდა სამზარეულოში და რას ხედავს: იქ მის ცოლს ჩვენი საერთო ნაცნობი არ კოცნის! შუქი, ცხადია ჩამქრალი იყო.

— უყურე შენ! — ახლაც შეიცხადა საპატარძლოს დედამ.

— ისე კი უმარჯვნია, კაცო! — წამოიძახა საპატარძლოს მამამ.

— იმან რა ქნა? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ. — გამოაგდო?

— ვინა?

— ვინა და ქმარმა?

— სიტყვაც არ უთქვამს.

— კაი, კაცო!

— ჩვენი საერთო ნაცნობი და ის ქალი რომ სამზარეულოდან გავიდნენ, ქმარმა მაცივარი გააფუჭა და გალიიდან თუთიყუში გამოუშვა. სულ გაუშვა — ფანჯრიდან გააფრინა!

— ხედავ, რა უმარჯვნია, კაცო!

— აი, მე ვერაფერი გამიგია ამ ცეკვის მოყვარული ქალებისა! — ჩაერია საუბარში საპატარძლო. — რა ჰყრია ამ ცეკვაში? ციბრუტივით ტრიალებენ გაუთავებლად, გული აგერევა მაგათი ყურებით.

— რატომ, ზოგჯერ კი შეიძლება იცეკვო, რატომაც არა. საერთოდ კი ეს გახრწნილებაა, საკუთარი გამოცდილებით ვიცი: რომელიმე ფოეფოეს ეცეკვები და ეგ კოდევ რაგინდარა სუნამოების სურნელს გინიავებს და გინიავებს. ხი-ხი-ხი...

ყველამ კვლავ ხმამაღლა გაიცინა.

კარზე ისევ დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა საპატარძლოს მამამ.

შემოვიდა ხნიერი მოქალაქე, კვლავ გაზეთი ეჭირა.

— ამხანაგებო, ცოტა უფრო წყნარად იქნებით?

— იცით რა! — გაწიწმატდა საპატარძლოს დედა, — ის გირჩევნიათ გამოშუშდეთ ხოლმე ხეირიანად! ამ ლოთებმა არ წაგვჭამეს თავი!

მოქალაქემ თვალები დააჭყიტა.

— თქვენ რაო, ხომ არ ააფრინეთ?

საპატარძლოს მამამ მოქალაქისაკენ გაიწია.

— რაო, რა თქვი? მე რაღაც კარგად ვერ გავიგე... აბა, გაიმეორე, მიდი, გაიმეორე ერთი...

სასიძომ იგი შეაჩერა და თავაზიანად მიმართა მოკრძალებულ მოქალაქეს.

— ამხანაგო, მე ახლა თქვენ დაგამახინჯებთ, დაგახეიბრებთ... ერთს ამოგდებთ და... გათავებულია თქვენი საქმე... აბა, დამიდექ! — დაიძახა მან და მოქალაქის შესაშინებლად წინ წაიწია.

მოქალაქე ოთახიდან გავარდა. ახლაც ყველამ გაიცინა.

— ამისთანებს ასე უნდა მოექცე, — თქვა საპატარძლოს დედამ.

— რანაირად გათავხედდა ეს ხალხი! — აღშფოთდა საპატარძლოს მამა, — ქუჩაში ვერ გაგივლია კაცს, არ იქნება ფეხი არ დაგადგან. მე ამას წინათ ორივე ხელზე დამადგეს ფეხი.

ეშმაკმა არ იცის ვინაა ცნობისწადილით მიაჩერდა საპატარძლოს მამას.

— მე კიდევ მოვდივარ ქუჩაში, ჩემო ბატონო და, — სიტყვა ჩამოართვა სასიძოს მამამ, — ორნი მიახლოვდებიან. „მოდიო, მესამე შენ იყავი და დავლიოთო“. ფული არა მაქვს-მეთქი. ჰოდა, ერთმა მუშტი ამომარტყა აი, აქა და მეუბნება: „რა ცხვირს მაღლა იწევ, ძაღლო-მამაძაღლოო“.

— ასეთ შემთხვევებში მაშინვე აი, აქ უნდა ამოარტყა, — თქვა სასიძომ, მივიდა მამასთან და გულის კოვზი აჩვენა, — აი, აქ უნდა მოარტყა!..

— ვაიმე!

— ჩვენთან ამას წინათ ასეთი ამბავი მოხდა: მე და ჩემი მეგობარი შევედით პარკში...

— ერთი წუთით უნდა შეგაწყვეტინოთ, — გაისმა ეშმაკმა არ იცის ვინაას ხმა, — აი, მე ვერ გავიგე, როგორ დაგაბიჯეს ორივე ხელზე ფეხი?

საპატარძლოს მამამ ხარხარით ჭერი ჩამოიღო. სხვებიც ახორხოცდნენ და ეშმაკმა არ იცის ვინაას ისე მიაჩერდნენ, როგორც უსაშველო ბრიყვსა და ბენტერას.

— როგორა და აი, ასე! — წამოიძახა საპატარძლოს მამამ, ჩაიოთხა და ოთახში გაიარა, — წამოდით, წამოდით ჩემკენ.

ეშმაკმა არ იცის ვინაა ადგილიდან არ დაძრულა.

— მიდი, კაცო, მიდი, — წაუბიძგა მას სასიძომ.

ეშმაკმა არ იცის ვინაა საპატარძლოს მამისკენ წავიდა.

— აი, მე მივდივარ შინისკენ, — უხსნიდა ჩაოთხილი საპატარძლოს მამა. — მივდივარ, ხომ? შენ კი გამვლელი ხარ... ჰოდა, გვერდზე ჩამიარე, მოდი, მოდი!

— რატომ?

— მოდი, კაცო, ნუ გეშინია!

ეშმაკმა არ იცის ვინაამ გვერდზე ჩაუარა.

— ხომ მოდიხართ? — ჰკითხა საპატარძლოს მამამ.

— მოვდივარ.

— ახლა ხელზე დამაბიჯე ფეხი... დამაბიჯე, მოდი!

— ა-ა! — როგორც იყო, მიხვდა ეშმაკმა არ იცის ვინაა.

ისევ გაიცინა ყველამ. საპატარძლოს მამა წამოდგა, მუხლისთავები დაიფერთხა.

— აი, ყმაწვილო, როგორ აბიჯებენ ხელებზე კაცს, — უთხრა მან ეშმაკმა არ იცის ვინაას და შემწყალედ გაუღიმა.

— ჰო, შენ და შენი მეგობარი შეხვედით პარკში და... — გააწყვეტა საპატარძლომ სასიძოს და წინასწარ შეჰღიმა.

— დიახ, მე და ჩემი მეგობარი შევედით პარკში და უცბად მეუბნება: აქ ერთი ტიპია. გოგო წამართვა, წამოდი, გავესაუბროთ, როგორც ეს ჯენტლმენების წესიაო. მეც ერთი ისეთი ვხიე იმას აი აქ, რომ მთელი ოცდაშვიდი წუთი ნოკაუტში ეგდო.

— რა მაგარი ვინმეა!

— მე მხოლოდ ვერ გავიგე, ვინ ეგდო ნოკაუტში: შენი მეგობარი თუ ის ტიპი? — იკითხა საპატარძლოს დედამ.

— ის ტიპი, — დაუზუსტა სასიძომ, — ფერდში ვლენწე.

— ერთი წუთით შეგაწყვეტინებთ: ბინის ქირა რამდენი გიწევთ? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— ხუთი და რაღაც კაპიკებია, — მიუგო საპატარძლოს მამამ.

— განაგრძეთ.

სასიძოს მამა ისევ საქმეს დაუბრუნდა.

— რა ვქნათ ახლა, როგორ გადავწყვიტოთ ეს ჩვენი საქმე? — იკითხა მან ყველას გასაგონად.

— მე ხომ გასაგებად ვთქვი: არაფერი გამოვა-მეთქი, — თქვა სასიძომ, — ჩვენ ერთმანეთს დავცილდებით, როგორც ზღვაში სცილდებიან გემები.

სამიოდე წუთი ხმა არავის ამოუღია. ყველა სასიძოს მიჩერებოდა.

— მე ტყუილი ბაქიბუქი არ მიყვარს, — განმარტა მან, — თავიდანვე აკი ვთქვი, „ვიცით, ვიცით, ეგეთი ოინები გაგვიგია-მეთქი“.

პაპამ ხმამაღლა გაიცინა.

— უსინდისო! — იყვირა საპატარძლომ და აზლუქუნდა.

საპატარძლოს მამასაც ცოტა დააკლდა, შეურაცხყოფისაგან ატირებულიყო, ადგა და თოფის ჩამოსახსნელად წაიწია.

— მოკრივე ვარო! მოკრივე ხარ, ხომ? — თოფი ჩამოხსნა მან და ჩახმახი შეაყენა, — იყავი მერე, თუ ხარ... მე თქვენ ახლა ამ ორლულიანით...

ოთახიდან წივილ-კივილით პირველი სასიძოს დედა გავარდა, მერე სასიძოს მამა, შემდეგ სასიძოც მიჰყვათ. ეშმაკმა არ იცის ვინაა დარჩა, ამ აურზაურზე ყურიც არ შეუბერტყავს, ოთახში დაალაჯებდა და ფართობს ზომავდა.

— შენ რა გინდა აქ, ვის დაკარგვიხარ? — დაულრიალა საპატარძლოს მამამ, — ვინ ოხერი ხარ?

— მე იმათი მდგმური გახლავართ, ევგენი ელიზაროვიჩ ლიზუნოვი, — მშვიდად აუხსნა ეშმაკმა არ იცის ვინაამ. — რას იტყოდით, მე და თქვენი ქალიშვილი რომ შევუღლდეთ?

საპატარძლომ სულელივით დააღო პირი.

დედამისმა ხელზე იბწკინა. საპატარძლოს მამამ რატომღაც ლულაში ჩაჭვრიტა თოფს და მერე კედელზე ჩამოკიდა.

— დალახვროს ეშმაკმა, — თქვა მან, — ვერაფერი ვერ გამიგია.

— რა ვერ გაგიგია, რა?! — ეცა მას მეუღლე, — რა არის აქ გაუგებარი! მთლად გამოტვინდი თუ რა ამბავია შენს თავს?

ლიზუნოვმა გაიცინა.

— ეგრეც ხდება, განა არ ხდება. მეცნიერულად ამას პირველი სტადია ჰქვია.

— მოკუმე პირი, — უჩურჩულა შვილს დედამ, მერე ღიმილით მიუბრუნდა ლიზუნოვს: — ძალიან მარჯვედ და მარიფათიანად კი მოგვიდექით, აი... პირდაპირ გასაოცარია, ღმერთმანი!

ლიზუნოვმა პიჯაკი გაიხადა, ფაქიზად გადაკიდა სკამზე და სახელოები დაიკაპიწა.

— ცხოვრება, დედილო, რთული რამაა. მომიტევეთ, აბაზანის მიღება თუ შეიძლება? კარგი იქნება პირსახოცს და საბავშვო შამპუნს თუ მომართმევთ. ქერტლმა შემაწუხა და...

— მოგართმევთ, წამოდით, გაჩვენებთ, — დაფაცურდა საპატარძლოს დედა, — შენ, კატიუშა, სუფრა გააწყვე. შენ კიდევ, — ქმარს უთხრა, — მაღაზიაში გაიქეცი...

ლიზუნოვი ღიღინ-ღიღინით გაემართა აბაზანისაკენ:
— გვერდზე ოცი ოქროს კბილი...

ამ დროს ჯადოკაცმა პესიმისტს ჯადორტო გამოართვა და აიქნია. სახლის კედლები კვლავ დაიბურა.

— შენ მართალი არა ხარ, ალიკ! — წამოიძახა აღელვებულმა ოპტიმისტმა და სკამის ახლოს ბოლთის ცემას მოჰყვა, — ნეტა ვიცოდე, საიდან მოიტან ხოლმე ამისთანა რაღაცებს!

— ხა-ხა-ხა!-გადაიხარხარა პესიმისტმა.

ჯადოკაცმა ამასობაში თავისი ჯადოსაათი ორი საათით უკან გადასწია და რტო ოპტიმისტს მიაჩეჩა.

— ახლა შენი რიგია. დრომ ორი საათით უკან დაიწია. იგივე ამბავი მეორდება. მოდიან ქალის დასანიშნად. აბა, გვიჩვენე, შენ როგორ დაინახავდი ამ ამბავს.

ოპტიმისტმა ჯოხი ააქნია და დაიძახა:

— გამოიხე, გაიხეო, მიდი, მიდი, გაიღეო ჯადორტოო, ჯადორტოო, გვიჩვენე ადამიანები, ოღონდ ყველა რომ ხედავს ისე ნუ. აი, მე, ედუარდი, რომ ვხედავ, ისე გვიჩვენე.

ესა თქვა და საპატარძლოს სახლის კედლებიც უმალ გაიხსნა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უკვე ვნახეთ, და მაინც ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ხალხი იგივე დარჩა და მაინც სულ სხვა ხალხი იყო. ოთახში თითქოს ყველაფერი ისევ ისევე იდგა და მაინც სულ სხვანაირად ჩანდა...

— ნალდად კაი მადა გაქვთ, მამილო! — მხიარულად ჩასძახა ყურში მოხუცს საპატარძლოს დედამ.

— რაო, რა თქვი?

— ჩინებული მადა გაქვთ-მეთქი.

— ო, მადას არ ვუჩივი, რაც მართალია, მართალია. მახსოვს, იმპერიალისტურ ომში რომ ვიყავი, ნაძლავზე მთელი ცხვარი შევჭამე. მაგრამ მაშინ კაჟივით ვიყავი კაცი, კაჟივით. სამი გერმანელი ხიშტზე ამიცვამს და თავს ზემოთ გადამისვრია.

— უნდა დაწეროთ ეს ყველაფერი, პაპა, უნდა დაწეროთ, მდიდარი ბიოგრაფია გაქვთ, მდიდარი.

— ვწერ კიდეც, ჩემო კარგო, წიგნს ასე ერქმევა: „ხელები მაღლა, მტრებო!“ თუ გულით გინდა, სადილის შემდეგ წაგიკითხავ.

— სიამოვნებით მოგისმენდით, — გაიბადრა საპატარძლო.

— მიირთვით, მამილო, მიირთვით, — ახალ კერძს აწვდიდა მოხუცს საპატარძლოს დედა, — მერე ჩვენ ყველას ერთად წაგვიკითხავთ და ყველა სიამოვნებით მოგისმენთ.

ქუჩაზე ჩამოივლის სასიძოს ოჯახი და მათთან ერთად ეშმაკმა არ იცის ვინაა. საპატარძლოს სახლისკენ მიდიან.

— როიალი, მაცივარი, ტელევიზორი თქვენ გქონდეთ, თქვენთვის მიჩუქნია, — ეუბნება სასიძოს მამამისი, — თქვენ ახალგაზრდები ხართ, გამოგადგებათ.

— გმადლობთ, მამა! — გრძნობამორევით პასუხობს შვილი, — მაგრამ მირ-

ჩევნია ეგ ყველაფერი ჩემი დანაზოგი ფულით შევიძინო.

სასიძოს მამას სახე გაუნათდა.

— მესმის, ჩემო კარგო, მესმის, თავმოყვარეობა გალაპარაკებს, ღირსება! აი, სწორედ ასეთი მინდოდა მენახა ჩემი ვაჟი.

დედამ შვილი განზე გაიყვანა და უჩურჩულა:

— მამას უნდა გამონაცვალი „პობედა“ გიყიდოთ თავისი დანაზოგით.

— „პობედა?“

— სუ!.. ამაზე კრინტი არ დასძრა. მოულოდნელ საჩუქარს გიმზადებს.

შვილი მამას დაეწია, მოეხვია და შუბლზე ეამბორა.

— ეს რა ამბავია? — ვაჟკაცური სიმკაცრით უთხრა მამამ, — რისთვის მკოცნი?

— ყველაფრისათვის, მამა, ყველაფრისათვის!

სასიძოს დედა და ეშმაკმა არ იცის ვინაა უკან მოჰყვებოდნენ მამაშვილს.

— რა შესანიშნავი შვილი გყოლიათ! — თქვა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

დედას სიხარულისაგან ცრემლი მოერია, მაგრამ თავს სძლია და გაიღიმა.

ყველანი სადარბაზოში შევიდნენ.

ოთახში კი საპატარძლოს დედა ჰყვებოდა:

— დღეს მარია ნიკოლაევნას წავეჩხუბე.

— რატომ, რა მოხდა? — ჰკითხა ქმარმა. — რაზე წაიჩხუბეთ?

— დღესაო მეზობლის ბავშვთან დარჩენა მე მიწევსო, მე კიდევ ვუმტკიცებდი, შენ კი არა, მე მიწევს-მეთქი.

— კი მაგრამ, დედა, იმ ბავშვთან თქვენ გუშინ არ დარჩით? მარია ნიკოლაევნა მართალია.

— ეგ ეგრეა, მაგრამ ბავშვი ძალზე შემეჩვია, — თავი იმართლა დედამ, — თანაც „ჟილინს და კოსტილინს“ ვუკითხავდი და არ ჩაგვითავებია.

— ო, რა მოთხრობაა! — სახე გაუნათდა პაპას. — რანაირად ჩაახვევდა ხოლმე დალოცვილი გრაფ ტოლსტოი! რა ოსტატია, ღმერთო, რა ოსტატი! ოღონდაც ბიოგრაფია ჰქონდა ცოტა... ისეთნაირი... ისე კი ოსტატია, უკეთესი რომ არ იქნება!

— ნამდვილი ოსტატია, — დაეთანხმა საპატარძლოს მამა, — და რაც ასე განსაცვიფრებელია, უკიდურესად სადაა და ლაპიდარული!

— საქმეც ეგაა. მეც, მაგალითად, ჩემს წიგნში „ხელები მაღლა, მტრებო!“ მინდა ამბები ძალზე უბრალო, სადა ენით გადმოვცე. მაგრამ ძნელი საქმეა, ძნელზე ძნელი! კარგად მესმის ტოლსტოისა, „გაჩუმება არ შემიძლიაო!“ რომ ამბობდა. ზოგჯერ ისეთი მღელვარება დაგეუფლება, გინდა იმ შენს გმირს სიფათი მიუნგრიო, მე უარყოფით გმირზე ვამბობ, გინდა, უკაცრავად სიტყვაა, მკვდარი და ცოცხალი აგინო, მაგრამ რა გაეწყობა, როგორც იტყვიან, კორ-რექ-ტულად უნდა წერო. ფუი! ჯერ სიტყვა ნახე, რასა ჰგავს: კორ-რექ-ტულადო...

— როგორ ფიქრობთ, როდისთვის დაასრულებთ წიგნს, პაპა? — ჰკითხა საპატარძლომ.

— ვფიქრობ, ამ ხუთიოდე წელიწადში მოვრჩე. ეს იქნება ჩემი ნოკრძალებული, მცირე საჩუქარი მომავალი თაობებისათვის.

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა საპატარძლოს მამამ.

შემოდის სასიძოს ოჯახი.

სასიძო: საღამო მშვიდობისა!

სასიძოს მამა: გამარჯობათ!

სასიძოს დედა: საღამო მშვიდობისა! ღმერთმა შეგარგოთ, შეგარგოთ!

ეშმაკმა არ იცის ვინაა: გამარჯობათ, ამხანაგებო!

საპატარძლო: გამარჯობათ!

საპატარძლოს მამა: მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

საპატარძლოს დედა: მობრძანდით! დაბრძანდით!

პაპა: მობრძანდით, დაგვეწვიეთ პურის ჭამაზე, მოგეხსენებათ, კაი გულით...

— ბოდიშს კი ვიხდი, რომ ასე გვიან შეგაწუხეთ, — დაიწყო სასიძოს მამამ, — მაგრამ საქმეს, როგორც იტყვიან, გადადება არ უყვარს.

— მობრძანდით! — შეიპატიჟა საპატარძლოს მამამ, — რა სათქმელია! დაბრძანდით, დაგვეწვიეთ.

— გმადლობთ, გმადლობთ, მაგრამ ეს-ესაა ვივახშმეთ და მაშინვე აქეთ წამოვედით.

სასიძომ და საპატარძლომ ერთმანეთს გადახედეს. საპატარძლო გაწითლდა. პაპა ბებრული, ეშმაკურად აციმციმებული თვალებით შეაცქერდა ქალ-ვაჟს.

— აბა, ბრძანეთ, ამხანაგებო, რაზე გარჯილხართ? — ჰკითხა სტუმრებს საპატარძლოს მამამ. ჩანდა, ვერაფერს მიმხვდარიყო.

— ჩვენ გეახელით, ასე ვთქვათ, ფრიად საჩოთირო საქმეზე, — დაიწყო საპატარძლოს მამამ. ეტყობოდა, ღელავდა, — ამ ახალგაზრდებს, თქვენს ქალსა და ჩემს ვაჟს, თურმე ერთმანეთი უყვართ.

საპატარძლოს მამა ძალზე გაოცდა. საპატარძლოს დედას არ გაკვირვებია, მაგრამ ისიც შესამჩნევად აღელდა. პაპა კი კეთილი ბებრული ღიმილით იღიმებოდა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. საპატარძლომ თვალები დახარა.

— მე, ჩემდათავად, ბევრი ვესაუბრე ჩემს ვაჟს, — განაგრძო სასიძოს მამამ, — ვფიქრობ, ქალის პატრონად გამოდგება.

საპატარძლოს მამა მღელვარებისაგან ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ამ ეშმაკის ფეხს დამიხედეთ... მე ჩერჩეტი ვფიქრობდი, ჯერ ისევ ბავშვია-მეთქი, ამან კიდევ, ხედავ, გათხოვება მომინდომა! რატომ არ მითხარი, თუ გიყვარდა ვინმე და გათხოვებას აპირებდი? ნუთუ მე ასეთი კონსერვატორი, ჩამორჩენილი კაცი ვარ?..

— რა ვქნა, მამიკო, შემრცხვა, ვერ გაგიმხილე, ვიცოდი, რომ კონსერვატორი არა ხარ და მაინც... მე ახლაც სირცხვილისაგან ვიწვი, ამხანაგებო!.. რა ვთქვა, არ ვიცი!.. — საპატარძლოც ძალიან ღელავდა.

— ასე რატომ უნდა მომხდარიყო, შვილო? მიკვირს, ნამდვილად მიკვირს, არ დაგიმალავ: გაოცებასა ვარ. ასეთი ამბავი დაუმალო მამას...

— მოეშვი ახლა ბავშვს, რას გადაეკიდე, მიკოლა, — გამოესარჩლა შვილიშვილს პაპა, — ახალგაზრდობა თავის კანონებს ცხოვრებას კარნახობს. მათი გაგება ზოგჯერ ჩვენს ძალას აღემატება. თავის დროზე შენც ხომ მითხარი, რომ...

— მაშინ სხვა დრო იყო, მამა...

— მე ახალგაზრდების ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გარემოებაზე,

რომ ქორწინება ძალზე საპასუხისმგებლო ნაბიჯია, ჩემო შვილებო, — მიმართა ქალ-ვაჟს საპატარძლოს დედამ, — ვიცოდი, რომ თქვენ მეგობრობდით, ყველაფერი მითხრეს მეზობლებმა და თქვენმა მასწავლებლებმა. მაგრამ ვერ წარმოგიდგენიათ, ჩემო შვილებო, რამდენად სერიოზული და საპასუხისმგებლოა ეს ნაბიჯი, — დედა აჭირდა.

— დამშვიდდი, დედაკაცო, — უთხრა დედას საპატარძლოს მამამ, — ცხოვრება ცხოვრებაა. ნორჩი იზრდება, ხნიერი — ბერდება. რაო, როგორა გგონია, ვითომ დიდი ხანია, რაც მე და შენ სადგურის ბაქანზე ვიდექით... მაშინ მე უკიდურეს ჩრდილოეთში მივდიოდი.. .მიფრინავს ეს ტიალი დრო, მიფრინავს! — მამას ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა.

— ეგრეა, ეგრე... ჩვენც ვიდექით ერთ დროს სადგურის ბაქანზე, — სასიძოს მამასაც ჩამოუგორდა ობოლი მამაკაცური ცრემლი.

ეშმაკმა არ იცის ვინაა ახლოს მოვიდა პაპასთან და ჰკითხა:

— გავიგე, წიგნსა წერთო, პაპა?

— ვწერ, ყმაწვილო, ვწერ.

— რა ერქმევა? „ბერიკაცის ჩანაწერები“, არა?

— ვერ გავიგე?

— „ბერიკაცის ჩანაწერები“ ერქმევა-მეთქი, გეკითხებით?

— გატყობთ, ცუდი აზრისა ხართ ჩვენზე, ყმაწვილო! — იწყინა პაპამ, — რომელი „ბებრები“ ჩვენა ვართ ერთი?! განა ადამიანის დაბერება წლებს შეუძლია?

ეშმაკმა არ იცის ვინაამ გაიცინა.

— არა, მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა. ვიცი, ვიცი, წლები არაფერ შუაშია.

— ეგრეა, აბა! სამოცდაცხრამეტი წლისა ვარ, მაგრამ ზოგ-ზოგ ცხრამეტი წლის ჭაბუკზე ახალგაზრდა ვარ. მერე და როგორაო, მკითხავთ, როგორა და ცხოვრებას არ ვგრჩები უკან! აი, ზოგიერთები კი... აბა, ახალგაზრდებო! — სასიძოს და საპატარძლოს მამებს მიმართავს, — რა ცხვირი ჩამოგიშვიათ?! გულს ნუ გაიტეხთ, მაგრად იყავით, მაგრად.

პაპამ მხედრული სიმღერა წამოიწყო:

ვჭექოთ ძმებო, ჩვენებური...

ყველა ხმამაღლა იცინის.

შემოდის დროული მოქალაქე, ენციკლოპედია უჭირავს.

— საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო!

საპატარძლოს მამა: გამარჯობა, მეზობელო!

საპატარძლოს დედა: გამარჯობათ, სემიონ კუზმიჩ!

პაპა: დაგვეწვიეთ, კუზმიჩ!

საპატარძლო: გამარჯობათ, ძია სემიონ.

სასიძოს მამა: გამარჯობათ!

სასიძოს დედა: სალამი!

სასიძო: გამარჯობათ!

ეშმაკმა არ იცის ვინაა: გამარჯობათ!

— კაცო, მესმის, რალაც მხიარულება გაქვთ, შევალ-მეთქი ერთი და შემოვედი აგერ.

— აი, ესენია მხიარულების მიზეზი,— მიუგო საპატარძლოს მამამ და ქალვაჟი უჩვენა, — ჩემი გოგო თხოვდება.

— რას ამბობთ, ხალხნო! — იყვირა მოქალაქემ, — კატიუშა, შვილო!.. მომილოცავს, ჩემო კარგო, მომილოცავს! — მივიდა, საპატარძლოს შუბლზე ეამბორა, — ის სადღაა, ისა!.. ა, აგერ არაა! — მკაცრად, ამავე დროს ალერსიანად შეათვალიერა მან სასიძო, — რას ერჩი, არა უშავს... კარგია! აბა, არსენი ნაზარიჩ, რას იტყვი?

— მე ის მინდა, ცხოვრებას არ ჩამორჩეს, მეტი არაფერი, — შეეხმიანა მოხუცი.

—არა, კარგი ბიჭია, კარგი... გილოცავთ, ყმაწვილო, სულითა და გულით გილოცავთ! თქვენ, შეიძლება ითქვას, განძს მიაგენით, განძს.

— კაი ერთი, სემიონ კუზმიჩ, ჩვენს დროში განძი რა ბედენაა, — უსაყვედურა მოქალაქეს პაპამ.

— სიტყვაზე ვთქვი, არსენი ნაზარიჩ. არა, კარგი საქმეა, ღმერთმანი! კატიუშას ხომ მე, ეეე, რა დროიდან ვიცნობ, ამხელა იყო, ა, მაგიდის ქვეშ ფეხშიშველა დატუსტუსებდა. რა ჩვიდმეტი წელი გამიქრა თვალსა და ხელს შუა, აფსუს!

— ეგეთი საუბარი არ მიყვარს, ხომ იცი, სემიონ კუზმიჩ, — ისევ დატუქსა პაპამ, — რა ვიშვიში აგიტყდა!

— ისე ვამბობ, სიტყვაზე, არსენი ნაზარიჩ. არა, კარგია, ღმერთმანი! აბა, ახალგაზრდებო, ერთი წუთით მომითმინეთ... — სემიონ კუზმიჩი იდუმალი სახით გავიდა.

— კუზიანს სამარე გაასწორებს! — გაიცინა საპატარძლოს მამამ, — ახლა რალაცას გამოიტანს საჩუქრად. ხომ ვიცი, რა კაციცაა.

— პატარა რომ ვიყავი, — ხმა ამოიღო საპატარძლომ, — ძია სემიონს პლანეტარიუმში დავყავდი, მანქანებს მიჩვენებდა და მეუბნებოდა: „იცოდეთ, თქვენ იმ ვარსკვლავებზე ახვალთო“, თან ტიროდა.

— ეგა ციოლკოვსკივით კაცი გვყავს, — ჩაურთო საპატარძლოს მამამ, — ეგეც სულ რალაცეებს ხაზავს. რომ ვკითხავ, რას ხაზავ, რას იგონებ-მეთქი, ხელს აიქნევს და მეტყვის: „რალაცას ვაკეთებ, აზრები არ მასვენებსო“.

— ამ ბოლო ხანს კი ცოტა მოტყდა, — გულისტკივილით შენიშნა პაპამ.

შემოდის სემიონ კუზმიჩი და შემოაქვს ტელევიზორი.

— ახალგაზრდებო, გთხოვთ მიიღოთ ეს მცირე საჩუქარი.

— რას ამბობთ, ძია სემიონ! — შეიცხადა საპატარძლომ.

— რას შვრებით, სემიონ... სემიონ კუზმიჩ! — შეწუხდა სასიძოც.

— გთხოვთ, გთხოვთ... ბევრი ცერემონია არაა საჭირო, არ მიყვარს, იცოდეთ, არ მაწყენინოთ, ჩამომართვით, მძიმეა, ძლივს მიჭირავს.

სასიძომ ტელევიზორი ჩამოართვა.

— გმადლობთ.

— იცოცხლე. ამ სიბერეში...

პაპა სემიონ კუზმიჩს თითით დაემუქრა.

— კუზმიჩ!..

— კარგი, კარგი, ხმას არ ამოვიღებ.

სემიონ კუზმიჩი მხედრულ სიმღერას წამოიწყებს, პაპაც აჰყვება. ყველანი ხმამაღლა იცინიან.

სემიონ კუზმიჩმა საათს დახედა.

— თქვენთან ყოფნას რა სჯობია, ძვირფასნო, მაგრამ საქმე საქმეა: ერთ ქარაქუცას ამხანაგური სასამართლო უნდა მოვუწყოთ. წარმოგიდგენიათ, რა იმაიმუნა: იუკადრისა, ლიფტში უკულტურო საქციელისთვის სახლის აქტივის კრებაზე რატომ გამაკრიტიკესო, და მივიდა შინ, ყველა ოთახი ააბდღვიალა, ყველგან შუქი ჩართო დღისით-მზისით, აბა!.. უთოც კი ჩართო, ელექტროქურაც და იჯდა ასე.

— უსირცხვილო! — მკაცრად წამოიძახა პაპამ. — უკაცრიელ რაიონში უნდა გაასახლო ეგა.

— ეგ კიდევ არაფერი: სიმღერა არ დაიწყო! მეზობლები, ბუნებრივია, აღშფოთდნენ, გაჩუმდიო, თხოვეს. და რა გგონიათ, რა უპასუხა? მეო არ ვიცოდიო, ჩვენი სახლის კედლებში სიმღერა თუ ასე ატანდაო.

— ეს უკვე თავხედობაა, — თქვა საპატარძლოს მამამ, — არ ცოდნია, ბიჭო სიმღერა ასე თუ ატანდა კედლებში. მიამიტი ბავშვი ვარო, არა?

— ჩვენს დროში ბევრი იმიამიტებს თავს, — თქვა ეშმაკმა არ იცის ვინაამ. — ჩვენთან, ინსტიტუტშიაც იყო ერთი ბიჭი... „მეო, ამბობს, ვერ გავიგე, რემარკი რატომაა ყოველთვის ცუდიო...“

— ამისთანას ერთხელ რომ ასწავლი ჯკუას, მერე გაიგებს... — თქვა პაპამ.

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა საპატარძლოს მამამ.

შემოირბინა საპატარძლოს მეგობარმა მეზობელმა ქალიშვილმა.

— ღმერთო ჩემო! კატია!..

— ზინა!

გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— კატია!

— ზინა!

— კატკა!

— ზინკა!

სემიონ კუზმიჩმა გაიცინა, ხელი აიქნია და განზე გადგა.

— ახლა, მორჩა, რომ დაიქოქებიან, აღარ გამორთავენ, — თავი მოიბრაზიანა პაპამ და ეშმაკმა არ იცის ვინაას მოუბრუნდა. — რაო, თქვენც წერთ, ყმაწვილო?

— ვწერ, კი.

— რაზე წერთ, თუ საიდუმლო არაა?

— „სამი მეგობარი“ ჰქვია — რემარკს გავუსწორებ ანგარიშს. ჩემებიც სამნი არიან: დიმკა, ტოლიკა და ბობი. ამას რომ დავამთავრებ, ახლა სხვა რამეს ჩავუჯდები — ჰემინგუეის გავცემ საკადრის პასუხს.

— აი, ეს მომწონს, ყოჩაღ, — შეაქო პაპამ. — როგორც იტყვიან, ჩემი მხრივ დამილოცნიხარ. ჩვენ ეგენი დღის სინათლეზე უნდა გამოვიყვანოთ, უნდა ვამხილოთ, უნდა შევაჯანჯღაროთ! მე, მაგალითად, ჩემს წიგნში „ხელები მაღლა, მტრებო!“ ყველას ვამხილებ, ყველას, ვინც კია ამ ქვეყანაზე! საჭიროა, ჩემო ძმაო, საჭიროა.

— მაშ ასე, ახალგაზრდებო, — ქალ-ვაჟს მიუბრუნდა საპატარძლოს მამა, — შეუღლება და დამოუკიდებელი ცხოვრება გადაგიწყვეტიათ. როგორ ფიქრობთ იცხოვროთ? პირველ ყოვლისა, თქვენ მინდა გკითხოთ, ყმაწვილო...

სასიძო შუა ოთახში გამოვიდა და ალელვებით დაიწყო:

— მე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეიოლება, რადგან ამას წინათ ერთი ახალგაზრდული გაზეთის ანკეტა შევავსე: — „რა აზრისა ხართ ოჯახსა და ქორწინებაზეო“. მე დაწვრილებით შევეხე იქ თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახს, მის, ასე ვთქვათ, იდეურ ავანჩავანს. მე იქ გამოვთქვი, ჩემი ფიქრით, საინტერესო აზრი: თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახი ვერ იარსებებს ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გრძნობის გარეშე, დიახ...

— სწორია, — მოუწონა საპატარძლოს მამამ.

— შემდეგ მე ვთქვი, რომ თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახი წარმოუდგენელია ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთთან დაახლოების გარეშე.

— სწორია.

— აი, ეს ოთხი კომპონენტი, სამი ვეშაპის მსგავსად, შეადგენს, ჩემი აზრით, თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახის საფუძველთა საფუძველს.

— ეგრეა, ეგრეა.

სასიძო სულ უფრო და უფრო ეშხში შევიდა.

— მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, — განაგრძობდა იგი რიხიანად, — რომ დღევანდელი თანაცხოვრების ამ ოთხი კომპონენტიდან რომელიმე ერთიც რომ გამოვრიცხოთ, ახალგაზრდა ოჯახი დაირღვევა. მე აგრეთვე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ განქორწინების პროცესი ჩვენს კანონმდებლობაში მეტისმეტად გართულებულია. შეიძლება მემარცხენეთა გულისწყრომა დავიმსახურო, შესაძლოა გადამეტებული ტენდენციურიც მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ვამბობდი და ვამბობ: გაზეთებში განქორწინების განცხადებების გამოქვეყნება... ეს... ეს წარმოუდგენელი მკრეხელობაა!

ყველა სულგანაბული უსმენდა ეშხში შესულ სასიძოს.

— თქვენ იურისტი ხართ? — ჰკითხა მას საპატარძლოს მამამ.

— მე, ასე ვთქვათ, ანტიიურისტი ვარ, — თქვა სასიძომ და თავისსავე ხუმრობაზე გაეცინა. — მე ფილოლოგი გახლავართ. მაგრამ მთავარი, თქვენც მოგეხსენებათ, პროფესია არაა. მე დიდად მაღელვებს ამ საკითხის ადამიანური მხარე. მართლაც, აი, თქვენ მოხვედით სამსახურიდან, მიიღეთ აბაზანა, ივახშმეთ და წამოგორდით დივანზე. მშვენიერ გუნებაზე ხართ, იღებთ გაზეთს და ათვალიერებთ. ყველაფერი რიგზეა. და უცებ „მარია ივანოვნა ზაგოგულკინა...“

ყველანი ხმამაღლა იცინიან.

— „საქმეს ალძრავს ზაგოგულკინთან განქორწინების თაობაზე“.

ყველა კვლავ ხმამაღლა იცინის.

— სასაცილოა ესა? — კითხულობს სასიძო, — არაა სასაცილო, სამ-წუ-ხაროა! შენ წამოგორებული ხარ შენს ნებაზე, მშვენიერ გუნებაზე, ამ დროს კი სადღაც თავისი ოჯახური ბედნიერების ფერფლზე ცრემლს აფრქვევს ის ზაგოგულკინა მარია ივანოვნა...

არავინ იცინის.

— სადღაც იღუპება კარგი ადამიანი — ზაგოგულკინი! მხოლოდ იმიტომ იღუპება, რომ დროზე ვერ მიაქციეს ყურადღება, არ იზრუნეს მასზე, — სასიძოს თვალები ჭეშმარიტი მრისხანების ნაპერწკლებს კვესავს, — როგორ შეგიძლია შენ ამ დროს იწვე დივანზე, როგორ შეგიძლია თავს არხეინად გრძნობდე, როცა სადღაც უბედურდება ოჯახი! ადექი, წადი, ნახე ის ზაგოგულკინი, ესაუბრე, გა-

„ქართველები“

ილია ჭავჭავაძე

ሀሚድዲንቴ ምሳዩ

„ቦኻይው ክሰራሥዮ ዶዒ“

(ፈረንሳውነትቲ ክሰራሥዮ)

„ლეონიდეგი ვეკი“

ლადო გუდიაშვილი

„მსახიობი ქალები“

იგე, რა ხდება მის თავს და მხოლოდ ამის შემდეგ წამოგორდი. მანამდე კი როგორ ბედავ წამოგორებას! მე დავამთავრე.

— ეგრე უნდა მაგათ, ეგრე, ყმაწვილო! — იყვირა პაპამ. — ნამეტანი ტენდენციური გამოჩნდებით? ამან არ შეგაშინოთ. ტენდენციურიო. მოიგონებენ რალაც სიტყვებს...

— მაგრამ შენს თავსვე რომ ეწინააღმდეგები, ახლა, — შენიშნა საპატარძლომ.

— ვითომ რატომ?

— გაზეთში რომ არ გამოეცხადებინათ, ამ უბედურებას ხომ ვერ გაიგებდი.

— გეყურება? არა, თუ გეყურება? — პაპამ სიამოვნებისაგან ხელისგულები მოიფშვნიტა, — აი, მიყვარს ასეთი დაკადუკი!

სასიძო თვალებით მიეალერსა საპატარძლოს.

— ეს იმიტომ მომივიდა, რომ შენ ასე გსურს.

— მაგრამ გაზეთში ის განცხადება რომ არ დაბეჭდილიყო, შენ ვერ გაიგებდი ამ ამბავს და კარგ გუნებაზე იქნებოდი, — დაიჩემა საპატარძლომ. მას თვალებში ნაპერწკლები აუციმციმდა.

— ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ უგაზეთოდ მე ცხოვრებას ვერაფერს გავუგებდი? — ჩაეკითხა სასიძო.

ყველანი ცნობისმოყვარედ უსმენდნენ ახალგაზრდებს და მოწყალედ იღიმებოდნენ.

— მე არ ვამტკიცებ, გაზეთების წაუკითხავად შენ ცხოვრებას ვერაფერს გაუგებ-მეთქი. ამისათვის არსებობს კინო, რადიო, ტელევიზია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ უგაზეთოდ ზაგოგულკინის კონკრეტულ დრამას ვერ შეიტყობდი.

— ვინა, მე? იმ ზაგოგულკინს ორ კვარტალს იქითაც ვიცნობ! — წამოიძახა სასიძომ. — მოდის დანაღვლიანებული კაცი და — სდექ! — ვაჩერებ. რა ამბავია, ამხანაგო, რა გაწუხებს? აბა, მითხარი, ნუ გერიდება, რა დაგემართათ შენ და შენს ცოლს, ჰა? ეგ სულ ერთია, ზაგოგულკინი იქნება ის კაცი, თუ სხვა ვინმე.

— შენ იცნობ, მაგრამ სხვა ვერ იცნობს. ყველას ერთი არშინით ნუ ზომავ. რამდენიც გნებავს ახალგაზრდა კაცს ვიცნობ, არხეინად, სინდისის შეუწუხებლად რომ ჩაუვლიან გვერდით იმ შენს ზაგოგულკინს.

— მეც მანდა ვარ, — წამოიძახა სასიძომ და თითი საპატარძლოსაკენ გაიშვირა, — ამის თქმა მინდოდა მეც, ამის!.. აი, ვის უნდა ვებრძოლოთ — გულგრილ ხალხს! სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა განქორწინებაზე წამოვიწყე საუბარი.

— ყველაფერი ეს სწორია, ყმაწვილო, — უთხრა სასიძოს პაპამ. — მოძწონს, რომ ასე შეუპოვრად იცავთ თქვენს შეხედულებებს. ჩემი აზრით, ცოტა ზედმეტად კი ფიცხობთ, მაგრამ ეს თანდათან გაგივლით. გავა დრო, დადინჯდებით და გაგიადვილდებათ იმ ერთადერთი ზუსტი სიტყვების პოვნა, გზას რომ გაგიკვალავს ბედნიერი ცხოვრებისაკენ. მე სხვა რამე მინდა გკითხოთ: რას ფიქრობთ ოჯახური ცხოვრების მეორე მხარეზე, ასე ვთქვათ, მატერიალურზე?

სასიძო შეიჭმუხნა.

— იცით, როგორღაც დღეს ამაზე საუბარი არ მინდოდა...

— არა, არა, ბრძანეთ, — ჩააცივდა პაპა. — მესმის, რომ ჩემი კითხვა რამდენადმე საჩოთიროა, მაგრამ ჩვენ, ჭარმაგმა ხალხმა, ვიცით, რომ ამ საკითხმა ბევრს გაუჩინა თავსატეხი.

— მაშ, კარგი. ჯერ ერთი, ჩვენ გვექნება ორი ოთახი, ორი ტელევიზორი, მინდა გავამხილო... — სასიძომ გაიცინა და მამის ძხარეს გაიხედა, — რა ვქნა, ძალიან მიხარია და ვერ დავმალავ: მამა გამონაცვალ „პობედასაც“ ყიდულობს ჩემთვის.

ოთახში ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა. ყველა ამრეზით და პირქუშად მიაჩერდა სასიძოს. იგი მიხვდა ბოლოს, თუ როგორ შეირცხვინა თავი, როცა ასეთი ბრიყვული, უადგილო, არარაობით მოგვრილი სიხარული გამოამჟღავნა, და ფრიად შეცბა.

— გაეთრიე აქედან, — ბრძანა პაპამ.

— აი, თურმე რა კაცი ყოფილხარ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა საპატარძლოს მამამაც, — ამქვეყნად მხოლოდ „პობედა“ გახარებს, არა? მე ვუერთდები მამაჩემის მოთხოვნას — გაეთრიეთ აქედან! ვფიქრობ, რომ ჩემი ქალიშვილიც დაგვეთანხმება.

— კი, მამა, გეთანხმებით, გეთანხმებით... მე... მე თურმე არ მცოდნია, სინამდვილეში რა კაცი ყოფილა... — საპატარძლო ატირდა. — როცა მე და ის ოჯახურ ცხოვრებაზე ვსაუბრობდით, იგი მხოლოდ ოთხ კომპონენტზე ლაპარაკობდა. „პობედაზე“ სიტყვა არ დასცდენია. მე იგი კეთილშობილი, ზედმიწევნით უზადო პიროვნება მეგონა. სინამდვილეში კი, ღმერთო, ვინა ყოფილა!.. ხედავ, თურმე საკუთარ „პობედაზე“ ფიქრობს. როგორ მოვტყუვდი, როგორ!..

— მეც მხოლოდ დღეს შევიტყვე...

— არ გაბედოთ! — პაპამ ყავარჯენი იატაკს დაარტყა, — ხმა-კრინტი! თქვენ თუ საკუთარი „პობედა“ ასე გიხარიათ, ღმერთს მადლობა უთხარით, რომ ჩემი სტუმარი ხართ და არ შემიძლია ამ ყავარჯნით მიგბეგვოთ, რადგან მე კეთილშობილი ადამიანი ვარ! შეგიძლიათ რესტორანში მიბრძანდეთ!

— მე შეძრწუნებული ვარ, ამხანაგებო, — სასიძოს მამა გადაფითრებული ჩანდა, — მიმძიმს ლაპარაკი, მიმძიმს... ვერ ვცნობ შვილს... უდავოა, რაღაც გამომრჩა თავის დროზე მისი აღზრდისას, რაღაც ვერ შევამჩნიე. დიახ, მე ნამდვილად მინდოდა მისთვის „პობედა“ მეყიდა. მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ „პობედის“ ყიდვა გამოააშკარავებდა, რა პატარა მესაკუთრე იმალება თურმე მის არსებაში. მე თვითონ მთელი ჩემი ცხოვრება მიმუშავნია. აი, ამ ხელებით ვასხამდი გაზიან წყალს, — სასიძოს მამა წინ იშვერს ხელებს, — ხშირად ვერ ვიცლიდი ჩემი ვაჟისათვის, მისი აღზრდა ბებიას დავაკისრე და აი, შედეგიც.

სასიძოს დედაც ატირდა.

— ანდრუშა, შვილო... რამდენჯერ გითხარი: იმ ახალგაზრდებთან ნუ გაივლი, ცუდი ბიჭებია-მეთქი. შენ კიდევ რას მეუბნებოდი? „კარგი ხასიათი აქვთ. რა მაგათი ბრალია, რომ არტისტები არიან“. მე გეუბნებოდი...

სასიძოს მამა: ვაი, ჩემს მოსწრებას!

საპატარძლოს მამა: ყველაფერი გასაგებია!

საპატარძლოს დედა: ამას რას ისმენს ჩემი ყურები!

პაპა: გასაგებია, გასაგები!

საპატარძლო: ჰოო!!

ეშმაკმა არ იცის ვინაა: — ჰოო...

— თანაც მე ვიცოდი, — განაგრძო საუბარი სასიძოს დედამ, — რომ ერთი არტისტი ცოლს გაეყარა, მეორემ საზოგადოებრივი ხაზით საყვედური აიკიდა, უფროსებს უდიერად მოექეცით... უსამართლო განაჩენიაო, ქვა ააგდო და თა-

ვი შეუშვირა მან, მაგრამ მე მაინც არ დავუჯერე. განაჩენი და უსამართლო?! ეგ სად გაგონილა.

სასიძო მიტკალივით გათეთრებულიყო. მან ეშმაკმა არ იცის ვინაას გადახედა.

— ტოლიკ, უთხარი, რომ არტისტები ცუდი ხალხი არაა... სიტყვა მაინც ამოიღე, შე დალოცვილო!..

— შენთან ლაპარაკიც არ მინდა!— მოუჭრა ტოლიკამ, — ამას იქით შენი ამხანაგი აღარა ვარ. ეს-ესაა იძახდი, გულგრილობას ვებრძოლოთო, თურმე კი ცრუობდი! შენ ხომ ზაგოგულკინს ვერც იცნობ, ამას წყალი არ გაუვა. უარესს გეტყვი, იმ შენი საკუთარი „პობედით“, ვიცი, ზედაც გადაუვლი! ჰო, დაეჯახები და ზედ გადაუვლი! ჩაუფიქრდი დღევანდელ დღეს, ვიდრე გვიან არაა, მიხვდე უნდა, რომ უფსკრულის პირას დგახარ, ჭვავის ყანაში! რომ ამბობდი, განქორწინებაზე რად იწერება გაზეთებშიო, მაშინაც ცრუობდი! რა ხანია განქორწინების განცხადებებს უკვე აღარ ბეჭდავენ გაზეთები! ტყუილების გუდა ხარ, მორჩა და გათავდა!

— ადამიანები ასეთ ამბებში ამჟღავნებენ ხოლმე თავიანთ თავს, — მკაცრად თქვა პაპამ, — შემთხვევით როდი წამოვიწყე საუბარი, ცხოვრების, ასე ვთქვათ, მატერიალურ მხარეზე. როდესაც ეს ვაჟბატონი ოთხ კომპონენტზე ლაპარაკობდა, მის სიტყვებს რალაცნაირად დამაჯერებლობა აკლდა, რალაცას არ ამხელდა ბოლომდე. მე ვერ გამაცუცურაკებ, ყმაწვილო! ვერაფერს გამომაპარებ, იცოდე შენი დედ-მამა მებრალება, ასეთი შვილის ყოლა ვერაფერი იმედია.

— მივხვდი, ამხანაგებო, ჩემს დანაშაულს, — საწყალობლად ამოიკნავლა სასიძომ, — სირცხვილისაგან აღარ ვარ კაცი... მე... მე... ჩემი მტერი ჰყოს ჩემს დღეში... — მან ძლივს შეიკავა ცრემლი, მერე ხელი ჩაიქნია და ხალხს არც დამშვიდობებია, ისე გავარდა გარეთ.

— არა უშავს, ჯერ ცხოვრება წინა აქვს, გამოსწორდება, კაცი დადგება, — ისევ ისე მკაცრად ბრძანა პაპამ. — მიეშველოთ უნდა, დღეს მარტო ნუ დატოვებთ.

— ვაი სირცხვილო! — ბორგავდა სასიძოს მამა, — თავლაფი თუ გინდა, ესაა!.. ნახვამდის, ხალხნო!

— აი, უხეიროა ამხანაგები სანამდე მიიყვანს ადამიანს, — თქვა სასიძოს დედამ, — ნახვამდის.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

— კარგად მეყოლეთ, — მიატანა პაპამ, — ოღონდაც დღეს მარტო ნუ დასტოვებთ. მისი ოთახიდან გაიტანეთ დანები, ჩანგლები და საერთოდ ყველა მჭრელი საგანი... ნურც მელანს დატოვებთ, არც იმის ნება მისცეთ, რომ სასოწარკვეთილი ლექსები დაწეროს.

სასიძოს დედ-მამა წავიდა. შუა ოთახში გამოვიდა ეშმაკმა არ იცის ვინაა (იგივე ტოლიკი).

— ნიკოლაი არსენიჩ, და თქვენც, ანა ივანოვნა, თქვენ, არსენი ნაზარიჩ, — ტოლიკს ხმა უთრთოდა. — ერთი სიტყვით, მე გთხოვთ მომათხოვოთ თქვენი შვილი და შვილიშვილი. გთხოვთ მომიტევოთ თავხედობა.

საპატარძლოს დედა: რაო?

საპატარძლოს მამა: რაო?

პაპა: რაო?

— მე დიდი ხანია კატია მიყვარს, მაგრამ ვიცოდი, რომ იგი მეგობრობდა აი იმ... იმასთან... არ მინდოდა მათი ბედნიერებისათვის ხელი შემეშალა.

— ეს კეთილშობილური საქციელია, ყმაწვილო!

— მე ფილოლოგიური ფაკულტეტის ბოლო კურსზე გახლავართ, ძველი არაბების ენას ვსწავლობ. დიპლომს დავიცავ და უკიდურეს ჩრდილოეთში გავემგზავრები. ზოგს შესაძლოა ეს ახირებულად მოეჩვენოს, იქ ნეტა რატომ მიდისო, თქვას. მე კი მწამს, რომ ძველი არაბული ენის ცოდნა სუსხიან ტუნდრაშიც გამომადგება.

— მერედა განა ეს ცუდია! — წამოიძახა პაპამ, — პირიქით, კეთილშობილური საქმეა.

— ჯერჯერობით კი საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ, ცარიელ-ტარიელი ვარ, ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მიჭყავის. მაგრამ ყველაფერი წინა ძაქვს. თუ ეს გეჩოთირებათ, ბარემ მითხარით და თქვენზე ფელეტონს გავაშანშალებ.

— რას ამბობთ? — იყვირა საპატარძლოს მამამ, — ვის შეიძლება ეს ეჩოთიროს?

— მაგრამ გაითვალისწინეთ, შვილებო, ოჯახური ცხოვრება, თანაც ტუნდრის პირობებში... — საპატარძლოს დედას ცრემლმა ხმა ჩაუწყვიტა.

— ყოჩაღ, ყმაწვილო, ყოჩაღ! — ისევ იყვირა პაპამ, — თავის დროზე მეც ასე დავიწყე, აბა!

— ტოლიკ!.. ტოლკა... — საპატარძლო ეშმაკმა არ იცის ვინაას გადაეხვია. — მე ყოველთვის შენს მხარეზე ვიყავი, შენ გაძლევდი ხმას!..

ჯადოკაცმა ოპტიმისტს ჯადორტო გამოართვა, აიქნია და სახლის კედელიც გამთელდა.

— დიდ გაჭირვებაში ვარ, ყმაწვილებო, — თქვა მან, — თავად განსაჯეთ, მე მყავს მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში. ამ საქმეებში ჭიპი აქვს მოჭრილი. მე ვთხოვე, რომ გაგესაუბროთ, და მერე გადავწყვიტოთ, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ. — ესა თქვა და ჯადოკაცი გაქრა.

პესიმისტი და ოპტიმისტი კვლავ აეშარნენ ერთმანეთს.

— უტვინო ხარ შენ, — უთხრა პესიმისტმა.

— მე კი არა, შენა ხარ უტვინო, — დაუბრუნა ხურდა ოპტიმისტმა.

— შენ ცხენი ხარ, დოღის ცხენი!

— ნაძირალა ხარ შენ!

— ახლა უნდა მიგტყეპო!

უთაქეს და უთაქეს ერთმანეთს. ხალხმა მოირბინა, გააშველეს. მილიციონერიც მოვარდა:

— რა ამბავია, მოქალაქენო?

ოპტიმისტმა პესიმისტისაკენ გაიშვირა თითი:

— ამ ოხერმა ცხოვრების სურათი დაამახინჯა!

— მე კი არა, შენ დაამახინჯე!

— არა, შენა!

— მე კი არა, შენა!

მილიციონერმა შეატყო, ამათთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იქნება, ყველა-

ფერს სჯობია განყოფილებაში ჩავიყვანოო, მაგრამ ამ დროს საიდანღაც გამოტყვრა მავანი. ამ მაკვარანცხმა კოჭლმა მილიციონერს უთხრა, მოადგილე მე ვარო და გავარკვევ ყველაფერსო.

ერთ შენობაში შევიდნენ.

პესიმისტს შიშით გული გადაუქანდა, ოპტიმისტმაც იდედლა: შენობა არ მოეწონათ.

— აგერ დაჯექით, ფეხი არსად გადადგათ, — დაუბარა ორთავეს და სადღაც წავიდა.

— მოდი, ჯერჯერობით დავზავდეთ, — შესთავაზა ოპტიმისტმა პესიმისტს.

— დავზავდეთ, — დაეთანხმა ოპტიმისტი.

— როგორ მოვიქცეთ ახლა?

— რა ვიცი.

— ეჰ, ის ჯადორტო მომცა აქა! — ინატრა პესიმისტმა.

— იმ რტოს ერთი ფოთოლი მე მაქვს, — თქვა ოპტიმისტმა, — ბერიკაცმა ჯადორტო რომ მომცა, მაშინ ჩუმად ავაცქაფნე.

— მომე ის ფოთოლი! — იღრიალა პესიმისტმა.

— კიდევ რა გინდა!

— მაშინ ასე ვთქვათ: ვისაც პირველად შეიყვანენ, ფოთოლიც იმან წაიღოს, — შესთავაზა პესიმისტმა, — იქ უნდა გაგვიგონ, უფოთლოდ კი ვერაფერს გაგვიგებენ: მოიტა ხელი!

— ეგრე იყოს, — დაეთანხმა ოპტიმისტი. ხათრიანი, კეთილი კაცი იყო.

ჯერ პესიმისტს დაუძახეს. ოპტიმისტმა მას ჩუმად ჩაუდო ხელში ჯადორტოს ფოთოლი.

პესიმისტმა ზღურბლზე ფეხი შედგა თუ არა, კაბინეტში ყველაფერი ჩამოიქუფრა. კეთილი, მარჯვე მავანი წამის უმალ მძვინვარე მალიუტა სკურატოვად გადაიქცა.

— აბა, სალახანა, მითხარი, რა მოხდა? — დასჭექა მან, — ოღონდ კი ნურაფერს აურ-დაურევ.

— მე ცხოვრებაზე ჩემს აზრს ვამბობდი... მე დარწმუნებული ვარ... მე ვამტკიცებდი...

— მოკლედ!

— მე ჩემს აზრს ვამბობდი... მე ვამტკიცებდი...

— მოკლედ-მეთქი!

— მე ვამბობდი ჩემს აზრს!...

— მოკლედ-მეთქი, ხომ გითხარი! ქურდობ?

— მე გთხოვთ, რომ...

— თხოვნას მოგცემ მე შენა!... — მავანი წამოდგა, პესიმისტთან მივიდა და ჯიბეებზე ხელები მოუფათურა. — დანა სადა გაქვს?

— არსადაც არა მაქვს.

— დანა სადა გაქვს-მეთქი?

— არა მაქვს, — პესიმისტი ატირდა, — მე არა ვქურდობ, მე მოაზროვნეთა ჯგუფს ვეკუთვნი...

— რას აკეთებ მაინც?

— მე ვფიქრობ, მე, ასე ვთქვათ, სინამდვილეს დანით ვხერავ და შიგ რა არის, ვიგებ...

—დანა სად არის?

— მე ფიქრით ვსერავ.

მავანმა პესიმისტს მუცელში ჰკრა ხელი.

— სადაა-მეთქი დანა?

პესიმისტმა ისევ წაიტირა.

— მე დანა არა მაქვს. მე გონებაში ვაკეთებ ამას.

მავანი ვერა და ვერ გარკვეულიყო.

— შენ აქ ნუ ბლანდავ რაღაცეებს! ტვინს ნუ მირევ!

— ღმერთი, რჯული, მე გონებაში ვსერავ.

მავანი დაჯდა და კალამი მოიმარჯვა.

— განაგრძე, ყველაფერი თქვი.

— მე ვთვლი, ცხოვრება რომ შეიცნო, ყველაზე უტყუარი და სწრაფი საშუალებაა ამ ცხოვრებას მოულოდნელად, უცაბედად წაადგე თავზე. ეს ჩემი ხერხია. მე ცხოვრებას ჯიქურ ვახტები თავზე და ვაშიშვლებ.

— განაგრძე.

— მე უკვე ვეღარაფერი გამაოცებს ცხოვრებაში. ამქვეყნად მხოლოდ გარეწრები და თაღლითები ცხოვრობენ. კარგი ხალხი არცაა. მათ მწერლები იგონებენ, რათა ჩეჩქივით მობოჭონ ფული. არც პატიოსანი ადამიანები არსებობენ. ყველა ქურდობს, ცრუობს, ერთმანეთს შეურაცხყოფენ...

მავანი წამოდგა, მივიდა პესიმისტთან და... ხელი ჩამოართვა.

— მადლობელი ვარ. ძლივას არ შევხვდი ნამდვილ ადამიანს. მაპატიე, რომ ქურდი მეგონე. აბა, განაგრძე, მე ყველაფერს სიტყვასიტყვით ჩავიწერ და საღამოობით ჩემთვის წავიკითხავ.

— ყველაზე მეტად მიყვარს სხვის ფანჯრებში ცქერა... მერედა რას ვხედავ იქ? მხოლოდ და მხოლოდ სისაძაგლეს, გულზე ლოდივით რომ გაწვება.

— ეგეთი სისაძაგლე არ არსებობს, — შეუსწორა მავანმა, — არიან მხოლოდ ლოთები. აი, მაგალითად, ჩვენს ჯადოქვეყანაში ბევრსა სვამენ.

— თუ კაცი ხარ, გამაგებინე, რა ჯადოქვეყანაა ასეთი, რას აკეთებთ იქ? — დაინტერესდა პესიმისტი.

— გვინდა ცხოვრება ზღაპრად ვაქციოთ!

— ჰოო?

— ჰო!

— მაშ ისიც მითხარი, ამ ჭაობს ზღაპრად როგორ გადააქცევთ? ბულდოზერებით ხომ არ ამოავსებთ?

— ეს თქვენი საქმე არაა, ძაღლო-მამაძაღლო! — რატომღაც გაბრაზდა მავანი, — თქვენი საქმეა...

მაგრამ ამ დროს პესიმისტმა ჯადოფოთოლი უჩვენა.

— თავს მაინცდამაინც ნუ აიგდებთ...

— დიახ... დიახ... მაპატიეთ, ნამეტანი შევტოპე. ჰო, რაზე შევჩერდით?

— იმაზე, რომ ცხოვრება ჭაობია.

— ჭაობია? ყური მიგდეთ, ხომ არ გინდათ ჯადოქრობის შესასწავლად გაგაგზავნოთ?

— ეგ რად მინდა? — გაოცდა პესიმისტი.

— იცით, იმ ზღაპარში, რომლის შექმნაც ჩვენა გვაქვს გადაწყვეტილი, გათ-

ვალისწინებულია... აბა, როგორ გითხრათ... შავბნელი ძალების წარმომადგენლებიც... მგონი, სწორად ვთქვი.

— კუდიანი... გველეშაპი...

— ჰო, რაღაც ამგვარი... ოღონდაც ისეთი მავნე სულები აღარ იქნებიან; ჰოდა, ისინი რომ მოვამზადოთ...

—არა და არა, — მტკიცედ მოჭრა პესიმისტმა, — მე ისევ ტალახსა და ჭუჭყში ვაფათურებ ხელებს, სასოწარკვეთილებისა და მწუხარების ახალ-ახალ კომბინაციებს მოვიგონებ. არასოდეს ვირწმუნებ რაიმე ნათელს...

მავანმა ჩაწერას თავი მიანება.

— ამას არ ჩავიწერ. განაგრძე.

— ბატონი ბრძანდებით. მე მომავალშიც დავცინებ იმათ, ვინც კი ნათელს ირწმუნებს, აი, ასე დავცინებ: „ხა-ხა--ხა!“

— შესანიშნავია! ჭკუის კოლოფი ხარ! წმინდა წყლის ოსკარი!

— ვინ ოსკარი, რომელი ოსკარი?

— აი, ისა... ციხეში რომ იყო, რედინგის ციხეში, გვარი დამავიწყდა...

— საქმე გამოგლევიათ! განვაგრძობ და ყური მიგდეთ, — გაწიწმატდა პესიმისტი.

— მე ჩუმადა ვარ.

— ჩვენ ისედაც ჩვენი გვიჭირს, თქვენ კიდევ აქ ქარაგმებით გვესაუბრებით...

— რა ქარაგმებით... ახლა თქვენც ნუ გააჭირეთ საქმე...

— არ გინდათ, არ გინდათ! არ გინდათ-მეთქი!! — პესიმისტი აღელდა და აცახცახდა, — არ გინდათ, არა!! არ გინდათ-მეთქი, თორემ ამ მარმარილოს საფერფლეს შიგ შუბლში გხეთქავთ:

— საკმარისია, — უთხრა მავანმა, — გმადლობთ, მე თქვენი სიტყვები მუსიკასავით ჩამესმოდა. ეს რაღაც დაუჯერებელი რამაა! წიგნი დაწერეთ, ყმაწვილო, წერეთ ლექსები; რამე გააკეთეთ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი, ოღონდ კი თქვენს ნიჭს ნუ დამარხავთ. დამელოდე დერეფანში, მერე კიდევ ვიმუსაიფოთ.

პესიმისტი კაბინეტიდან გავიდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მას ოპტიმისტმა.

— დიდებულად. ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ: რაები არ ვუთხარი...

— მოიტა ფოთოლი.

— გამომართვი. ოღონდ არ დაკარგო. ნუ გეშინია, შენს გზას ნუ გადაუხვევ, ფოთოლი არ გიღალატებს.

კაბინეტში ოპტიმისტი მიიწვიეს. როგორც კი ზღურბლზე ფეხი შედგა, ირგვლივ ყველაფერი განათდა. მავანი გადასხვაფერდა. ეს უკვე არც მალიუტა იყო და არც ყოჩაღი, ფუსფუსა მოადგილე. ოპტიმისტის წინ გულისხმიერი, კეთილი, მხიარული და ხალისიანი კაცი იჯდა.

— დაბრძანდით, ყმაწვილო, — თავაზიანად შესთავაზა მან ოპტიმისტს, — დაბრძანდით და მოსწიეთ.

— გმადლობთ.

— მაინც რა მოხდა, რა დაგემართათ?

— მე ვღელავ და ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ მაინც ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი! — გაცხარდა ოპტიმისტი.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — მოწყალედ გაიღიმა მავანმა.

— ვიტყვი რომელია, ვიტყვი კიდეც და... მე არამც და არამც არ დავუშვებ, რომ ამ წუწუნა ხალხმა ცხოვრება მასხარად აიგდოს... ცხოვრება ხომ... ხომ ას მეტრზე რბენასავითაა!

— ას მეტრზე რბენასავითო? რატომ, რატომ... — შეეკამათა მავანი. — მე ვიტყოდი: ცხოვრება — ეს დოღია, უკეთ რომ ვთქვათ, დაბრკოლებათა გადალახვა. დაბრკოლებები — სიძნელეებზე მოგახსენებთ — ჯერ კიდევა გვაქვს, ყმაწვილო, უმნიშვნელო, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც გვაქვს, ჰოდა...

— პირადად მე ცხოვრება მიხმობს და მეც ვისწრაფი მისკენ. პირადად მე არ მესმის, რა სიძნელეებზე ლაპარაკობთ!..

— კარგით ერთი!.. ვიხუმრე კაცმა, აბა, რა გგონიათ. რა გულფიცხი ბრძანებულხართ, ყმაწვილო! გახუმრებაც არ შეიძლება?

— ასე ხუმრობა არ შეიძლება, გესმით, არა!

— აბა, ვთქვათ, ჭაბუკი ან ქალიშვილი დაუსახლებელ ადგილებში გაემგზავრა, ვთქვათ, ციმბირს. ხომ უნდა უთხრან იმათ, რომ იქ, სხვა ყველაფერთან ერთად, სიძნელეებიც შეხვდებათ?

— არამც და არამც, — შესძახა ოპტიმისტმა, — დიდ სისულელეს ჩავდივართ, როცა ამას წინასწარ ვეუბნებით. ამიტომაა, რომ ზოგჯერ რას ხედავ: კაცი დაუსახლებელ ადგილას მიემგზავრება და შეფიქრიანებულია. რატომაა შეფიქრიანებული, მე გეკითხებით? რამ დააფიქრა? რას სტოვებს აქ იმისთანას, რომ ასე შეფიქრიანებული იყოს? კეთილმოწყობილ ბინას? ახლობლებსა და მეგობრებს? მაგრამ იქ ხომ კარავი ელოდება! იქ ქარბუქი, დათვები, მგლები ელოდება!.. გეკითხებით, რა სჯობია? რა სჯობია-მეთქი: კეთილმოწყობილი ბინა თუ კარავი და დათვი?

— მესმის, რისი თქმაც გსურთ. რასაკვირველია, კეთილმოწყობილ ბინას კარავი და დათვი სჯობია. მაგრამ ისინი ხომ იმ შორეულ მხარეში იმიტომ მიემგზავრებიან, რომ სწორედ ეს მოხერხებული ბინები, კარგი სახლები ააშენონ. ამის დავიწყებაც არ შეიძლება. მაშასადამე, დათვის ამბავიც წარმავალი ყოფილა! — მავანმა თითი აიშვირა ჰაერში და ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

— დათვის ამბავი, სამწუხაროდ წარმავალია, — დაეთანხმა ოპტიმისტი, — მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშფოთოს. სიძნელეები თუ აღარ იქნა, ჩვენ ძალით შევქმნით!

— ეს კარგად თქვით, შიგ ნიშანში მოახვედრაო, რომ იტყვიან, ამაზეა ზედგამოჭრილი.

— ჩემს ნათქვამს წყალი არასოდეს არ გაუვა, თუმცა ლაპარაკი მიჭირს და ვლელავ კაცი. ჰო, რაზე ვამბობდით? დიახ, დიახ, იმ ჭაბუკზე, ვინც უდაბურ მხარეში მიემგზავრება და ვაგონში შეფიქრიანებული ზის.

— არა, ჩვენ დათვზე ვლაპარაკობდით. სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდოდა მეკითხა თქვენთვის: აი, ვთქვათ, დილას გამოხვედით კარვიდან, თქვენგან ათიოდე მეტრზე კი დათვი დგას, ჩვეულებრივი საშუალო ტანის მურა დათვი. რას გააკეთებთ?

ოპტიმისტი ცოტათი დაფიქრდა.

— ვიმღერებ! — იყვირა მან, — ომახიან სიმღერას შემოვძახებ და კარავს გავშორდები. დათვი მისმენს და კვალში მომყვება. ამგვარად, ჩვენ, მე და დათვს, კარავი უკან გვრჩება. კარავში მძინარე ჩემი ამხანაგები კი ვერასოდეს შეიტყო-

ბენ, თუ რა საფრთხე ელოდათ იმ დილით. მე მივდივარ ტაიგაში და მივიმღერი. დათვი მომყვება და მომყვება. მე ვიღლები — სიარული მიჭირს და სიმღერაც მიჭირს, მაგრამ მაინც მივდივარ და მივიმღერი. შემდეგ ფორთხვაზე გადავდივარ, მაგრამ სიმღერას არ ვწყვეტ. ბოლოს ფორთხვას თავს ვანებებ და ვჩუმდები. დათვი მიახლოვდება და ნადირის თვალებში აღფრთოვანებასა და გაოცებას ვკითხულობ...

— კი, სწორედ ასე იქნება. კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: ამხანაგთან ერთად მიდიხართ ტაიგაში. გზა-კვალი დაგებნათ. ხორაგი გითავდებათ. ყველაფერს შუაზე ჰყოფთ და გზას აგრძელებთ...

— მომითმინეთ! — სწრაფად შეაწყვეტინა ოპტიმისტმა, — ჯერ ერთი, ხორაგს მე შუაზე კი არ ვყოფ, მთლიანად ამხანაგს ვაძლევ.

— ვიცოდი, რომ ასეც იტყოდით. ამიტომ ერთ კითხვასაც მოგცემთ: თქვენი ამხანაგიც რომ ზუსტად ასე მოიქცეს?

— მაშინ ჩვენ ვყრით ხორაგს და ვაგრძელებთ გზას.

— სწორია. თქვენ კაცი ვერ გამოგიჭერთ.

— ესღა მაკლია!

— უკანასკნელი კითხვაც: გამოაღწევთ ტაიგიდან?

— უეჭველად.

— თქვენ სიძნელეების დასაძლევად მზადა ყოფილხართ, ყმაწვილო!

— აბა, ახლა გამისინჯეთ კუნთები, — ოპტიმისტმა მკლავი მიუშვირა, მავანმა კუნთები მოუსინჯა.

— დიახ, სიძნელეების დასაძლევად მართლაც მზადა ხართ. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი.

— მე ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად მზად გახლავართ.

— მაშასადამე, თქვენ ციმბირს მიემგზავრებით?

— მე ვიმეორებ: ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად, ყოველგვარი გაჭირვების დასაძლევად მზადა ვარ, მაგრამ სიძნელეები და გაჭირვება ჩვენ არა გვაქვს. კარავი და დათვი, თავად მოგეხსენებათ, სიძნელე როდია. მაშასადამე...

მავანმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს „მაშასადამე“...

ოპტიმისტმა გაიღიმა.

— ჰოდა, მე მზადა ვარ დაბრკოლებების დასაძლევად, მაგრამ დაბრკოლებები არა გვაქვს. მაშასადამე... ლოგიკა მოიშველიეთ, ლოგიკა!

— რა ვქნა, ვერ ვხვდები, — შეწუხდა მავანი.

ოპტიმისტმა მოთმინებით აუხსნა თავიდან.

— სიძნელეებისა არ მეშინია. გაიგეთ? მაგრამ სადღაა სიძნელეები. კარავი. ქარბუქი და დათვები სიძნელები არაა. მაშასადამე...

— სინდისს გეფიცები, ვერაფერს მივმხვდარვარ..

— მაშასადამე... მე ციმბირში არ წავალ! — ხმამაღლა და მხიარულად თქვა ოპტიმისტმა.

ორთავეს გულწრფელად გაეცინათ.

— ყოჩაღ, ყმაწვილო, ყოჩაღ! ოცი კაპიკი ჩემზეა. ჩვენთან ხომ არ გიხდათ ჯადოქრად მუშაობა? ჩვენ გვაქვს ზოგი სიძნელე...

— თქვენი სიძნელეები არაფერი სიძნელეები არაა, — მიუგო ოპტიმისტმა, — კაცმა რომ თქვას, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე ისინი. ცხოვრება წინ მიდის და როგორც მატარებელი რიხინ-რიხინით ჩაუვლის ხოლმე პატარა სად-

გურს, ისე რომ არც შეჩერდება, ცხოვრებაც ასევე ჩაუვლის თქვენს სიძნელეებს, ჩაუვლის და ზედაც არ შეხედავს. მაშასადამე?

მავანი კვლავ გასაჭირშია: ვერაფერი გაუგია.

ოპტიმისტმა გადაწყვიტა თვალსაჩინო მაგალითები მოეყვანა.

— აი, პატარა სადგური, ანუ თქვენი სიძნელეები, — მან მაგიდაზე ასანთის კოლოფი დადო, — ასეა ხომ? აი — ცხოვრება... — ოპტიმისტმა აიღო ოქმი და მრგვლად დაახვია, — აი, ცხოვრება, სწრაფად რომ ჩაიქროლებს გვერდით... ახლა გეტყვით: მე, ვთქვათ, თქვენი სიძნელეების გადალახვა გადავწყვიტე... — თითი ატაკა მან კოლოფს. — ცხოვრება კი ამასობაში — ნახეთ, ნახეთ! — რიხინით ჩაიქროლებს. მაშასადამე... ლოგიკას, ლოგიკას უხმეთ!..

— არაფერი გამეგება, — მავანი დაიბნა.

— მაშასადამე, მე თქვენთან სამუშაოდ არ მოვდივარ!

ისევ გაიცინეს.

— რა მარჯვე ყოფილხართ, — შესძახა მავანმა.

— მე რომ თქვენთან სამუშაოდ წამოვიდე, ეს არ გამოვა: მე პატარა სადგურზე დავრჩები, ცხოვრება კი გვერდით ჩამირიხინებს. მე კიდევ სულ წინ და წინ მინდა ვისწრაფოდე და ვისწრაფი კიდეც.

— ახლა მე თქვენს პროფესიას გამოვიცნობ, — უთხრა მავანმა.

— ვერ გამოიცნობ.

— გამოვიცნობ.

— ვერაფერსაც ვერ გამოიცნობ.

მავანმა თვალით აზომ-დაზომა ოპტიმისტი.

— მფრინავი ხართ.

ოპტიმისტმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— წინ ქროლვა თქვენ სიტყვასიტყვით გაგიგიათ. მფრინაობა მექანიკური წინსწრაფვაა.

— გეოლოგი ხართ!

— გეოლოგი წიაღში მიძვრება, წინ კი არ ისწრაფის.

— ისტორიის მასწავლებელი ხართ!

— აპა! ეს სულ არაა ჩემი საქმე. ისტორია ხომ...

— მართალი ხართ, მართალი. ისტორიკოსობა მართლაც სულ სხვა რამაა... დამაცათ, ახლავე გეტყვით...

ოპტიმისტი იღიმება.

— აბა, ბრძანეთ!

— ახლავე... პოეტი ხართ?

— სადღაც კი მიუახლოვდით, მაგრამ პოეტი არა ვარ.

— დალახვროს ეშმაკმა! ახლავე, ახლავე... თქვენ ხართ სუტინერი... არა, არა... ეს რა ვთქვი... სულ სხვა რამის თქმა მინდოდა... მომიტევეთ, გეთაყვა. — მავანი გაწითლდა.

— არაფერია, ხდება ხოლმე, — მიუტევა ოპტიმისტმა.

— კავშირგაბმულობაში ხომ არ...

— არა და არა.

— აბა, მაშინ არ ვიცი. დავმარცხდი კაცი.

— თქვენ დაუძლეველი ამოცანის გადაწყვეტა მოინდომეთ. ჩემი პროფესიის გამოცნობა შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე არავითარი პროფესია არ გამაჩნია.

მავანი სიცილით გადატრიალდა.

— მაინც რა მარჯვე ვინმე ყოფილხართ, ჰი-ჰი-ჰი-ჰი! აბა, რას აკეთებთ?

— საქმეც ეგაა, რომ არაფერს არ ვაკეთებ!

— როგორ თუ არაფერს ვაკეთებო?

— როგორ და როგორც დაგიბარებია. ჩვეულებრივ ან დივანზე ვწოლაობ ან ქუჩა-ქუჩა დავდივარ.

— აკი თქვით, სულ წინ ვისწრაფიო!

— ჰო, წამოგორებული ვარ და მაინც წინ ვისწრაფი, მივქრივარ! ნუთუ თქვენ ამის წარმოდგენა არ შეგიძლიათ? თანაც აინშტაინის თეორიის შემდეგ?!

— რა ვქნა, რომ მიჭირს... ეგ მოვლენა ვერა და ვერ წარმომიდგენია.

— სულით, გულით, ფიქრით, ვისწრაფი წინ...

— ჰო, ახლა კი გაგიგე...

ამ დროს კაბინეტის კარი თავისთავად გაიღო, გარედან ქარაშოტი შეშოიჭრა, ოპტიმისტს ხელიდან ჯადოფოთოლი გამოსტაცა და ფანჯარაში გააფრიალა.

— მაშასადამე, თქვენ არსად არ მუშაობთ? — მკაცრად ჰკითხა მავანმა.

იგი ახლა ხანდაზმული და დაქანცული ჩანდა.

— ასეა.

— და არც გინდათ იმუშაოთ?

— მუშაობა იმას ნიშნავს, რომ წინ არ ისწრაფოდე. სწორია თუ არა? მაშასადამე...

— სხვას სთხოვეთ, შემოვიდეს, — გასძახა მავანმა.

მაგრამ კარი თავისით გაიღო და ჯადოკაცი და პესიმისტი შემოვიდნენ. პესიმისტმა მაშინვე ულრიალა ოპტიმისტს:

— სად არის ჯადოფოთოლი, შე მაიმუნო, შენა! ახლა იმდენს გირტყამ...

ჯადოკაცმა იგი მაშინვე გააჩერა.

— დამშვიდდი, გეყოფა!

— თქვენ გინახავთ არამზადები, ვინც არსაით არ ისწრაფვის — აყვირდა ოპტიმისტი. — აი, ეს ერთი იმათთაგანია. ნება მომეცით წამოვარტყა.

— დამშვიდით-მეთქი! — კვლავ ჩაერია ჯადოკაცი. — დასხედით. ფოთოლი მე მაქვს, აწ თქვენ მას ხელს ვერ მოკიდებთ.

— მაგრამ ამან ხომ დაამახინჯა ცხოვრების სურათი!

— მე კი არა, შენ დაამახინჯე ის სურათი!

— დაყუჩდით, — ერთხელაც ბრძანა ჯადოკაცმა. — თორემ ცხვრებად გადაგაქცევთ და სამწვადე ხორცად აგქნით. — ჯადოკაცს ეს ანგლობა თვითონვე მოეწონა და გაიცინა: — ხო-ხო-ხო!

პესიმისტსა და ოპტიმისტს არ გაუცინიათ.

ჯადოკაცმა ხელები გულზე დაიკრიფა და დიდხანს სცემდა ბოლთას კაბინეტში. იგი ფიქრობდა.

— თქვენ ორთავემ დაამახინჯეთ ცხოვრების სურათი, — თქვა მან, — თქვენ ორივემ გადაამლაშეთ. მთავარი კი ისაა... — იგი კვლავ ფიქრებში ჩაიბირა.

— მთავარი რაა? — ჰკითხა ოპტიმისტმა, — თქვი, თორემ ვღელავ.

— მთავარი ისაა, რომ... რა დიდებული აზრია, დალახვროს ეშმაკმა! — ჯადოკაცმა კვლავ ფიქრებში ჩაყვინთა.

— საპირფარეშო სადა გაქვთ? — ხმადაბლა ჰკითხა ოპტიმისტმა.

— დერეფანში გახვალთ და მარცხნივ გაუხვევთ. ჩქარა, თორემ მე ახლა რაღაც აზრს აღმოვთქვამ.

— გეშინიათ, არ გავიქცე? ჯიბრზე არ წავალ. მე მირჩევნია აქ...

— მთავარი რაა? — სულწასულად იკითხა პესიმისტმა.

— მთავარი ისაა, — დიდის ამბით წამოიწყო ჯადოკაცმა, — რომ ორივე თვალსაზრისი ერთმანეთს შევურწყათ და დაძაბული ფილოსოფიური აქტის შედეგად მესამე თვალსაზრისი ვშვათ! რას იტყვით?

— როგორ? — იკითხა სამთავემ.

— როგორ და ისე. მე ჩემი ჯადოსაათი უნდა გადავრთო... გადავრთე კიდეც. ნიშნობა გრძელდება, საპატარძლოს ოჯახი ისეთია, როგორსაც ჩვენი ოპტიმისტი ხედავს, სასიძოს ოჯახი კი ისეთი — როგორსაც პესიმისტი ხედავს.

— ვაშა! — იღრიალეს პესიმისტმა და ოპტიმისტმა, ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ჩაშოუარეს.

ეს ცხოვრება ცირკია!
ცირკია!
ცირკია!
ის ცხოვრებაც ცირკია!
ცირკია!
ცირკია!

— აბა, წავედით, ცულლუტებო! — ბრძანა ჯადოკაცმა, — ჩვენ რაღაც ახალს ვნახავთ.

ამასობაში საპატარძლოს სახლში რაღაც საოცრება ხდებოდა.

პაპა ეშმაკმა არ იცის ვინაას თავის წიგნს უკითხავდა:

— „... მაშინ მე ავიღე შაშხანა და გავისროლე. ამ დროს ქალი გამოვიდა ოთახიდან და ასპიტივით კისერი წაიგრძელა. ეგონა, მომხიბლავდა. მე ჩახმახი ავაჩხაკუნე, ვგრძნობ, რაღაცაა ჩემს თავს. ესეც შენ-მეთქი! ვხეთქე იმასაც. ოთახიდან ოთახში გაიჭრა კაკანი.

— რამდენი მეტრია? — იკითხა ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— რა?

— ბინა.

— არ ვიცი.

— აბა, რა წერა აგიტყდა, კარადები აკეთო, არ გირჩევნია!

მეორე კუთხეში სასიძო სასიმამროს კრივს ასწავლიდა. მუშტზე პირსახოცი დაეხვია და ილეთებს აჩვენებდა.

— აბერკოტი! — ყვიროდა გაფიცხებული სასიძო. — აი, ასე ვიცით ჩვენა!

სასიმამრო კედელს მიაწყდა.

სასიძოს მამამ იგი კვლავ თავის შვილს დაუყენა წინ.

— ხომ მაგარი დარტყმა იყო?

— ჩინებული! აი, მე მახსოვს, უკიდურეს ჩრდილოეთში რომ მივდიოდი...

— რა ჩრდილოეთი აიჩემე! დადექი მანდ.

– ასე მაგრად ნუ ურტყამ, – უთხრა სასიძოს, – თორემ ტვინი შეერყევა.

– რა შერყევა, რის შერყევა! – უყვირა ქმარმა, – რაც საჭიროა, საჭიროა, აბა, როგორ გინდა?

– ერთხელ მე ისეთი ჩამაფეთა, – გაიხსენა სასიძოს მამამ, – ერთი კვირა სხივებზე დავდიოდი. აბა, შვილო, მე რომ მაშინ ჩამაფეთე, ერთი ისეთი ამასაც... აბა, მიდი!

– მარჯვენა ვხეთქო? – ჰკითხა შვილმა.

– რა ვიცი, არ დამინახავს, მაშინ თვალებიდან სულ ნაპერწკლები გადმომცვივდა.

ყველამ გაიცინა.

– რა ხატოვანი ნათქვამია! – წამოიძახა საპატარძლომ. – „ნაპერწკლები გადმომცვივდაო...“ მაინც რა არის ეს ჩვენი ენა!..

– ჰო, მაშინ რომ დაგარტყი ქვემოდან, შიგ შუბლში გრეხვე, – გაიხსენა სასიძომ, – ახ, ასე უნდა... აბა, თავი დახარე.

საპატარძლოს მამამ მორჩილად დახარა თავი.

– დავხარე, ჰა.

– უფრო დახარე.

– ბატონი ბრძანდები.

– ახლა ჩემს მარჯვენა ფეხს უყურეთ... აი, როგორ მოძრაობს... აქ მხრიდან დაგარტყამ.

ყველანი სულგანაბულნი იდგნენ და სასიძოს მარჯვენა ფეხს მისჩერებოდნენ. სასიძო ადგილზე ხტოდა.

– ჰოპ! – ამოჰბერა სასიძომ და საპატარძლოს მამა კუთხისკენ გაფრინდა.

– მორჩა, ნოკაუტია, – თქვა სასიძომ. საპატარძლოს მამა მართლაც არ დგებოდა. მოსულიერება დაუწყეს.

– შენ ნამეტანი შეხვედი ეშხში. ანჟ! – უთხრა სასიძოს საპატარძლომ.

– მე რომ ეშხში შევსულიყავი, აქ კარგა ხანია უკვე არავინ იქნებოდა! ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი ნაცნობებთან წავედით... ის ჩემი ძმაკაცი ცოლითურთ იყო. იქ ერთი ფრაერი გადაგვეკიდა. ჰოდა, საპირფარეშოში შევიყვანეთ და რაც ეკუთვნოდა, მიიღო. აი, მაშინ მართლა შევედი ეშხში! გვინდოდა ის ფრაერი უნიტაზში ჩაგვეჩურთა, მაგრამ არ ჩაეტია...

– თვითონ არ მოინდომა თუ ვერ ჩაეტია? – იკითხა საპატარძლოს დედამ.

– არ ისურვა, ბატონო!

– მერედა თქვენ რა ჰქენით?

– რა ვქენით და კოსტუმი გავხადედ და შლიაპის ამარა გავუშვით. ღამის ორ საათზე თითქმის დედიშობილა დაჭენაობდა.

– ეს ხომ არაეთიკური საქციელია, ანჟ.

– ვერ გავიგე? – ჩაეკითხა სასიძო.

– არაეთიკური საქციელია-მეთქი...

– სამაგიეროდ... ტიტველი დაჭენაობდა! ტყვიასავით მიქროდა, ესეც ხომ საქმეა!

– მესმის, მესმის, სისწრაფე რომ გიყვარს, ანჟ, მაგრამ უნდა დამეთანხმო: ტიტველი კაცი ღამის ორ საათზე ქუჩაში... შენ შეგიძლია, რა თქმა უნდა, შემომეპასუხო: მაშ, ალორძინების ხანაზე რას იტყვიო...

— იმათ ვერ მოასწრეს, — თქვა სასიძომ.
— რა თქვი?
— ჩვენ დავასწარით, ადრე მოვედით.
— მე ალორძინების ხანაზე გეუბნები.
— გავიგე, მეც იმაზე ვლაპარაკობ. იმათ ვერ მოასწრეს. ჩვენ დავასწარით.
— თქვენ აქ რა შუაში ხართ?

სასიძომ საპატარძლოს ისე შეხედა, როგორც შტერს შეხედავენ ხოლმე. შუბლთან თითი დაიცაბრუტა:

— შენ რა, ტვინი არ გიმუშავებს?
— ანჟ!!!

ამ დროს ოთახში შემოვიდნენ ჯადოკაცი, ოპტიმისტი და პესიმისტი. იმათ ხედაც არავინ შეხედა.

პაპა და ეშმაკმა არ იცის ვინაა კუთხეში მიმსხდარიყვნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. საპატარძლოც თავდადებით ამტკიცებდა რაღაცას. სასიძო არ ეთანხმებოდა. სასიძოს დედ-მამაც რაღაცას ედავებოდა საპატარძლოს დედ-მამას.

— იმას ჩემი დასახიჩრება უნდოდა! — ყვიროდა საპატარძლოს მამა, — ეს ხომ სხეულის დაზიანების ცდაა!

— სხეულის დაზიანება სხვანაირად ხდება! — არ ეთანხმებოდა სასიძოს მამა, — შენ იმან სადა გრეხვა, ხომ თავში წამოგარტყა?

— მე გთხოვთ... დიახ, გთხოვთ! — ახლა საპატარძლოს დედა გაცხარდა. — გთხოვთ, სიტყვები შეარჩიოთ!

სასიძოს მამამ საპატარძლოს მამას მკერდში ჩაავლო ხელი.

— მე შენ გეკითხები, თავი რა არის?
— თქვენი აზრით, რა არის?
— თავი?
— ჰო, თავი.
— თავი სხეულის ნაწილია. სხეულის დაზიანება კი... გვერდზე მივიწიოთ აგერ და გიჩვენებ, სხეულის დაზიანება რაცაა.
— არ მივიწევი!
— ისე მიიწევი, რომ!

გაცხარდა ხალხი.

ყველა ერთბაშად აყაყანდა. ყურთასმენა აღარ იყო.

ამ დროს გაისმა ხმამაღალი წამოძახილი:

— აბა, ჰე!. — პაპა წამომხტარიყო და ოთახში დარბოდა. — ჩემი ხმალი სადაა, სად?! შუაზე გავკვეთ, გავჭრი ახლავე! ჯერ გული მერჩის და მკლავიც მომდევს, მაშ!

ეშმაკმა არ იცის ვინაა პაპას დასდევდა და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ზანდუკი! ზანდუკი-მეთქი!
— არიქა! — იღრიალა სასიძომ და პიჯაკის გახდა დაიწყო.

სასიძოს მამა საპატარძლოს მამას კარისაკენ ექაჩებოდა.

— მივიწიოთ-მეთქი! ახლავე გაგაგებინებ, სხეულის დაზიანება რასაც ჰქვია! ახლავე გიჩვენებ!..

— აბა, ჰე! — ყვიროდა პაპა.

— ჯადოკამცა ამდენი უკვე ველარ მოითმინა და საქმეში ჩარევა გადაწყვიტა.

— რა ამბავია, პაპა? ასე რამ გაგაგულისათ?

— რამ გაგაგულისაო?! რამა და „ზანდუკოო“, მეპასუხის.

— მომისმინე, — ჯადოკაცი ეშმაკმა არ იცის ვინაას მიუბრუნდა, — რატომ ეძახი „ზანდუკოო“?

— რატომა და კარადების გაკეთება არ უნდა. — პირქუშად მიუგო ეშმაკმა არ იცის ვინაამ.

— მე წიგნს ვწერ!

— მაშ, წიგნს წერს...

პესიმისტმა „მეფისტოფელურად“ ჩაიხარხარა: ხა-ხა-ხა!

— რა არის აქ სასაცილო? — გაიკვირვა ოპტიმისტმა. — განაგრძეთ თქვენი საქმე, პაპა, წერეთ. ყველა ციხგლიანს რომ ყური უგდოთ, სად წავა!

— ეგა თქვი შენ! ამიტომ მინდა წიგნი ორ ნაწილად გავყო!

სასიძოს და საპატარძლოს მამებიც ახლოს მოდგნენ.

— ჩვენ აქ ვკამათობთ, — თქვა საპატარძლოს მამამ, — რა არის თავი?

— თავი რა არის? — გაოცებისაგან პირი დაალო ჯადოკაცმა. — თავი... თავი... სხვენია. ხატოვნად ვამბობ მე. აი, პაპა კი გამიგებს.

— მე ჩემს წიგნში „ხელები მაღლა, მტრებო!“ ვამბობ, თავი „გუნბათია“-მეთქი.

— ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა, — ჩაერია კამათში სასიძო. — ერთხელ მე და ჩემი ძმაკაცი მივდივართ ერთ ნაცნობ ქალთან და ორნი მოგვიახლოვდნენ. მე ერთს ისეთი ვლეწე...

— რომელ რაიონში იყო ეგა? — დაინტერესდა პესიმისტი.

— რა, გინდა ჩამაყუდო? — სიფრთხილე არჩია სასიძომ. — ეგეთები არ გაგივა.

— „ჩაყუდება“ აქ რა შუაშია? — ჩაერია ჯადოკაცი. — უბრალოდ, კაცს უნდა გაიგოს.

— შენ მანდ მოკეტე, ნუ ლუყლუყებ. შენ როდის გელაპარაკები.

— შვილო, ერთი მაგას ორმოცდახუთ გრადუსის კუთხით მიანათე ქვემოდან, — ურჩია სასიძოს მამამისმა.

— რალაც აქ ახალს ვერაფერს ვამჩნევ, — თქვა პესიმისტმა.

ჯადოკაცი მოიქუფრა:

— ყმაწვილო, ასე შეიძლება ადამიანს ელაპარაკო?

— ესენი აქ ნამეტანი გავიდნენ თავს, ტუტუცობას მოუკვდა პატრონი, — საპატარძლოს მამა შვილს მიუბრუნდა: — ჩემო გოგო, მოძე ერთი ის თოფი!

— ხელები, ხელები-მეთქი! — იყვირა პაპამ.

— ვინა თქვა „ხელებიო“! — გამხეცდა სასიძო. — ვინ თქვა-მეთქი? ამ ნაფტალინმა თქვა, არა? ყურადღებით, ახლა იქნება... მარჯვენათი ქვემოდან ყბაში! ფეხებში მიყურეთ, ფეხებში, — იგი პაპას წინ აბზრიალდა.

— აბა, ეგ პაპას დალეწავს! — თქვა გახარებულმა სასიძოს მამამ.

ყველანი პაპას და სასიძოს შეაცქერდნენ.

— ფეხებში მიყურეთ! — გააფრთხილა ხალხი სასიძომ, — დარტყმა იქიდან მოხდება.

პაპა გაოგნებული იდგა.

— ნამდვილად მოკლავს, — თქვა საპატარძლოს დედამ.

— არ მოკლავს, ჩვენში ხომ მოყვარულთა კრივია, — შენიშნა ოპტიმისტმა, — ყბა კი შეუძლია ამოუგდოს.

— შვილო, ერთი ფერდში ამოადე და დაიკუჭება ეგ უბედური, — ურჩია სასიძოს დედამისმა.

— სწორია, — დაეთანხმა ექიმაკმა არ იცის ვინაა, — ფართობი მეტი დარჩება. ეგ კარადების კეთებას მაინც არ აპირებს.

— არა, თავში აჯობებს.

— თავში არ იქნება, — გააფრთხილა პაპამ. — მაშინ მე წიგნს ვერ დავასრულებ.

— ფეხებში მიყურეთ, ფეხებში! — ისევ იღრიალა სასიძომ.

— ჩემს მტერს, მაგას დღე დაადგეს!..

— პაპა, თქვენ რამდენი წლისა ბრძანდებით? — ჰკითხა ოპტიმისტმა. — ხვალ თქვენზე წერილს დავწერ.

— სამოცდათერთმეტისა.

— რა უბედურებაა! აქამდე უნდა...

— რა აქამდეო, ვერ გავიგე...

— აქამდე უნდა გქონოდათ დამთავრებული თხზულებათა სრული კრებული. რაზე შეჩერდით თქვენს წიგნში?

— იმაზე, თუ როგორ ჩავვარდი ტყვედ და მტრის ვენერალს როგორ გავუსიე ცემით თავ-ყბა...

სასიძო გაჩერდა.

სხვებიც გაოცდნენ.

— ტყვედ ჩავვარდიო?

— ტყვედ ჩავარდი, აბა რა! ორი დღე და ღამე კურდღლებივით გამირბოდა, მთელი ორი დღე და ღამე. რა გეკვირს, თუ კაცი ხარ: დედამიწა მომიხაზა და მითხრა: „მორჩა, ამის მეტი არაფერი ვიციო“. მაგრამ ეგ ნომერი არ გაუვიდა.

— ჩემს ფეხებს უყურეთ, თვალი არ მოაცილოთ! — კვლავ იღრიალა სასიძომ.

— ფერდში გლიჯე, შვილო, ფერდში!

— ჩემო გოგო, თოფი ჩამომიღე, თოფი!

— მაგრად დაუდექ, პაპა, მაგრად!

ატყდა ერთი წივილ-კივილი და რიარია... ვინ რას ყვიროდა, ექიმაკი ვეღარკვევდა.

პაპა ხმამაღლა ამღერდა:

მოლიპულ გზაზე „პობედა“ იდგა,
იმ პობედაში გოგონა იჯდა...

— გეყოფათ ახლა, გაათავეთ, — უბრძანა ოპტიმისტმა ჯადოკაცს. — აქ გაუგონარი არაფერი ხდება.

ჯადოკაცმა ხელზე დაიხედა და... საათი სადღა იყო.

— ვინ შემხსნა ჩემი ჯადოსაათი?!

— ფეხებში მიყურეთ-მეთქი, — ღრიალებდა სასიძო.

— ფერდში-მეთქი, შვილო, ფერდში!

— ქვემოდან, ყბაში, ორმოცდახუთი გრადუსის კუთხით!..

— აბა ჰე და აბა ჰო! ხა-ხა-ხა!

— მამიკო, ესროლე! ცეცხლი, მამიკო!

— საათი ვინ ამწაპნა?!

მოლიპულ გზაზე პობედა იდგა,
იმ პობედაში გოგონა იჯდა...

— საათი ვინ ამწაპნა-მეთქი, ვინ მამაძალლმა?

ეს ცხოვრება ცირკია!
ცირკია!
ცირკია!

ის ცხოვრება ცირკია!
ცირკია!
ცირკია!

მღეროდნენ ოპტიმისტი და პესიმისტი.

— ცეცხლი, მამიკო, ცეცხლი!

ჯადოკაცი წესრიგის დამყარებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ბალიშები და სკამები დაუშინეს ერთმანეთს.

— ქვემოდან ყბაში ორმოცდახუთ გრადუსის კუთხით!

ამ დროს შემოვიდა მეზობელი.

ჯადოკაცს საყელოში ჩაავლო ხელი, კართან მიიყვანა და პანღურის კვრით გააგდო გარეთ.

შემდეგ პესიმისტი და მერე ოპტიმისტიც ასევე გააბრძანა.

ყველა დადუმდა. ერთმანეთს დაბნეულნი შესცქეროდნენ.

— ახლა მოდით და ისე მოვიქცეთ, როგორც ეს სინამდვილეში ხდება — ჩვეულებრივ ხალხზე მოგახსენებთ, ცხადია, არავითარი პესი... და არავითარი ოპტი... არ გამაგონოთ!

— მობრძანდით, ამხანაგებო, მობრძანდით! — შეიპატიჟა სტუმრები საპატარძლოს მამამ, — დაბრძანდით, გეთაყვა, რითი გემსახუროთ?

სასიძოს ოჯახის წევრები დასხდნენ, ვისაც როგორ მოუხერხდა.

— ჩვენი საქმე ასეა, — დაიწყო სასიძოს მამამ, — მოვედით ერთ, როგორც იტყვიან, ფრიად საჩოთირო საქმეზე: თქვენი გოგოს დანიშვნა გვინდა. ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ, რომ მთელი ოჯახი გწვეოდით და ყველანი ერთმანეთს გავცნობოდით. უარს თუ არ გვეტყვით...

— რას ბრძანებთ... ამაზე უარი როგორ იქნება? — საპატარძლოს მამამ გაიცინა (ჩვეულებრივად). — აქ ზოგ-ზოგები, საფიქრებელია, ადრეც იცნობდნენ ერთმანეთს. ჰოდა... მობრძანდით სუფრასთან. მართალია, არ შევმზადებულვართ, მაგრამ რაღაცას მოვაბამთ თავს.

— გთხოვთ, ძვირფასო სტუმრებო, გთხოვთ, — შეეპატიჟა დიასახლისიც.

— ხედავ, რეები ხდება! — წამოიძახა პაპამ, — ერთი მაყრობაც მიწევს, ისე ვატყობ!

შემოდის მავანი.

— გამარჯობათ!

კაი გამარჯობაო, უპასუხეს.

— კაი გუნებაზე გხედავთ! — მხიარულად თქვა მავანმა, — ბოლო-ბოლო მორჩით საქმეს?

— რა საქმეს უნდა მოვრჩენილიყავით? — ვერ გაუგო საპატარძლოს მამამ. — რა საქმეო, რას ამბობთ?

— რა და... ნიშნობაზე მოგახსენებთ!

— დავუშვათ და მოვრჩით, მერედა თქვენ რა...

— მაშ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი? — ახლა უკვე მავანმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა, კმაყოფილი ჩანხართ ყველანი, სახეზე გატყობთ... არავითარი ჰაიჰუი და შეხლა-შემოხლა არ ყოფილა?

ყველანი ამ ახალმოსულ კაცს შეაცქერდნენ.

— ჯადოკაცი თუ იყო თქვენთან? — იკითხა მან, — აი ასეთი პატარა რტო დააქვს თან. ორნიც იყვნენ იმასთან... თქვენ იმის გეგმით მოქმედებთ თუ თქვენით?..

ოჯახების უფროსებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა გინდათ, ამხანაგო, თქვენ? — ჰკითხა საპატარძლოს მამამ, — ვინა ხართ, ერთი გვიბრძანეთ?

— მე მისი მოადგილე ვარ. მაშ თქვენ თქვენი გეგმით მოქმედებთ? დაიბნა მავანი.

ორივე ოჯახმა გაიცინა.

— კი, ჩვენი გეგმით ვმოქმედებთ.

— ბინა შეგეშალათ ალბათ.

— სად დაიკარგა მაინც? — ალუღლუღდა მავანი, — დიდი ახირებული ვიღაცაა, ღმერთმანი, მაპატიეთ, ხალხნო!

— არაფერია, ხდება, ვიღაცას ეძებთ, როგორც ჩანს. იქნებ ჩვენ გაპოვნინოთ?

— დიახ... არა, არა... სულ სხვა რამეზე მოვედი. ახლა კი წავედი.

თქვა და გავიდა.

— რალაცა აერია კაცს, — თქვა საპატარძლოს მამამ, — აბა, ამხანაგებო, მოიწიეთ, მობრძანდით!

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

□

ᲓᲔᲛᲝᲡᲗᲔᲜᲔ

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲙᲔᲖᲘ

ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა

ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲤᲘᲚᲘᲐᲘᲙᲔᲖᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝ

ძველ საბერძნეთში ეპოსის, ლირიკისა და დრამატული ჟანრების გარდა აღმოცენდა და განვითარდა პროზაული მწერლობის სამი დიდი დარგი — საფილოსოფიო, საისტორიო და სამჭევრმეტყველო, ანუ რიტორიკული პროზისა. ბერძნულმა პროზამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია იმ ეპოქაში, მარქსიზმის კლასიკოსები „ბერძნული იდეოლოგიის აყვავების საუკუნეს“ რომ უწოდებენ. ეს არის ხანა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების, ანუ პოლისების დამოუკიდებელი პოლიტიკური განვითარებისა და ანტიკური რეჟიმის დემოკრატიული სისტემის განმტკიცებისა. ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში ათენის მოწინავე პოლისის მზარდმა დემოკრატიულმა სისტემამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა რიტორიკის — ორატორული ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის. ამ დროს ჩამოყალიბდა მჭევრმეტყველების სამი დარგი: სამოქალაქო (გენოს დიკანიკონ), საპოლიტიკო (გენოს სიმბულევტიკონ) და სახოტბო — საზეიმო (გენოს პანეგირიკონ).

ბერძნულმა ორატორულმა ხელოვნებამ კაცობრიობას შესძინა მრავალი საუკეთესო რიტორი. მათგან ყველაზე სახელოვანნი იყვნენ: ანტიფონტი, ანდოკიდე, ლისია, ისოკრატე, ისეოსი, ესქინე, დემოსთენე, ჰიპერიდე, ლიკურგე და დეინარქე.

ყვები (ე. წ. „ფილიპიკები“): სამი ოლინთოსური (349—348) და ოთხი უშუალოდ ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ მიმართული (351—341). ატიკური მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე დემოსთენეს სიტყვა „მცირეთათვის“ (პერი სტეფანუ).

დემოსთენეს სიტყვებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი ძალა. ყოველ მათგანში ჰარმონიულად არის შერწყმული პოლიტიკური თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის მგზნებარე ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ხერხები...

ქართველი მკითხველი გიგლა სარიშვილის თარგმანით გაიცნობს დემოსთენეს სამ ოლინთოსურ და ერთ (პირველ) ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვას.

აკაკი შრუშაძე

პირველი ოლინთოსური

ლიბანიოსის წინათქმა [1]

ოლინთოსი თრაკიის ქალაქი იყო, აქ ცხოვრობდა ბერძენთა ტომი იმ ქალკიდიდან, ევბეაში რომ არის. ქალკიდა კი ბერძნების კოლონია გახლდათ.

დიდი და სახელოვანი ომები გადაუხდია ოლინთოსს. ოდესღაც იგი ებრძოლა ათენელებს, ელინთ რომ წინამძღვრობდნენ, აგრეთვე ლაკედემონელთ, — ჟამითი-ჟამად დიდი ძალმოსილებით გამოირჩეოდა და სათავეშიც კი ედგა მონათესავე ტომთა სახელმწიფოს; თრაკიაში ხომ მრავლად იყო ქალკიდური მოდგმის ხალხი. გამოხდა ხანი, ოლინთოსელებმა ფილიპესთან, მაკედონიის მეფესთან შეკრეს სამხედრო კავშირი, ერთხანს მასთან ერთად იბრძოდნენ ათენელების წინააღმდეგ, მაკედონელისაგან მიიღეს ანთემუტი — ქალაქი, რის გამოც ცილობა ჰქონდათ მაკედონიასა და ოლინთოსს, აგრეთვე პოტიდეა, ადრე ათენელთა კუთვნილი, ხოლო მერმე ფილიპესაგან ალყით ალებული და ოლინთოსელთათვის ბოძებული. მოგვიანებით ოლინთოსელებმა მაკედონიის მეფის თვალსაჩინო ალზევება რომ დაინახეს, ეჭვით დაუწყეს მას ცქერა. ერთხელაც მეფის არყოფნით ისარგებლეს, ელჩები წარგზავნეს ათენელებთან, შეწყვიტეს მათთან ომი და დაარღვიეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ან მაკედონიასთან ერთად უნდა ეომათ ათენელთა წინააღმდეგ ან ერთად დაზავებოდნენ მას. ფილიპე ადრეც ეძებდა ომის საბაბს ოლინთოსელთა წინააღმდეგ, ჰოდა, ახლა რაკიღა ოლინთოსელებმა ხელშეკრულება დაარღვიეს და მეგობრული კავშირი შეკრეს მტერთან, ფილიპემ ისარგებლა ამით და ომი გამოუცხადა მათ. ოლინთოსელებმა კი ელჩები მიავლინეს ათენში დახმარების სათხოვნელად. დემოსთენეც მათ მხარეზეა და ოლინთოსელთა დახმარებას რჩეობს. მას მიაჩნია, რომ ოლინთოსელთა ხსნა უზრუნველყოფს უშიშროებას, რადგან თუ ოლინთოსი გადარჩა, ფილიპე ველარ შეიჭრება ატიკაში, ათენელებს კი საშუალება მიეცემათ საომრად მაკედონიისკენ გაბეცურონ. ხოლო თუ ამ ქალაქს ფილიპე დაიპყრობს, მაშინ მეფეს გზა ხსნილი ექნება ათენისაკენ. ფილიპესთან ომი არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, აცხადებს დემოსთენე და აგულიანებს ათენელთ. თან სახელმწიფო თანხებსაც არ იკიწყებს, რჩევას იძლევა, ეგ თანხები სანახაობისთვის კი არა, ომისთვის უნდა მოვიხმაროთო. საჭიროება მოითხოვს აქვე აღინიშნოს ათე-

[1] ლიბანიოსი (314—393 წ.წ.) ელინისტური ხანის რიტორი და ფილოსოფოსი; მან შეკრიბა დემოსთენეს თხზულებანი და განმარტებებით გამოსცა ისინი.

ნელთა ადრინდელი წეს-ჩვეულება, სადღეისოდ ნაკლებად რომ არის ცნობილი. ოდითგანვე, როცა ქვის თეატრებს ჯერ კიდევ არ აშენებდნენ და მაყურებლებს სკამების მაგივრობას ხის კიბეები უწევდა, ადგილებისათვის ერთი თავ-პირის მტვრევა იყო ხოლმე თეატრში. ეს რომ აღეკვეთათ, ათენის ხელისუფლებმა დააწესეს ფასიანი ადგილები: ვისაც წარმოდგენის ნახვა სურდა, ორი ობოლი * უნდა გადაეხადა. ღარიბებს ამ ფასის გადახდა რომ არ გაძნელებოდათ, ყველას ეძლეოდა უფლება ეს ორი ობოლი სახელმწიფო ხაზინიდან აეღო. ასე დამკვიდრდა ზემოხსენებული წესი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მოქალაქენი ხაზინიდან მარტო სათეატრო ფულს კი არ იღებდნენ, არამედ ურთიერთშორის ინაწილებდნენ მთელ სახელმწიფო სახსრებსაც და არც სალაშქრო თანხებს დაგიდევდნენ. სახელმწიფო ხომ წინდაწინ უხდიდა მათ სამხედრო საზღაურს, ისინი კი ამ ფულით ლხინობდნენ, შინ ისხდნენ და სალაშქროდ გასვლის ან საფრთხეში თავის ჩაგდების არავითარი სურვილი აღარა ჰქონდათ. საგანგებო კანონიც კი გამოსცეს თანხებთან დაკავშირებით; ეს კანონი სიკვდილს უქადდა ყველას, ვინც შეეცდებოდა აღედგინა ამ თანხის პირვანდელი დანიშნულება. დემოსთენეც ფრთხილობს, როდესაც ამის გამო რჩევას იძლევა და საჯაროდ ეკითხება თავის თავს: „როგორ, შენ გინდა ეს ფული სამხედრო თანხად აქციო? და თვითონვე პასუხობს: „ვფიცავ ზევსს, რომ — არა“.

ეს არის, რაც სათეატრო თანხების თაობაზე მოგვიხსენებია.

ამასთანავე ორატორი ეხება სამოქალაქო ლაშქრის საკითხს, მოითხოვს, რომ ლაშქრობა სწორედ მოქალაქეებმა მოაწყონ და არა მოქირავნეებმა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა. ამას, მისი თქმით, დაღუპვამდე მიჰყავდა საქმე.

სიტყვა

ვფიქრობ, დიდძალ ფულს გაიღებდით, ათენელო დარბაისელნო იმის საცოდნელად, თუ რა გზით მოგეგვარებინათ ქვეყნის საქმენი, რომელთა გამოც ახლა ბჭობთ. და რალაი ასეა, ფრიადი სმენა-გაგონება გმართებთ და რჩევათა რჩეობა. თქვენ ხომ არა მარტო მას მოუსმენთ და რჩევას განაკანონებთ მისას, ვინც აწონილი სიტყვის მადლით წარმოგიდგებათ. ამავე დროს, აგრე მგონია, ბედმა თქვენ უფრო გაგიღიმათ, რადგან ზოგთაგანს ახლა მოუმზადებლად ხელეწიფების სიტყვის თქმა და ეს სასარგებლო არჩევანს ოღონდაც რომ გაგიადვილებთ.

პოდა, ათენელო დარბაისელნო, ახლა ლამის დრომ ენა ამოიდგას და გითხრათ, რომ ეს საქმე თქვენ უნდა ითავოთ, რამეთუ თავად ფიქრობთ მის კეთილ ბოლოზე. მე კი არ ვუწყი, როგორ მოვეკიდებით ჩვენ ამა საქმეთ. რაც უნდა იყოს, მე მიმაჩნია, სამხედრო დახმარების საკითხი ახლავე უნდა გადაწყდეს, რომ დაუყოვნებლივ მოემზადოთ, რათა ადრინდელი არ გადაგხდეთ თავს. ამასთანავე უნდა დაიგზავნოს ელჩები, რომელნიც განსჯიან და წარმართავენ საქმეთ. მეტადრე სიფრთხილე გვმართებს ახლა — ეგ საშიში კაცი [1] ყოვლის მკისრებელია, მარჯვე ქამის მომხელთებელი, — ზოგჯერ დათმობით, თუ შემთხვევამ აიძულა, ზოგჯერ მუქარით, არც მუქარაა გამორიცხული. ამავ დროს ვშიშობ ცილი არ დაგვწამოს, ჩვენი იქ არ ყოფნით არ ისარგებლოს და ჩვენეულ სახელმწიფო საქმეთა ხელყოფა არ გაბედოს.

ხომ ცხადია, ათენელო დარბაისელნო, რომ ის, რაც ფილიპესათვის საზარალოა, სასარგებლოა თქვენთვის. თუ მხოლოდ იგი იქნა ყველა დაფარულ ან განცხადებულ საქმეთა ბატონ-პატრონი, აგრეთვე მხედართმთავარი, დიდმპყრობელი, ხაზინადარი, ჯარიც თუ თავად იახლა, — ეს დიდ უპირატესობას მიანიჭებს მას სწრაფი სამხედრო მოქმედების დროს, მაგრამ სამაგიეროდ, მისთვის სასურველი საზავო შეთანხმებისას ოლინთოსელებთან, სწორედ რომ საწინააღმდეგო მნიშვნელობა ექნება ამას.

ხომ აშკარაა ოლინთოსელთათვის, რომ ამჟამად ომობენ ისინი არა დიდებისა და ან მიწებისთვის, არამედ — იხსნან სამშობლო განადგურებისა და დამონებისაგან. კარგად უწყიან მათ, თუ როგორ მოეპყრო იგი ამფიპოლისის მოქალაქეებს და იმ მოქალაქეებს პიდნისას [2], ვინც მას ქალაქის კარები გაუღო. ისე კი ვფიქრობ, ტირანია, სანდო არ არის დემოკრა-

---

* ობოლი — ფულის ერთეული.

[1] იგულისხმება ფილიპე, მაკედონიის მეფე. დემოსთენე განზრახ გაურბის ხოლმე მისი სახელის ხსენებას.

[2] ძველი კომენტატორის განმარტებით ამ ქალაქთა გამცემნი ფილიპეს დაუსჯია, უთქვამს: თქვენ თქვენი მოქალაქენი არ დაინდეთ და მე რას დამინდობთო.

ტიული წყობილებისათვის, მით უმეტეს, თუ ამ ტირანებს შენი მეზობელი ქვეყანა უჭყრიათ ხელთ. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, უნდა შეიგნოთ ეს, ყურად იღოთ ყოველი, რაც ყურადსაღებია: მითქვამს, უდიდესი სიმტკიცე და საერთო საქმისათვის სწრაფვა უფრო გმართებთ-მეთქი დღეს, ვიდრე ოდესმე; ხალისით უნდა გაიღოთ ფული, მონაწილეობა მიიღოთ ლაშქარში, არ მიეცეთ უზრუნველობას. საბაბი არ გრჩებათ იმისა, რომ სიამოვნებით არ აღასრულოთ თქვენი ვალი. აქამდე ხომ ყველანი ბევრს გაჰყვიროდით, და ახლა თავისთავად აღსრულდა ეს, და ისიც თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში. ცხადია, თქვენი მოწოდებით რომ წამოეწყოთ იმათ ომი, მაშინ არასაიმედო მოკავშირეები გეყოლებოდა და ერთხანს არ შეიცვლიდნენ გადაწყვეტილებას. მაგრამ რაკიღა უსამართლობის გამო მოჰგვრიათ ზიზღი, ბუნებრივია, ველარ შეურიგდებიან იმ უბედურებას, რაიც ახლა აფრთხობთ და რაიც ადრევე გადაიტანეს. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, ხელიდან არ უნდა გაუშვათ კარს მომდგარი მარჯვე შემთხვევა, კვლავ არ უნდა იგემოთ ის, რაც ადრევე გიგემნიათ, მაშინ, რაჟამს ევბეელებს დახმარება აღმოვუჩინეთ და შინ მოვბრუნდით. აი, ამ ტრიბუნაზე გამოვიდნენ ამფიპოლისელი ჰიერაქსი და სტრატოკლე, რომლებმაც შემოგვთავაზეს ზღვით შეგვეცურა და დაგვეკავებინა მათი ქალაქი; ჩვენ რომ ასეთივე გულმოდგინება გამოგვეჩინა მაშინ, რაც გამოვიჩინეთ ევბეელთა ხსნისათვის, ახლა ამფიპოლისი თქვენს ხელთ იქნებოდა და მრავალ დახვანჯულ ამბავსაც დააღწევდით თავს. ასევე მაშინაც, რაჟამს გვეუწყა დაალყვის ცნობა პიდნისა თუ პოტიდეასი, მეთონესი თუ პაგასასი და სხვა ქალაქთა, — მათი ცალ-ცალკე ჩამოთვლით სიტყვას აღარ გავაგრძელებ — თუ რომ მაშინ რომელიმე მაგ ქალაქთაგანისთვის დაუყოვნებლივ გაგეწიათ გულმოდგინე დახმარება, როგორც გმართებდათ, ახლა გაცილებით იოლად დასაძლევი მტერი იქნებოდა თქვენთვის ფილიპე. ჩვენ კი მუდამ ჟამს ხელიდან ვუშვებთ მარჯვე შემთხვევას, ეგრე გვგონია, თავისთავად გაგვიმშვენიერდება მყობადი. ჩვენ თვითონ, ათენელო მოქალაქენო, შევაქებთ ფილიპე და ვაქციეთ იმ კაცად, რომლის ბადალი მეფე ჯერ არ ჰყოლია მაკედონიას. ახლაც მარჯვე შემთხვევა ოლინთოსელთა, არაფრით რომ არ ჩამოუვარდება ყველა იმ უწინდელთ, თავისთავად მოსდგომია კარს ჩვენს საბელმწიფოს. მე, რაც უნდა იყოს, ეგრე ვფიქრობ, ათენელო დარბაისელნო, ყოველი მართლად განმსჯელი განსჯიდა რა იმ კეთილ საქმეთ, რაც ღმერთებმა ინებეს, — თუმცა მრავალი რამ ისე არ მოხდა, როგორც რიგია, — მაინც დიდ მადლს მოახსენებდა მათ, რალა თქმა უნდა. ხოლო თუ ბევრი რამ დაგვიკარგავს ომის ჟამს, სამართლიანი იქნებოდა ჩვენი უზრუნველობისათვის ლაგვებრალებინა იგი. თუ მსგავსი რამ არ შეგვემთხვა წინათ, თუ ახლა ზოგი მოკავშირე გამოგვიჩნდა იმ დანაკარგთა საზღაურად, ოღონდაც ვისურვებდეთ და მოვისთვლიდეთ ამის ნაყოფს, ხალისით ვხედავ ამაში წყალობას ღმერთთა, ჩვენზედ მოწევნილს. ვფიქრობ, ლარის მოხვეჭის ბადალი არის ეს: თუ კაცი ფლობს მას, რასაც მოიხვეჭს, დიდ მადლს მოახსენებს ბედს, ხოლო თუ შეუმჩნეველად ფლანგავს ისე, რომ თავად არა უწყის რა, — ფლანგავს მადლიერების გრძნობასაც. ასევეა სახელმწიფო საქმეებიც: თუ დროულად არ მოჰკიდე ხელი საქმეს, მალე ღვთის ბოძებული წყალობაც აღარ გემახსოვრება და ყველა საქმეში მის კეთილ ბოლოსღა ეძიებ მხოლოდ. ამიტომ კარგად დაფიქრება გმართებთ, ათენელო მოქალაქენო, რათა გაიუმჯობესოთ აწინდელი ჟამი, ჩამოირეცხოთ გარდახდილ საქმეთა სირცხვილი. თუ უპატრონოდ დავაგდებთ იმ ხალხს, ათენელო მოქალაქენო, და თუ ის კაცი ოლინთოსს იგდებს ხელთ, მაშინ მითხრას რომელიმე თქვენთაგანმა, რალა დააბრკოლებს მას იქით გასწიოს, საითაც ინებებს? უფიქრია თუ არა თქვენთაგანს ვისმე, ან წარმოუდგენია თუ არა, რამ გააძლიერა აგრერიგად ფილიპე, ადრე თუ ძაბუნი იყო იგი? რამ და ჯერ ამფიპოლისი აიღო მან, მერმე პიდნა, კვლავაც პოტიდეა, ამას მეთონეც მიაყოლა და ბოლოს თესალიაში შებრძანდა. ამის შემდეგ ფეროსში, პაგასაში, მაგნესიაში, ერთი სიტყვით, ყველგან ისე გაჩარხა საქმე, როგორც ინება და იქედან თრაკიას გასწია. ზოგი მეფე იქიდან გააძევა, ზოგიც ტახტზე აიყვანა. მერმე ის იყო, ავად შეიქნა. გამომჯობინდა თუ არა, განცხრომას კი არ მიეცა, მყისვე შეეცადა ოლინთოსელთა დამორჩილებას. ხოლო მის ლაშქრობებზე ილირიელების, პეონების, არიბებისა და სხვათა წინააღმდეგ, კიდვე ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ აღარას ვიტყვი.

რაღა დროს ეგაა? — იკითხავს ვინმე. ეგ იმიტომ, ათენელო მოქალაქენო, რომ გაისიგრძეგანოთ საქმე ორთაგანი: თუ რა საზარალოა ყოველ საქმეთა ნიადაგ წარხდენა, ამასთანავე როგორია ის მგზავრობა, რაც ასულდგმულებს ფილიპეს, რაც საშუალებას არ აძლევს

მას გარდახდილი საქმით დაკმაყოფილდეს და სიმშვიდეს მიეცეს. თუ ის მუდამ იმ აზრზე იქნება, რომ თვითონ იხვეჭდეს მოსახვეჭელს, ხოლო თქვენ სულაც არ უნდა გაბედოთ საქმის ხელყოფა, მაშინ იფიქრეთ, რით შეიძლება ეს დაბოლოვდეს?

ღმერთთა გულისთვის, ნუთუ თქვენს შორის არის ვინმე ისეთი მიამიტი, ვინაც არ უწყის, რომ სულ მალე იქიდან აქეთ გადმოინაცვლებს ომი, თუ ღონეს არ ვიხმართ? თუ ეს მოხდა, ვშიშობ, ათენელო მოქალაქენო, ისე არ დაგვემართოს, როგორც მოვალეებს მოსდით ხოლმე, დაუფიქრებლად რომ სესხულობენ ფულს დიდი ვახშით, მცირე ხნით ლაღად ცხოვრობენ და მერმე კი ჰკარგავენ ყველაფერს. ასევე ჩვენც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს ჩვენი თავქარიანობა, მერმე კი განცხრომათა მაძიებელნი იძულებული შევიქნეთ კიდევ უფრო მძიმე საქმენი გადავიხადოთ, — რაც, რა თქმა უნდა, არ არის სასურველი, — და ჩვენთვე საკუთარი მიწა-წყლის გადასარჩენად მოგვიხდეს ბრძოლა. „ძვირის თქმა ადვილია, — იტყვის ვინმე, — შექმნილ ვითარებაში გარკვევა არისო მხოლოდ მრჩევლის საქმე“.

ჭეშმარიტად ეუწყო, ათენელო დარბაისელნო, რომ ხშირად, როცა საქმე ისე არ წარიმართება, როგორც გნებავთ, დამნაშავეთ კი არა, იმ ადამიანებს შერისხავთ ხოლმე, ოდენ სიმართლეს რომ ამბობდნენ, მაგრამ არ ეგებას, ეგრე ვფიქრობ, პირადი უშიშროების გულისთვის დაგიმალოთ ის, რაც სასარგებლოდ მიმიჩნევია თქვენთვის. მითქვამს, ორნაირი დახმარების აღმოჩენა გმართებთ-მეთქი: ჯერ ერთი, უნდა შეუნარჩუნოთ ქალაქები ოლინთოსელთ და ამის აღსასრულებლად გაგზავნოთ იქ ლაშქარი, მეორეც — ზიანი მიაყენოთ იმის ქვეყანას ტრიერიებითა და სხვა ჯარით. ამ ორ პირობათაგან ერთიც რომ უგულვებელვყოთ, ვშიშობ, ვაითუ ამაო იყოს მაშინ მთელი ჩვენი ლაშქრობა. თუ იგი ოლინთოსის დასალაშქრავად გაეშურა და ამით საშუალება მოგცათ მისი ქვეყანა ააოხროთ, მაშინ ადვილად გაგაძევებთ აქედან, როდესაც შინ მობრუნდება; ხოლო თუ მარტო ოლინთოსელთ ალმოუჩენთ დახმარებას, მას თავისი ქვეყნის შიში ალარ ექნება, ძლიერ ალყაში მოაქცევს ოლინთოსს და მერმე დაძლევს კიდეც დაალყულთ. ამრიგად, თქვენ ორმხრივი სამხედრო სამზადისი გმართებთ.

ეს არის, რაც სამხედრო დახმარების გამო მომიხსენებია. ფული სამხედრო საქმისათვის თქვენ გაქვთ, ათენელო მოქალაქენო, გაქვთ იმდენი, რამდენიც არავის მთელ ქვეყნიერებაზე და თუ ინებებთ, მოახმართ კიდეც სამხედრო საქმეს. თუ მოლაშქრეებს მაგ თანხებს გაუნაწილებთ, მაშინ თქვენი ფული საჭირო ალარ იქნება, ხოლო თუ აუცილებლობა გამოიწვევს ამას, სხვა რამ სახსარიც შეიძლება გამოიძებნოს.

„შენ რაო, — იკითხავს ვინმე, — გინდა ეს ფული სამხედრო ფულად იქცეს?“

ვფიცავ ზევსს, რომ არა! ფულის გადანახვას ლაშქრის მოსამზადებლად ვგულისხმობ მხოლოდ, ოღონდ მკაცრი შესატყვისობა უნდა დამყარდეს ფულის მიღებასა და მოვალეობის აღსრულებას შორის: თქვენ კი გინდათ, ხელის გაუნძრევლად მიიღოთ ეს ფული და მერე ამ ფულით დრო ატაროთ. ეგეც ვითარ უამს, მე ვფიქრობ, ასე აჯობებდა: ყველას გაელო ლარი სალაროში, — ბევრი იქნებოდა თუ ცოტა, გარემოების კვალობაზე. ფული არასოდეს არ არის ზედმეტი, უფულოდ კი ბევრს ვერაფერს გააკეთებ კაცი. რალაც სხვა სახსრებზეც ლაპარაკობენ სხვანი. ჰოდა, აირჩიეთ აქედან, რაც გენებოთ, და სანამ დროა, შეუდექით საქმეს.

ახლა კი აჯობებს ის განვსაჯოთ, თუ როგორ მისდის საქმე ფილიპეს. არც ისე კარგად, როგორც ვინმე ზერელედ განმსჯელი იფიქრებდა. დიახაც რომ ვერაა მშვენივრად დღეს მისი საქმე. იგი არასოდეს წამოიწყებდა ამ ომს, რომ სცოდნოდა, თუ მართლა ბრძოლა დასჭირდებოდა. იმედი ჰქონდა, სადაც კი გამოვჩნდებოდი, უმალვე ხელში ავიღებო ყველა საქმეთა სადავეს, და აი მანდ მოტყუვდა კიდეც. ეს აღონებს მას და მწუხარებასაც ანიჭებს ფრიადს, რადგან არ გამართლდა მისი ანგარიში. ახლა თესალიელებისასაც მოგახსენებთ.

თესალიელებს, თავად იცით, ისეთი ხასიათი აქვთ, რომ არასდროს არც ერთი ხალხის ნდობას არ იმსახურებდნენ, მეტადრე არ იმსახურებდნენ და არ იმსახურებენ მის ნდობასაც: აკილა პაგასა მოსთხოვეს და წინ აღუდგნენ მის მიერ მაგნესიის შემოცილებას. სხვათაგან ისიც მსმენია, რომ ნავსადგურთა და ბაზართა შემოსავალში წილს ალარ უდებენ მას; ამჯობინებენ თესალიელთა საგანმგებლოს შესწირონ იგი. და თუ ეს სახსარიც მოაკლდა მას, მაშინ ხომ დაჭირავებული ჯარის შესანახავი ფულიც მოაკლდება. თქმა არ უნდა, ბეოტიის, ილირიის ქვეყნები და, ერთი სიტყვით, ყველა ეგ სამთავრონი დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ამჯობინებენ მონობას; ისინი სხვის ხანგზე მღერას ჩვეულნი როდი არიან, მით უმეტეს, რომ თავად ამბობენ: თავხედიაო ის კაცი! ამაში, ზევსსა ვფიცავ, დაუჯერებელი არაფერია. დაუმსახურებლად მოხვეჭილი დიდება აყოყოჩებს ხოლმე

უგუნურთ. ამისათვის თქმულა: მოსახვეჭელის მოხვეჭა უფრო ადვილია. ვიდრე შენარჩუნებაო. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, გმართებთ მისი ძნელბედობა თქვენს სვებედობად მიითვალოთ, ამისდა კვალად ერთობით მოეკიდოთ საქმეს, გაგზავნოთ ელჩები, როცა ამისი დრო დადგება, ილაშქროთ თავად და სალაშქროდ განაწყოთ სხვებიც. აბა განსაჯეთ, რა მოხდებოდა მაშინ, ასეთი ჟამი ჩვენ საწინააღმდეგოდ რომ დასდგომოდა ფილიპეს და ომი ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან ამტყდარიყო? ხომ წარმოგიდგენიათ, რა სალისით გამოილაშქრებდა იგი თქვენ წინააღმდეგ? ამას იქით ნუთუ არა გრცხვენიათ? თუ იგი არც ერთ მარჯვე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ თქვენ წინააღმდგ გამოილაშქროს, თქვენ რატომლა იკავებთ თავს, რატომ არ უშოვით მას დროს ასლა, როცა ასეთი ხელსაყრელი ჟამი დაგდგომიათ? აგრეთვე, ათენელო დარბაისელნო, თქვენ უნდა ასწონ-დასწონოთ ის არჩევანიც — თქვენ იომებთ იქ, თუ ის იომებს თქვენს მიწა-წყალზე. უკეთუ ოლინთოსელნი წინააღმდეგობის გაწევას შესძლებენ, თქვენ იომებთ იქ და ზიანს მიაყენებთ მის ქვეყანას, ნაყოფს კი უშიშრად მოიხვლით იმ მიწისას, თქვენი კუთვნილი მამული რომ არის. თუკი იგი მათ დაიმორჩილებს, ვინლა დაუდგება წინ, რომ აქაც შემოვიდეს? განა თებელნი? ისინი, მეტად მკვახედ რომ არა ვთქვათ, თქვენ წინააღმდგ თვითონ ასტეხენ ომს. ეგებ ფოკიდელნი? მათ ხომ უთქვენოდ საკუთარი მამულის დაცვაც კი არ ძალუძთ? ან იქნებ სხვა ვინმე? ოჰ, არა, ჩემო კეთილო, ის ამ ჰკუაზე სულაც არ გახლავთ. უგუნურთაგანი იქნებოდა მაშინ იგი, რომ არ მოემოქმედებინა ძალმორჩმულს ის, რითაც იკვეხნის ახლა, თუნდა სწორედ რომ უგუნურად ეცნოთ ამისთვის. ხოლო, თუ რა განსხვაებაა, აქ ვიომებთ, თუ იქ, ამაზე სიტყვას ალარ გავაგრძელებ. თავად რომ მოგწეოდათ ლაშქრად გასვლა თუნდაც ოცდაათი დღით და თქვენი ქვეყნისაგან მიგეღოთ ის, რაც ლაშქრობისას სჭირდებათ მხედართ, — იმ პირობით, თუ ლაშქარში მტერი არ გაერეოდა, ამასაც ვიტყვი, — მაშინ მიწის მუშაკთა ზარალი უჭრო დიდი იქნებოდა, ვიდრე თქვენი ხარჯები. მაგრამ ომმა რომ აქ გვიწიოს, რა დაგვშოვნია ჩვენ? — ზარალთა ალრიცხვა მხოლოდ! მაშინ მოიმკით აგრეთვე შეკინებასაც მტერთაგან და სირცხვილს თქვენთა საქმეთა გამო გონიერ კაცთა თვალში.

ყოველივე ამას რომ გაიაზრებთ, უნდა გაიღოთ სამხედრო სახსარი, ომი გალაიტანოთ იქით. მდიდრებმა იმისთვის, რომ გაიმეტონ მცირედი რამ იმ დიდ სიკეთეთა გადასარჩენად, რომელთაც საბედნიეროდ ფლობენ, და უსაფრთხოდ გაიმრავლონ დანარჩენი სიკეთეც. სამხედრო ასაკის ვაჟკაცებმა იმისთვის, რომ მიიღონ საომარი გამოცდილება ფილიპეს ქვეყანაში, მოიხვეჭონ სამშობლოს უბლეველ დამცველთა სახელი და ხელუყოფელ ქმნან იგი; ორატორებმა იმისთვის, რომ მათ გაუადვილდეთ პოლიტიკურ საქმიანობათა ანგარიშგება, ვინაიდან, თუ როგორ წარიმართება თქვენი საქმენი, იმისი კვალობაზე განსჯით თქვენც მათ საქმეთ. დაე, კეთილად აღესრულოს ყოველი საყოველთაო საქმისათვის!

მეორე ოლინთოსური

ლიბანიოსის წინათქმა

ათენელებმა დახმარება აღუთქვეს ოლინთოსელთა ელჩობას. მაგრამ აყოვნებდნენ ლაშქრობას, შიშობდნენ — ვაითუ ვერ ვძლიოთო ფილიპე. გამოდის დემოსთენე და ისწრაფვის გაამხნევოს ხალხი, საჩინოს ხდის მაკედონელის ნაკლოვანებებს. მოკავშირენი მეფეს ევჭვით უყურებენო, —ამბობს, — საკუთრივ იგი უმნიშვნელო ძალის მფლობელია, უმოკავშირევებოდ კი სუსტნი არიანო მაკედონელნი.

სიტყვა

მე მგონია, ბევრი ნიშანი საჩინოჰყოფს, ათენელო დარბაისელნო, დმერთთა აშკარა კეთილგანწყობას ჩვენი საბელმწიფოს მიმართ, ბეტადრე საქმეთა აწინდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ. დალათუ სამტროდ ალდგომია ფილიპეს ის ხალხი, მეზობელი ქვეყანა რომ უჭირავს, რამდენადმე ძალიც შესწევთ საამისოდ და, რაც მთავარია, ამ ომს არამცთუ საბიფათოდ — დამღუპველადაც კი მიიჩნევენ. ეს დემონიურს რასმე, ან ყოვლისმომცველ ღვთიურ ბედკეთილს ჰგავს.

ახლა გმართებთ, ათენელო დარბაისელნო, არ აფიქრებინოთ ვისმე, თითქოს კეთილდღეობა უფრო ზრუნავს თქვენთვის, ვიდრე თქვენ — კეთილდღეობისათვის, სირცხვილი თქვენი და სირცხვილზე უფრო მეტიც, თუ ხელს ააღებთ იმ დაბა-ქალაქებს, თქვენად რომ მიითვლიდით ოდესმე, აგრეთვე ბედის წყალობით შე-

ძენილ მოკავშირეებს და ხელსაყრელ პირობებს.

ახლა, ათენელო დარბაისელნო, ფილიპეს ძალაზე რომ გაგივრცოთ სიტყვა და ჩემი ლაპარაკით შეგაგულიანოთ საქმის აღსასრულებლად, საჭიროდ არა ვთვლი. რატომ? იმიტომ, რომ ვინც რა უნდა თქვას ამ მიმართებით, ეს მხოლოდ აამებდა მის პატივმოყვარეობას და ამასთან საჩინოჰყოფდა ჩვენს არცთუ წაღმა წასულ საქმეთ. რაც მეტი სახელი უჩვეულო საქმეებით უხვეჭია მას, მით მეტი საყოველთაო გაკვირვება გამოუწვევია, თქვენ კი რაც მეტი უგერგილობით მოჰკიდებიხართ საქმეს, მით მეტი სირცხვილი გიჭამიათ. მაგრამ ახლა ამაზე აღარ მოვყვები ლაპარაკს. ვინც მართლად განსჯის, ათენელო მოქალაქენო, ის დაინახავს, რომ ეგ კაცი სხვათა კერძ ქმნილა. რისთვის უნდა სწყალობდეს იგი იმ სახელმწიფო მოღვაწეთ, მისი გულისათვის რომ დამაშვრალან, ან თქვენ რატომღა უნდა შერისხოთ ისინი? ვფიქრობ, არა ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი. ეგ იქით იყოს, ათენელო დარბაისელნო, და დგას საკითხი, თანაც საყურადღებო, რომლის მოსმენა გარგებდათ თქვენ და ამასთანავე ცხადყოფდა მის ცუდმედიდობას, თუ თქვენაც ჭეშმარიტად განსჯის სურვილს გამოიჩენდით. შევეცდები მოგახსენოთ ეს.

ცხადია, თუ მას ფიცის გამტეხ, ვერაგ კაცად ვახსენებთ მისეულ საქმეთა მიუხედავად, ეს შესაძლოა ფშუტე ლანძღვად მიიჩნიოს ვინმემ და სამართლიანადაც, მაგრამ მისგან გარდახდილ საქმეთა გამოჩხრეკა და ამის კვალობაზე მისი მხილება დიდ სჯას არ მოითხოვს. ამაზე საუბარსაც საშუროდ მივიჩნევ ორი მოსაზრებით: ჯერ ერთი, რომ მინდა წარმოგიდგინოთ ფილიპეს ჭეშმარიტი ანუ უკეთური სახე; და მეორეც — მინდა დავანახო იმათ, ვისაც იგი უძლეველი ჰგონია და შიშსა და ზაფრას მოუცავს ამის გამო, რომ მან უკვე ჩამოსცალა გუდა თავისი ტყუილებისა, რომელთა წყალობითაც აღზევდა და ახლა ამ აღზევებასაც მალე მოელება ბოლო. თავადაც მივიჩნევდი, ათენელო მოქალაქენო, საკვირველ და ფრიად სარიდალ კაცად ფილიპეს, რომ მენახა, იგი მართალი გზით ეწია ძალმოსილებას, მაგრამ საქმეს რომ ვწონი და ვზომავ, ვხედავ, ადრევე, როცა ზოგიერთებს ოლინთოსელთა გაძევება ეწადათ, მან ისარგებლა თქვენი გულუბრყვილობით, შეგპირდათ, — ამფიპოლისს გიბოძებთო, ფარულად კი ისა ქნა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა[1] გამოიწვია მაშინ, ოლინთოსელთა გული კი იმით მოიგო, რომ პოტიდეა წაგართვათ თქვენ — პირვანდელ მოკავშირეთ, და მათ გადასცა, თესალიელნი კი დააიმედა — მაგნესიას გიბოძებთო და ფოკიდის ომს შეუდგა. არ არის მისი თანამოსაქმე კაცი,» ბედს რომ არ ემდუროდეს. ის მუდამ სარგებლობდა იმ ადამიანთა ჭირდაუხედაობით, მას რომ არ იცნობდნენ, გადმოიბირებდა ხოლმე მათ და ამ გზით ეწია ძალმოსილებას. იგივე ხალხმა, რომელთა წყალობით აღზევდა ფილიპე და რომელთაგან ყველა ცალ-ცალკე მოელოდა საზღაურს, სწორედ იგივე ხალხმა უნდა დაამხოს იგი, რამეთუ როგორც გამოაშკარავდა, ყოველ საქმეს მხოლოდ თავის სასარგებლოდ აჭახრაკებდა ეგ კაცი. აი, ათენელო მოქალაქენო, ფილიპეს საქმეთა თავი და ბოლო. არადა, გამოვიდეს ვინმე და დამიმტკიცოს მე, ან უფრო სწორად დაამტკიცოთ თქვენ, რომ მართალს არ ვამბობ, რომ მისგან მოტყუებულნი ისევ ენდობიან მას, ან კიდევ უკანონოდ დამონებული თესალიელნი მონობისაგან თავდახსნას არ შეეცდებიან.

ხოლო თუ ვინმე აღაარებს, რომ ასეა და მაინც ფიქრობს, ძალის წყალობით თავს დაინარჩუნებსო, რადგან უკვე მოიდგა ფეხი ციხე-სიმაგრეთა, ნავსადგურთა და სხვა ამგვართა დატაცებით, შემცდარია იგი. სულ სხვაა, როცა მოკავშირენი საერთო საქმისათვის მონაწილეობენ ომში. ძალაც სწორედ ისაა, რადგან ამ დროს ჭირშიც კეთილი ნებით თანაუძმობენ ერთმანეთს ადამიანები. მაგრამ როცა სიმდაბლითა და მზვაობრობით აღზევდება ვინმე, როგორც მაგალითად, ეგ კაცი, პირველივე მარცხი ფეხს წაატეხინებს და ძვედაანარცხებს. შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი, ათენელო მოქალაქენო, რომ უსამართლო კაცმა, ფიცის გამტეხმა და ტყუილმაშვრალმა დაიმკვიდროს საიმედო ძალა; ასეთმა ძალამ შესაძლოა იმედის ყვავილები მოიხსას, მაგრამ მალედვე გაცნაურდება და დაზრება ბედის განჩინებით. ვფიქრობ, როგორც სახლის, ხომალდისა თუ სხვა მისთანათა საჭირველი მტკიცე უნდა იყოს, ასევე მმართველობის საქმეთა საუძველიც ჭეშმარიტი და სამართლიანი ხამს. ოღონდაც, ასე

---

[1]. ფილიპემ ალყა შემოარტყა ამფიპოლისს (358 ძვ. წ.), რომლის მფლობელობაზე ათენელები აცხადებდნენ პრეტენზიას. ფილიპე შეპირდა მათ ამფიპოლისის გადაცემას, თუ ესენი პიდნას ალებაში დაეხმარებოდნენ. მოლაპარაკების ეს მუხლი საიდუმლოდ დაიდო, რამაც ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

როდი მოსაქმეობდა ფილიპე. მე ვამბობ, უნდა დავეხმაროთ-მეთქი ოლინთოსელთ და, თუ ვინმე იტყვის, ვით აღესრულოს ეს უკეთ და უსწრაფესად, მე ამას მოვიწონებ. თესალიელებთან ელჩები უნდა ვაფრინოთ, რათა ზოგს აუხსნან ვითარება, ზოგიც შეაგულიანონ. მათ ხომ გადაწყვიტეს პაგასას დაბრუნება, აგრეთვე — მოლაპარაკება მაგნესიის თაობაზე. მხოლოდ გაითვალისწინეთ, ათენელო მოქალაქენო, მარტო სიტყვებს კი არ დასჯერდნენ ჩვენი ელჩები, არამედ საქმეც წარმოაჩინონ. თქვენი — მაგალითად, რომ თქვენ უკვე ლაშქრად ხართ დაძრული ჩვენი სახელმწიფოს ღირსების საკადრისად, რადგან ფუჭი და ფშუტეა ყოველი სიტყვა, თუ მას საქმე არ ახლავს, თან მეტადრე ჩვენს ქვეყანას არ შეჰფერის ეს. რაც უფრო იაფად ვხმარობთ სიტყვას, მით უფრო ნაკლებ სარწმუნოს ვხდით მას.

ესწრაფვეთ გარდატეხას, საქმის სრულ შემობრუნებას, გაიღეთ გასაღებელი, გადით ლაშქრად, ხალისით აღასრულეთ ყველა საქმე, თუ გსურთ აღიდგინოთ პატივი. ოღონდაც ინდომეთ, ათენელო მოქალაქენო, საქმე რიგიანად წარმართოთ და მაშინ ცხადი გახდება არა მხოლოდ ფილიპეს მოკავშირეთა მერყეობა და გულგრილობა, არამედ თვით მისი სახელმწიფოს უვარგისობაც. ეს უმალ იჩენს თავს. მაგრამ სხვა ძალებთან გაერთიანებული მაკედონიის ხელისუფლება სულაც არ გახლავთ უმნიშვნელო ძალა. ასეთი იყო იგი ტიმოთეოსის[1] დროს ოლინთოსელთა წინააღმდეგ, აგრეთვე ოლინთოსელთა მხარდამხარ, — პოტიდეას წინააღმდეგ. სხვასთან გაერთიანებული, ყოველთვის ძალას იკრებდა იგი. ახლახან კი, შინააშლილ, შფოთიან თესალიელთ შეუერთდა ეგ ძალა ტირანთა კარის წინააღმდეგ. ამრიგად, ყოველი ძალა, თუნდაც უმნიშვნელო, თუ სხვა ძალას შეემატა, მე ვფიქრობ, უკვე მნიშვნელოვანი ხდება. თავისთავად კი მაკედონია ძაბუნი ქვეყანაა, ათასნაირად შეჯირვებული. მაგ კაცმა ხომ ყველა თავისი საქმით, ომებითა და ლაშქრობებით, რომელთა წყალობით მის ძალოვანებაზე შეეძლო ემსჯელა კაცს, ადრინდელზე მეტად შეასუსტა იგი. ამასთანავე ნუ ფიქრობთ, ათენელო მოქალაქენო, ერთი და იგივე რამ ახარებდეთ ფილიპესა და მის ქვეშევრდომთ. პირიქით, იგი დიდებას ესწრაფვის, ამაზე ფიქრობს მხოლოდ, ეძებს სამოქმედო ასპარეზს, არ ერიდება ფათერაკებს, არ დაგიდევს გასაჭირს, რაკიღა უდრტვინველ ცხოვრებას არჩია მოეხვეჭა იმხელა კაცის სახელი, მანამდე რომ არ მოუხვეჭია მაკედონიის არც ერთ მეფეს. იმათ კი, პირიქით, ესევითარი დიდება ვერაფრად ეჭაშნიკებათ, არაქათგამოცლილნი ხან აქ, ხან იქ ლაშქრობით ქანცს იწყვეტენ და მუდმივ გაჭირვებას ითმენენ, ვერც მიწათმოქმედებას ეკიდებიან, ვერც პირად საქმეთ და ვერც იმ ჭირნახულის გასაღებას ახერხებენ, რის ვაივაგლახით რომ იმკიან, რადგან ქვეყანაში ბაზრები დახურულია ომიანობის გამო. თუ რა დამოკიდებულება აქვს მაკედონელთა უმრავლესობას ფილიპესთან, ამის განსჯა ძნელი არ არის უკვე აქ ნათქვამითაც. მისი დაქირავებული და ქვეითი ლაშქარი დიდად ქებულია, მაგრამ, როგორც მაგ ქვეყანაზე გამოვლილი ერთი სიტყვამართალი კაცისგან მსმენია, სხვებისაგან მაინც არ გამოირჩევა ეგ მხედრიონი. თუ ვინმე თავს გამოიჩენს მხედრობაში, ფილიპე ცდილობს ამგვარ კაცთა გარიყვას პატივმოყვარეობის გამო, იმიტომ კაცის თქმით, რადგან სურს თავად წარმოჩნდეს ყოველი საქმის თავკაცად. სხვა სიკეთესთან ერთად, საზღვარი არა აქვს მის პატივმოყვარეობას. ხოლო თუ ვინმე გონდაუნჯებული კაცთაგანია, ზრდილი და სამართლიანი, ვისაც არ ძალუძს აიტანოს მისი თავაშვებულობა, მემთვრალეობა და წრეგადასული ზერეხტომანი, იგი განაპირებულია და ღირსებას მოკლებული. გარს არტყია მხოლოდ ყაჩაღები, მლიქვნელები და იმ ჯურის ხალხი, ვინც არც ღრეობას თაკილობს და სიმთვრალეში არც ისეთ როკვას, რაზეც ლაპარაკს თქვენს წინაშე ვეკრძალვი ახლა. ეს კი დასტურ ასეა, რამეთუ ისინი, ვინც აქედან ისე გააძევეს, როგორც ტაკიმასხარებსაც კი არ გააძევებდა კაცი, — მათ შორის იყო — კალიასი, სახელმწიფო მონა და მისნი მსგავსნი, კბილკრეჭია მიმოსები, ბილწ სიმღერათა მთხზველნი, თაკიანთ ახლობლებსაც რომ ლაფში სვრიან — აი, ამ ხალხს სწყალობს იგი და პატივით იახლებს. ეს შესაძლოა წვრილმანად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ჭკუათმყოფელისთვის, ათენელო მოქალაქენო, საჩინოს ხდის მის თავკერძობასა და გონაშლილობას. მე ვფიქრობ, ყოველივე ამას ჩრდილავს მისი წარმატებული მდგომარეობა, რადგან წარმატებას ხშირად ძალუძს მსგავს სიმდაბლეთა მიჩქმალვა. ოღონდაც, საკმარისია ცოტათი წაიბორძიკოს და ყველაფერი აშკარა გახდება. მე ეგრეც მგონია, ათენელო მოქალაქენო, რომ შორს არ არის იგი დრო, როცა

[1] ტიმოთეოსი — ათენელი სარდალი, იყო მაკედონიის მეფის პერდიკეს მოკავშირე, როცა აიღო ქალაქი პოტიდეა.

აშკარა გახდება ყოველივე, უკეთუ ღმერთებმაც ისურვეს და თქვენც ინდომეთ ეს. ასეთი რამ ხომ სხეულსაც სჭირს, — თუ კაცი ჯანმრთელადაა, იგი არაფერს გრძნობს, ხოლო თუ სენი რამ შეეყარა, უმალ ყველაფერი წამოპყოფს თავს, დაბეჟილობა იქნება ეს, ნაღრძობი თუ სხვა რამ ძველი სატკივარი. ასეთი რამ ემართება სახელმწიფოებსაც, აგრეთვე ხელმწიფეთ: სანამ ისინი საზღვრებს გარეთ იბრძვიან, მათი სისუსტე მიჩქმალულია, ხოლო როგორც კი საზღვრებს მიუახლოვდება ომი, უმალვე ყველაფერი ერთბაშად იჩენს თავს.

თუ რომელიმე თქვენგანი, ათენელო მოქალაქენო, ფილიპეს მძლავრობის მხილველი, იტყვის, საფრთხილო არისო მაგ კაცთან ომი, — მართალი იქნება. ადამიანთა საქმეებში ბედს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სხვარიგად რომ ვთქვათ, ბედი ყველაფერია. და მაინც, მე რომ მკითხოთ, ჩვენი ქვეყნის ბედს ვარჩევდი მისას, თქვენც რომ გამოიჩენდეთ სულ ცოტა მონდომებას და გააკეთებდეთ იმას, რაც საჭიროა; მით უმეტეს, რომ მრავალი ნიშანი მაგრძნობინებს ამას, ღმერთები თქვენ უფრო გწყალობენ, ვიდრე მას. ჩვენ კი, როგორც მე ვხედავ, გულხელდაგეკრეფია მხოლოდ. ხოლო თუ კაცი თავისთვის არაფერს აკეთებს, მაშინ მეგობარსაც ვერ დააკისრებს — რამე გამიკეთეო, მით უმეტეს, ღმერთებს. თუ იგი თვითონ მოლაშქრეობს, თვითონ იჯაფება, თვალყური უჭირავს ყველაფერზე, არც ერთი წამით დროს უქმად არ ჰკარგავს და არც მარჯვე შემთხვევას უშვებს ხელიდან, ჩვენ კი მთელ დროს ბჭობას, არჩევანს და მოვლენათა შეფასებას ვანდომებთ — რა გასაკვირია რომ გვაკლობოს მან. მე პირადად, სულაც არ მიკვირს ეს. პირიქით, საკვირველი ის იქნებოდა, რომ ჩვენ, საომრად მოუმზადებელ ხალხს გვჯობნა იმ კაცისთვის, ვინც ყოველივე ამას აკეთებს. უფრო ის მიკვირს, ათენელო მოქალაქენო, წინათ ლაკედემონელებს რომ ებრძოდით ბერძენთა უფლებებისთვის, ბევრგზის გქონიათ შემთხვევა ურიცხვი პირადი გამორჩენა გეძიათ და მაინც არ გიქნიათ ეს, პირიქით სხვებს ეხმარებოდით თქვენი ფულით, როცა ისინი იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, შეგქონდათ წესატანი, ომის დროს ხიფათში იგდებდით თავს და ახლა რაღად აყოვნებთ ბრძოლას და ჯანჯლობთ შესატანზე, როცა თქვენივე კეთილდღეობაზე მიმდგარა ჯერი? თუკი ადრე სხვებისთვის ბევრჯერ გაგიწევიათ დახმარება, ყველა მათგანისთვის ერთად ან ცალ-ცალკე, ახლა რაღად დაგიკრეფიათ გულხელი, როცა კუთვნილი დაგეკარგათ თქვენი?

აი, ეს მაკვირვებს მე, ათენელო მოქალაქენო, და კიდევ ის, რომ არც ერთ თქვენთაგანს არ ძალუძს გაიაზროს, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ფილიპეს ებრძვით და რა გაგიკეთებიათ თქვენ ამ ხნის მანძილზე. კარგად მოგეხსენებათ, თავად აგიანურებდით საქმეს იმ იმედით, ეგებ ჩვენი საქნელი სხვამ ქნასო, ბრალს სდებდით ერთმანეთს, ბჭობდით, კვლავ იმედის ანაბარა რჩებოდით, — მოკლედ, ახლანდელივით ირჯებოდით და ასე მიიწურა მთელი დრო. ნუთუ ესოდენ განუსჯელნი ხართ, ათენელო მოქალაქენო, რომ ფიქრობთ, თქვენს ასეთ ყოფაში, თუკი ქვეყნის საქმე კარგად იყო და ცუდად წარიმართა, ახლა, როცა ცუდად არის — კარგად წარიმართება? ბუნება არ მიხდევს ასეთ სიბრძნეს. მოხვეჭილის დანარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე ხელახლა მოხვეჭა. ამ ომის წყალობით ალარა შეგვრჩა რა მოხვეჭილი, რისი გაფრთხილებაც გვმართებდა, და უკვე ყველაფრის თავიდან მოხვეჭა გვმართებს. ახლა ჩვენი საზრუნავიც ეს არის. მითქვამს, უნდა გაიღოთ გასაღებელი, უყოყმანოდ გახვიდეთ ლაშქრად, არავინ ბრალეულპყოთ, სანამ მოქმედების სადავე ხელში არ აგიღიათ. მერმე კი, შექმნილი ვითარების კვალობაზე რომ განჩხრეკთ ყოველს, პატივი მიაგეთ დირსეულთ, დასაჯეთ ბრალეულნი, არ შეიწყნაროთ არც ისინი და არც საკუთარი დაუდევრობა: განა რა უფლება გვაქვს მკაცრად მოვკითხოთ გარდახდილი საქმისთვის სხვებს, თუ ჩვენ თავად არ მოგვიგვარებია საქმე? როგორ ფიქრობთ, ათენელო დარბაისელნო, რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ ომს გაურბიან თქვენგან წარგზავნილი სტრატეგოსები და გამორჩენისათვის იბრძვიან მხოლოდ? რა შეგვეძლო გვეთქვა ამ სტრატეგოსებზე? ეს გამოწვეულია იმით, რომ სარგებელს, რისთვისაც ომი მიმდინარეობს, ითვისებთ თქვენ. მაგალითად, თუ ამფიპოლისი აიღეს, უმალვე თქვენ მიისაკუთრებთ მას, მხედართმთავართა ხვედრი მხოლოდ ხიფათია, ჯილდო კი — არა. იქ კი საფრთხე ნაკლებია, სამაგიეროდ მრავალია მოსაგებელი, რასაც მხედართმთავარნი და მხედარნი მოიგებენ, მაგალითისათვის — ლამფსაკოსი, სიგეონი და ხომალდები, რომელთა ძარცვა შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველა თავის სარგებელს ეძიებს. თქვენ კი, როცა ნახავთ, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანს, სარდლებსა სდებთ ბრალს, მაგრამ როგორც კი მათ ალაპარაკებთ და სიძნელეებს შეიტყობთ,

მიუტევებთ ხოლმე. ამასობაში კი ერთმანეთს ედავებით, ჯგუფებად იყოფით, ზოგი ალთას არის, ზოგი ბალთას და საერთო საქმე კი უკან მიდის. თუ წინათ, ათენელო მოქალაქენო, სიმორიის[1] წესით შესატანი შეგქონდათ, ახლა სიმორიის წესითვე მართავთ სახელმწიფოს. ყველგან ხელმძღვანელია ორატორი, რომელსაც მორჩილებს სარდალი და სამასი კაცი, მისი სურვილისამებრ როშ აღიმაღლებენ ხმას, თქვენ კი, დანარჩენები, ხან ერთს მიეკედლებით, ხან მეორეს. დროა ბოლო მოვუღოთ ამ წესს, თუმცა თქვენვე დაგიწესებიათ იგი. ახლა მაინც ვიყოთ თავისთავადნი, ყველას მივცეთ განსჯის, ბჭობისა და მოქმედების საშუალება. თუ ერთეულებს გადასცემთ ხელმძღვანელობას და ტირანად დაისვამთ თავზე, სხვებს კი დააკისრებთ ტრიერარქიას[2], შესატანის შეტანას, ლაშქრად გასვლას, დანარჩენებს კიდევ უფლებით აღჭურვავთ — მსჯავრი დასდონ ზემოხსენებულთ, მაშინ ვერავითარ საშუროსაქმეს დროულად ვერ აღასრულებთ, მსჯავრდადებულთა მეტი წილი გუულს აიყრის და მტრის ნაცვლად ესენი გაგიხდებიან დასასჯელნი. მოგახსენებთ, მთავარია გაიღოთ წესი შეძლებისდაგვარად, მორიგეობით გახვიდეთ ლაშქრად და აღასრულოთ სამხედრო სამსახური; სიტყვა მიეცეს ყველა სიტყვის მსურველ ორატორს, ხოლო მოსმენილგაგონილიდან იმჯობინეთ ის, რაც უმჯობესია და არა ის, რასაც მავანი და მავანი იტყვის. თუ ამგვარად გაუძღვებით საქმეთ, მაშინ აქ არა მარტო სიტყვით გამოსულ ორატორებს დააჯილდოებთ ქებით, არამედ თქვენივე თავსაც, რაჟამს საზოგადო საქმის წარმატებით თქვენც წაგემართებათ ხელი.

მესამე ოლინთოსური

ლიბანიოსის წინათქმა

ოლინთოსელებს სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს ათენელებმა და იფიქრეს, რომ ამით მდგომარეობა გაუმჯობესდა, ცნობებიც ასეთი ეუწყათ მათ. ხალხი აღფრთოვანებულია, ორატორები კი ფილიპეს დასჯას მოითხოვენ. ამჯერად დემოსთენე შიშობს, მოქალაქენი არ გათამამდნენ, არ იფიქრონ, რომ სრული გამარჯვება მოიპოვეს ოლინთოსელთათვის გაწეული დახმარებით და სამერმისოდ უზრუნველობას არ მისცენო თავი. ამიტომ ვის გამოდის დემოსთენე და გმობს მათ თავდაჯერებას, ურჩევს კეთილგონივრულ გონდაუნჯებას. ახლა ფილიპეს დასჯის ჯერი კი არ არის, არამედ მოკავშირეთა ხსნისთვის გვმართებსო სჯა, — აცხადებს ასე. მან ხომ უწყის, რომ ათენელები და სხვანიც, რომელთა საზრუნავი უპირატესად ისაა, თვისი მონაგარი არ წააგონ, მოწინააღმდეგეთა დასჯას ნაკლებ ესწრაფვიან. ამ სიტყვაში უფრო ამკარად რჩეობს იგი იმ კანონთა გაუქმებას, სასჯელს რომ უქადიან ყველას, ვინც სახელმწიფოთა თანხებს სამხედრო მიზნებისთვის წერილობით განაკანონებს.

ორატორი მოუწოდებს მოქალაქეებს, წინაპართა მსგავსად სულის მხნეობა მოიკრიფონ, თავი გადადონ ომისთვის, დიდად კიცხავს ხალხს სულმოკლეობისთვის, ხოლო დემაგოგებს — სახელმწიფოს არასწორი გაძღოლისათვის.

სიტყვა

არ მომწონს, ათენელო მოქალაქენო, თქვენს აღსრულებულ საქმეთ რომ ვეჭვრეტ და წარმოთქმულ სიტყვებს ვისმენ. ვხედავ, ამ სიტყვებში ლაპარაკია ფილიპეს დასჯაზე, ბედის ჩარხი კი ისე ტრიალებს, რომ დაფიქრება გვმართებს, უმალ თავად არ დაგვატყდეს სასჯელი. ამიტომაც მგონია, იმ საკითხის არსს, რაზედაც ბჭობთ, მცდარად წარმოგიჩენენ თქვენ მჭევრმეტყველნი.

მე ხომ ვიცი, იყო დრო, როცა ჩვენს ქვეყანას შეეძლო დაესაჯა ფილიპე და შიში არაფრისა ჰქონოდა. აგერ ჩემსობას და არა უსხოვარ დროში, სავსებით შესაძლებელი იყო ეს. ამჯერად კი მიმაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოკავშირეთა დასახსნელად უნდა ვიღონოთ რამე. თუ ეს საიმედოდ აღესრულა, მერმელა ვიფიქრებთ იმაზე — ვინ ვის დასჯის და როგორ. მაგრამ ეგრე მგონია, სანამ კეთილი დასაწყისი არ გვიპოვია, კეთილ ბოლოზე ფიქრი ამაოა. აწინდელი ვითარება, ათენელო მოქალაქენო, უწინდელზე უფრიადეს სიბეჯითესა და განსჯას საჭიროებს. მე სიძნელედ იმას კი არ მივიჩნევ, თუ რა გირჩიოთ ახლანდელ ვითარებაში, არამედ იმას, ათენელო ლარბაისელნო, როგორ გაგიცხადოთ რჩევა. ჩემი დაკვირვებით, ასევე

---

[1]. სიმორია — შეძლებულ ადამიანთა გაერთიანება.

[2] ტრიერარქია — ხომალდთა მშენებლობის ხელმძღვანელობა, გამრიგეობა.

სხვათა მონათხრობით უკვე ვუწყი, რომ მრავალი საშური საქმე იმიტომ კი არ წაგსვლიათ ხელიდან, სწორად რომ არ იყო განსჯილული, არამედ მისი აღსრულების სურვილი არ გამოგიჩენიათ. ახლა კი გთხოვთ, თუ გულახდილად გილაპარაკებთ, მოთმინება იქონიოთ და ყურადღება მიაქციოთ იმას, ვიტყვი თუ არა მართალს და მივმართავ თუ არა ჩემს სიტყვას საქმის წაღმა წასამართავად. თავად უწყით, ზოგთა წყალობით, თავიანთი სიტყვებით მსმენელთა მაამებლობა რომ მოიწადინეს, საქმე წახდა მხოლოდ.

საჭიროდ მივიჩნევ, ზოგი რამ მოგაგონოთ უკვე გაგონილი. აბა გაიხსენეთ, ათენელო მოქალაქენო, ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ თქვენ გეუწყათ, რომ ფილიპემ ჰერეონის ციხეს თრაკიაში ალყა შემოარტყა, მემაქტერიონის [1] თვე იდგა სწორედ. დიდი სჯა და მსჯელობა გქონდათ მაშინ და ბოლოს გადაწყვიტეთ, ხლვაში ჩაგეშვათ ორმოცი ტრიერი, ხომალდებში ჩაგესხათ ორმოცდახუთ წელს მიღწეულნი, [2] და გაგეგზავნათ სამოცი ტალანტი.

ამასობაში ის წელიც მიიწურა. მას მოჰყვა პეკატომბეონი, მეტაგიტნიონი და ბოედრომიონი[3]. დაბოლოს მისტერიის შემდეგ, ძლივს გაგზავნეთ ქარიდემოსი ათიოდე ცარიელი ხომალდით და ხუთიოდე ვერცხლის ტალანტით. ხოლო როგორც კი დაირხა ხმები, ფილიპე ავად არისო თუ გარდაიცვალაო (ერთდროულად დაირხა ეს ხმები) — თქვენ გადაწყვიტეთ, ათენელო მოქალაქენო, საომარი მდგომარეობა მოიხსნაო, და ხელი აიღეთ ჯარისა და აღალის გაგზავნაზე. მაშინ რომ ისევე მსნედ გეკისრათ სამხედრო დახმარება, როგორც გადაწყვიტეთ, დღეს ასე აღარ შეგაურვებდათ ფილიპე.

რაღა თქმა უნდა, რაც იყო — იყო და ამას რაღას უშველი. ავჟამად მარჯვე დრო დგება ახალი ომისათვის. იმიტომ შეგახსენეთ ეს ამბები, რომ უწინდელი არ დაგებედოთ კვლავ. მაინც როგორ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, ათენელო მოქალაქენო? სამხედრო სამზადისს ყველა დიდი მონდომებით უნდა შევუდგეთ, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, თორემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ფილიპეს სასარგებლოდ წარიმართოს ჩვენი მეცადინეობა. ოლინთოსელებს შესწევდათ რაღაც ძალა, ამავე დროს მდგომარეობაც ისეთი იყო, რომ ვერც ფილიპე ხელყოფდა ოლინთოსელთ და ვერც ეგენი ფილიპეს. ოლინთოსელებმა და ჩვენ ურთიერთ-სამშვიდობო ხელშეკრულება დავდეთ. ფილიპე შებრკოლებული იყო და შელონებულიც, რადგან მარჯვე დროს უცდიდა დიდი ქალაქი, ჩვენთან დაზავებული. ჩვენ ვლამობდით როგორმე ბრძოლაში ჩაგვება ეს ხალხი. ჰოდა, რაზედაც მაშინ ამდენს ენავწყლიანობდით, ასე თუ ისე აღსრულდა ახლა. სხვა რაღა დაგვრჩენია, ათენელო მოქალაქენო, თუ არა მტკიცე და გულდაგული სამხედრო მზადება. მე, პირადად, ვერას ვხედავ უმჯობესს; აღარას ვიტყვი იმ სირცხვილზე, რაც შეიძლება დაგვატყდეს თავს, თუ რამე უგულვებელვყავით ამა საქმეთაგან. თანაც მოსალოდნელ შედეგებს რომ ვითვალისწინებ, ვფიქრობ არც თუ მცირე საფრთხის წინაშე ვდგავართ ჩვენ, ათენელო მოქალაქენო, რადგან თებელნი კვლავინდებურად არ გვაძლევენ ხელს, ხოლო ფოკიდელნი მოკლებულნი არიან საჭირო საზრებს; ასე რომ აღარავინ მოიძევება ისეთი, ვინაც დააბრკოლებს ფილიპეს, აქეთ როცა გამოსწევს, მას მერე, რაც იქ აღასრულებს თავის დამპყრობლურ საქმეთ.

ხოლო თუ ვინმე თქვენგანი თავის მოვალეობის აღსრულებას განუდგება, მას მოუწადინებია თვალებში შეხედოს ომის საფრთხეს, ნაცვლად იმისა, რომ იგულვებდეს მას, და გადაუწყვეტია სხვისგან ითხოვდეს შველას, როცა ჯერ თავად ძალუძს სხვისი შველა. საქმე რომ სწორედ ამნაირად დატრიალდება, თუ კარზე მომდგარი მარჯვე შემთხვევა ხელიდან გავუშვით,—ეს ცხადად ვუწყით.

„სამხედრო დახმარება რომ აუცილებელია, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება, — იტყვის ვინმე, — შენ ის გვითხარი, როგორ და რა გზით უნდა გავაკეთოთ ეს?“ საამისოდ, არ გაგიკვირდეთ, ათენელო მოქალაქენო, თუ უმრავლესობისათვის მოულოდნელი რამ ვთქვა: დასხით კანონმდებელნი, და კანონმდებელთა სხდომაზე ახალ კანონებს კი ნუ დაადგენთ (ისედაც ბლომად კანონები დაგვიდგენია), არამედ, პირიქით, გააუქმეთ საამჟამოდ ხელისშემშლელი კანონები. ცხადია, იმ კანონებზე მოგახსენებთ, სანახაობათა სახსრებსა და ომში მიმავალ ზოგიერთ მოლაშქრეს რომ

---

[1] მემაქტერიონი — ნოემბერ-დეკემბრის მიჯნა.

[2] სამხედრო გაწვევის ასაკი 18-დან 60 წლამდე გრძელდებოდა; ეფებოსები (პირველწვეულნი) იცავდნენ საზღვრებს. 45 წლის ასაკის ხალხის გაწვევა კი განსაკუთრებულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული.

[3] ჰეკატომბეონი, მეტაგიტნიონი, ბოედრომიონი — ატიკური წელიწადის დასაწყისი სამთვიური; იწყებოდა ივლისის შუა რიცხვებიდან.

ებება. ზოგი ამ კანონთაგანი საომარ საბსარს შინ დარჩენილთ აკუთვნებს სათეატროდ, აგრეთვე დაუსჯელად ტოვებს სამხედრო წესრიგის დამრღვევთ და ხალისს უკარგავს იმათაც, ვინც მზადაა მოვალეობის აღსასრულებლად. რაჟამს ამ კანონებს გააუქმებთ და გზას გაუხსნით უფრო სალ აზრს, მერმელა ეძიეთ დამწერნი იმ აზრებისა, რომელთა სარგებლიანობა თავად უწყით. მაგრამ ჯერ ნუ იზამთ ამას, რამეთუ ის, ვინც უკეთეს წინადადებას შემოგთავაზებთ თქვენდა სასიკეთოდ — თქვენივე მსხვერპლი შეიძლება გახდეს; მაშინ ხომ ვერასდროს ვერ იპოვით უკეთესის მზრახველს, თუკი უსამართლოდ დაიჩაგრება ის, ვინც ახალს რასმე გვეტყვის და დაგვიწერს.

ასეთი საქმე კი არამცთუ სარგებელს გამოიღებს, არამედ პირიქით, მომავალში უფრო მეტად, ვიდრე ახლა, დააფრთხობს ყველას, ვინც უკეთესს განიზრახავს. კანონთა გაუქმება, ათენელო მოქალაქენო, თვით კანონმდებელთ უნდა მოეთხოვოს.

სამართლიანი არ იქნება, თუკი პატივსცემა მოიხვეჭეს კანონმდებლებმა იმ კანონთა, რომლებმაც ზიანი მიაყენეს მთელ ქვეყანას, ამავე დროს სასჯელი დაატყდეს უკეთესის მრჩეველთ, რომელთა რჩევა სარგებლობას მოუტანდა ყოველ თქვენთაგანს. მაგრამ ჯერ ნუ გაირჯებით ამ საქმის მოსაგვარებლად, ათენელო მოქალაქენო, ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ შორის იყოს კაცი, რომელსაც ძალუძს დაუსჯელად გადააბიჯოს ამ კანონებს, ან ესრეთ რეგვენი, რომ თავი აშკარა საფრთხეში ჩაიგდოს.

ცხადია, ისიც არ უნდა უგულვებელვყოთ, ათენელო მოქალაქენო, რომ გადაწყვეტილებებს თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ გადაწყვეტილის აღსრულებასაც არ ინებებთ. მარტოოდენ ამ ფსეფისმებს[1] რომ შეეძლოს გაიძულოთ იმ საქმეთა აღსრულება, რაც გევალებათ, ან ყოველი დაწერილის საქმედ ქცევა, მაშინ აღარ იზამდით იმას, რომ ამდენი გადაწყვეტილებიდან მცირე კი არა და, უმციროესიც არ აგესრულებინათ და არც ფილიპე ითავხედებდა ამდენს, — ერთი რომელიმე გადაწყვეტილება აქამდე მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. საქმე განბჭობისა და კენჭისყრის შემდეგ როგორადაც წარიმართება, ამის კვალობაზე იძენს ის დიდ მნიშვნელობას. აი, ეს უნდა გაითვალისწინოთ, მეტი არაფერი. საჭირო სიტყვის მთქმელნიც მოგეძევებათ, ათენელო მოქალაქენო, თქმულის განსჯაც სხვაზე მეტად ძალგიძთ, ჰოდა, საქმეზეც რაღა დაგიდგებათ წინ, თუ სწორი გზით წახვალთ. ან კი, ათენელო მოქალაქენო, რა დროს, რა შემთხვევას ეძებთ თქვენ ამჟამინდელზე უკეთესს? როდისღა უნდა აღასრულოთ მოვალეობა, თუ არა ახლა? განა მთელი ჩვენი სიმაგრენი არ მიიტაცა მაგ კაცმა? და თუ ამ მხარესაც[2] გაისაბრძანისებს, განა ყველანი სირცხვილს არა გჭამთ მაშინ? განა არ ომობენ ახლა ისინი, ვისაც შველას შევპირდით, თუკი იომებდნენ? განა ის კაცი ჩვენი მტერი არ არის? განა ჩვენეულ სიკეთეს არ ფლობს? განა ბარბაროსი არ არის? რისი თქმა აღარ შეიძლება მასზე? ერთი მიბრძანეთ, ღმერთთა გულისათვის თუ ყველაფერზე ხელს ავიღებთ, რაც მოგვიძევია და ამით ლამისღა ფილიპეს შევეწევით, მერმე მოვდგებით და — დამნაშავე ვინააო — დავიწყებთ ძიებას, ცხადია, არავინ ჩვენთაგანი თავს დამნაშავედ არ შერაცხავს; აგრე არ არის? ომშიაც ასე ხდება: ხიფათისაგან უკუქცეულნი თავს კი არ თვლიან დამნაშავედ, ჯერ მხედართმთავარს დასდებენ ბრალს, მერმე მახლობლებსა და ყველა დანარჩენთ. მაგრაც ცხადია, რომ დამარცხების ჟამს დამნაშავეა ყველა ლტოლვილი; სხვებს ვინც ბრალეულჰყოფს, თვითონ რომ დარჩენილიყო თავის ადგილას და ის სხვებიც ასევე მოქცეულიყვნენ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. აი, ახლაც თუ ერთმა კარგად ვერ განსაჯოს, კეთილი ინებოს მეორემ და უკეთესად თქვას, ოღონდ ნუ განაქიქებს პირველის ნათქვამს. სხვა იტყვის უკეთ? ესეც სასიკეთოდ თქვენდა! არ გეამათ მისი სიტყვები? ნუ შეირისხავთ ამისთვის, თუ ვინძლო კეთილი სურვილებით ვერ გაამათ მან. მით უმეტეს, ათენელო დარბაისელნო, რომ კეთილი სურვილების გამოთქმა ადვილია, უმჯობესი კი ისაა, დედააზრი მოკლე სიტყვაში გაცხადდეს, თუმცა როცა საქმის დედააზრს ვიხილავთ, არც ისე ადვილი გახლავთ არჩევანი: სასიამოვნოს საჭირო ვარჩიოთ ხოლმე, როცა ორივე ერთად არ არის შესაძლებელი. მაგრამ თუკი ჩვენ შორის არის ისეთი ვინმე, ვინც სანახაობათა თანხას ხელუხლებლად გვიტოვებს და სხვა სახსარს გვთავაზობს სამხედრო საქმისათვის, განა საზრიანად არ იქცევაო იგი? — იკითხავთ თქვენ. დიახ, გეთანხმებით, თუკი საერთოდ არის ასეთი კაცი. მაგრამ ვეჭვობ, ჯერ დაბადებულიყოს ამქვეყნად ვინმე ან აწ დაიბადოს, ვინც მოხვეჭილ ქონებას უსარ-

---

[1] ფსეფისმა — ხმათა უმრავლესობით გამოტანილი გადაწყვეტილება.

[2] იგულისხმება ოლინთოსი.

გებლოდ გაჰფანტავს, ხოლო გაფანტულს სასარგებლოდ მოიხვეჭს. მე მგონია, ბჭობისას მნიშვნელობა აქვს თვითეულის **სწორ** არჩევანს, **რადგან თავის მოტყუება ადვილია, ვისაც რა სურს, იმას წარმოისახავს ხოლმე, ხოლო სინამდვილე კი უმეტესწილად სრულიად სხვა** გაბლავთ. ამიტომ, ათენელო მოქალაქენო, განსაჯეთ საქმე ისე, როგორც ამას ვითარება მოითხოვს და იმ ანგარიშით, რომ გასცეთ საქმისთვის და მიიღოთ სამსახურისთვის. ვერც ჭკუათამყოფელი ვინმე და ვერც კეთილშობილი კაცთაგანი ჯილდოდ ვერ მიითვლის საყვედურს, როცა წარუმატებლობის მიზეზი სახსრების **მოუგვარებლობაა. თუ ადრე კორინთელებისა და მეგარელების წინააღმდეგ** მყის იარაღს ისხამდნენ და სალაშქროდ მიდიოდნენ, მით უფრო **შეუწყნარებელია** ახლა ლაშქრის მოუმზადებლობით საშუალება მივცეთ ფილიპეს ელინურ ქალაქთა დაპყრობისა.

ამას იმიტომ კი არ მოგასსენებთ, რომ ზოგი თქვენთაგანის არაკეთილგანწყობა დავიმსახუროთ; არც ეგოდენ გონდაკარგული და ბედდაწყეველილი გახლავართ, თქვენი მტრობა ვინდომო, აქაოდა ბედს ვეწევი-თქო. ეგ არის მხოლოდ, პატიოსანი მოქალაქის მოვალეობად მიმაჩნია სახელმწიფოს ხსნა ამჯობინოს ენამშვეობას. იმ ორატორებსაც, **ჩვენი წინაპრები** რომ შესწრებიან, როგორც მსმენია მე და შესაძლოა გსმენიათ თქვენაც, რომელთაც თუმცა ხოტბას ასხამენ ახლაც სიტყვით გამოსულნი, მაგრამ ვერ კი ბაძავენ, სახელმწიფოს სასიკეთოდ მოსდევდათ სიტყვა — განთქმულ არისტიდეს [1], ნიკიასს, სეხნიას ჩემსას, [2] პერიკლეს. [3] იმ დროიდან კი, რაც ეს ორატორები გაჩნდნენ, თქვენ რომ გეკითხებიან: „რა გწადიათ, რა საკითხზე ვწეროთ, რა უფრო გახარებთო?“ იმ დროიდან მოკიდებული პირადი წარმატებანი მტკლად ედება სახელმწიფო საქმეს. მათ საქმენი ჩინებულად მისდით, თქვენ კი — სამარცხვინოდ. თავად განსაჯეთ, ათენელო მოქალაქენო, რა საქმენი შეიძლება მოვიხსენიო მნიშვნელოვანნი თქვენთა და წინაპართა მიერ გადახდილნი? აქ სიტყვაც მოკლეა და აზრიც ცნობილია თქვენთვის. უცხოთა მაგალითების ძიება არა გჭირდებათ, ათენელო მოქალაქენო, თქვენივე სალხი კმარა იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იხვეჭდეთ სვებედს.

ჩვენი წინაპრები, რომელთა წინაშე არ მაამებლობდნენ ორატორები, როგორც ახლა თქვენ წინაშე სჩადიან ამას, ორმოცდახუთ წელიწადს თავკაცობდნენ ბერძნებს მათივე **თანხმობით და** ბარე ათი ათასზე მეტი ტალანტი შესწირეს აკროპოლისს. მათვე ჰმორჩილებდა ზემორე ხსენებული ქვეყნის გახმაგებული ხელმწიფე. ურიცხვი და დიდებული ტროფეონი გახცეს მათ სახმელეთო და საზღვაო ომების დროს, მოლაშქრეობდნენ და კაცთა შორის პირველ-რჩეულებმა დაგვიტოვეს საქმეებში გაცხადებული დიდება, მოშურნეთათვის იგავმიუწვდენელი. აი, როგორ **ეჭირათ მათ თავი ელინთა შორის, დახეთ,** ეითარი იყვნენ მათი სახელმწიფო საქმენი, საზოგადონი და პირადნი; სახალხო სრა-სასახლენი, დიდებული ტაძრები, ჩვენთვის რომ უმშენებიათ და შიგ უმრავლებიათ წმინდა შეწირულებანი, მომდევნო თაობისათვის მიუწვდომელია.

პირად ცხოვრებაში ეგზომ თავდაჭერილნი იყვნენ ისინი, ეგზომ ერთგულნი დემოკრატიისა, რომ მაკალითისათვის თუ ავიღებთ არისტიდეს, მილტიადეს და იმ დროის სხვა გამოჩენილ ადამიანთა საცხოვრის სახლებს — არაერთმა თქვენთაგანმა უწყის, რა რიგისანი არიან ეგ სახლები, სხვებისაზე ვერაფრად გამორჩეულნი. სახელმწიფო მოღვაწეობით გამდიდრებას კი არ ლამობდა ეს ხალხი, არამედ, საერთო დოვლათის გამრავლებას ესწრაფვოდა ყოველი მათგანი. ელინთა ნდობით, ღმერთთა კეთილგანწყობითა და სამართლიანი მმართველობით იმსახურებდნენ და იხვეჭდნენ ისინი კეთილ სვე-ბედს. ასე მისდიოდათ მათ საქმე, სანამ ახლა რომ მოგახსენებდით, იმ პროსტატებს[1] იყოლიებდნენ. მაგრამ ახლა როგორღა მისდით საქმენი ჩვენს კეთილშობილთ? აქ უკვე დუმილს ვრჩეობ, თუმცაღა ბევრიც მეთქმოდა. და ახლა, როცა ხედავთ, რომ გავთავისუფლდით მეტოქეებისაგან, ესეც იმ დროს, როცა ლაკედემონელები შემუსვრილნი არიან, თებელნი თავიანთი საქმეებით გართულნი და სხვათაგან კი არავინ დარჩენილა პირველობის მოცილედ, — შეგვეძლო სრულიად გვეკმარა ჩვენი და განგვესაჯა სხვათა საქმენი. ჩვენ კი რა ვქენით? დაკარგეთ კუთვნილი მიწები, უმიზნოდ გავანიავეთ ათას ხუთას ტალანტზე მეტი, ომის-

---

[1]. არისტიდე — ბერძენ-სპარსელთა ომის (მე-5 ს. ძვ. წ.) მონაწილე მეომარი.

[2] ნიკიასი — (ავტორის სეხნია) პელოპონესის ომის მონაწილე.

[3]. პერიკლე — ათენის ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე (მე-5 ს. ძვ. წ.),

[1] პროსტატე — მეწინავე მეომარი; წინამძღოლი, მფარველი; სამშვიდობო მოლაპარაკების თავმჯდომარე.

თუ ახლა მაინც მიატოვებთ მაგ ჩვევებს, გახვალთ ლაშქრად და იწოქმედებთ ისე, როგორც თქვენს ღირსებას შეეფერის, თუ საშინაო თანხებს გაიღებთ საგარეო სიკეთეთა მოსახვეჭად, მაშინ შესაძლებელია, დიახაც შესაძლებელია, ათენელო მოქალაქენო, წილი დაიდოთ უხვ დოვლათში და თავი დააღწიოთ იმ გასაკითხს, რაიც მათხოვრის ლუკმას უფრო ჰგავს ან იმას, რასაც ექიმი დაუწესებს ხოლმე ავადმყოფს. ეს ლუკმა ზუსტად იმოდენაა, რომ გაძღომით არ გააძღოს, მაგრამ არც შიმშილით მოჰკლას კაცი. არც ის სახსრებია, თქვენ რომ ახლა მოგეძევებათ, საკმარისი ვარგისი ცხოვრებისათვის; საკმარისი არ არის, მაგრამ არც ისე მცირეა, რომ შეელიოთ და სხვა რამ საქმეს ეწიოთ. აი, ეს აჩვევს სწორედ მცონარეობას ყოველ თქვენგანს. „შენ რა, გინდა ეს ფული ჯამაგირად აქციო?“ — იკითხავს ვინმე. დიახ! თანაც ახლავე დაკანონდეს ერთი საერთო წესი, ათენელო მოქალაქენო, რათა თვითეულს ერგოს თავისი წილი სახელმწიფოსაგან და ასევე თვითეულმა სახელმწიფოსაც მიაგოს მისაგები. მშვიდობა თუ იქნა, ყოველ მათგანს შეეძლოს შინ ჯდომა, საჭიროებამ არ აიძულოს სამარცხვინო საქმის ჩადენა, დარჩეს რიგიან მოქალაქედ, ხოლო თუ მოდგება ჟამი, ახლანდელის მსგავსი, იგივე ჯამაგირით, რასაც იღებს ახლა, უყოყმანოდ გაივლოს ლაშქრად, როგორც მოითხოვს ამას სამართლიანობა. ზოგი თქვენგანი უკვე გამოსულია გასაწვევი ასაკიდან, მაგრამ მაინც იღებს ფულს, თუმცა არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ქვეყნისათვის; დაე კვლავაც მიიღოს სხვათა თანაბრად, ოღონდ გულმოდგინება მაინც გამოიჩინოს, ნუ დაიზარებს საქმეს, რისი აღსრულებაც ჯერ არს. არც რა დამიკლია, არც რა დამიმატებია, გარდა უმნიშვნელო წვრილმანებისა; უწესრიგობა ვაშორე და წესრიგი დავუკანონე სახელმწიფოს, გავარიგე საქმე იმისა, თუ როგორ იქნას ფული მიღებული, როგორ მოეწყოს ლაშქრობა, როგორ განისაჯოს და აღსრულდეს ყოველი თვითეულის ნიჭის, ასაკისა და საერთო ვითარების შესაბამისად. არსად სიტყვა არ დამცდენია, გამრჯელის წილი უსაქმურს ებოძოს-მეთქი, არც ის მომიხსენებია, ვიყალთაბანდოთ, ვიჯდეთ გულხელდაკრეფილნი მათხოვრულად და მხოლოდღა ვკითხულობდეთ, ამა და ამ მოქირავნე ჯარმა გაიმარჯვა თუ არაო. ამჟამად ხომ ასე ხდება. ცხადია, მე არ ვკიცხავ იმ კაცს, სათქვენო საქმეს რომ აღასრულებს, მაგრამ აგრეთვე მინდა თავადაც მოიმოქმედოთ ისეთი რამ, რომ სხვებს ამით მაინც

ჟამინდელი მოკავშირენი მშვიდობის ჟამს გავიუცხოვეთ და ჩვენ წინააღმდეგ თავად ვამძლავრეთ ასეთი მტერი. არადა გამოვიდეს რომელიმე თქვენგანი და თქვას, ვის უძლვის ბრალი ჩვენ გარდა ფილიპეს ეგზომ აღზევებაში? „რა გაეწყობა, ჩემო კარგო, ეს არ ვარგა, მაგრამ ქალაქში მაინც უკეთაა საქმე“. — ნეტა რა გვათქმევინებს ამას? ციხეკედლები, რომელთაც ჩვენ ვათეთრებთ? გზები, რომელთა შეკეთებას ჩვენ ვკისრულობთ? წყალგაყვანილობა და ათასი სხვა წვრილმანი? ერთი შეავლეთ თვალი ადამიანებს, ამ პოლიტიკას რომ მისდევენ: ზოგი მათგანი მათხოვარი იყო და მდიდარი გახდა, უსახელო იყო და სახელი დაიგდო, ზოგმა კიდევ საზოგადოებრივ სასახლეებზე დიდებული ბინები წამოჭიმა. იმდენადვე გაუარესდა სახელმწიფოს მდგომარეობა, რამდენადაც გაუმჯობესდა მათი. რაა ყველა ამის მიზეზი, რატომ იყო მაშინ ყველაფერი კარგად და რატომ არის ახლა ავად? საქმე ისაა, რომ მაშინ ხალხი თავად კისრულობდა გაბედულ ლაშქრობას, თვითონ იყო სახელმწიფო მმართველთა გამგებელი და ყოველგვარ სარგებელთა მფლობელი, ხოლო თვითეული მოქალაქე სიამოვნებით იღებდა ხალხისგან საზღაურად პატივს, თანამდებობას და ყველა სიკეთეს. დღეს, პირიქით, ყველა სიკეთე მმართველთა ხელშია, მათგან აღესრულება ყოველი საქმე, თქვენ კი, ხალხნო, ბეჩავნი, ყოველ სახსარსა და თანამებრძოლთ მოწყვეტილნი, მსახურებად, დანამატებად ქცეულნი, რაღაც სანახაობათათვის შემოწირულ გროშებსა კმარობთ ან სათქვენოდ გამართულ ბოედრომიების [1] დღესასწაულებს სჯერდებით. სხვას უმადლით იმას, რაც თქვენ გეკუთვნით, და კიდევ მათვე სწამებთ კაცთმოყვარეობას. გამოკეტილი ჰყავხართ სახელმწიფოს შიგნით, გიკრძალავენ ყოველგვარ ბუნებით მომადლებულ სიამეთ, გხედნიან და გიმორჩილებენ. ვერასოდეს მძლავრად, ჭაბუკებრ ვერ იღორძინებს წვრილმანებს გადაგებული ცუდმაშვრალი სული. რა ჩვევებიცა აქვთ ადამიანებს, აზრებიც ისეთივე მოსდგამთ უთუოდ. არც ის გამიკვირდება, ვფიცავ დემეტრეს, თუ ამ ჩემი სიტყვების გამო მევე მანახებთ ზიანს, და არა — იმათ, ვინც ამ ყოფაში ჩაგაგდოთ. თავისუფლად ლაპარაკი ყველაფერზე თქვენთან ხომ არც შეიძლება და ისიც მიკვირს, ახლა როგორ შევძელ ეს.

---

[1] ბოედრომია — აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაული; იწყებოდა ბოედრომიონის თვის 7 რიცხვიდან (სექტემბრის მეორე ნახევარი).

სცეთ პატივი. და რომ, ათენელო დარბაისელნო, არ გადააბიჯოთ სამანს სიქველისას, რაც ჩვენმა წინაპრებმა ურიცხვი ღირსშესანიშნავი ბრძოლებით გვიმემკვიდრეს. თითქოს ვთქვი ყველაფერი, რაც სასარგებლოდ მივიჩნიე. თქვენ კი თავად აირჩიეთ, რა არგებს სახელმწიფოს და ყველა თქვენგანსაც.

პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

ლიბანიოსის წინათქმა

ფილიპესთან ომში წარუმატებლობით გუნებაწამხდარი ათენელები საკრებულოში შეიყარნენ. ამჯერად ორატორი ცდილობს გააქარწყლოს მათი სასოწარკვეთა. საკვირველი არაა, თუ გაურჯელობით დამარცხდითო, — ამბობს იგი და განმარტავს, რა გზით ჯობდა წარმართულიყო ომი. მიუთითებს იმაზე, რომ უნდა შეიქმნას ორი ლაშქარი: ერთი უფრო ძლიერი, იმ მოქალაქეებისაგან შემდგარი, შინ რომ დარჩებიან და მზად იქნებიან ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, მეორე უფრო მცირე — მოქირავნე მოლაშქრეთაგან რომ შედგება და მოქალაქენიც შეუერთდებიან; ამასთანავე ორატორი მიუთითებს, რომ ეს მეორე ლაშქარი არ უნდა დარჩეს ათენში, პირიქით, იგი უნდა განლაგდეს მაკედონიის საზღვრებთან, იომოს განუწყვეტლივ, რათა საშუალება არ მისცეს ფილიპეს დაუცადოს ზაფხულის ქარებს ან ზამთრის გრიგალებს, როცა წყდება ზღვაოსნობა ათენიდან მაკედონიის მიმართულებით, რათა ათენელთა იქ არყოფნით არ ისარგებლოს მან და არ განაახლოს საბრძოლო მოქმედებანი. ამიტომ საჭიროა მისი საზღვრების ახლოს განლაგდეს ის ძალა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა რომ შეეძლება.

სიტყვა

ამჯერად რამე ახალ საქმეზე რომ იყოს სჯა, ათენელო დარბაისელნო, შევიცდიდი, ვიდრე აზრს არ გამოთქვამდნენ აქ გამოსვლას ჩვეულ ორატორთაგან უმრავლესნი, და თუ მათი ნათქვამი მომეწონებოდა, სიჩუმეს ვარჩევდი, არადა თავად შევეცდებოდი აზრის გამოთქმას. მაგრამ რაკიღა ამჟამად იგივე საკითხები განიხილება, რაც ადრევე განუხილავთ ამ ორატორებს, მე პირველი გამოველ და, იმედია, არ დამძრახავთ ამისთვის. ვინაიდან მათი უწინდელი რჩევანი რიგიანი რომ ყოფილიყო, ახლა სარჩევი აღარა დაგრჩებოდათ რა.

უპირველეს ყოვლისა, უსასოობას არ უნდა მისცეთ თავი, ათენელო დარბაისელნო, ამ საქმეთა მიხედულობით, რაგინდ უიმედოდ გესახებოდეთ ეგ საქმენი. ოღონდ, რა თქმა უნდა, წარსულის სვეულმართობა მომავლის სვეკეთილობამ უნდა გამოასწოროს. როგორ და რარიგ? თქვენ თვითონ, ათენელო დარბაისელნო, ეაიმრუდეთ საქმენი, არ აღასრულეთ, რისი აღსრულებაც გმართებდათ. ყველაფერი რომ ისე გექნათ, როგორც შეგეფერებოდათ, ხოლო მაინც ამ დღეში ჩავარდნილიყავით, მაშინ უკეთესის იმედიც გაგვიქრებოდა. ახა წარმოიდგინეთ — სხვათაგან გსმენიათ თუ თავადაც გახსოვთ — რა ძალა გააჩნდათ ლაკედემონელებს, თან არცთუ დიდი ხნის წინათ, მაგრამ თქვენ მაინც დიდებითა და ღირსებით ებრძოდით და ოდნავადაც არ შეგილახავთ ელადის სახელი, სამართლიანობის რწმენით ბოლომდე იომეთ. რისთვის მოგახსენებთ ამას? იმისთვის, ათენელო მოქალაქენო, რომ ირწმუნოთ ერთი რამ: თუ სიფრთხილეს გამოიჩენთ, საშიშიც ალარაფერი გექნებათ, ხოლო თუ უზრუნველნი დარჩებით, — სასურველიც აღარა აღსრულება რა. მაგალითისათვის ავიღოთ, როგორ დათრგუნეთ თქვენ მაშინ ლაკედემონელთა ძალა, როცა ბეჯითად მოეკიდეთ საქმეს, ახლა კი აგერ ამ კაცის თავხედობას დავუფეთებივართ, რაკიღა სათანადო გულმოდგინება დაგვიწყნია. თუ ვინმე თქვენთაგანი, ათენელო მოქალაქენო, ფიქრობს, ფილიპეს დამარცხება ძნელია, მის ძალთა სიჭარბეს რომ ითვალისწინებს, ამასთანავე იმასაც, რა მრავლად დაკარგა ციხე-სიმაგრენი ჩვენმა ქვეყანამ, — სწორადაც ფიქრობს იგი. მხოლოდ უწყოდეს მანვე, ათენელო მოქალაქენო, ოდესღაც სწორედ ჩვენ გვემხროდა პიდნაც, პოტიდეაც, მეთონეც, მთელი ოლქებითა და შინდაგარეთით, და თუ ახლა იმ კაცის ქვეშევრდომნი არიან, ადრე, როცა დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენ, თქვენს თანამდგომობას ამჯობინებდნენ მისას. ფილიპეს რომ ეფიქრა, ათენელებთან ომი გამიჭირდებაო — ისეთი სიმაგრეებით არიან ისინი შემოცხულნი და მე აგერ უმოკავშირეოდ რას გავაწყობო, მაშინ იგი ვეღარ მოიმოქმედებდა იმას, რაც მოიმოქმედა და და ვერც იმოდენა ძალას შეიძენდა. მან მშვენივრად უწყოდა, ათენელო მოქალაქენო, რომ

მთელი ეს სიმაგრენი თუ სამხედრო ნაალაფევი ყველას ეკუთვნის თანაბრად, წესით და კანონით კი ყოველი მომავლისთვის დანატოვარი სამომავლოდ უნდა დადგინდეს, ხოლო რასაც უსაქმური იკუთვნებს, ის საქმიანს უნდა განეკუთვნოს. მან თანდათან დაიმორჩილა ყველაფერი: ზოგი სამხედრო ალაფის გზით, ზოგიც სამეგობრო, სამოკავშირეო წესით. დიახაც ყველას სურს კავშირი შეკრას და იმეგობროს სალაშქროდ მზადმყოფ ხალხთან, საშური საქმის აღსრულებად რომ ძალა და გაბედულება შესწევთ. უკეთუ, ათენელო მოქალაქენო, ახლა მაინც დაადგებით იმ აზრს, რომ ყველა თქვენგანი ყოველივე საჭიროს და სასარგებლოს აღასრულებს სამშობლოსთვის, არ ითვალთმაქცებს საქმის აღსრულებისას, გასცემს მქონებელი და ლაშქრად გავა ყოველი ასაკოვანი მოლაშქრე, — ერთი სიტყვით, თუ სურვილს გამოიჩენთ დაეყრდნოთ საკუთარ თავს, თვითეულმა ის არ იფიქროთ — მე ხელს არ გავანძრევ, ყველაფერი სხვამ გააკეთოსო, მაშინ თქვენ მიიღებთ კუთვნილს და ღვთის ნებით უკანვე დაიბრუნებთ იმასაც, რაც თქვენივე ბედოვლათობით დაგიკარგიათ, ამავე დროს მაგ კაცზედაც იძიებთ შურს. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ახლანდელი კეთილდღეობა ღვთის დარად გაუხანგრძლივდეს მას. არც ევრეა საქმე! ზოგს სძულს იგი, ათენელო მოქალაქენო, ან შიში აქვს მისი, ან შური, თანაც უმეტესად იმათ, თითქოსდა კეთილად რომ არიან განწყობილნი მისადმი. სხვასაც ბევრსა სძულს იგი, თვით მისსავე მოკავშირეებსაც. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მიჩუმათებულია ახლა სულაც თქვენი უგერგილობისა და ფუჭსავატობის გამო, რაზეც, ვფიქრობ, ხელი უნდა აიღოთ. დახეთ, ათენელო მოქალაქენო, ეგ კაცი ისე გათავხედდა, არჩევანის საშუალებასაც არ გაძლევთ, იმოქმედოთ თუ მშვიდობა დაიცვათ, მხოლოდ იმუქრება და, ასე ვთქვათ, ჭოჭოლას გაყრით. თანაც ისეთი ვინმე არ გახლავთ, იგი იკმაროს, რასაც ფლობს, პირიქით — ნიადაგ ახალ-ახალ დაპყრობებს ესწრაფვის და ალყაში გვაქცევს, ვიდრე აქ ვსხედვართ და საქმეს ვაჭიანურებთ. როდისღა, ათენელო მოქალაქენო, როდისღა აღასრულებთ, რაც აღსრულებად ჯერ არს? რას ელოდებით? „ისეთ ყამს, ვფიცავ ზევსს, რომ გარდუვლად გარდაგვხდეს გარდასახღელი“. ასეთი ამბებისთვის თავისუფალი ადამიანები ცირცხვილით აგებენ პასუხს. ან ის ხომ არ გწადიათ, ერთმანეთთან იაროთ შესატყობად — „ახალი რა ისმისო?“ განა რა შეიძლება იყოს იმაზე ახალი, როცა მაკედონელი ამარცხებს ათენელებს და ელინებზე მამასახლისობს? „რაო, მომკვდარა ფილიპე?“ „არა, ზევსს გეფიცები, ავად შექნილა მხოლოდ“. მაგრამ თქვენთვის რა განსხვავებაა? კიდევაც რომ უბედურებას ეწიოს იგი, სულ ერთია, სხვა ფილიპეს გამოჩხრეკთ, თქვენი გონება ხომ ასეა მომართული. იმდენად თავისი ძალმორჭმულობით არ აღზევებულა ეგ კაცი, რამდენადაც ჩვენი უზრუნველობით. ვთქვათ და, მართლაც მომკვდარიყო ფილიპე იმ ბედის განჩინებით, უფრო რომ გვწყალობს, ვიდრე ჩვენ — ჩვენსავე თავს, მაშინ, დარწმუნებული იყავით, თუ მხოლოდ საქმეს მიჰყოფდით ხელს, შესძლებდით არეულობით სარგებლობას და საქმეთა სადავეების მომარჯვებას და რასაც გადაწყვეტდით, აღასრულებდით კიდეც. მაგრამ ამჯერად კიდეც რომ მოგეხელთებინათ ის მარჯვე დრო, მაინც ვერ შესძლებდით ამფიპოლისის აღებას, რადგან საამისოდ არც მომზადება გყოფნით და არცა სალისი. ამრიგად, სურვილი და მონდომება რომ უნდა გამოიჩინოთ და მზად იყოთ საქმეთა აღსასრულებლად, ეს მგონი, შეკნეხული გაქვთ უკვე და გულიც შეჯერებული, ამიტომაც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მაგრამ აი, როგორ უნდა მოემზადოთ, რომ ამ მდგომარეობას თავი დააღწიოთ, რა სიმრავლის ლაშქარი იყოლიოთ, რა სახსრები ეძიოთ, რათა მარჯვედ და სწრაფად მორჩეთ სამზადისს, აი, ამაზე შევეცდები ვილაპარაკო. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ათენელო მოქალაქენო, ჯერ მოისმინეთ და ისე განსაჯეთ ყოველი, ნუ ისულსწრაფებთ, თუ ვინმეს ამთავითვე ეგონება, თითქოს მე რაღაც ახალ სამზადისზე ვლაპარაკობ, ნუ იფიქრებს, რომ ამით საქმის გაჭიანურებას ვემხრობი. ის, ვინც გაიძახის: „ჩქარა“ და „დღესვეო“ — რიგიანს არას გაიძახის. რაც წარხდა, ახლა ომით ველარ გავაწყალმართებთ. კარგს იზამს ის, ვინც განაცხადებს, თუ რა ძალები უნდა მომზადდეს, რამდენი და საიდან, რომ ამ ძალებმა იძალოს იქამდე, სანამ ომს არ დავასრულებთ ზავით, ან მტერს არ გავანადგურებთ. ამ პირობით მარცხი აღარ მოგველის მერმისათვის. ამას რომ ვლაპარაკობ, ვფიქრობ, არავის შევუშლი ხელს წამოაყენოს სხვა წინადადება. ამრიგად ასეთი მნიშვნელობისაა ჩემი აღთქმა: დაე, საქმემ დასტურჰყოს მისი სიმართლე, თქვენ კი მსაჯულნი ბრძანდებოდეთ მისი.

უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, ათენელო მოქალაქენო, უნდა გაამზადოთ ორმოცდაათამდე ტრიერი; შემდეგ თვითონ უნდა იყოთ

მზად, რომ საჭიროებისთანავე ხომალდებში ჩასხდეთ და ზღვაში გახვიდეთ. გარდა ამისა ცხენოსანი ჯარის ნახევრისათვის საკმარისი რაოდენობის ცხენსაზიდი ხომალდებისა და სატვირთო ნავების აგებას გირჩევთ. ყველაფერი ეს საჭიროა, თუკი იგი მოულოდნელად დაარღვევს საზღვრებს და წამოვა პილოსში, ქერონესში, ოლინთოსში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც ინებებს. მას უნდა შეაგნებინოთ, რომ მეტად აღარ გამოიჩენთ უდარდელობას და ილაშქრებთ ისე, როგორც წინათ გილაშქრიათ ევბეაში, ჰალიარტოსში, რაზეც ბევრს მოგვითხრობენ. ამას წინათ კი პილოსშიც იყავით. თუ ამ საქმეს ახლავე არ აღასრულებთ, მაშინ საჭიროდ მიმაჩნია გითხრათ, გაითვალისწინოთ მაინც იგი. მას ან შიში შეიპყრობს, რაჟამს თქვენს ჩინებულ მომზადებას შეიტყობს (შეტყობით კი, რა თქმა უნდა, გამოწვლილვით შეიტყობს ყველაფერს, რადგან არიან, დიახაც, არიან ისეთნი, ყველაფერს რომ განუცხადებენ მას და ბლომადაც არიან), ან მშვიდად დაიჭერს თავს, ანდა ყურადღებასაც არ მიაქცევს ამ ამბავს და უცბად გაებმება ხაფანგში, რახან ამით საშუალებას მოგცემთ დაუბრკოლებლად შესცუროთ მის ქვეყანაში. აი, ჩემი ფიქრით, რისთვის უნდა ემზადოთ უწინარეს ყოვლისა, ათენელო მოქალაქენო. უნდა შეადგინოთ ლაშქარი და განუწყვეტელი საომარი მოქმედებით შეაურვოთ იგი. არას ვაქნევ ათი ათას, გინდაც ოცი ათას მოქირავნეს, არც მაგ ქალალდზე აღნიშნულ ლაშქარს, მე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთაგან შემდგარ ჯარს ვამჯობინებდი, უყოყმანოდ რომ გაგყვებოდათ ყველგან. აქვე ჯარის სურსათით მომარაგებაც უნდა გირჩიოთ. რა ძალის იქნება ეს ლაშქარი და რამდენი მეომრისაგან შემდგარი? საიდან მიიღებს იგი სურსათს? რარიგად უნდა აღასრულოს მან ზემორე ხსენებული საქმენი? მოგახსენებთ, დაწვრილებით მოგახსენებთ ყველაფერს. მოქირავნეთა აყვანასაც გირჩევთ, ოღონდ ისე არა, მათგან რომ ზიანს იღებდეთ მხოლოდ. თუმცა ყველაფერი გეცოტავებათ და თქვენს ფსეფისმებში ბევრს კისრულობთ, საქმით ვერც ცოტა გაგიკეთებიათ. ჯერ შეკრიბეთ მცირე ლაშქარი და უზრუნველჰყავით იგი, თუ გეცოტავათ, მერმე გააძლიერეთ. სულ ორი ათასი ქვეითის შეგროვებას გირჩევთ. აქედან ხუთასამდე, ვფიქრობ, ათენელი უნდა შეირჩეს, იმ ასაკისანი, თავად რომ მიიჩნევთ შესაფერისად, ვინძლო სამხედრო სამსახური გარკვეულ დროში აღასრულონ მათ და ვადა არ გაუგრძელდეთ, როგორც ამჟამად ხდება, არამედ მოხდეს ისე, რომ საჭიროების მიხედვით ერთმანეთი შესცვალონ. ლაშქრის დანარჩენ წილად მოქირავნეებს ვარჩევ. ამას უნდა დაემატოს ორასი ცხენოსანი, სადაც სულ ცოტა ორმოცდაათი ათენელი იქნება. მათ უნდა აღასრულონ იგივე რიგის სამსახური, რაც ქვეითებმა, უნდა მისცეთ მათ ხომალდები ცხენოსანი ჯარის გადასაყვანად.

ესეც ასე! სხვა რაღა დარჩა? ჩქარმავალი ტრიერი ათი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, თუ იმას ჰყავს ხომალდები, ჩვენც უნდა გვყავდეს ჩქარმავალი ტრიერები, რათა უსაფრთხოდ შესძლოს ცურვა ჩვენმა ლაშქარმა. მხოლოდ საიდანღა გავაჩინოთ სურსათი? მეც ახლავე მოგახსენებთ და ნათელს მოვფენ ამას. ოღონდ ჯერ მინდა გითხრათ, რად მიმაჩნია ასეთი ძალა საკმარისად, ლაშქრობაში მოქალაქეთა მონაწილეობას რად ჩაგჩიჩინებთ. ამ განსაზღვრულ ძალას იმ მოსაზრებით გთავაზობთ, ათენელო მოქალაქენო, რომ ამჯერად ჩვენ არ შეგვიძლია შევკრიბოთ იმოდენა ლაშქარი, წინ რომ აღუდგებოდა მას და თანაც მოვამარაგოთ. ამიტომ ჯერხნობით მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმებით უნდა შევაურვოთ და პირველ ხანებში სწორედ ასე რიგად ვიომოთ. ლაშქარი არც ძალიან დიდი უნდა იყოს (ვინაიდან სურსათისა და ჯამაგირს ვერ ავუთავდებით), მაგრამ არც ძალიან მცირე. მოქალაქეთა თანამოლაშქრეობას კი იმიტომ გირჩევთ, რომ უწინდელ მაგალითს ვითვალისწინებ. როგორც მსმენია, კორინთოში ჩვენი სახელმწიფო ინახავდა მოქირავნე ლაშქარს, რომელსაც სარდლობდნენ პოლისტრატოსი, იფიკრატე, აბრიასი და სხვანი. თავადაც მიგიღიათ მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. მოქირავნეები მაშინ თქვენს მხარდამხარ იბრძოდნენ და დაამარცხეს ლაკედემონელებიც. მაგრამ მას აქეთ მოქირავნენი მარტონი მიდიან ლაშქრად, ისინი ამარცხებენ მეგობრებსა და მოკავშირეთ, ამასობაში კი ზომაზე მეტად გამძლავრდა მტერი. ესენი ზერელედ უყურებენ ჩვენი ქვეყნის ბრძოლას და ურჩევნიათ გასცურონ არტაბაძოსთან [1] ან სადმე სხვაგან. სტრატეგოსიც მათ მიჰყვება უკან; ესეც ბუნებრივია, ვინაიდან ძნელია უმეთაუროდ იმათ, ვისაც თავისას არ მიაგებენ. რას მოვითხოვ მე? არც მხედართმთავარსა და არც ლაშქარს მიზეზი არ უნდა ჰქონდეს დასაბრკოლებელი. მიეგოს მათ მისა-

---

[1] არტაბაძო — სპარსეთის სატრაპი მცირე აზიაში, მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა 356 წ. (ძვ. წ.) დახმარებისთვის უხმო ათენელ სარდალს ქარეტს.

გებელი და სწორედ ადგილობრივ ჯარისკაცთაგან შეირჩეს მეთვალყურენი მეთაურთა მოსაქმეობის გასაკანონებლად, თორემ დასტურ რომ სასაცილოა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ახლა. ვინმეს რომ ეკითხა თქვენთვის: „მშვიდობით სუფევთ თუ არა, ათენელო მოქალაქენო“, — თქვენ უპასუხებდით: „არა, ზევსს გეფიცებით, ჩვენ ფილიპესთან ვომობთ“. მაგრამ განა თქვენ არ ამოირჩიეთ ათი ტაქსიარქოსი, სტრატეგოსი, ფილარქოსი და ორი ჰიპარქოსი? მერედა რას აკეთებენ ისინი გარდა ერთი კაცისა, საომრად რომ გაგზავნეთ? ყველა დანარჩენი დღესასწაულების მოწყობით ერთობიან ჰიეროპოიოსებთან ერთად. ვითარცა მბერწავნი გამოდგამენ თიხის კაცუნებს, ასევე ძერწავთ თქვენ ტაქსიარქოსებსა და ფილარქოსებს საკრებულოში გამოსაფენად და არა საომრად. განა იმისთვის არ გჭირდებოდათ, ათენელო მოქალაქენო, ტაქსიარქოსნი და თქვენივე თავკაცნი, რომ ქვეყანა ძლიერებას სწეოდა? მაგრამ ლემნოსზე თქვენმა ჰიპარქოსმა უნდა გასცუროს, განა შეიძლება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეომარ მხედრებს მენელაოსი[1] ჰიპარქოსობდეს? ამ უკანასკნელის დასაძრახად სულაც არ მითქვამს ეს, მხოლოდ ამ თანამდებობაზე თქვენგან ამორჩეული უნდა იდგეს, ვინც გინდა იყოს იგი.

შესაძლოა ჩემი ნათქვამი კი გეწყინოთ, მაგრამ უფრო მაინც ფულის საკითხის მოსმენას ინდომებთ ალბათ. რა თანხას ვიკმარებთ და რა გზით გამოვძებნით მას? ახლავე მოგახსენებთ, გეტყვით ფულზეც. ლაშქარს მთლიანად მოუნდება სურსათისთვის სულ ცოტა ოთხმოცდაათი ტალანტი, ათ ჩქარმავალ ხომალდს ორმოცი ტალანტი, თვიურად ოცი მნა თვითეულ ხომალდს, ამდენივე — ორი ათას მხედარს, რათა თვითეულმა მხედარმა თვიურად მიიღოს ათი დრაქმა, ხოლო ორასმა ცხენოსანმა — ყოველთვიურად ოცდაათ დრაქმად განაწილებული— თორმეტი ტალანტი. ვინმეს თუ ჰგონია, ომში მიმავალი ლაშქრისათვის სურსათი საკმარისი არ არის, მცდარად ჰგონია ეს. კარგად ვიცი, საქმე რომ ასე წარიმართოს, დანარჩენს ლაშქრობებიდან მიიღებს ჯარი, ისე რომ არც ელინნი გაანაწყენოს, არც მოკავშირენი, და გასამრჯელოდ ესეც ეყოფათ. მე ჩემი მხრით მზადა ვარ მონაწილეობა მივიღო ლაშქრობაში და საკადრისად მივიზღო, თუ ასე არ იქნეს ეგ. ხოლო საიდან უნდა მიიღოს ეს ფული, ახლა ამაზე ვიტყვი.

შემოსავლის გაანგარიშება[1]

თანხა ეს გახლავთ, ათენელო მოქალაქენო, რაც აგერ მოგახსენეთ. რაჟამს არჩევნებს შეუდგებით, შეუდექით ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ ამას, რომ მხოლოდ ფსეფისმებითა და წერილებთი კი არა, საქმით ებრძოლოთ ფილიპეს.

მე მგონია, გაცილებით უკეთ გაართმევდით თავს ომისა და მთელი ამ მზადების საქმეთ, თუ :გაითვალისწინებდით იმ ქვეყნის პირობებს, ათენელო მოქალაქენო, სადაც ომობთ, და მხედველობაში მიიღებდით, რომ ფილიპეს ხშირად ხელს უმართავს საქმეთა ალსრულებისას ქარკეთილები და წელიწდეული დრონი. უდარაჯებს რა ზაფხულის ტაროსს ან ზამთარს, მოქმედებას იწყებს სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ იქით გასვლის საშუალება გვესპობა. ამრიგად, გვმართებს არა სამხედრო დახმარებით დაკმაყოფილება, რითაც საქმეს ვერ გავიწალმართებთ, არამედ ჯარის შექმნა და მუდმივი საომარი მზადყოფნა. საზამთრო სადგომებად ივარგებს ლემნოსი, თასოსი, სკიათოსი და იმ მხარის კუნძულები, სადაც მოიძევება ნავსადგურები, სურსათი და ყველაფერი, რაც ლაშქარს სჭირდება. ხოლო წლის იმ დროს, როცა ქარი საშიშროებას არ ქმნის და ნაპირებთან მისვლა ადვილია, ძნელი არ იქნება გადასხდეთ პირდაპირ ხმელეთზე ან ნავმისადგომების ახლოს დადგეთ.

თუ როდის და როგორ გამოვიყენოთ ეს ჯარი, ამას სათავისდროისოდ განსჯის თქვენგან არჩეული ხელისუფალი. რის გაკეთებაც თქვენ გმართებთ, ეს მე უკვე დავწერე. თუ ყოველ საქმეში ხელს წარიმართავთ, ათენელო მოქალაქენო, — უწინარესად ფულზე მოგახსენებთ, — აგრეთვე მოაწესრიგებთ ყველა დანარჩენ საქმეს, ფენოსან ჯარს, ტრიერებსა და ცხენოსან ჯარს, თუ მთელ ამ მხედრიონს კანონის ძალით უკარნახებთ საომარ მზადყოფნას, იქნებით ფულის საზინადარნი და შემკრებელნი, მხედართმთავარს კი საქმეთა ანგარიშს მოსთხოვთ, მაშინ ბოლო მოეღება ერთი და იგივე საკითხებზე დაუსრულებელ ბჭობას, რასაც არავითარი საქმიანი შედეგი არ

---

[1] უნდა იგულისხმებოდეს მაკედონელი მენელაოს პელაგინი, ვისაც მოგვიანებით ათენის მოქალაქეობა მიანიჭეს.

[1] დედანში ეს ადგილი ბერძენ კომენტატორს გამოტოვებული აქვს.

მოსდევს. თანაც შესძლებთ, ათენელო მოქალაქენო, მოსწყვიტოთ იგი არსებობის უმთავრეს წყაროს. კერძოდ, რა წყაროა ეს? საქმე ისაა, რომ ფილიპე თქვენთან თქვენივე მოკავშირეთა ხარჯზე ომობს, ტყვედ მიჰყავს ზღვაოსნები და ჰკრეფს ალაფს. კიდევ რა? გასაჭირი აღარ შეგაურვებთ გარედან და აღარ მოხდება ერთხელ მომხდარი, როცა ევბაცი თავს დაესხა ლემნოსს, იმროსს და ტყვეებად წალალა თქვენი მოქალაქენი, მერმე გერესტოსთან სავაჭრო ხომალდები დაიხელთა და ურიცხვი განძეული იგდო ხელთ, ბოლოს მარათონთან ჩამოხდა და ჩვენი სანაპიროდან საღვთო ხომალდი გაიტაცა. თქვენ კი ვერც წინ აღუდგომიხართ მას და ვერც დროული სამხედრო დახმარება გაგიწერხებიათ. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ეს ასე, ათენელო მოქალაქენო? პანათენური და დიონისური დღესასწაულები ერთ დროს იმართება მუდამ, სულ ერთია უვიცს დაეკისრება კენჭისყრით ამ დღესასწაულების გამართვა თუ მეცანს. მერე ამაზე იმდენ ფულს ხარჯავთ, რამდენსაც არც ერთ საზღვაო ლაშქრობაზე, თანაც რაც ამას დავიდარაბა უნდა, არ ვიცი, კიდევ სხვა რამესაც თუ უნდა ეყოდენი. ამასობაში ვი აგვიანებთ დროულ საზღვაო ლაშქრობას მეთონეში, პაგასაში თუ პოტიდეაში. ასე ხდება, რადგან წინარე თქმული აღესრულება კანონით და ყველა თქვენგანმა წინდაწინვე უწყის, ვინ იქნება ქორეგოსად, ან გიმნასიარქოსად[1] ფილედან, იცის, ვისგან როდის რა მიიკერძოს და როგორ გაისარჯოს. ამ საქმეში არავინ იჩენს არც დაუდევრობას, არც უყურადღებობას. სამხედრო საქმეებში კი არაფერია გათვალისწინებული და გარიგებული. ამიტომ ყურს მოვკრავთ თუ არა ტრიერარქოსთა დანიშვნისა და მათ მორის ქონების განაწილების ამბავს, მყისვე ვამტკიცებთ უცხოელთა და განკერძოებულ პირთა ხომალდებზე გადასხმას; მერმე ისევ თავად გავემგზავროთო — იძახით, შემდეგ შემცვლელებზე ლაპარაკობთ, შემდეგ... და სანამ საქმე ასე ჯანჯღლდება, ვივიწყებთ იმას, რისთვისაც საზღვაო ლაშქრობის წამოწყებას ვლამობდით. ამრიგად, სამოქმედო ვადას სამზადისს ვანდომებთ, ხოლო დრო და საქმე არ უცდის თქვენს გაურჯელობასა და მიზეზობას, ამასობაში კი ჯარი, რომელზედაც იმედს ვამყარებთ, სწორედ საჭირო ჟამს უმოქმედოდ დგას. ის კაცი კი ისე გათავხედდა, ევბელებს ამ უსტარს უგზავნის:

უსტარის კითხვა[1].

რაც აქ წავიკითხეთ, ათენელო მოქალაქენო, ამაში, სამწუხაროდ, ბევრი რამ მართალია, თუმცაღა მოსასმენად სასიამოვნო არ გახლავთ. უსიამო საქმისთვისაც რომ შეიძლებოდეს თავის არიდება, მაშინ, გაგიხარიათ, მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე ვილაპარაკებდით მუდამ. მაგრამ თუ სიტყვებში მხოლოდ სიამოვნება ეეძიეთ საქმის საზარალოდ, სამარცხვინოდ მოვიტყუებთ თავს და საჭოჭმანოდ გავიხდით საქმეს. სამარცხვინო იქნება, რომ საქმით მხარი არ დავუჭიროთ და მოქმედების თავისუფლება არ მივცეთ იმათ, ვისაც ომის სწორად წარმართვა სურს. იმ რიგად, როგორც სარდალი უძღვება ჯარს, ხალხი სახელმწიფო საქმეებს უნდა გაუძღვეს, მხოლოდ მაშინ აღესრულება მათი განბჭობილი და ძალის დატანება არავის დასჭირდება საქმეთა აღსასრულებლად. თქვენ, ათენელო მოქალაქენო, ხელთა გაქვთ ყველაზე მეტი ძალა: ტრიერები, ჰოპლიტები, ცხენოსნები, ფულადი სახსრები და ყოველივე ამით ჯეროვნად დღემდე არ გისარგებლიათ. ვითარცა გამოსთქვამდნენ, მარტოოდენ იმ იმედით დატვირთული, ჩვენი ცარიელი ტრიერების შემყურენი ვფიქრობთ, რომ წალმა დატრიალდება ჩვენი საქმე? ნუთუ ხომალდებზე თავად არ უნდა დავსხდეთ? ნუთუ თვითონ არ უნდა ვილაშქროთ ჩვენივე ჯარის ნაწილებით ახლა მაინც, თუ ადრე არ გვიქნია ეს? ნუთუ ზღვით არ უნდა დალაშქროთ მაგ კაცის ძვეყანა? „სად უნდა მივაყენოთ იქ ზღვაოსანნი?“ — იკითხა ვილაცამ. თვით ომის მსვლელობა გვიჩვენებს ამას, ათენელო მოქალაქენო, ოღონდ ჯერ საქმეს მოვეკიდოთ. ხოლო თუ შინ ვისხდებით და მხოლოდ ორატორთა ენაკვიმატობითა და ურთიერთგანქიქებით შევიქცევთ თავს, აქედან სახეირო არა გამოვა რა. ვფიქრობ, სადაც არ უნდა წარგზავნოთ მოქალაქეთა ნაწილი, თუნდაც მცი-

---

[1] გიმნასიარქოსი (ასევე ქორეგოსი) — მდიდარი მოქალაქე, რომელსაც დაევალებოდა ხოლმე სპორტულ-გიმნასტიკური შეჯიბრებების მოწყობა.

[1] დემოსთენე ამ სიტყვას რომ წარმოთქვამდა, შიგ ურთავდა ციტატებს ფილიპეს წერილიდან. აქ მან, ეტყობა, წაიკითხა წერილის უმთავრესი ნაწილი (კომენტატორს არც ეს წერილი აქვს დართული).

რე, ბრძოლაში ეს გწევთ ღმერთთა წყალობას და კეთილ ბედს, ხოლო თუ წარგზავნით მხოლოდ სტრატეგოსს ცარიელი ფსეფისმებითა და აქ, ტრიბუნაზე გამოთქმული იმედებით, ვერსად, ვერასდროს ამით ხელს ვერ წარიმართავთ. ამასობაში მტრები იცინიან, ხოლო მოკავშირენი ჭირივით უფრთხიან ლაშქრობას. შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი, რომ ერთმა კაცმა შესძლოს ყველა იმ საქმის აღსრულება, რაიცა თქვენ გნებავთ. პირობისა და იმედების მოცემა ადვილია, აგრეთვე ხან ერთისა და ხან მეორის განქიქება, მაგრამ ამით ხომ სახელმწიფოს საქმე ზარალდება? როცა, მაგალითად, სტრატეგოსი ხელმძღვანელობს ბეჩავ მოქირავნეთა ჯარს, რომელიც არ იღებს ჯამაგირს, თქვენ შორის ცოტა როდი მოიძევება ისეთი, არასწორად რომ წარმოგიდგენთ სტრატეგოსის საქმიანობას და თქვენც, უსმენთ რა მავანის სიტყვებს, ათასნაირი გადაწყვეტილებანი გამოგაქვთ. აბა, რას უნდა მოველოდეთ აქედან? როდისღა მოელება ბოლო ყოველივე ამას? მხოლოდ მაშინ, ათენელო დარბაისელნო, როცა ერთსა და იგივე ადამიანებს დააკისრებთ მხედრობასაც და მხედართმთავრის საქმეთა განრიგებასაც, აგრეთვე ანგარიშს მოსთხოვთ შინმობრუნებულთ და ყურმოკრულად კი არ გეცოდინებათ თქვენივე საქმენი, არამედ პირადად იხილავთ ამ საქმეთ. ამჯერად კი საქმე ისე სამარცხვინოდ მიიმართება, რომ მხედართმთავართაგან თვითეულს ორგზის ან სამგზის ასამართლებენ ისეთი საქმისთვის, სასიკვდილო განაჩენს რომ იმსახურებს, მაგრამ არც ერთ მათგანს იმის გაბედულება არ ყოფნის, ერთხელაც მტერს ეკვეთოს და მას შეაკლას თავი. მონებზე ნადირობისა და მძარცველობისთვის ურჩევნიათ მათ სიკვდილი. სასამართლო გადაწყვეტილებით განჩინებული სიკვდილი ხომ ბოროტმოქმედის ხვედრია, სტრატეგოსს კი ომში, ბრძოლად შემართულს შეჰფერის სიკვდილი. ზოგი ჩვენთაგანი კიდევ ქალაქში დადის, ავრცელებს, თითქოს ფილიპე ლაკედემონელებთან ერთად დამხობას უქადის თებეს და არღვევს სახელმწიფოს, ან კიდევ — მან თითქოს უკვე წარგზავნა მეფესთან[1] ელჩობა, ან — რომ იგი ამაგრებს ქალაქებს ილირიაში. ერთი სიტყვით, ყველანი ვთხზავთ ჭორებს და ამ ჭორების კვალობაზე ვირჯებით. მე კი მგონია, ათენელო დარბაისელნო, თუნდაც ღმერთებს დავიფიცებ, ეგ კაცი უკვე დაათრო გარდახდილ საქმეთა ბრწყინვალებამ, ძილშიაც კი სხვა უფრო დიდი საქმენი ელანდება, რამდენადაც ვერ ხედავს ვერავის, ვინაც წინ აღუდგება მას, თანაც ასულდიდებს წარმატებით გარდახდილი საქმე. მაგრამ არც ისე ირჯება, ვფიცავ ზევსს, რომ ჩვენ შორის გულუბრყვილო ბრიყვთაგანნი მიხვდნენ, რის აღსრულებას იზრახავს იგი. ბრიყვთაგანნი კი სწორედ ისინი გახლავან, ზემორე ხსენებულ ჭორებს რომ თხზავენ. მაგრამ შევეშვათ ამ ლაპარაკს და შევიგნოთ უბრალოდ, რომ ეგ კაცი მტერია ჩვენი, იჩემებს ჩვენს კუთვნილს და აგერ რამდენი ხანია გვიტევს, ვიდრე ჩვენ სხვისი იმედით ვბოგინობთ. ყველაფერი ეს ჩვენი ბრალია, მომავალიც ჩვენზე ჰკიდია და თუ ახლა ჩვენ მას იქით არ დავუწყებთ ომს, მაშინ თავად დაიწყებს იგი ომს ჩვენ წინააღმდეგ. თუ ყოველივე ამას გავისიგრძეგანებთ, მაშინ რიგიან გადაწყვეტილებას მივიღებთ და ფუჭსიტყვაობასაც თავს დავაღწევთ. მარჩიელობა კი არა, იმის კარგად ცოდნაა საჭირო, რომ საქმე წაგიხდებათ, თუ გონს არ მოხვალთ და არ აღასრულებთ მას, რაც საჭიროა. მე კი ჩემდათავად არც სხვა დროს დამისახავს მიზნად მეთქვა სასიამოვნო რამ, თუ ჯერ მის სარგებლიანობას არ ვირწმუნებდი, და ახლაც ყოველი გულახდილად მომიხსენებია თქვენთვის, არა დამიმალია რა. რაკიღა ვიცი, კარგი რჩევის გაგონება არ გაწყენთ თქვენ, ვუსურვებდი იმასაც არგოს ამ რჩევამ, ვინც გამოთქვა იგი. მაშინ შევძლებდი გაცილებით მეტი სასიამოვნო რამ მეთქვა თქვენთვის. და თუმცა არ ვუწყი, რა მომელის მე ჩემი სიტყვისათვის, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ გარგებთ იგი, თუ საქმედ აქცევთ მას, და მეც ხომ ამად გავრჯილვარ. გამარჯვებულიმც მენახოს, ვინც საყოველთაო სარგებლობისთვის იღწვის.

---

[1] იგულისხმება სპარსეთის მეფე.



რამდენიმე ამბავი დიდოსტატის ცხოვრებიდან

სომხურიდან თარგმნა არჩილ დავითიანმა

ერთ მშვენიერ დღეს, არ მახსოვს მაისის თვე იყო თუ ივნისისა, ჩემს ბინაში ზარის ხმა გაისმა. კარი გამოვაღე. ზღურბლზე იდგა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის შავგვრემანი ყმაწვილი. მას დიდრონი შავი თვალები და ხშირი თმა ჰქონდა, პირისახეზე ღინღლი აშლოდა. ამ ყმაწვილ კაცს მაშინვე შევატყვე, რომ სომეხი იყო და ოთახში მოვიწვიე. ამ დროს ჩემთან ერთი ჩემი მეგობარი იყო მოსული, ასაკით ყველაზე უფროსი გახლდათ აქაურ სომეხ სტუდენტებს შორის; მგზნებარე პატრიოტად მოჰქონდა თავი, მაგრამ საგრძნობლად მოიკოჭლებდა სომხურ ენაში.

— მე ავეტიქ ისაკიანი ვარ, — წარმოგვიდგინა თავისი თავი სტუმარმა.

— სადაური ხარ?

— ალექსანდროპოლიდან [1], შირაკიდან, — გვიპასუხა მან.

— რამ ჩამოგიყვანათ ლაიფციგში? — მივაგებეთ მორიგი კითხვა.

— სწავლის სურვილმა.

— რა გინდათ შეისწავლოთ?

---

[1] დღევანდელი ლენინაკანი.

— ჯერჯერობით მეც არ ვიცი... ლიტერატურა, ფილოსოფია, ზოგადი მეცნიერებანი.

— შირაკიდან ხარ და ფილოსოფია გინდა შეისწავლო? — ჩაიცინა ჩემმა მეგობარმა და დაუმატა: — არა სჯობია შეისწავლოთ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი? წინათ მოსავლით განთქმული შირაკი ახლა გაღარიბებულია. შეისწავლეთ აგრონომია, დაბრუნდით შირაკში, გააცანით გლეხებს ახალი სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მეთოდები და... რამდენიმე წელიწადში შირაკი გახდება ისევ ბარაქიანი მოსავლის ბელელი.

ყმაწვილი თვალგაშტერებული უსმენდა ჩემი მეგობრის „პატრიოტულ“ ქადაგებას.

— ჰა, რას იტყვი?

— მე პოეტი ვარ, — დაბნეულად წარმოთქვა ისააკიანმა.

ჩემმა მეგობარმა გადაიხარხარა.

— რაო, პოეტიო? შირაკს პური სჭირდება და არა პოეზია!

— პოეზიაც პურია, მეტად საჭირო პური — სულისა, — მიუგო ისააკიანმა, გამოგვემშვიდობა და წავიდა [1].

*

* *

— პირველად როდის შეხვდით ჩარენცს? — შევეკითხე ისააკიანს.

— ჩარენცი გავიცანი 1925 წელს, ვენეციაში. იმ წელს ჩარენცი უცხოეთში მოგზაურობდა. მაგრამ, როგორც გაძოირკვა, პირველად ერთმანეთს თურმე 1908 წელს ყარსში შევხვედრივართ... ყარსში სასტუმროში ვცხოვრობდი. პირველ სართულზე ნოხები იყიდებოდა, მაღაზია ირანელ სომეხს ეკუთვნოდა. ერთ დღეს მაღაზიის კართან ვიდექი. უეცრად წინ ამეტუზა შავგვრემანი, ფერმკრთალი, ცხვირწამახული ჭაბუკი. ხელში მას პატარა წიგნი ეჭირა და რატომღაც დაჟინებით მიყურებდა. მე შევტრიალდი და სხვა მხარეს გავიხედე, მაგრამ რომ შევატყვე, თვალს მაინც არ მაშორებდა, გავფიცხდი და სილა გავარტყი. მან თავი დაღუნა და წავიდა.

იმ დღიდან ჩვიდმეტი წელი გავიდა. ერთ ღღეს პადუიდან შინ, ვენეციაში, ვბრუნდებოდი. მისაღებ ოთახში ახალგაზრდა კაცი დამიხვდა, იგი დივანზე დარდიმანდულად იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და პაპიროსს ეწეოდა. დამინახა თუ არა, წამოხტა და გამეცნო. ჩარენცი ვარო. ჩარენცის პოეზიას მე უკვე კარგად ვიცნობდი, გადავეხვიე და შუბლზე ვაკოცე. მაშინ ჩარენცმა შემახსენა 1908 წელი, როცა ჩემგან სილა იგემა ყარსში. როგორც მან მითხრა, წიგნი, მაშინ ხელში რომ ეჭირა, ჩემი ლექსების კრებული „სიმღერები და ჭრიალობები“ ყოფილა.

— ის კრებული რომ წავიკითხე, — მითხრა ჩარენცმა, — თქვენი ნახვის სურვილმა ამიტანა. ამ ლექსების დამწერი ღმერთივით ბუმბერაზი იქნება-მეთქი, მაგრამ როცა სილა გამარტყით, ყველაფერი დამავიწყდა, თვალთ დამიბნელდა და წავედი.

---

[1] ა. ათანასიანის მოგონებიდან — „როგორ ვერ შევძელით პოეტის გადაქცევა აგრონომად“. („ლიტერატურნაია არმენია“ № 3, 1975 წ.).

არ ვიცოდი, თავი როგორ მემართლებინა.

ბოლოს გავიღიმე და ვუთხარი: — ელიშჯან, ის სილა ოსტატის [1] სილად ჩათვალე!

ჩარენცი მიმიხვდა ნათქვამს და იმასაც გაეღიმა [2].

*

* *

— ვარპეტ, დაიწერება თუ არა ლექსი შთაგონებისა და განცდის გარეშე, ისე, სურვილისამებრ?

— რატომაც არა! სწერენ... ახლა თქვენ იმდენს სწერთ, ზოგიერთ ლექსს აშკარად ემჩნევა, რომ შთაგონებისა და განცდის გარეშე არის დაწერილი. მაგნაირ ლექსებს დღეგრძელობა არ უწერიათ, დღემოკლენი არიან. მე ასეთი ლექსები არ მაქვს.

— მაშ თქვენი სატრფიალო ლექსები, ახალგაზრდობისა თუ მოხუცებულობის წლებში დაწერილი, ხალას გრძნობებს გამოხატავენ?

— რა თქმა უნდა, აბა ისე სად გაგონილა ლექსის წერა?

— ხანდაზმულობის წლებშიც შეიძლება გიყვარდეს და უყვარდე?

ვარპეტმა იდუმალი ღიმილით შემომხედა, თავისი რბილი თითები დააკაკუნა მაგიდაზე და მითხრა:

— სიყვარული მარადიულია, როგორც მთელი კაცობრიობის უსასრულო არსებობისას, ისე ყოველი ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლეში... გოეთეს „მარიანბადის ელეგიაში“ შეყვარებულ ჭაბუკს გოგონას ტრფობა ჰკლავს... ლექსის ძალა მის გულწრფელობაშია. ეს არის პირველი ნიშანი. პოეტი თავის ლექსებში მთელი არსებით გულწრფელი უნდა იყოს...

*

* *

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად „ჰაიფილმი“ დოკუმენტურ ფერად ფილმს იღებდა. სურათში ერთი კადრი ა. ისააკიანს ეთმობოდა. იგი რომელიმე ახალგაზრდა პოეტთან საუბრის დროს უნდა გადაეღოთ. თურმე შეჰკითხოდნენ, გადაღებას ვისთან ერთად ინებებთო, და მე დავესახელებინე. სურათის გადაღება გამარჯვების ბაღის ხეივანში დაიწყო: ვარპეტი ბოლთას სცემს, მე კი ჩემს ლექსს ვუკითხავ.

შემოდგომის მზიანი დღე იყო. ოქროსფრად ეფინა ხეივანში ჩინარებიდან

---

[1] ამქრებს ასეთი ადათი ჰქონდათ: როცა შეგირდი სიმწიფის გამოცდების ჩაბარების დროს თავს გამოიჩენდა, ოსტატი-გამომცდელი მოწონების ნიშნად სილას გააწნავდა ხოლმე.

[2] ოვანეს დანალანიანი — „შთაგონება პოეტზე“. („ლიტერატურნაია არმენია“ № 3, 1975).

ჩამოცვენილი ფოთლები მიწაზე. ჰაერში შემოდგომის მზიანი დღის საამო სურნელება იდგა.

გადაღების დაწყებამდე ხეივანში ვსეირნობდით, თან ვსაუბრობდით. გადაღების პირველი ცდა ჩაიშალა. ლიანდაგზე შემდგარი მოძრავი აპარატი როგორც კი ოც მეტრზე მოგვიახლოვდებოდა და გადაღებას დაიწყებდა, ვარპეტს ნაბიჯი აერეოდა და კადრი ფუჭდებოდა.

ასე განმეორდა რამდენჯერმე.

იმ კადრის გადაღება, ეკრანზე ალბათ ერთ წუთზე მეტ ხანს რომ არ გაგრძელდებოდა, უკვე ორი-სამი საათი ჭიანურდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს დღე ჩემთვის ერთ-ერთ უბედნიერეს დღედ მიმაჩნდა, — მე ვარპეტის გვერდით ვიყავი და ვსაუბრობდით.

— ვარპეტ, ვინ იცის, ეს ხეები რამდენი ამბის მომსწრენი არიან! ამ ხეივანში, რა თქმა უნდა, ბევრ შეყვარებულ წყვილს ჩაუვლია, ერთგულების ფიციც სმენიათ და საყვედურებიც... ენა რომ ჰქონდეთ, რამდენ საიდუმლოს გაგვიმხელდნენ!..

— რა იცი, უტყვნი არიან? საერთოდ რა იცი, რომ გრძნობა არა აქვთ? იქნებ ყველაფერს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ არ გვესმის მაგათი ენა! ხომ შეიძლება ასე იყოს?.. როცა სჭრიან, ცრემლად იღვრებიან, რა იცი, რომ ამ დროს არა სტირიან!.. ხეც ადამიანივით იზრდება, ნაყოფიერდება, ნაყოფს იძლევა, ბერდება და კვდება...

ამ დროს გაისმა ოპერატორის ხმა:

— ვარპეტ, კიდევ ერთხელ ვცადოთ!.. [1]

*

* *

ერთ ვახშამზე ვარპეტმა ჩემი და ჩემი შვილის [2] სადღეგრძელო შესთავაზა დამსწრეთ და დასძინა:

— მამა და შვილი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. წინათ მამა ლექსებს სწერდა უსასრულობაზე, ახლა კი შვილი ამ უსასრულობას იკვლევს და ვარსკვლავებს შორის მანძილს ზომავს.

ამავე ვახშამზე ვარპეტს შევეკითხე: შირვანზადეზე რა აზრისა ხართ-მეთქი, და აქვე შევახსენე შირვანზადეს უარყოფითი შეხედულება მის ლექსებზე.

— მე გაგონილი მაქვს მისი აზრი, მაგრამ იგი ჩემს ლექსებს როდი ეხება, არამედ საერთოდ პოეზიას. ამაში მე მტრულს ვერაფერს ვხედავ; ამ კაცს არ ესმის ლექსი, ვერ აღიქვამს მის სილამაზეს და უარყოფს. მისი შეხედულება, რა თქმა უნდა, მცდარია, მაგრამ ეს უფლებას არ მაძლევს მეც უარვყო შირვანზადეს შემოქმედების ღირსება. შირვანზადეს და მისი მსგავსი მწერლე-

---

[1] ჰრ. ჰოვანესიანი — „სანამ თვალს არწივისებრ დახუჭავდა“. (ჟურ. „სოვეტიკან გრაკანუთიუნი“ № 11, 1974 წ.).

[2] გამოჩენილი მეცნიერი ვიქტორ ამბარცუმიანი.

ბის დამსახურების უარყოფა სამშობლოს სიყვარულის უარყოფაა; ამას კი, მოგეხსენებათ, მე მთელი არსებით ვგმობ [1].

*

* *

ორმა კვირამ გაიარა, არც მე მინახავს ვარპეტი და არც იმას შემოუვლია გამომცემლობაში.

ჯერ დავურეკე და შემდეგ მივედი.

— აბა, ახალს რას იტყვი?

— ერთი უცნობი პოეტი გამოჩნდა.

— ვინ არის?

— პარუირ ყაზარიანი.

— არ ვიცნობ.

— ჯერ არ დაბეჭდილა.

— რას ატყობ, ნიჭიერია?

— ტალანტია.

— ყნოსვა ხომ არ გატყუებს?

— არა მგონია.

— რამდენი წლისაა?

— თვრამეტისა.

— სადაურია?

— სოფელ ჩანახჩიდან არის.

— კარგია, რომ სოფლელია. მთის, ხეობის, ველ-მინდვრების, ყვავილის გრძნობა ექნება.

— საოცარია, მაგრამ სოფლისა სულ არაფერი ეტყობა.

— როგორ?

— თემა ქალაქურია, შეგრძნებებიც ქალაქელისა აქვს, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს თვალი ქალაქში აუხელია.

— გასაოცარია.

ცოტა ხანს გაჩუმდა.

— შეგიძლია მაგ ბიჭის ერთი-ორი ლექსი მომიტანო?

მეორე დღეს ათი-თხუთმეტი ლექსი წავუღე.

... მე ვარ პოეტი ჯერ უცნობი, ჯერეთ ახალი,
ფიქრთა უხილავ ნავში ვზივარ, მაგრამ არ ვიცი,
ზურგის ქარი თუ დაუბერავს, აფრა მაღალი
რომ წინ გაფრინდეს ოკეანის ტალღათ ხავილში...
იქნებ ჯობს, აფრად ძელს შევაბა ჩემივ ხალათი,
კმაყოფილს მერმე რომ არ მჭონდეს შიში ღალატის...

---

[1] ჰამაზასპ ამბარცუმიანი — „შეხვედრები ვარპეტთან“ („სოვეტიკან გრაკანუთიუნი“ № 2, 1975 წ.)

რომ დასძრას ჩემი განძის ნავი, შობილი ახლად
ჩემი სიმღერა ოკეანის ტალღებს რომ შერთოს,
რომ ქარიშხლიან ზღვებს მოექცეს მაღლა, სულ მაღლა,
ვით უსხეულო საჩუქარი მომავლის. ღმერთო,
რომ ვთქვა: აღსრულდა! უსხეულო ოცნება ახდა!
და უწმინდესი დაიფერფლა, ვითარცა აღთქმა.

თარგმნა გ. შახნაზარმა

მე ვკითხულობ, ვარპეტი მისმენს. კრინტს არ სძრავს. დროდადრო შევხედავ პირისახეზე, მინდა ამოვიცნო, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს „ბიჭის“ ლექსები, მაგრამ გამომეტყველებაზე ვერაფერს მივუხვდი. როცა კითხვა დავამთავრე, თავი ასწია.

— **ნამდვილად ნიჭიერია ეგ ბიჭი. როგორ თქვი, რა გვარიაო?.. ჰო, პარუირ ყაზარიანი. არ ვარგა, სხვა გვარი შეირქვას. ნუ დაიზარებ, დაეხმარე მაგ ბიჭს... პოეტური სიღრმიდან იხედება, ფიქრისას საოცარ ნახტომებს აკეთებს; ფანტაზია მდიდარი აქვს, ნათლად აზროვნებს და, რაც მთავარია, საკუთარი ხელწერა გააჩნია და არა სხვისგან ნასესხები... მაგ ბიჭის დახმარება უპრიანია. ზოგჯერ ფიქრი წინ უსწრებს გრძნობას, მაგრამ ამას თანდათან გადაეჩვევა.**

გაჩუმდა.

— ეს ბიჭი შეიძლება სასიამოვნო მოულოდნელობად იქცეს ყველასათვის. თვალი გვეჭიროს. რაც შეგიძლია, ნურაფერს დაიშურებ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჟურნალ „სოვეტიკან გრაკანუთიუნში“ დაიბეჭდა პარუირ ყაზარიანის ერთი ლექსი — „უსათაურო“, მომდევნო ნომერში — სამი ლექსი. ასე გამოვიყვანე „ბიჭი“ ასპარეზზე პარუირ სევაკის გვარით. ატყდა ერთი აურზაური, თავს დამესხნენ — კრიტიკოსებმა შეუფერებელი ნაბიჯით მოსიარულე რედაქტორიც კი მიწოდეს.

იმ დღეებში ვარპეტი ჩემთან ხშირად შემოივლიდა ხოლმე და ყველაფერი იცოდა, რაც ჩემ ირგვლივ ხდებოდა.

— გუნება არ წაგიხდეს. პარუირი ნამდვილი პოეტია. მომავალშიც ბევრჯერ გაილაშქრებენ შენ წინააღმდეგ, მაგრამ თავი ისე უნდა გეჭიროს, რომ მაგ ბიჭს იმედი არ გაუცრუვდეს, თორემ დაიკარგება.

*
* *

საუბარი გაიმართა რუსულ პროზაზე. თვითეული ჩვენგანი თავის საყვარელ მწერალს ასახელებდა. ზოგნი ტოლსტოის აღიარებდნენ ყველაზე დიდ მწერლად, ზოგნი — დოსტოევსკის. ერთმა კი განაცხადა, გეთანხმებით, რომ დოსტოევსკი და ტოლსტოი დიდი მწერლები არიან, მაგრამ მე ყველაზე ძალიან ჩეხოვი მიყვარსო.

ვარპეტმა თქვა:

— ჩეხოვი საოცრად ნატიფი ავტორია და არ შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ ტოლსტოი და დოსტოევსკი მიუწვდომლად დიდები არიან — ერთი მეორეზე მაღალ გოლიათ მწვერვალებს ჰგვანან.

ერთმაც ბალზაკი ახსენა.

— ბალზაკიც ბუმბერაზია, თუმც არც ტოლსტოია და არც დოსტოევსკი.

ძალიან გვინდოდა გაგვეგო, ამ ორში მაინც ვის უფრო მაღლა აყენებდა ვარპეტი. შევეკითხეთ.

— ადრე დოსტოევსკის ვალმერთებდი, ახლა ტოლსტოის.

სული მოითქვა.

— ერთხელ, ახალგაზრდობისას, პროშიანს [1] ვესტუმრე. გერმანიიდან ახალი დაბრუნებული გახლდით. იქ დოსტოევსკი არავისზე დაბლა არ დგას... ვხედავ, პროშიანი ტოლსტოის თარგმნის, მგონი, „ბავშვობას“. აღფრთოვანებულმა დამიწყო საუბარი ტოლსტოიზე, დედამიწის ზურგზე ამაზე დიდი მწერალი არ არსებობსო. ჩემთვის დოსტოევსკი უფრო დიდია-მეთქი, დავსძინე. კალამი დააგდო, წინ დალაგებული ქაღალდები მიყარ-მოყარა და ისე შემომხედა, მეგონა, საჩხუბრად ემზადებოდა. „თავიდან ამოიღე ეგ დოსტოევსკი და მოიშორე“. მე ვდუმდი, თან გულში მეცინებოდა და ვფიქრობდი, ეტყობა, დოსტოევსკის სიდიადე არ ესმის-მეთქი. მაგრამ შემდგომ, როცა ასაკში შევედი და ხელმეორედ გადავიკითხე ტოლსტოი, მივუხვდი პროშიანს.

*
* *

ერთ დღეს ვარპეტმა მითხრა:

— განაოცარია ქვეყნის ამბავი. ადამიანი სუფთა იბადება. საზოგადოება ჯერ აფუჭებს, შემდეგ თვითონვე ზრუნავს მის აღზრდაზე. განა უკეთესი არ არის, არ გააფუჭოს, მაშინ ხომ არც მის გამოსწორება-გადარჩენაზე დასჭირდება ზრუნვა.

*
* *

ვარპეტმა თქვა:

— დიდი ხნის წინათ, როცა პარიზში ვცხოვრობდი, ბრწყინვალე ჯილდო დაუთქვეს იმას, ვინც ერთი სიტყვით გადმოსცემდა ყველაზე სანუკვარ მცნებას.

წამით იყუჩა და განაგრძო:

— ბევრი მწერალი მონაწილეობდა კონკურსში. ერთმა თქვა — სიყვარულიო, მეორემ — სამშობლოო, მესამემ — ცხოვრებაო, სხვამ — თავისუფლებაო, დანარჩენებმა — სწრაფვა, კაეშანი, მიმზიდველობაო და ასე შემდეგ...

გაჩუმდა

— და რას ფიქრობთ? ვინ გაიმარჯვა?

---

[1] სომეხი მწერალია.

გადმოგვხედა. არავინ კრინტს არ სძრავდა.

— გაიმარჯვა იმან, ვინც ყველაზე სანუკვარ მცნებად მოხუცებულობა აღიარა.

არ მოველოდით. ვარპეტმა გაიღიმა. იმაზე შეაჩერა მზერა, ვინც ყველაზე ურწმუნო თვალით უყურებდა, და აგვიხსნა:

— დიახ, ძვირფასნო, ასეა. მოხუცებულობა თავის თავში ითავსებს სხვა დანარჩენ ყველა მცნებას.

*

* *

ისააკიანთან ერთად ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლას ვაპირებდით. ამ დროს გამოჩნდა ტრამვაი. ვარპეტი შეჩერდა. ხელით მანიშნა, შენც მოიცადე, ნუ ჩქარობო. ვატმანმა პოეტი რომ დაინახა, მაშინვე ტრამვაი გააჩერა და კარი გააღო.

— გთხოვთ, ვარპეტ.

ტრამვაიში ასვლა ფიქრად არ გვქონია, ჩვენ სხვა მიმართულებით მივდიოდით. მიუხედავად ამისა, ისააკიანმა უხერხულად იგრძნო თავი, უარი ველარ უთხრა და მომიბრუნდა: ავიდეთო.

ვაგონი ხალხით იყო სავსე. ვარპეტს მაშინვე დაუთმეს ადგილი. მე ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი ავეტიქს. თავს კარგად გრძნობდა. ცოტა ხნის შემდეგ მის გვერდით ადგილი გათავისუფლდა. დავჯექი.

— როცა უნდათ სიკეთე გიყონ, უარს ნუ ეტყვი, თუნდაც იმ წუთებში არც საჭიროებდე ამ სიკეთეს.

რამდენიმე გაჩერების შემდეგ ჩამოვედით. ვარპეტმა მადლობა გადაუხადა ვატმანს. მე არასოდეს არ დამავიწყდება იმისი სახე. ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი ისეთი კმაყოფილი მზერით მიაცილებდა ისააკიანს, თითქოს თვალებით ამბობდა, მადლობელი ვარ, გამჩენო, რომ ერთხელ მაინც წილად მარგუნე ბედნიერება — პატივი ვცე ჩემს დიდ თანამედროვეს.

*

* *

ეს იმ დღეების ამბავია, როცა დერენიკ დემირჭიანი რომან „ვარდანანქს“ წერდა. ერთი შეხვედრის დროს ვარპეტმა ჩაიბუტბუტა:

— ვერ გამიგია, რას წერს?

გამიკვირდა, ასეთ დამოკიდებულებას არ მოველოდი.

— ვიცი, თემამ მოხიბლა, მაგრამ მარტო ეს კმარა განა? ადრე პიესა დაწერა, ამ ბოლო დროს — გამოკვლევა. სხვა რალა უნდა?

მე არ დავეთანხმე და ვკითხე:

— ნუთუ ეს საწინდარი არ არის იმისა, რომ რომანსაც კარგად დაწერსმეთქი?

— საერთოდ, რა თქმა უნდა, აგრეა, მაგრამ, აბა, მომისმინე, გეტყვი, რა მაშინებს. დემირჭიანს მოუსვენარი, ნერვიული, დანაწევრებული სტილი აქვს. ისტორიულ რომანს კი ეპიკური სიმშვიდე მოეთხოვება.

— მე წავიკითხე რომანის პირველი ორი თავი; დემირჭიანმა მომცა ჟურნალში დასაბეჭდად, იმდენად კარგია, რომ საშიში არაფერია.

— გერწმუნები, შეიძლება ბრწყინვალე გვერდებიც იყოს, მაგრამ ნუ გავიწყდება, ეგ მაინც ნაწყვეტია. დერენიკს რომანის დაწერის გამოცდილება არა აქვს; ისიც საკითხავია, შესძლებს კია მთლიანობაში თავი მოუყაროს ისტორიულ ამბებს?

როდესაც რომანი გამოქვეყნდა, ავად ვიყავი, ვიწექი. ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაწყვეტებს ვიცნობდი, მთლიანად რომანი კი წაკითხული არა მქონდა. ჯერჯერობით არც ავი ისმოდა რომანის თაობაზე, არც კარგი. ერთ საღამოს ვარპეტი ქალბატონ სოფიასთან ერთად მესტუმრა. ქილა ერბო მომიტანეს (იმ დროს სურსათის შოვნა ჭირდა), ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— წავიკითხე.

— რა?

— „ვარდანანქი".

— მერე?

— გაოცებული ვარ. სულ ტყუილად მეშინოდა თურმე. ყველა ჩვენს რომანს აჯობა. ერთი სიტყვით, კარგია, მშვენიერია. ეგ დიდხანს დადუმებული კაცის სულში დაგროვებული გულისთქმის ამოფრქვევაა. ადგილ-ადგილ თითქოს კოჭლობს, მაგრამ მთლიანად რომანი დამაჯერებელია და ლამაზი. ბევრია დახვეწილი ეპიზოდები და თამამი წიაღსვლები, ძალუმად იგრძნობა ფანტაზიის უჩვეულო ალმაფრენა, ფილოსოფიური სიღრმე და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული...

ბოლოს მოკლედ მოსჭრა:

— ძალიან მიხარია, რომ დერენიკმა გაიმარჯვა. ის უკვდავია.

კარგი იქნება, თუ სტატიით გამოეხმაურებით-მეთქი. მე მინდოდა რომანს მაღალი შეფასება მიეღო ისეთი გამოჩენილი ავტორისაგან, როგორიც ა. ისაკიანი იყო, თანაც ბოლო მოღებოდა იმ გულგრილობას, რაც მათ ურთიერთობაში შეიმჩნეოდა ბოლო დროს.

— ვნახოთ, — თქვა ვარპეტმა.

იმავე დღეს დავურეკე ჰრაჩია ქოჩარს. ის იმ დროს გაზეთ „სოვეტიკან ჰაიასტანის" რედაქციაში ლიტერატურისა და კულტურის განყოფილებას განაგებდა. ყველაფერი ავუხსენი და ვურჩიე, ეთხოვა ისაკიანისათვის „ვარდანანქზე" სტატიის დაწერა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნდა ვარპეტის სტატია „ვარდანანქზე".

ავადმყოფობა გამირთულდა. ისაკიანმა ექიმი რაფაელ მანველიანი მოიყვანა. ექიმმა გამსინჯა, რჩევა-დარიგება მომცა და წავიდა. ისაკიანი დარჩა. ამ დროს... დემირჭიანი მოვიდა. მოვიდა და მოჰყვა ქვეყნის ამბებს. მე და ისაკიანი

ერთმანეთს ვუყურებდით, უცნაურად გვეჩვენებოდა. ბოლოს ველარ მოვითმინე და დემირჭიანს მივმართე:

— წაიკითხე?

— რა?

— ვარპეტის სტატია.

— რაზე?

— „ვარდანანქზე“.

დემირჭიანმა შეხედა ისააკიანს, გაიღიმა, თვალებში სიხარულნარევი გაკვირვება გამოუკრთა.

გაზეთი მივეცი. განმარტოვდა, ფანჯარასთან დავდგა და კითხვა დაიწყო. როცა დაბრუნდა, თვალები ახალგაზრდული ცეცხლით უბრწყინავდა; ტუჩები აამოძრავა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო. ისააკიანი წამოდგა და ორი ამხანაგი, ძველისძველი ორი მეგობარი ერთმანეთს გადაეხვია და ასე გადახვეულნი დიდხანს იდგნენ.

*

* *

გენიოსობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— გენიოსობა მიზანსწრაფვაა ერთი მიმართულებით, ერთი მონიშნული წერტილისკენ. გოეთეს აზრით, გენიოსის უპირველესი ნიშან-თვისებაა ყურადღების ერთ მიზანში თავმოყრა.

იყუჩა, განაგრძო:

— გენიოსის ფიქრი ერთი მიმართულებით ისწრაფის, სხვა არაფერი არსებობს მისთვის. ამიტომ არის, რომ გენიოსი მიწიერი საზრუნავის მიმართ უგულისყუროა, გულმავიწყია, მხოლოდ ის ახსოვს, რაც დასახული მიზნის მისაღწევად სჭირდება. გალილეი, ქორწინების ღამეს სტუმრები წავიდნენ თუ არა, თურმე თავის სამუშაო ოთახში ასულა და დილამდე ვარსკვლავებს აკვირდებოდა. იქიდან დაქანცული ჩამოსულა და თავის საწოლზე სხვა რომ უნახავს, მსახურისათვის უკითხავს: — ვინ არისო. როცა მსახურს უთქვამს, ვინც იყო, მაშინლა გახსენებია, რომ გუშინ სალამოს ცოლი შეირთო.

*

* *

ვარპეტი ხშირად ამბობდა, მეტისმეტი სიფრთხილეც არ ვარგაო.

ამ სიტყვებს ერთხელ ასეთი ამბავი მოაყოლა:

— ერთმა კაცმა თავის თავს ჩააგონა, ქუჩაში შენი გასვლა და ტრამვაის

ქვეშ ჩავარდნა ერთი იქნებაო. შიშისაგან გარეთ არ გამოდიოდა. გაიარა ერთმა წელმა, თუ მეტმა არა, მობეზრდა, გადაწყვიტა გავალო. გარეთ გასვლა და მანქანის ქვეშ ჩავარდნა ერთი იყო.

*

* *

— პირველად სტუდენტობის წლებში მოვისმინე ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. იმის შემდეგ მსგავსი არაფერი გამიგონია. როგორ არის დაწერილი და რა კარგად უკრავდნენ.

გაჩუმდა.

— არა გჯერა, რომ ადამიანს დაუწერია. თითქოს მის ძალას აღემატება, ასე გგონია, ადამიანს არ შეუქმნია, ყოველთვის ყოფილა, როგორც ბუნების სასწაულები — მთვარე, ვარსკვლავები... უნივერსიტეტში ფილოსოფიის პროფესორი გარდაიცვალა. ყველას უყვარდა იგი. გული დაგვწყვიტა მისმა სიკვდილმა, თითქოს სასწავლებელს ერთბაშად დაეკარგა ლაზათი. იმის პანაშვიდზე მოვისმინე მეშვიდე სიმფონიის მეორე ნაწილი... სიკვდილის რექვიემი.

ვარპეტმა ხელი ასწია, თითქოს სიმღერას აპირებსო. ტუჩები აამოძრავა, მაგრამ ხმა არ გაუღია. თვალები დახუჭა, სახე მიმქრალმა ღიმილმა გაუნათა.

— გენიალური ეთქმის იმას, რაც გავიწყებს, სად იმყოფები, გახვევს ბურანში და თან გაგიყოლიებს.

ისევ გაჩუმდა.

— მე არ ვიცი სხვა ისეთი ნაწარმოები, ასე ღრმად რომ გამოხატავდეს სიკვდილის სიმწარეს და ამასთან გიმსუბუქებდეს დანაკარგით აღძრულ სულიერ ტკივილს; წამით გავიწყებდეს საშინელ უბედურებას, გამაღლებდეს, ფილოსოფოსად გაქცევდეს. სწორედ ამ დროს ხდება, რომ სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე.

მერე დაუმატა:

— ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუკი პანაშვიდის დროს მუსიკა წამით დაგავიწყებდათ ჩემს სიკვდილს... მწუხარების მძიმე წუთებში, სიმღერა იქნება თუ მუსიკა, სულ ერთია, კუბოსთან შემოკრებილ ჭირისუფლებს თუ დაავიწყებს სიკვდილს, თავის ბურანში გაახვევს მათ, მაშასადამე, სიცოცხლეს გაუმარჯვნია [1].

□

---

[1] რუბენ ზარიანი — „ავეტიქ ისააკიანი" (გამომც. „ჰაიასტანი", 1974 წ.)

პოლ კლოდელი

ვერლენი

ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა

1. უმწიო ვერლენი

დიდი ბავშვია, სავსე არის იგი მუქარით და სავსე არის იდუმალებით. იგი ბავშვია და კაცობაში რომ ფეხი შედგას, ბოლომდე ვერ გადუწყვეტია,

იგი რემბოა მოხეტიალე, მისი ნაბიჯი არის ნახტომი, ვერ მიატოვებს იგი ხეტიალს,

ვიდრე არ ნახავს თავის ჯოჯოხეთს, რომელიც ისე საბოლოო იქნება, როგორც საერთოდ არის შესაძლებელი ამ ქვეყანაზე რომ კაცს აღირსონ,

იმის პირისპირ მზე არის მუდამ და სრულზე სრული დუმილია სამარადისო.

აი, პირველად გადმოვიდა იგი გემიდან და გულშემზარავ ლიტერატორთა შორის კაფეში ბედმა ისროლა,

მას გასამხელი არა ჰქონდა სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ კვლავ მიაგნო მარადისობას.

მას გასამხელი არა ჰქონდა სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ ქვეყანაზე ჩვენ არ ვარსებობთ,

იქ იყო ერთი ადამიანი, სიცილი, კვამლი, ლუდის კათხები, ბინძური წვერი და ლორნეტები რომ ირეოდა იმის გარშემო.

მხოლოდ იმ ერთმა ადამიანმა შეხედა ამ ბავშვს და, ვინც იყო, ის მიხვდა მხოლოდ.

შეხედა რემბოს იმან და მისთვის ამიერიდან მოელო ბოლო

თანამედროვე პარნასს და ფარდულს, სადაც ისევე აღუღუნებენ

სონეტებს, როგორც ქარხანაში აწარმოებენ და ამრავლებენ მუსიკალურ სათუთუნეებს.

დღემდე რაც იყო, უცებ დაიმსხვრა! აღარ უნდიხარ საყვარელო, ძვირფასო ცოლო,

რომ ამ ბავშვს გაჰყვეს და რომ გაიგოს, მკრეხელობასა და სიზმრებს შორის რას ამბობს იგი, ის უნდა მხოლოდ.

ნახევრად ესმის, რასაც ის ამბობს, მაგრამ ისიც კი საკმარისია, რაც გასაგები არის ნახევრად,

ბავშვი ცისფერი თვალებით სხვაგან იმზირება და რაც მას წაჰყვება, ის ყველაფერში უცოდველია და არაფერი დაეძრახება.

სუსტი ვერლენი! მარტო დარჩა და უნდა იყოს იქ, სადაც სული ეხუთება და სული უწუხს.

რემბო მიდის და ვერასოდეს იმას ვერლენი ველარ იხილავს და ვინც შერჩა ოთახის კუნჭულს,

სიმშვიდე რომ არ დაურღვიოს მოქალაქეებს ნახევრად გიჟმა და ბრაზით სავსემ, —

ბელგიელებმა ასო-ასო წამოკრიფეს და მერე აგურით აშენებულ ციხეში ჩასვეს.

ის არის მარტო, დაცემული, უნებისყოფო, თავის თავს აღარ ეკუთვნის, აღარ,

და სწორედ ამ დროს მეუღლე მისი განქორწინების უგზავნის ქაღალდს.

ნამღერი არის „მშვენიერი სიმღერა“ უკვე, გამქრალი არის მოკრძალებული ბედნიერება და იმედები

და ორ ნაბიჯზე ყოველი მხრიდან აღმართულია მხოლოდ კედელი.

რომ გააძევა იგი, გარეთ ის ქვეყანაა და შიგნით კიდევ პოლ ვერლენია,

მხოლოდ იარა და გამძაფრება, რომელიც არ ჰგავს ჩვენს გამძაფრებას, სხვა არაფერი არ შერჩენია.

ზევით პატარა ფანჯარაში მხოლოდ ლაჟვარდი იმზირება და შუქი ჩამოდის.

გათენებიდან კედელს შეჰყურებს იგი და ასე ზის საღამომდის:

საკანი, სადაც ის იმყოფება, მას აარიდებს თავიდან საფრთხეს.

ეს კოშკი იწოვს ღრუბელივით იმ გაჭირვებას და იმ სისხლს, რასაც განწირული ყოველდღე ანთხევს.

და ვერონიკას სარეცხივით რომ გაიჟღინთა, მისი ტანჯვა და მისი სისხლია!

ასე იქნება, სანამ ბოლოს თვალს არ გაახელს სახე და
ხატი, რომელიც მას უგულისხმია,
რაც ამბოხებულ ასაკიდან ამოტივტივდა, იმის პირისპირ
დგება და იგი შეჰყურებს თავის დაბნეულ სახეს.
მდუმარე არის მისი ბაგე და იგი თვალებს ნელ-ნელა
ახელს
და ის თვალები შესცქერიან მხოლოდ უცნაურ იმ ადამიანს,
ვინც უკვე მისი უფალია და მისი ღმერთი, —
იესო, უფრო შინაგანი, ვიდრე სირცხვილი, რომ უჩვენა
და გადაუხსნა თავისი მკერდი!

ო, ნუთუ სცადე და დაივიწყე ის წუთი, როცა ასე ახლოა
ღმერთი, საბრალო ვერლენ, პოეტო, არ გელირსება სულის
თანხმობა!
შენი ცოდვებით ღირსეულად როგორ იცხოვრო, დაგვიწყებია,
მგონი, სრულიად,
ცოდვები თითქოს აღარც არსებობს თუ საიმედოდ მიჩქმალულია.
შენ დაგავიწყდა, როგორ ვიყოთ ცვილივით რბილი, ხალხს
სახარებამ მორჩილება რომ აიძულოს?
ამ ცხოვრებისა ვერაფერი ვერ გაგიგია, შე უწმინდურო,
ლოთო, ბინძურო!
გაუმაძღარო! შენს ჭიქაში ღვინოზე მეტი ნალექი არის
და ღვინო კი არის გამქრალი,
შენს ღვინოს თურმე ალკოჰოლი ცოტა ჰქონია და კიდევ
მცირე ხელოვნური ჰქონდა შაქარი,
შენ გსურდა ღვინო დაგელია შხამად ქცეული, მხოლოდ
სამსალა, მხოლოდ ნაღველი!
რა სწრაფად გაქრა ლაზარეთთან სირაჯი, როცა შენ
ლაზარეთის კარებს აღებდი!
იმ უსასრულო სიღატაკის შემდეგ როგორი ხანმოკლე იყო
შენი დებოში, —
ოცი წლით შერჩი ლათინური კვარტალის ქუჩებს და
სკანდალური ოცი წელი იყავი თუმცა ბიწიერების იმ სამეფოში,
შენთვის არ იყო მაღალი ღმერთი, არავინ მოგცა
ქვეყნად კარავი!
არ შეგაჩერა არავინ, როცა ფსკერზე დაეშვი და იქ
იგემე ნაყოფი ტკბილი და შემზარავი.
ისე იცხოვრე, სიკვდილს უნდა ზედ დაჰკვდომოდი,
არ ყოფილიყო ახლოს არავინ,
და იატაკზე დამხობილი პირქვე, მეძავი ქალის ოთახში
სული სხეულს როცა გაშორდა,
იყავ შიშველი, როგორც ჩვილი, ამ ქვეყანაზე
გამოხმობილი დედის საშოდან!

2. გაუსწორებელი

იგი ხმელეთზე დატოვებული მეზღვაურია, ის თავს აბეზრებს ჟანდარმერიას და ის არის ულარიბესი.

მხოლოდ ორი სუ, რომ იყიდოს იმით თუთუნი, და ბელგიაში ის რომ იყო ნასამართლევი და პარიზში რომ შეუძლია ახლა ჩავიდეს, იმის საბუთი უდევს ჯიბეში.

არის უზღვაო მეზღვაური და უმანძილო გზის მაწანწალა და არაფრის ბატონ-პატრონი.

სად ცხოვრობს, არის გაურკვეველი, უპროფესიო... „პოლ ვერლენი, ლიტერატორი.“

ეს უბედური ლექსებს წერს თურმე და ამ ლექსებზე იღუშება ანატოლ ფრანსი:

თუ წერ ფრანგულად, რომ გასაგები იყოს, უთუოდ იგულისხმება, ისე არაფერს არა აქვს ფასი.

მაგრამ ფეხი რომ გაშეშებია, ამ პიროვნებას ის ათავსებს თავის რომანში, იგი იმდენად უცნაურია.

მას სახელი აქვს სტუდენტთა შორის და ჭიქა „თეთრზე“ პატიჟებენ, როცა სწყურია.

მაგრამ ქალალდზე რაც გადააქვს, იმის მკითხველმა **როგორ** დაფაროს აღშფოთება, ერთი მითხარით,

აქვს სტრიქონს ზოგჯერ ცამეტი ტერფი, მაგრამ აზრი კი არავითარი.

მისი ბრალია, თუკი მაინც შიმშილით კვდება, ყური არ უგდო არვის რჩევას, არვის საუბარს.

ამ განზე გამდგარ მეოცნებეს ვინ დაუჯერებს, ვინ აჰყვება და მხარს ვინ აუბამს!

ფული კი, ფული არ უჭყავით თვით პროფესორებს, მოგვიანებით პოლ ვერლენზე რომლებიც უკვე

წაიკითხავენ ლექციებს და დაიმშვენებენ თან საპატიო ლეგიონის ორდენით გულმკერდს.

ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ ამ ადამიანს და ჩვენ არ ვიცით, იგი ვინ არის.

აწეწილ წვერში რომ ბურტყუნებს უკმაყოფილოდ იგი — მელოტი ბრძენი სოკრატე, მოხუცებული და უწყინარი.

რომ დათვრეს კაცი, საჭიროა ოთხი აბსენტი — ორმოცდაათი სანტიმია აბსენტის ფასი.

მას ურჩევნია დათვრეს უგონოდ, ოღონდ არ იყოს რომელიმე ჩვენგანის მსგავსი.

რადგან მას გული ეფლითება სწორედ იმ დღიდან,
სწორედ მას აქვეთ, სამოთხეში ხმა რომ მოესმა
და სათქმელი რომ გაუმხილა ყრმამ ან ქალწულმა,
ან ანგელოსმა უსათნოესმა!
დე, კატულ მენდესს გაუფრთხილდეს სული პრუდომი,
კატულ მენდესი გაუფრთხილდეს თავის დიდებას!
სპილენძის ფული ჩაუყარონ ქუდში და ფულით მერე
ღირსება შეუფასონ? არა სჭირდება!
სიამოვნება სხვებსა ჰქონდეთ და სათნოებაც,
პატივისცემაც, სიგარებიც, ქალის სინაზეც!
შიშველი, — თათრის გულგრილობით გაშხლართულია ის
კოლოფივით ვიწრო ბინაში.
სირაჯებს იცნობს სახელებით და საკუთარი სახლივით
თურმე შესჩვევია იგი ლაზარეთს:
მას ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე იმათ ემსგავსოს, აქაურობა
რომ შეაზარეს.

მაშ, ახლა, როცა ის აღარ არის, ვადიდოთ ერთხმად, ჩვენ
პოლ ვერლენი ისე ვადიდოთ, როგორც წესია.
რაც მას დააკლდა, ერთადერთი, დიდება იყო და ჩვენთვის
ახლა უმთავრესია,
რომ მისი ლექსი ყველასათვის არის ნათელი და სასიმღეროდ
იგი ჩვენმა ქალიშვილებმა
აიტაცეს და მათ სიმღერას კომპოზიტორთა ერთვის მუსიკა
და ორკესტრის ხმა ეწყვილება!
მოხუცი კაცი ნაპირს გაჰყვა და საიდანაც გადმოსვეს
ერთხელ, იმ ხომალდზე ისევ ავიდა —
შავ ნავსადგურში მოელოდა თურმე ხომალდი, ვერ დავინახეთ
ჩვენ ის თავიდან.
მოგვესმა მხოლოდ ტკაცუნი აფრის, რომელიც ნელა
იბერებოდა და ფორშტევენი გავარჩიეთ სანაპიროდან,
და კიდევ ერთი ხმა გავიგონეთ, ხმა ყრმისა ანდა ხმა
ქალწულისა, ანდა ხმა იქნებ ანგელოსისა, რომელიც ნისლში —
„ვერლენ!“ — ყვიროდა.

□